მ. სამსონაძე

თბილისის სამრეწველო განვითარება მეცხრამეტე საუკუნის რეფორმამდელ ხანაში

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1968

~~9 (С41)~~
338.9 (Г.922) (09)+9(Г.922)..
~~Б 241~~

ნაშრომში განხილულია თბილისის სამრეწველო განვითარების ძირითადი საკითხები. ნაჩვენებია კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვისა და განვითარების გზები თბილისის მრეწველობაში, საერაკრო კაპიტალის როლი ამ პროცესში. ნაშრომში ხაზგასმულია, რომ კაპიტალისტური ურთიერთობა, რომელიც XVIII—XIX სს. მიჯნაზე ისახება, თბილისისა და საქართველოს მრეწველობაში ძირითადად გაფანტული მანუფაქტურების გაჩენის გზით მიმდინარეობდა. მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი რეფორმამდელი თბილისის მსხვილი სამრეწველო წამოწყების შესწავლას.

1—5— 1
115—67 ადგ.

შესავალი

XIX საუკუნე ჩვენი ერის ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტით დაიწყო, რომლის დადებითმა შედეგებმა, სხვათა შორის, ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაშიც ჩქარა იჩინეს თავი. მართალია, „რუსეთის მიერ მისი ეკონომიური „დაპყრობა“ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა...“[1] და რუსეთთან შეერთების პირველი 2-3 ათეული წლის მანძილზე საქართველოს ეკონომიკა ძირითადად ძველი, ადგილობრივი გზით ვითარდებოდა, მაგრამ შექმნილმა ხელსაყრელმა პირობებმა გზა გაუხსნეს საწარმოო ძალთა განვითარებას და ერთგვარად ქვეყნის საერთო ეკონომიური აღმავლობა გამოიწვიეს. ასეთ ვითარებაში კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები თანდათან იკაფავდნენ გზას სამეურნეო განვითარების თითქმის ყველა სფეროში. ეს პროცესი განსაკუთრებით მკვეთრად გამოხატულ სახეს თბილისის მრეწველობაში იღებდა, თუმცა იგი აქ უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა. მრეწველობის ძველი, ფეოდალური ფორმები ადვილად არ ტოვებდნენ ასპარეზს და XIX საუკუნის I ნახევრის თბილისის სამრეწველო განვითარებისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტებსა და წარმოების ფეოდალურ წესს შორის.

მას შემდეგ, რაც საქართველო ევროპული ქვეყნის ფარგლებში მოექცა, თანდათან ახალი, ევროპული ხასიათის მრეწველობა იწყებს გავრცელებას. მოსახლეობის გემოვნების ცვლისა და მთავრობის პოლიტიკის წყალობით ევროპული ყაიდის საგნების წარმოება თანდათან ძლიერდებოდა და ნიადაგს აცლიდა ადგილობრივი აღმოსავლური ყაიდის წარმოებას. ამრიგად, მე-19 საუკუნის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გამოცემა მეოთხე, გვ. 703.

რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარებისათვის აგრეთვე დამახასიათებელია წინააღმდეგობა ადგილობრივი და ევროპული ყაიდის წარმოებას (ძირითადად ხელოსნობას) შორის.

ყოველივე ამან განსაზღვრა მოცემული ხანის თბილისის მრეწველობის დიდი სიჭრელე. ერთი მხრით, აქ ერთმანეთის გვერდით არსებობდნენ სრულიად სხვადასხვაგვარი ფორმის სარეწები, ამქრულ-ხელოსნური, შინამრეწველური, მარტივი კოოპერაციის ტიპისა, მანუფაქტურული და ფაბრიკული ხასიათისაც კი. მეორე მხრივ, ამ პერიოდის თბილისისათვის ნიშანდობლივია სრულიად სხვადასხვა ყაიდის საგნების დამზადება. დამახასიათებელია, რომ ხელოსნობის ცალ-ცალკე დარგებს ჰქმნიდნენ აზიური და ევროპული ჩექმის მკერავები, ფეხსაცმლის მკერავები, ქართული, სპარსული თუ თურქული წაღების მკერავები და ა. შ.

ამ პერიოდში ჯერჯერობით უპირატესობას მრეწველობის ხელოსნური ფორმა ინარჩუნებს, მაგრამ თანდათან მცირდება აღნიშნული ფორმის ხვედრითი წონა საერთოდ ქალაქის მრეწველობაში. ამასთანავე ერთად, ამქრული ხელოსნობის დაშლა, რომელიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში იწყება, ახლა კიდევ უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს. ამის მნიშვნელოვანი სიმპტომებია მასში სასაქონლო წარმოების შეჭრა, დაქირავებული შრომის გამოყენების გავრცელება და ამქრულ ხელოსნობაზე სავაჭრო კაპიტალის გავლენის ზრდა.

ევროპული ყაიდის ხელოსნობის თანდათანობითი გავრცელება, მსხვილი სამრეწველო საწარმოების ინტენსიური გაჩენა, მათი წარმოშობის გზების მრავალფეროვნება, მათში ქალაქის ყველა კლასისა თუ ფენის მეტნაკლებად მონაწილეობა იმის ნიშანია, რომ მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის ისტორია აზიური და ფეოდალური ქალაქის ევროპულ და ბურჟუაზიულ ქალაქად თანდათანობით გადაქცევის ისტორიაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ მიმართულებით მეტად დიდი სამუშაოა ჩატარებული[1], საქართველოს სამრეწველო განვითარებისა და, კერძოდ, ჩვენი საკვლევი საკი-

---

1 იმის გამო, რომ უკანასკნელ მომენტში საჭირო შეიქმნა წინამდებარე ნაშრომის მნიშვნელოვნად შემცირება, ჩვენ იძულებული ვიყავით სხვასთან ერთად მოგვეხსნა ისტორიოგრაფიული ნაწილი. თუმცა ჩვენ შევეცადეთ შეძლებისდაგვარად გაგვეთვალისწინებია ჩვენი წინამორბედი ავტორების ყველა ნაშრომი და დებულება.

თხების დამუშავება ჯერ კიდევ შორსაა დასრულებისაგან, რის გამოც საქართველოს ეკონომიური განვითარების უმნიშვნელოვანესი საკითხების გაშუქებაში მეცნიერები ზოგჯერ დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციებზე დგანან. აზრთა ასეთი განსხვავების მიზეზი ისაა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არაა დამთავრებული საქართველოს ეკონომიური განვითარების თვით ფაქტების დადგენისა და შესწავლის საქმე. შემდგომ დამუშავებას მოითხოვს საქართველოს სავაჭრო და სავაჭრო კაპიტალის როლისა და მნიშვნელობის, საქართველოს ეკონომიური განვითარების თავისებურებისა და სხვა საკითხები.

მკვლევართა დიდი ჯგუფი ჩვენში კაპიტალისტურ ურთიერთობათა ჩანასახებს მე-18 საუკუნის II ნახევარში ხედავს (მხედველობაში აქვთ ერეკლეს სამრეწველო საწარმოები: სტამბა, ზარაფხანა, ქარხნები, აგრეთვე ზოგიერთი კერძო წამოწყებაც) და მიიჩნევს, რომ ეს ჩანასახები მე-19 საუკუნის I ნახევარში ისე გაძლიერდნენ, რომ უკვე შეიძლება ლაპარაკი კაპიტალისტური წყობის არსებობაზე. მაგრამ უკლებლივ თითქმის ყველა ასეთი მეცნიერი საქართველოს სამრეწველო განვითარების შესწავლას მე-19 საუკუნის I ნახევარში, 30-იანი წლებიდან იწყებს; ე. ი. იმ დროიდან, როდესაც რუსეთის ცარიზმმა ძირითადად დაამთავრა კავკასიის პოლიტიკური დაპყრობა და მის ეკონომიურ დაპყრობას იწყებს. აქ არ შეიძლება არ დაიბადოს კითხვა რამ განაპირობა სამრეწველო განვითარების ასეთი სიღარიბე მთელი 30 წლის მანძილზე? რატომ არსად არ იჩინეს თავი კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახებმა, რომლებიც ასე აშკარად და თვალნათლივ მოჩანან მე-18 საუკუნის II ნახევარში? ასეთი მსჯელობიდან ძალაუნებურად შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ ერეკლეს დროინდელი სამრეწველო საწარმოები, რომლებიც უეჭველია კაპიტალისტურ ხასიათს ატარებდნენ, ხელოვნურად მოწყობილ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, რომლებიც არ პასუხობდნენ ქვეყნის საერთო ეკონომიურ განვითარებას და ამდენად განწირულნი იყვნენ დასაღუპავად, როგორც კი მოაკლდებოდათ შორსმჭვრეტელი და გამჭრიახი მონარქის საქმიანი ხელი. ამრიგად წყდება ლოგიკური ჯაჭვი XVIII საუკუნის II ნახევრის კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახებსა და XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოში დაწყებული კაპიტალისტური წყობის ფორმირებას შორის. ყოველივე ამის გამო კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სა-

ქართველოში (მიუხედავად იმისა უარვყოფთ თუ არა ჩვენში „კაპიტალიზმის შემოჭრის“ თეორიას) ცარიზმის კოლონიურ პოლიტიკას უკავშირდება. ეჭვი არ არის, საქართველოს რუსეთთან შეერთებამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, მაგრამ ისიც ხომ უეჭველია, რომ უკვე XIX საუკუნის დასაწყისიდანვე შეიმჩნევა ჩვენში ვაჭრობისა და მრეწველობის მნიშვნელოვანი გამოცოცხლება, ვითარდება სასაქონლო წარმოება და იზრდება დაქირავებული შრომის გამოყენება. ასე რომ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია. მაშასადამე, ისმება საკითხი საქართველოში კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების ადგილობრივი, ორგანული გზების ძიების შესახებ, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საერთო განვითარების თავისებურების შესაბამისი უნდა ყოფილიყო, და მისი ეკონომიური განვითარების წიაღიდან უნდა გამომდინარეობდნენ.

ამ და ამასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა საკითხზე გვინდოდა გაგვემახვილებინა ყურადღება წინამდებარე ნაშრომში. ცხადია ამის გაკეთება შეუძლებელი იქნებოდა იმის გარეშე, თუ ჩვენ არ შევეცდებოდით დაგვეხატა თბილისის მრეწველობის საერთო სურათი, გამოგვეყო მისი განვითარების ძირითადი ეტაპები და ამ ეტაპების მიხედვით თბილისის მრეწველობის სხვადასხვა დარგების მაგალითზე დაგვეხასიათებია მისი განვითარების თავისებურებები.

იმ დროისათვის თბილისი საქართველოსა და ამიერკავკასიის არამც თუ პოლიტიკური, ეკონომიური ცენტრიც იყო. ამდენად იგი თავის განვითარებაში შეიძლება გარკვეულად კიდეც უსწრებდა მთელ მხარეს, მაგრამ იგი უეჭველად მხარის განვითარების საერთო მიმართულებას გამოხატავდა, რადგან, როგორც ერთი მაშინდელი თანამედროვე ამბობდა, „თბილისი თავის თავში მთელი მხარის დახასიათებას ასახავს. თუ თქვენ მას კარგად გაიცნობთ, შეგიძლიათ მიულოცოთ თქვენ თავს, რომ იცნობთ საქართველოს“. ამდენად, თბილისის სამრეწველო განვითარების საკითხების შესწავლას მნიშვნელოვანი ადგილი ენიჭება საერთოდ საქართველოს სამრეწველო-ეკონომიური განვითარების შესწავლის საქმეში.

თბილისის ხელოსნობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში[1]

აღა-მაჰმად-ხანის გამანადგურებელი შემოსევის შემდეგ თბილისმა სწრაფად იწყო აღდგენა და საქართველოს რუსეთთან შეერთების დროისთვის იგი საკმაოდ სისხლსავსე ვაჭრული და ხელოსნური ქალაქი იყო, რომელშიც საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, მაშინდელ აღმოსავლეთში ცნობილი, ხელოსნობის თითქმის ყველა სახეობა. თბილისი აღნიშნული ხელოსნობის პროდუქციით ამარაგებდა არა მარტო ქალაქის მოსახლეობას, არამედ მთელს ქართლ-კახეთს, და ზოგიერთი დარგის ნაწარმი კავკასიის გარდა თურქეთში, ირანსა და რუსეთშიაც კი გაჰქონდათ.

მიუხედავად ამისა, თუმცა ქალაქი მშვიდობიანობის დამყარებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით რუსეთთან შეერთების შემდეგ, დიდ აღმავლობას განიცდიდა, იგი 1807 წლისთვისაც კი მეტად შორს იყო თავის პირვანდელ დონესთან: ამ დროს, კლაპორტის ცნობით, თბილისში სახლების მხოლოდ ორი მესამედი იყო აღდგენილი[2].

---

1 ნაშრომის ეს თავი გაცილებით ვრცლად გვქონდა გააზრებული, მაგრამ იმის გამო რომ ნაშრომი ერთობ განსაზღვრული მოცულობით იბეჭდება, ჩვენ შეეცადეთ თავი აგვერიდებია იმ საკითხებისათვის, რომლებიც ასე თუ ისე სრულადაა წარმოდგენილი ჩვენი წინამორბედი ავტორების შრომებში. ამდენად ვარჩიეთ შემოვფარგლულიყავით თბილისის ხელოსნობის განვითარების დონის გარკვევით განსახილველი პერიოდის სხვადასხვა ეტაპზე და ტრანსფორმაციის იმ ღრმა და თავისებური პროცესის ჩვენებით, რომელსაც თბილისის ხელოსნობა XIX საუკუნის 1 ნახევარში განიცდიდა და რომელიც როგორც მის შიგნით მომხდარი ძვრებით, ისე ამჭრის გარეთ მიმდინარე პროცესებით იყო განპირობებული.

2 ს. კაკაბაძე, ქ. თბილისის აღწერა 1803 წლისა, საისტორიო მოამბე, 1925, წიგნი II, გვ. 31.

იოანე ბაგრატიონის „სჯულდებიდან“[3] ვიგებთ, თუ რამდენად განვითარებული ყოფილა ხელოსნობის დარგები საქართველოში რუსეთთან შეერთების დროისათვის. ავტორი აჯგუფებს ხელოსნობის ერთგვაროვან ან მომიჯნავე დარგებს და მათი შემდგომი გაუმჯობესებისათვის მოითხოვს მათზე სპეციალურ სამოხელეო ზედამხედველობას. მას მოჰყავს ხელოსნური დარგების საკმაოდ ვრცელი სია: ყასბები, ხარაზები, მექუდეები, ქურქჩები (მექურქეები), მკერავები, ნალბანდები, ბიჩახჩები და მქედლები — თოფის, ხმლის, ხანჯლისა და სხვათა მკეთებლები; ცალკე ხელობებად უნდა ყოფილიყო ჩახმახებისა, ბურღებისა, ლურსმნებისა და სხვათა კეთება. მქსოველები[4], დალაქები, მექვაბეები, ოქრომჭედლები, მესანთლეები, მესაპნეები, კალატოზები, ქვისმთლელები, მეკირეები, მეაგურეები, მეგაჯეები, მეტიეები, ხუროები, დურგლები, ხარატები, თიხის ჭურჭლის მკეთებლები — მექვევრეები, მხატვრები — ხატების მომხატავნი და მომვარაყებელნი, როგორც ადგილობრივი, ისე მოსულები. მუსიკალურ საკრავთა მკეთებელნი—შინაურნი და მოსულნი. ყაზახები — ძაფის, ბაფთის, ზონრისა და ფოჩთა მკეთებლები. საბელების მგრეხელები და სხვ., დაბაღები, რომლებიც ამზადებდნენ და ყიდდნენ სამოგვე ჟირს, კემუხტას და თალათინს; მღებავები, მჩითავები, ფეიქრები, მელაინეები და თავთავთა და დარაიას მქსოველები. ქვის მთლელები, საფლავის ქვის მკეთებლები, წისქვილის ქვის მჭრელები და სხვ.[5]. მართალია, ი. ბაგრატიონის პროექტი აღმოსავლეთ საქართველოზე იყო შედგენილი, მაგრამ ყოველივე საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, და სხვა ცნობებიც ადასტურებენ, რომ აღნიშნული დარგები თბილისშიაც სრულად იყვნენ განვითარებულნი. უფრო მეტიც, ამ ისედაც ვრცელ სიას უნდა დაემატოს ხელოსნობის ბევრი დარგი, რომლებიც ბატონიშვილს მოხსენებული არ აქვს, რადგან მათთვის ცალკე მოხელის გამოყოფა მიზანშეწონილად არ მიუჩნევია, ან

---

3 ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება, ივ. სურგულაძის რედაქციით, თბილისი, 1957.

4 საქართველოში საერთოდ ქსოვა საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა, მაგრამ ამ მხრივ შედარებით ჩამორჩენილი იყო მაუდისა და ხავერდის ქსოვის საქმე, ამიტომ ავტორი ითხოვს: „განწესდეს ერთი ვინმე კარგი კაცი, იშოვოს ოსტატები მაუდის მკეთებელი და პლისეს მქსოველი, ესე იგი ბამბის ხავერდისა, რადგან ორისავე მასალა ბევრი იშოვება ჩვენს ქვეყანაში“.

5 ი. ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, სჯულდება, ი. სურგულაძის რედაქციით, თბ., 1957, გვ. 14—23.

რომელიმე სხვა უფრო მსხვილ დარგთან გაუერთიანებია, თუმცა ამ დროისათვის ცალკე დარგებად იყვნენ გამოყოფილნი. ესენია: მეკონდახეები, მესაათეები, მკალავები, მეთოფისწამლეები, „კანკანები“ — მეწყალსადენეები, მესკივრეები, მეტიკეები, მხერხავები, მეურმეები, ინსტრუმენტების მკეთებლები, მეწუღეები, მებუნიკეები, სარაჯები, მეწისქვილეები, მეპურეები, მზარეულები, მეშარბათეები, მექისეები, მებურნუთეები და სხვ.[6].

ყველა ხელობა ერთნაირად განვითარებული არ ყოფილა. ზოგი მთლიანად აკმაყოფილებდა ადგილობრივ ბაზარს და ქვეყნის გარეთაც კი გადიოდა, ზოგი კი როგორც რაოდენობით, ისე ხარისხით, შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვდა.

ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და დაწინაურებული დარგი იყო იარაღის მკეთებლობა. ქართული ფოლადის (ბულატი) იარაღმა რუსეთის ხელისუფალთა ყურადღება მიიქცია და მათ დიდი ღონისძიებები ჩაატარეს ფოლადის დამზადების ქართული წესის რუსეთში დასანერგად[7]. მაგრამ თბილისელი ოსტატები, გარდა ცივი იარაღისა, საკმაოდ კარგ შაშხანებსა და დამბაჩებსაც ამზადებდნენ. მუედელთა მაღალ ხელოვნებაზე მიუთითებს, საკმაოდ კარგი შაშხანის საკეტები, აგრეთვე სადურგლო და სახარატო ინსტრუმენტები.

მესპილენძეები ასხამდნენ სასანთლეებს, ამზადებდნენ სხვადასხვა საოჯახო ჭურჭელს: არყის სახდელ ქვაბებს, დოქებს, თასებს, რომელთაც მკალავები შიგნიდან და გარედან კალავდნენ.

თბილისში მაღალკვალიფიცირებული მესადაფეებიც მუშაობდნენ.

მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა თბილისელი მექუდეების ნაწარმის ასორტიმენტი.

ხარაზები და მეჩექმეები მრავალნაირი ხარისხის, ფორმის, ფერისა და დანიშნულების ქალის, კაცისა და ბავშვის ფეხსაცმელს

---

6 Ш. Месхна, Города и Городской строй феодальной Грузии (XVII—XVIII), Тб. 1959.

7 ამის შესახებ იხ. დაწვრილებით პ. გუგუშვილი, Развитие промышленности в Грузии и закавказье в XIX—XXвв., თბ. გვ. 46—51; ა. კოკლავაშვილი, საქართველოს სამთომეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბ., 1963; კ. ჩოლოყაშვილი, ბულატის ქართველი ოსტატები, ე. მეცნიერება და ტექნიკა, 1953, № 6.

ამზადებდნენ: საცეცეთებს, მაგარძირიან ფეხსაცმელებს, ქოშებს, ქალამნებს.

ცხრილი 1

თბილისის სავაჭრო და სახელოსნო ფარდულების რაოდენობრივი დინამიკა 1784—1845 წწ.*

	1784 წ.	1803 წ.	1826 წ.	1835 წ.	1845 წ.
ფარდულებით საერთო რაოდენობა	500	574	1144	1264	1769
სავაჭრო ფარდულები		264	660	930	—
სახელოსნო ფარდულები		310	484	—	—
მოსახლეობის საერთო რაოდენობა	18750	14620	20957	25290	32500
მოსახლეობისა და ფარდულების საერთო რაოდენობის შეფარდება	37,5	25,5	18,25	20	18,4

ამ დროის თბილისში ჯერ კიდევ ძლიერად იყო წარმოდგენილი ხელოსნობის ბევრი დარგი, რომლებიც შემდგომ, ახალი ყოფის შემოსვლასთან დაკავშირებით, ან სრულიად გაქრნენ, ანდა მხოლოდ საშინაო ხელობად იქცნენ. მაგალითად: მ ა ზ მ ა ნ ე ბ ი, რომლებიც რთავდნენ თხის მატყლს და მისგან ამზადებდნენ ხურჯინებს, გრეხდნენ ბაწრებს მეურმეებისათვის და სხვ. ფ ა ლ ა ნ დ უ ზ ე ბ ი—ამზადებდნენ ფალანებს ცხენების, აქლემებისა და სახედრებისათვის, რომელზედაც საპალნეებს ამაგრებდნენ და სხვ.

ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებამ, გზების აღდგენამ და ვაჭრობის განვითარებამ განაპირობეს ხელოსნობის სწრაფი ზრდა XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე. თუმცა ჩვენ არ გვაქვს საშუალება დავადგინოთ ხელოსნების რაოდენობა თბილისში გასული საუკუნის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე, მაგრამ ჩვენს მიერ შედგენილი თბილისის სავაჭრო და სახელოსნო ფარდულების რაოდენობრივი დინამიკა (იხ. ცხრილი 1), ვფიქრობთ,

* ცხრილში გამოყენებული მონაცემები ჩვენ შემდეგი წყაროებიდან ამოვკრიბეთ: 1784 წ. ბურნაშოვის დასახ. შრომიდან —Картина Грузии или описание политического состояния царств Картлинского и Кахетинского, Тб., 1886. (იხ. გვ. 3). 1803 წლის ს. კაკაბაძის აგრეთვე დასახელებული ნაშრომებიდან (იხ. საისტორიო მოამბე 1925 წ. წიგნი II), 1835 წლის შრომიდან — „Обозрение Росинских владении за Кавказом", I, გვ. 192, ხოლო 1845 წლისა — საქ. ცენტრ. არქივის ფონდიდან 16 საქ. 8403 ფ. 30.

გარკვეულ სურათს იძლევა თბილისის ვაჭრობისა და ხელოსნობის ზრდაზე 1784—1845 წლებში.

ცხრილის მონაცემებით, 1803 წელს 1784 წელთან შედარებით, სავაჭრო სახელოსნო ფარდულების რიცხვმა მნიშვნელოვნად მოიმატა და შეადგინა მატების 15% მაშინ, როდესაც მოსახლეობა ამავე ხანებში 22%-ით შემცირდა (აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა და სხვ.). 1826 წელს, 1803 წელთან შედარებით, ფარდულების რაოდენობა გაიზარდა 99,5%-ით, ხოლო მოსახლეობა ამავე ხანებში მხოლოდ 42,6%-ით; შესაბამისად 1835 წელს 1826 წელთან შედარებით ზრდის ტემპები შეადგენდა 8,3% და 21,7% (აქ ფარდულების ზრდის ტემპის შენელება მოსახლეობის საერთო ზრდის ტემპთან შედარებით შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმებით უნდა იყოს გამოწვეული). 1845 წელს მდგომარეობა კვლავ გამოსწორდა და 1835 წელთან შედარებით ფარდულების ზრდის ტემპებმა ისევ საგრძნობლად გაუსწრეს წინ მოსახლეობის ზრდის ტემპებს და შეადგინეს შესაბამისად I—40%, II — მხოლოდ 28,5%, მთლიანად 1845 წელს, 1784 წელთან შედარებით, თბილისის ფარდულების რიცხვი გაიზარდა 253,8%-ით, ხოლო მოსახლეობისა — მხოლოდ 73,4%-ით. ამგვარად, 1784 წელს ერთი ფარდული ყოველ 37,5 თბილისელ მცხოვრებზე მოდიოდა, 1826 წელს — 18,2-ზე, 1835 წელს — ყოველ 20 მცხოვრებზე, ხოლო 1845 წელს — ყოველ 18,4 მცხოვრებზე[8].

აქედან გამომდინარეობს, რომ XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე თბილისი იზრდებოდა, როგორც სავაჭრო და სახელოსნო

---

8 ჩვენ სავაჭრო და სახელოსნო ფარდულთა საერთო რაოდენობა მოვიყვანეთ. ხელოსნობის განვითარების სურათის დასახატავად ასეთი წესი მთლად მართებული ვერ არის, რადგან სავაჭრო და სახელოსნო ფარდულების ზრდის ტემპები ერთნაირი არ ყოფილა (ეს ჩვენ მიერ მოტანილი ცხრილიდანაც ჩანს) და სავაჭრო ფარდულების ზრდა სჭარბობდა სახელოსნო ფარდულებისას. მაგრამ ჩვენ ასე მოვიქეცით, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ნაკლოვანი მასალა საშუალებას არ გვაძლევდა მკვეთრად გამოგვეცალკევებია სავაჭრო და საშრეწველო ფარდულები, თუ კი საერთოდ მათი გამოცალკევება მოხერხდებოდა. უმეტესად კი ეს თითქმის შეუძლებელი იყო. ეს რომ მოგვეხერხებია კიდეც. სურათი მაინც სრულფასოვანი არ იქნებოდა. რადგან ხელოსნობის ბევრი მნიშვნელოვანი დარგი არ საჭიროებს ფარდულში მუშაობას (საამშენებლო დარგები და სხვ.). მაგრამ ზრდის ტენდენციის დაახლოებით გაგება მაინც შესაძლებელია, მით უმეტეს, რომ, როგორც წესი, აღნიშნული ფარდულების რიცხვში არ უნდა შედიოდეს ტყავის „ქარხნები", აგურის, კრამიტის, თიხისა და სხვა წარმოებები.

ქალაქი. ვაჭრობისა და ხელოსნობის ზრდა მხოლოდ მოსახლეობის მატებით კი არ იყო გაპირობებული, არამედ იმით, რომ თბილისის მკვიდრთა მნიშვნელოვანი ნაწილი თანდათანობით შემოსავლის ძირითად წყაროდ ვაჭრობასა და ხელოსნობას იხდის. აქედან გამომდინარეობს ისიც, რომ თბილისის ხელოსნობის ნაწარმი სულ უფრო და უფრო ფართო ასპარეზს მოიცავს, თბილისელი ხელოსნები მუშაობენ არა მარტო თბილისის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ მთელი ქართლ-კახეთისა და გარკვეული აზრით, ამიერკავკასიისაც კი[9]. ხოლო მათი ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი საგარეო ბაზარზეც გადის[10]; ხოლო თბილისის ფარდულებში საქონელს მარტო თბილისელები კი არ ყიდულობდნენ, არამედ ქართლელები და კახელები, მთიელები, ლეკები, იმერლები და სხვ. ერთი სიტყვით, თბილისი თანდათან მთელი ამიერკავკასიის სავაჭრო სამრეწველო ცენტრი ხდებოდა.

თბილისის ხელოსნობის ზრდის გარკვეული სურათი შეიძლება სხვა წყაროების მოშველიებითაც წარმოვიდგინოთ, თუმცა ეს წყაროებიც მეტად არასრულ და პირობით ცნობებს იძლევიან. რუსეთის მმართველობის პირველ წლებში საქართველოში მეტად მცირე რაოდენობით იყვნენ საქმეში ჩახედული მოხელეები, რომელთაც შეეძლოთ ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობის ასე თუ ისე სწორი ანალიზი მოეცათ. ამასთან, მაშინ ქვეყნის ეკონომიური ათ-

---

9 „...თბილისელი ხელოსნები მუშაობდნენ არა მხოლოდ თვით ქალაქ თბილისის თავისთავადაც დიდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ ზოგიერთ დარგში მაინც, მთელი კავკასიისათვის..." პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება, ტომი V, თბილისი, 1962, გვ. 118.

10 მაგალითად, თბილისური ნაწარმიდან რუსეთში დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ბამბის ნართი და სხვადასხვა ხარისხის ბამბის ნაწარმი, თურქეთში თბილისის „ქარხნებში" დამზადებული კამეჩის ტყავები, სპარსეთში ოქროქსოელები. ქართველი ქალების ხელსაქმის ნაწარმოები — ბალიშის გადასაფარებლები, ხალიჩები და ფარდაგები — ჩაპრაკები (აბანოში დასაგები) (ხელნაწ. ინსტიტუტი, Ros d 110), აგრეთვე თბილისის მეიარაღეების მიერ დამზადებული საუკეთესო ხარისხის ხანჯლები (სცსია ფ. 16, საქ. 4669). ხელოსნური ნაწარმი დიდი რაოდენობით გაჰქონდათ მთის რაიონებში და იმერეთში. იმერეთში თბილისური ხელოსნური ნაწარმიდან კარგად საღდებოდა აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, რკინის ნაწარმი, საძირე ტყავები, სხვადასხვა ფერისა და ხარისხის საპირე ტყავები, ფეხსაცმელები, ცხენების მოსართავები, საპონი და ა. შ. (საქ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d 110; სცსია ფ. 16, საქ. 8434).

ვისების საქმე ჯერ კიდეე მოუწესრიგებელი იყო; ამიტომ იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსის მოხელეები მექანიკურად ავსებდნენ მანუფაქტურებისა და ქარხნების რაოდენობის უწყისის („Ведомость о числе мануфактур и заводов") ცენტრიდან მიღებულ ფორმას. მიუხედავად ამისა, წლების მიხედვით შედგენილი უწყისები, თუ მთლიან წარმოდგენას ვერ მოგვცემენ ქალაქის სამრეწველო მდგომარეობაზე, მისი გარკვეული ზრდის სურათს მიახლოებით მაინც გვიხატავენ (იხ. მე-2 ცხრილი). აღნიშნული ცხრი-

ცხრილი 2

თბილისის სახელოსნო ფარდულების დარგობრივი დინამიკა 1807—1832 წწ.

	1	2	3	4	5	6	7	8
	1807 წ.	1813 წ.	1817 წ.	1819 წ.	1824 წ.	1826 წ.	1833 წ.	1838 წ.
საყაითნო (საყაზაზო)	3	2	2	3	1	3	—	3
ვერცხლის საშვედლო	26	—	—	—	—	23	29	27
საბრტყელებელი . .	—	23	15	12	18	19	—	2
საადიდო	—	17	12					
სპილენძის	25	—	—	—	21	—	30	29
რკინის დამმუშავებელი	—	—	—	38	36	38	45	60
სამღებრო	1	1	5	8	13	18	8	9
საჩითაკო	6	3	6	4	7	7	4	5
ბამბეულის	1	7	10	13	150	339	20	31
აბრეშუმის დამმუშავებელი	6	5	6	1	1	1	—	—
ტყავეულის	3	2	2	2	3	3	3	3
თამბაქოს	1	1	1	—	—	—	—	—
რაოდენობა მთლიანად	69	61	59	80	250	451	139	167
ბამბეულის ფარდულების გამოკლებით	58	45	32	55	79	86	107	124

1 ს ც ს ი ა, ფ. 16, საქ. 495, ფ. 30.
2 ს ც ს ი ა, ფ. 16, საქ. 1516, ფ. 18.
3 ს ც ს ი ა, ფ. 16. საქ. 2046, ფ. 86.
4 ს ც ს ი ა, ფ. 16, საქ. 2420, ფ. 125.
5 ს ც ს ი ა, ფ. 16, საქ. 3272, ფ. 150.
6 ს ც ს ი ა, ფ. 16, საქ. 3614, ფ. 156.
7 ს ც ს ი ა, ფ. 16, 5042, ფ. 57.
8 ს ც ს ი ა, ფ. 16, საქ. 5710, ფ. 267.

ლიდან ჩანს, რომ 30 წლის მანძილზე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბამბისა და აბრეშუმის სახელოსნოებს, რომლებზედაც

ჩვენ ცალკე გვექნება საუბარი, სახელოსნოთა რიცხვი ერთი ორად და მეტად გაიზარდა. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ სახელოსნოთა რიცხვის ზრდას თან ახლდა მათი მოცულობის ზრდა, მაშინ თბილისის ხელოსნობის განვითარების გაქანება კიდევ უფრო ნათელი გახდება.

მეტნაკლებად სანდო ცნობა თბილისის ხელოსნების რაოდენობის შესახებ მხოლოდ 1825 წლისათვის მოგვეპოვება. ეს არის 1826 წელს პოლკ. კოცებუს მიერ შედგენილი საქართველოს სტატისტიკური აღწერა[11]. აღნიშნული ცნობის მიხედვით, თბილისში 29 დარგის 1294 ხელოსანი ითვლებოდა. მაგრამ აღნიშნული ცნობაც დაზუსტებას მოითხოვს. ჯერ ერთი, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ მასში მოცემულია მხოლოდ ოსტატების რაოდენობა (უწყისს ასევე ჰქვია. „мастеровых в городе") და ეს რომ ნამდვილად ასეა, ამას სხვა მონაცემებიც ადასტურებს: მაგალითად, ცნობაში 1825 წლისათვის 22 მღებავია დასახელებული მაშინ. როდესაც ამ დროს თბილისში 18 სამღებრო ითვლებოდა (იხ. მე-2 ცხრილი). ხოლო ცოტა უფრო ადრე, 1819 წლისათვის, 4 სამღებროში არა ნაკლები 20 კაცისა მუშაობდა[12], მაშასადამე, თითო სამღებროზე 5 კაცი მაინც მოდიოდა, ე. ი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ აღნიშნული სამღებროები თბილისში საშუალო სიდიდისა იყვნენ, მაშინ 18 სამღებროში 90 კაცი მაინც უნდა ყოფილიყო დასაქმებული. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე მეტყავე ხელოსნების მიმართაც. ამ ხანებში თბილისში მეტყავე ოსტატების რაოდენობა 60—70 კაცს შეადგენდა. საბუთშიც დაახლოებით ასეთი რიცხვია მითითებული — 74. მაშინ როდესაც სუმბათოვისა და ბებუთოვის ქარხნებში 1834 წლისათვის 61 მეტყავე ოსტატია აღნიშნული, ხოლო მთლიანად აქ მომუშავეთა რაოდენობა დაახლოებით 215 კაცამდე უნდა ყოფილიყო[13].

ამგვარი დასაბუთება შეიძლება მექოთნეებზედაც მოვიყვანოთ, მეკასრეებზე და ა. შ. ამგვარად, სრული უფლება გვაქვს დაბეჯითებით დავასკვნათ, რომ აღნიშნულ საბუთში სწორედ ოსტატებზეა ლაპარაკი; ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ 1 ოსტატზე 1 დამხმარე მუშა ან შეგირდი მაინც რომ ვიანგარიშოთ, მაშინ აღნიშნულ დარგებში დასაქმებულთა რაოდენობა 2588 კაცს შეადგენს. ეხ-

---

11 ЦГВИА, ВУА ს. 1 8481, ფ. 50.

12 სცსია, ფ. 209, საქ. 75, ფ. 5.

13 იხ. საქ. ცსსა, ფ. 209, აღ. 1, საქმე 506, ფ. 320.

ლა ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ცნობა სრულიად არ არის, მასში არ შეესულა ისეთი ფართოდ გავრცელებული დარგებიც კი, როგორიცაა მეიარაღეები, მეკრამიტეები, მეაგურეები, მჩითავები, მეპურეები; რომ არაფერი ვთქვათ მთელ ავებზე, მზარეულებზე, მკალავებზე და სხვ. (მე ვგულისხმობ, რომ ზოგიერთი დარგი ავტორს შეიძლება გაერთიანებულად ჰქონდეს წარმოდგენილი, მაგალითად, მშენელები, მექვაბეები, მესპილენძეები და სხვ.); ამგვარად, თუ ყოველივე ამას გავითვალისწინებთ, საფუძველი გვაქვს მოცემულ პერიოდში თბილისის ხელოსნობაში დასაქმებულ პირთა რიცხვი კიდევ უფრო გაზრდილად წარმოვიდგინოთ და იგი უეჭველად 3000 კაცს აჭარბებდა. ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამ დროისათვის თბილისის მოსახლეობა 20857 სული იყო[14], მაშინ გამოვა, რომ თბილისში ხელოსნები მთელი მოსახლეობის დაახლოებით 14% შეადგენდნენ, რაც მნიშვნელოვანი პროცენტია, და თბილისის ხელოსნობის მაღალ განვითარებაზე მიუთითებს. ამაზე მიგვითითებს იმდროინდელი ავტორის ერთი ოფიციალური ცნობაც: „Не только Тифлис и Грузия собственно, но и многия другия провинции и области Закавказского Края имеют значительную ремесленность мастерства и мануфактурные заведения... и большая часть Закавказского народонаселения довольствуется не только в домашнем своем быту, но производит и торговлю немалозначущую своими изделиями, из коих многия по добротному качеству известны в России, а на некоторыя по разным случаям обращало внимание и правительство»[15].

თბილისელი ხელოსნები ამქარში იყვნენ გაერთიანებულნი. ხელოსნურ ორგანიზაციებს დიდი ხნის ისტორია აქვთ საქართველოში. მათი წარმოშობისა და განვითარების საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში საკმაოდ კარგადაა შესწავლილი[16], ჩვენს მიზანს არ

---

14 გ. ჯამბურია, თბილისის მოსახლეობა რეფორმამდელ ხანაში. საქ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტ. შრომები, III, გვ. 132.

15 სცსია, ფ. 2, საქ. 5565, გვ. 1.

16 იხ. შ. მესხია, დასახ. ნაშრომი და სხვა საეურნალო სტატიები; პ. გუგუშვილი, დასახელებული ნაშრომები; ა. ფირცხალაიშვილი, ა/კავკასიის ქალაქები მე-19 ს. რეფორმამდელ ხანაში. სადოქტორო დისერტაცია: მ. სივე, ამქრის გამოსვლის ისტორიისათვის. თსუ შრომები XI და სხვა საეურნალო სტატიები. აგრეთვე პროფ. ეგიაზაროვის, ანდრადოვის და სხვ. ნაშრომები.

შეადგენს მივცეთ არც ამქრის წარმოშობისა და განვითარების სურათი, არც მისი აგებულებისა და პოლიტიკის სრული დახასიათება. მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ვაჩვენოთ ის ცვლილებები, რაც ამქრის ინსტიტუტში მოხდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

თბილისის ამქარი თუმცა ძირითადად ჰგავდა მსგავს ევროპულ თუ აღმოსავლურ ხელოსნურ ორგანიზაციებს, მაგრამ ბევრი ორიგინალური, განსხვავებული თვისებებიც გააჩნდა. ყველაზე ძირითადი, რაც განასხვავებდა, ყოველ შემთხვევაში მე-19 საუკუნის I ნახევრის, თბილისის ამქარს ევროპის საამქრო ორგანიზაციებისაგან, ეს იყო მეტი თავისუფლება და შეზღუდვების ნაკლებობა. საქართველოს ისტორიის მთელმა პროცესმა განსაზღვრა ეს თავისებურება; გამუდმებული ომები და მწარმოებელი მოსახლეობის შემცირება, აქედან გამომდინარე ხელოსანთა რაოდენობრივი სიმცირე, წინააღმდეგ ევროპული ამქრული ორგანიზაციების წესდებისა, გზას უხსნიდა ყმური ელემენტების შესვლას თბილისის ამქარში. ამქარში იღებდნენ ყმებს და არამც თუ იღებდნენ, უსტაბაშებადაც კი ირჩევდნენ[17]. მაგრამ საქმეს არც ეს შველოდა და ქვეყნის მეთაურები სპეციალურ ღონისძიებებს ატარებდნენ, რათა სხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდანაც კი მოეყვანათ ხელოსნები თბილისში. ამრიგად ევროპული ამქრული წესების საპირისპიროდ თბილისის ამქარში გზა ეხსნებოდა უცხოქალაქელ, უცხოქვეყნელ და უცხო რელიგიის ელემენტებს[18].

მსგავსი მდგომარეობა იქმნებოდა სხვა შეზღუდვების მიმართაც, რომლებიც ამქარში შესვლასთან იყო დაკავშირებული: დაბადების კანონიერება, მაღალი ქონებრივი ცენზი, ბიურგერობა და ა. შ. არც ერთ ჩვენამდე მოღწეულ წესდებასა თუ გადმოცემაში არაფერია ნათქვამი, რომ ამქრის ოსტატს განსაზღვრული ჰქონდეს შეგირდების, ან მუშების რაოდენობა, განსაზღვრული ჰქონდეს გამოშვებული პროდუქტის რაოდენობა.

მაგრამ თბილისის ამქარი შეზღუდვებისა თუ რეგლამენტაციისაგან საერთოდ თავისუფალი არ ყოფილა, ეს რეგლამენტაცია ამქრის შიგნით მიმართული იყო ძირითადად ოსტატების ურთიერთ დამოკიდებულებისა თუ მათი შეგირდებთან თუ მუშებთან დამო-

---

17 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მონოგრაფიები, ტ. V, თბ., 1962, გვ. 213, შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 340.

18 შ. მ ე ს ხ ი ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 330.

კიდებულების მოსაწესრიგებლად. იგი ამქარში თავისუფალი კონკურენციის წინააღმდეგ იყო მიმართული.

რუსეთთან შეერთების პირველ წლებში ამქარი დიდ მორჩილებას, პატივისცემასა და ერთგვარ მაამებლობასაც კი იჩენდა ახალი ხელისუფლებისადმი. ეს გამოხატულება უნდა ყოფილიყო ძველი გვიანფეოდალური ტრადიციისა, როდესაც ამქარი და საერთოდ ქალაქის მოსახლეობა სამეფო ხელისუფლების დასაყრდენს წარმოადგენდა და პირიქით, ვაჭარ-ხელოსნები ცენტრალური ხელისუფლებისაგან ელოდნენ დაცვას აღვირახსნილი ფეოდალური ჩაგვრისაგან.

ამქარი მზად იყო ყოველგვარი დახმარება გაეწია მთავრობისათვის არა მარტო ფიზიკურად და მორალურად, არამედ ეკონომიურად: ავლაბრის ოქრომჭედლების წესდებაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ: „თუ ქალაქის ყველა ამქარს სამეფო კარიდან ბრძანება მოუვა ეკლესია-მშენებლობის, ღარიბთა განსაკითხავად ან სხვა რაიმე საჭიროებისათვის ფულის გამოღებაზე (ეს ფული — მ. ს.), უნდა მიეცეს (საერთო) განძიდან, რადგან დიდი სირცხვილი იქნება კარიდან კარზე სიარული შეწირულობათა შესაგროვებლად“[19].

საერთოდ ცნობილი იყო ამქრის გულმოდგინება როგორც საეკლესიო, ისე საზოგადო სამშენებლო საქმეებში: „Когда в Тифлисе предполагается выстроить церковь, то все ремесленники по древнему обычаю, принимают участие в постройке и на один день все приходят сами работать и даже издержки на других работах, принимают на себя. Тифлисские жители и теперь могут видеть исполнение этого обычая, когда каждый цех со своими значками, зурнами и барабанами, сутра отправляются в сололакское ущелье помогать разрабатывать новую горную дорогу, долженствующую идти на соединение с большою Манглисскою“[20]—ვკითხულობთ გაზეთ „კავკაზის“ ერთ-ერთ ნომერში. მსგავსი მასალის მოტანა კი უამრავის შეიძლება. ამქარი და ხელოსნები საერთოდ, მთავრობის დასაყრდენი იყო ქალაქის დაცვის საქმეშიც. ქალაქის დაცვაზე ზრუნვა საერთოდ დამახასიათებელია ფეოდალური ხელოსნური ორგანიზაციებისა-

---

19 ქ. „ლუმა“ (სომხ. ენაზე) 1898, № 1, § 17.

20 გაზ. „კავკაზი“, 1846, № 42.

თვის. ერთ-ერთი ანონიმური ავტორი იგონებს, რომ რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-ირანის 1826-29 წლების ომების დროს, თბილისის ამქრებს მზადყოფნა გამოუთქვიათ მეტად აქტიური მონაწილეობა მიეღოთ სახალხო ლაშქრის მოწყობაში[21].

ყოველივე აქედან გამომდინარე, ახალი მმართველობა, პირველ ხანებში, ქალაქში თავისი პოლიტიკის გატარებისათვის, ამქრის სახით საკმაოდ საჭირო და სასარგებლო ორგანიზაციას ხედავდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ, ჯერ კიდევ კავკასიის სამხედრო პოლიტიკური დაპყრობითა და მისი შემომტკიცებისათვის ზრუნვით გართულ ცარიზმის ხელისუფლებას არ ეცალა სპეციალური ყურადღება მიექცია ამქრისა და მისი კანონმდებლობისათვის. ამის გამო, ყოველ შემთხვევაში გასული საუკუნის პირველი სამი ათეული წლის მანძილზე, რუსეთის კანონმდებლობა არ შეხებია ამქრის მოწყობის საკითხებს; ვიდრე რიგმა ფაქტორებმა ამქრის მდგომარეობა და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკა მნიშვნელოვნად არ შეცვალეს და იგი, ნებით თუ იძულებით, მთავრობის პოლიტიკას არ დაუპირისპირეს.

ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი იყო შეღავათიანი ტრანზიტი (1821—1831 წწ.) და მისი შედეგები და საერთოდ რუსული და უცხოური საქონლით ვაჭრობის ფართო გაქანება საქართველოში, რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავდა თბილისის ამქრულ ხელოსნობას, ხელიდან აცლიდა მას საშინაო ბაზარს.

შეღავათიანი ტრანზიტის პირველ ნახევარში (1822-26 წწ.) საქართველოში 14.708.084 მანეთის პროდუქცია შემოვიდა, ე. ი. წლიურად საშუალოდ 2.941.617 მანეთის პროდუქცია შემოდიოდა. ტრანზიტის II ნახევარში (1826-31 წწ.) შემოტანილი საქონლის რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და მიაღწია 27.852.042 მ. ვერცხლით, წლიურმა პროდუქციამ კი 5.570.408 მანეთი შეადგინა. პროფ. პ. გუგუშვილის გამოანგარიშებით, აღნიშნული საქონლის 25% ადგილზევე რჩებოდა[22]. მაშასადამე, შეღავათიანი ტრანზიტის II ნახევარში საქართველოში წლიურად იყიდებოდა 1.392.802 მან. ვერცხლით ღირებულების უცხოური

---

21 ხელნაწ. ინსტ. Ros d 268. თუმცა აღნიშნული ავტორი ბევრ ფაქტს და თარიღს ერთმანეთში ურევს, მაგრამ აღნიშნული ფაქტი მეტად დამახასიათებელია ამქრისათვის, როგორც ვიცით მსგავს მოვლენას უფრო გვიანაც ჰქონდა ადგილი.

22 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში. თსუ შრომები, 1936, III, V.

ნაწარმი; ეს ძირითადად პირველი მოხმარების საგნები იყო. ამ საქონლის დიდი ნაწილი თბილისში საღდებოდა.

შეღავათიანი ტრანზიტის პერიოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელია მე-19 საუკუნის საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში. მისი შედეგები მეტად მრავალნაირია. იგი ერთის მხრივ აფერხებდა ახალი ეკონომიური წყობის შემოჭრას ჩვენში, მეორეს მხრივ ფართოდ უხსნიდა მას გზას. მან საქართველოში ვაჭართა კლასი ჩამოაცილა ქვეყნის სამრეწველო განვითარებას, იმისათვის, რათა შემდეგ ისევ დაებრუნებია, მაგრამ სულ სხვა სახით. მან ახალი სული შთაბერა თბილისის საქალაქო მეურნეობას, გააძლიერა უკვე გაღვიძებული ცხოვრების ევროპული ყაიდა და მრავალრიცხოვან ეკონომიურ, პოლიტიკურ, სოციალურ და ისტორიულ მოვლენათა კომპლექსში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თბილისის სამრეწველო განვითარების ახალი გზით წარმართვაში.

მაგრამ ჩვენ აქ გვინდა აღვნიშნოთ, რომ შეღავათიანმა ტრანზიტმა მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა ადგილობრივი ხელოსნობის მრავალ დარგს. მაგალითად, თუ ხელოსანთა რაოდენობას 1825 წელს, შევადარებთ 1835 წლის მონაცემებს, დავინახავთ, რომ ამ ხნის განმავლობაში თუმცა ხელოსანთა რაოდენობა თბილისში საერთოდ იზრდება, მთელ რიგ დარგებში, იგი მნიშვნელოვნად შემცირებულია; მაგალითად, 1815 წელს თბილისში 207 ბამბეულის მქსოველი ხელოსანია აღნიშნული, 1835 წელს კი მხოლოდ 45; აბრეშუმის ამომხვევი 1825 წ. — 64, 1835 წ. —12; მექუდე 1825 წ. — 79, 1835 წ. — 37; ხმლის მკეთებლები 1825 წ. — 32, 1835 წ. — 12; მეუნაგირე 1825 წ. — 48, 1835 წ.— 27 და ა. შ.[23].

ხელოსნების რაოდენობრივი შემცირება ორი მიზეზით იყო გაპირობებული: ერთი მხრით, შემოზიდული საქონლის კონკურენცია ხელოსნებს საშუალებას არ აძლევდა ნაწარმი შესაფერისი მოგებით გაეყიდათ და ამდენად, აუარესებდა მათ ეკონომიურ მდგომარეობას, მეორე მხრით, კი რუსული და უცხოური საქონლით ვაჭრობა მათ გაცილებით დიდ და ადვილ მოგებას ჰპირდებოდა და ხელოსანთა შედარებით შეძლებული ნაწილი თავს ანებებდა თავის ძველ საქმიანობას და მთლიანად ვაჭრობაში ებმებოდა.

---

23 1825 წლის ცნობები აღებული გვაქვს ზემოთ დასახელებულ საარქივო მასალიდან. იხ.ЦГВИА, ВУА ს. 18481, ფ. 5; 1835 წლის ცნობები საქართველოს ცენტრ. არქივის ფონდიდან № 16, საქმე 5255.

ბარონი როზენი აღნიშნავდა, რომ--„Благодетельная цель льготной торговли в Закавказском Крае получила желающий ход: в Грузии быстро возрасталась торговля, мгновенно образовались капиталы, явились коммерческие здания и движение коммерции оживилось до того, что самые бедные ремесленники, едва достававшие дневное пропитание, обратившись в торговые обороты, составили в короткое время капиталы»[24].

გასაგებია, ყოფილ ხელოსნებს პირველ ხანებში იმის საშუალება არ ექნებოდათ, რომ საქონელი საზღვარგარეთიდან ან რუსეთიდან შემოეტანათ, მაგრამ უკვე შემოზიდული საქონლის ადგილზე რეალიზაციის საქმეში კი, როგორც ჩანს, საკმაოდ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ; ეს კიდევ უფრო ადვილი გასაგები იქნება, თუ მოვიგონებთ, რომ შეღავათიანი ტრანზიტის ხანებში უცხოელებს საქართველოში ცალობით ვაჭრობა აკრძალული ჰქონდათ და მხოლოდ ბითუმად ვაჭრობა შეეძლოთ ეწარმოებიათ. და აი ადგილობრივი მოქალაქეების უფრო მოხერხებულმა ნაწილმა ტრანზიტის პირობებში მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი მოქმედების ასპარეზი. იუსტიციის სამინისტროს მოსაზრებებში სენატორების რევიზიის თაობაზე შეღავათიანი ტრანზიტის შედეგების შესახებ, სხვათა შორის ვკითხულობთ, რომ «Мокалаки не только не беднеют, но капиталы их значительно более возросли, и не одни купцы, но даже мелочные промышленники обоготили себя»[25].

ალბათ ამ დროს ჩაუყარეს საფუძველი თავიანთ კაპიტალს მეწვრილმანე ბეჟან ბასტამოვმა, მექურქეებმა: ჩითახოვმა, თომა და ფარსადან ნაზარბეგოვებმა და სხვ.; მეტყავეებმა ავეტიკ თამამშევმა და ივანე იზმიროვმა, მეჩექმეებმა არტემ და ავეტიკ ხარაზოვებმა; მკერავებმა, სტეფანე ამიროვმა და მოსე მელიქოვმა[26] და მრავალმა სხვამ, რომლებიც შემდეგში ცნობილი დიდვაჭრები, მევაჭრეები, მოიჯარადრეები და მრეწველები გახდნენ. მაგრამ ასეთები მხოლოდ ერთეულები იყვნენ, ხელოსანთა ძირითადი მასა კი შექმნილ ვითარებაში სულ უფრო და უფრო ღატაკდებოდა. თუ რა ყოველმხრივი იყო ადგილობრივი ხელოსნების შევიწროება

---

24 ცსიალ, ფ. 19, აღ. 3, 1831-36 წწ., საქმე 103, ფ. 21.

25 ცსიალ, ფ. 1149, ტ. II, საქმე 27, ფ. 13.

26 ხელნაწ. ინსტიტუტი, Ros d, 268, ფ. 1.

შემოტანილი საქონლის კონკურენციით, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი გავლენა ვერც ოქრომჭედლებს აუცდენიათ. მათი მდგომარეობა იმით არის სამაგალითო, რომ ოქრომჭედლობა ერთ-ერთი ყველაზე უკეთ განვითარებული დარგი იყო თბილისში; მათი ამქარი ერთ-ერთი უმდიდრესი და გავლენიანი იყო: თვითონ ხელოსნებიც სხვაზე მაღლა აყენებდნენ თავიანთ ხელობას და ამაყობდნენ მით. მართალია, შეღავათიანი ტრანზიტის დროს ოქრო-ვერცხლის ნივთები საზღვარგარეთულ საქონელში ერთ-ერთ უკანასკნელ ადგილზე უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ სამაგიეროდ ისინი რუსეთიდან შემოდიოდნენ. მეორეს მხრივ, ადგილობრივ ოქრომჭედლებს მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდნენ მოსული რუსი და უცხოელი ხელოსნები[27].

აქიტომ 1835 წელს თბილისელი ოქრომჭედლები მწარედ ჩივიან თავიანთი მდგომარეობის მკვეთრ გაუარესებაზე: «Причиной упадка нашей промышленности, — აღნიშნავდნენ ისინი — — есть привоз из России серебряных изделий в значительном количестве и в превосходном против работ наших качестве. От сего мы обратились в особенности те изделия медные и производим работы серебряные по случайным только заказам, запасу же серебра, если бы позволили нам достаток в деньгах, которого не имеем, мы не могли бы делать, опасаясь, что требования на изделия сии, со дня на день уменьшаясь, наконец почти вовсе прекратятся. Неся по званию серебряных дел мастеров различные денежные подати, при упадке промышленности нашей, мы доведены до крайнего положения, и только привычка к работам нашим и то что мы не приспособили себя к занятиям другого рода, удерживает нас отказаться от работ серебряных изделий»[28]. აი რა მდგომარეობაში ჩავარდნენ ამაყი ოქრომჭედლები, რომლებიც თავის დარგს ხელობათა ხელობას უწოდებდნენ.

---

27 რუსეთიდან შემოტანილი საქონელი ძირითადად იყო: ლილა, მაუდი, ოქროსა და ვერცხლის ფარჩა, ოქროსა და ვერცხლის ძაფები, ბუზმენტი. ეპოლეტები და სხვ., ფართლეული, ოქრო-ვერცხლის ნაკეთობები, ტყავი, რკინის ნაკეთობანი, თითბერის თუნუქი, სპილენძი, კალა. ნიშადური, შაქარი, ჩაი, მინის ჭურჭელი და სხვა. (ხელნაწ. ინსტიტუტი ფ, Ros d i10).

28 სცსია ფ. 2, აღ. 1, საქმე 3864, ფ. 12—13.

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც ადგილობრივი ხელოსნები მთავრობის პოლიტიკას დაუპირისპირა, იყო რუსი, ებრაელი და უცხოელი ხელოსნების მოღვაწეობის წახალისება და გავრცელება თბილისში.

რუსეთთან შეერთებამ ბევრი რამ შეცვალა თბილისის ამ ტიპიური აღმოსავლური ქალაქის ცხოვრებაში. თბილისი ამიერკავკასიის ცენტრი იყო და იგი თანდათან ივსებოდა რუსი სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებით და ჯარის ნაწილებით, ოფიცრებით, რუსი და უცხოელი მოგზაურებით, ვაჭრებითა და ყოველგვარი ჯურის ავანტურისტებით. ჯარს და რუსეს მოხელეობას ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და ათასგვარი წვრილმანი სახელოსნო ნაწარმი სჭირდებოდა. ევროპული გემოვნება თანდათან იჭრებოდა თბილისის მაღალ საზოგადოებაში. თბილისი მოდას აყოლილი ქალაქი იყო, მაღალ წოდებას საშუალო ბაძავდა... და თბილისის მოსახლეობაში თანდათან ძლიერდებოდა მოთხოვნილება ევროპული ყაიდის ნაწარმზე. ქალაქს აზიური ხელოსნობა ვეღარ აკმაყოფილებდა, მას ევროპული ყაიდის ხელოსნები ესაჭიროებოდა: „Изменяющийся в год от году образ жизни туземцев от сближения с русскими и принятия европейского общежития, порождая новые привычки и прихоти, не удовлетворяются уже местными грубыми изделиями, требуя более совершенных, и в этом отношении Закавказский край еще ничего не производит получая нужные товары из внутри России или из-за границы»[29].

მაგრამ რუსეთიდან და საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონელი ყველას ვერ დააკმაყოფილებდა და ეს ნაკლებობა ყველაზე ადრე რუსის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებმა და ჯარის ნაწილებმა იგრძნეს. ამიტომ რუსეთის ხელისუფლება იმთავითვე ცდილობდა ყოველგვარი საშუალებით მოეზიდა თბილისში რუსი და უცხოელი ხელოსნები, ათასგვარი შეღავათებით ახალისებდა და მათი რაოდენობა თბილისში თანდათანობით საგრძნობლად იზრდებოდა; მაგრამ იგი საკმარისი მაინც არ იყო და მთავრობა ახალ-ახალ ღონისძიებებს ეძებდა აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად. საქმე იქამდისაც კი მისულა, რომ 20-იანი წლების ბოლოს საქართველოს განმგებელს ფინანსთა მი-

---

29 Акты собранные Кавказской археографической комиссией, т. IX, стр. 604, № 520. შემდეგში სიმოკლისათვის მოვიხსენიებთ „აქტები“.

ნისტრისათვის უთხოვია: დაგვეხმარეთ, რომ საქართველოში სასჯელის სახით გადმოასახლონ დამნაშავე ხელოსნებიო[29ა]. ეს პროექტი არ განხორციელდა, რადგან შიში გამოთქვეს, რომ დამნაშავეებს სპეციალური თვალყურის დევნება დასჭირდებათ და ეს საქმეს გაართულებსო, მაგრამ თვით ფაქტი ასეთი აზრის არსებობისა, მდგომარეობის სიმწვავეზე მიუთითებს.

ევროპული ხელოსნობის გავრცელების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება სხვადასხვა გეგმებს აყენებდა ადგილზე სახელოსნო სასწავლებლის დაარსებისა თუ ადგილობრივი ყმაწვილების ხელობის შესასწავლად რუსეთში გაგზავნის შესახებ[30], მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ საქმეში რუსეთის ცენტრალური გუბერნიებიდან საქართველოში სხვადასხვა დარგის ოსტატების მოზიდვას უნდა ეთამაშა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ევროპული ყაიდის ხელოსანთაგან თბილისს ეწვივნენ, ებრაელები იყვნენ.

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებიდან და საზღვარგარეთიდანაც კი მრავალმა ებრაელმა იწყო დენა ამიერკავკასიისაკენ. 20-იანი წლების ბოლოს ებრაელი ხელოსნები თბილისში საკმაოდ მომრავლებულან. მათი უმეტესობა მკერავები, მექუდეები, მეჩექმეები, ოქრომჭედლები და სხვ. იყვნენ. მათი ნაწარმი დიდი მოთხოვნილებით სარგებლობდა სამოქალაქო მოხელეებსა და საპხედრო ჩინებში[31]. ამის გამო, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ მიეკუთვნებოდა რუსეთის იმ გუბერნიათა რიცხვს, რომლებშიც ებრაელებს ნება დართული ჰქონდათ ცხოვრებისა, ადგილობრივი ხელისუფლება ამას ყურადღებას არ აქცევდა და რიგ შეღავათებსაც აძლევდა ებრაელ ხელოსნებს.

1827 წელს ებრაელთა კომიტეტმა გამოსცა ბრძანება, რომლის ძალითაც რეკრუტის შეკრებასთან დაკავშირებით, ებრაელები. იმ გუბერნიებიდანაც კი, სადაც მათი დროებით ცხოვრება დაშვებული იყო, დაუყოვნებლივ თავიანთი მუდმივი ცხოვრების ადგილებში უნდა დაბრუნებულიყვნენ[32].

ადგილობრივი ხელისუფლება ამან მეტად შეაწუხა და 1827

29ა ცსიალ, ფ. 19, აღ. 3, ს. 103, ფ. 337.

30 ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება XIX—XX სს. ტ. V, გვ. 145.

31 სცსია, ფ. 2. აღ. 1, საქმე 2051, ფ. 47.

32 ი ქ ვ ე, ფ. 27.

წლის 8 დეკემბერს თბილისის სამხედრო გუბერნატორს, გენერალ ადიუტანტ სიპიაგინს, უმაღლეს მთავრობაში, გამონაკლისის სახით, ხელოსანი ებრაელების თბილისში დატოვების ნებართვის მიცემის შესახებ უშუამდგომლია. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ეს შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა[33]. ამრიგად 1828 წლისათვის, ადგილობრივი ხელისუფლების სურვილის საწინააღმდეგოდ, ებრაელები თბილისიდან გაასახლეს.

ებრაელების გასახლებამ ძალიან გაართულა ევროპული ტანსაცმლით სამოქალაქო მოხელეებისა და განსაკუთრებით ოფიცრების უზრუნველყოფის საქმე: «До некоторого времени находясь в Тифлисе по торговым делам, я довольно мог заметить, сколько здешние чиновники, особенно г. г. офицеры, по неимению не только хороших, но даже и обыкновенных портных мастеров затрудняются в обмундировке своей для самых необходимых вещей и платят за работу здешним мастерам столь дорогую цену, что она почти равняется материалам целого платья». სწერდა ებრაელი ვაჭარი დავით ანტელი პასკევიჩს და თან წინადადებას აძლევდა: «Имея по жительству своему в городах Одессе и Таганроге товарищей из евреийского сословия, которые искусные портные мастера и выделывают золотые и серебрянные военные вещи, могут, переселясь в Тифлис, быть полезными здешнему корпусу и гражданским чиновникам и значительно понизить нынешние цены за шитье платья здешними чиновниками столь тягостно платимые...»[34].

აღნიშნული ვაჭარი თბილისში ხელოსნების გამოწერის ნებართვას ითხოვდა. საბუთიდან არ ჩანს, მისცეს თუ არა მას ამის ნებართვა; ალბათ არ მისცეს, რადგან ადგილობრივი ხელისუფლება ერიდებოდა ოფიციალურად ებრაელი ხელოსნების მფარველობას, მაგრამ ამ პერიოდიდან, თანდათან თბილისში ისევ იწყეს ხელოსნებმა დაბრუნება და, თუმცა კანონით მათ ამის უფლება არ ჰქონდათ, ადგილობრივი უფროსობა მათ არავითარ წინააღმდეგობას არ უწევდა. ამრიგად 1830-31 წლისათვის თბილისში ებრაელი ხელოსნები საკმაოდ მომრავლებულან.

---

33 სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქმე 2051, ტ. 26.

34 იქვე, ფ. 27.

ამ დროისათვის ადგილობრივ მკერავ ხელოსანთა საზოგადოება თბილისში საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო. იგი 100 კაცს (ოსტატს) აღემატებოდა. მკერავებს ორი ამქარი უნდა ჰყოლოდათ, რადგან მათ თხოვნებზე, როგორც წესი, ორი უსტაბაში აწერს ხელს — შიო ილურიძე და იაგორ მანთაშოვი. მკერაობა საკმაოდ შემოსავლიანი ხელობა იყო. «В Тифлисе многие имеют промысль от портничного мастерства, некоторые из них работают только по заказу, а другие заготовляют разные для мужчин и женщин одежду, как-то: чохи, шаровары и подкафтанники, для продажи простолюдинам»[35]. აღნიშნავდა ერთი თანამედროვე. ახალმა პირობებმა მათ ხელობას მეტად შეუმცირა გასავალი. ისინი თუმცა ცდილობდნენ ევროპული ტანსაცმლის კერვას დაუფლებოდნენ და კიდეც ახერხებდნენ ამას, მაგრამ მათი ნაწარმი ვერც სილამაზითა და ვერც სიიაფით ახლოს ვერ მივიდოდა ებრაელ ოსტატთა ნახელავთან, რომლებიც არა მარტო რუსეთში, არამედ ევროპაშიაც ამ ხელობის საუკეთესო წარმომადგენლებად ითვლებოდნენ. წარმოების ახლებურად დაყენებით კი ებრაელებმა ხელში ჩაიგდეს მთელი სახაზინო დაკვეთები, მუშტარს ართმევდნენ ადგილობრივ ხელოსნებს და უკეთეს პირობებს უქმნიდნენ რა მუშებსა და მოწაფეებს, თავისკენ იბირებდნენ მათ.

ასეთ პირობებში თბილისელმა თერძებმა ებრაელების სახით მეტად საშიში მტერი დაინახეს, რომელიც მათ ლუკმა-პურს აცლიდა და საბოლოო განადგურებით ემუქრებოდა და დაიწყეს ბრძოლა საშიში კონკურენტის ჩამოსაცილებლად. თბილისელი ხელოსნები, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ რუსეთის კანონმდებლობას. მათ იცოდნენ, რომ კანონით ებრაელ ხელოსნებს არა აქვთ საქართველოში ცხოვრების უფლება და ამით ისარგებლეს.

1830 წელს თბილისელ თერძებს საჩივარი შეუტანიათ — ებრაელები თბილისში უკანონო ცხოვრებას ეწევიან და გაასახლეთო. მათი თხოვნა უყურადღებოდ დატოვეს და 1831 წლის 18 ნოემბერს თბილისელმა თერძებმა ახალი უქვეშევრდომილესი თხოვნით მიმართეს ბარონ როზენს (თხოვნას ხელს აწერენ არა მარტო ქართველი და სომეხი ხელოსნები, არამედ რუსებიც). თხოვნაში აღნიშნული იყო, რომ ებრაელები კანონის საწინააღმდეგოდ ად-

---

35 სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქმე 2054, ფ. 26.

რეც ცხოვრობდნენ თბილისში და სამართლიანად გაასახლეს აქედან, ეხლა კი ისევ მოგვეძალნენ და ხელს გვიშლიან ჩვენი ხელობა ვაწარმოოთ; როგორც ვიცით, კანონით მათ აქ ცხოვრების უფლება არ აქვთ. ჩვენ კი მათი აქ ყოფნა არ გვინდა. მით უმეტეს რომ ჩვენ შეგვიძლია სრულად დავაკმაყოფილოთ ევროპული ტანსაცმლით არამც თუ თბილისის მცხოვრებთა მოთხოვნილება, არამედ სხვა ქალაქებიდანაც კი მივიღოთ შეკვეთებიო. ჩვენ იძულებული ვიყავით მიგვემართა ქალაქის პოლიციისათვის მათ გასახლებაზე, რათა მათი გამოისობით ჩვენ ლუკმა-პური და საჯელმწიფო გადასახადების გადახდის საშუალება არ დაგვეკარგა. მაგრამ პოლიციამ ზომები არ მიიღო. ამიტომ იძულებული გავხდით თქვენთვის მოგვემართა აღნიშნული თხოვნითო[36]. როზენი თვითონ დიდი მომხრე იყო ებრაელი ხელოსნების თბილისში ჩამოსახლებისა და გამრავლებისა. იგი თვითონ მოითხოვდა კანონის შეცვლას. რომელიც ებრაელებს თბილისში ცხოვრებას უკრძალავდა[37]. ამიტომ, ბუნებრივია, თბილისელი თერძების თხოვნა მან არ დააკმაყოფილა. მომჩივრებს აცნობეს, რომ მართალია კანონით ებრაელების თბილისში ყოფნა დაშვებული არ არის, მაგრამ «по уважению недостатка в Тифлисе портных, знающих русскую и немецкую работу, равно и впредь прибывающим сюда евреям, производящим разное мастерство, когда признается правительством, какое из них нужное и полезное, дозволить пребывание как в самом Тифлисе, так и в прочих уездах, но не иначе, как на основании изложенных... правил»[38].

მკერავი ებრაელების რიცხვი თბილისში არ იყო იმდენად დიდი, რომ მათ ასეთი დიდი შევიწროება მიეყენებიათ თერძების მრავალრიცხოვანი საზოგადოებისათვის. მაგრამ ეს იყო თვისობრივად ახალი წარმოება არა მარტო ნაწარმის ხარისხის, არამედ თვით წარმოების ორგანიზაციის მხრივაც.

ებრაელი მკერავის რაოდენობა არ განსაზღვრავდა მათი წარმოების გაქანებასა და მასშტაბს, რადგან ისინი ფართოდ ქირაობდნენ ადგილობრივ ხელოსნებს, ჩუშებს, აყავდათ მოწაფეები. თუ რა ფართოდ გაუშლიათ მათ თავიანთი საქმიანობა, ამაზე ნათლად

---

36 სცსია, ფ. 26, აღ. 1, საქმე 5682, ფ. 3—4.

37 იქვე, ფ. 2. აღ. 1, საქ. 2051, ფ. 48.

38 იქვე, ფ. 43.

მეტყველებს სოლომონ სალმანის, მოისეი კრინსკის და ბოისეი მოგილევსკის მაგალითი. ამათგან პირველ ორს (სალმანს და კრინსკის) ერთი სახელოსნო ჰქონდათ, მოისეი მოგილევსკის ცალკე. პირველ სახელოსნოში 30 მარტო ქრისტიანი მუშა მუშაობდა, ეორეში 15[39]. მოსალოდნელია, რომ გარდა ქრისტიანებისა, მათ კიდევ ეყოლებოდათ ებრაელი და სხვა ეროვნების მუშები და ხელოსნები. მაშასადამე ამ ორ წარმოებაში დასაქმებულ ხელოსან მუშათა რიცხვი გაცილებით მეტი იქნებოდა. მათ წარმოება საკმაოდ ფართო შენობაში ჰქონდათ მოწყობილი, რომელიც სამუშაო და საცხოვრებელ ადგილებად იყო დაყოფილი (მუშები იქ არა მარტო მუშაობდნენ, არამედ ცხოვრობდნენ კიდეც). შენობები აბრებით იყო გაფორმებული[40].

როგორც ჩანს მათ სპეციალური აგენტები ჰყავდათ გამოყოფილი, რომლებიც სახლებში დადიოდნენ და შეკვეთებს იღებდნენ. მუშებს ისინი ეტყობა უკეთეს პირობებს უქმნიდნენ, რადგან უკანასკნელნი სიამოვნებით ტოვებდნენ თავიანთ ძველ ოსტატებს და მათთან გადადიოდნენ სამუშაოდ: «Мастера христианского вероисповедания как только приучат учеников к искусству своему, евреи тотчас же перетягивают таковых учеников к себе и сим лишают мастеров всякой возможности удержать у себя учеников, приспособленных к работе»[41]. —ჩიოდნენ ადგილობრივი თერძები.

აღნიშნული სახელოსნოები ძირითადად სამხედრო შეკვეთებზე მუშაობდნენ (თუმცა, როგორც აღვნიშნე, ისინი ფართოდ იღებდნენ კერძო შეკვეთებსაც)[42].

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები იმის განსასაზღვრავად, თუ რამდენად შორს იყო წასული შრომის დანაწილება აღნიშნულ საწარმოებში, მაგრამ რაღაც ზომით რომ ასეთი დანაწილება უნდა

---

39 საქ. ცსია, ფ. 2. აღ. 1. საქ. 4458. ფ. 17.

40 სცსია, ფ. 26, აღ. 1, საქმე 5682, ფ. 36.

41 სცსია. ფ. 2. აღ. 1. საქმე 4458, ფ. 17.

ეს ცნობა ყურადღებას იმითაც იქცევს. რომ დაქირავებული მუშაობის ფართო გავრცელებაზე მიუთითებს. სახელდობრ თუ რა შორსაა წასული დაქირავებული შრომის გამოყენება; ხოლო სამუშაო ძალის გაყიდვის პრაქტიკა იმდენად განვითარებული ყოფილა და ცხოვრების პირობები იმდენად ცუდი, რომ მუშისთვის აზრი დაუკარგია ვის დაექირავება — ქრისტიანს, ებრაელს, თუ თათარს. მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. ვისთან იცხოვრებს.

42 სცსია ფ. 2, აღ. 1, საქმე 4458, ფ. 17, ფ. 2, აღ. 1, საქმე 4925, ფ. 58.

ყოფილიყო, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ხელოსნების დიდი ნაწილი ახალბედა, გამოუცდელი ადგილობრივი ხელოსნები იყვნენ, რომელთაც ყველა ოპერაციის მაღალხარისხოვნად შესრულება, ცხადია, არ შეეძლოთ. შრომის განაწილების გარეშე ისინი ვერაფრით ვერ შეძლებდნენ ასეთი ფართო სამუშაოების მაღალხარისხოვნად შესრულებას. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს მანუფაქტურის ტიპის საკმაოდ განვითარებულ კაპიტალისტურ სახელოსნოებთან, სადაც შრომის ნაყოფიერება და ხარისხი გაცილებით მაღალი იქნებოდა ამქრულ ხელოსნებთან შედარებით და ამიტომ გასაგებია, რომ კონკურენციაში ისინი ყოველთვის ჯობნიდნენ ადგილობრივ ხელოსნებს.

ხოლო, აქედან გამომდინარე, ამქრული მკერავი ხელოსნების ბრძოლა ებრაელი ხელოსნების წინააღმდეგ, ჩვენ უნდა განვიხილოთ არა უბრალოდ როგორც ბრძოლა ქრისტიან და ებრაელ ხელოსნებს შორის, ან აზიურ და ევროპულ ხელოსნობას შორის, არამედ როგორც ბრძოლა ძველი, დრომოჭმული ფეოდალური ამქრული ხელოსნობისა ახალი წყობის ჩანასახებთან, რომელშიაც უკანასკნელის გამარჯვება კანონზომიერი და ისტორიულად გამართლებული იყო.

ამქარს ბრძოლა არ შეუწყვეტია, 1836 წელს იგი უკვე იმპერატორს უგზავნის თხოვნას, სადაც აწერილია თუ როგორ ავიწროებენ ებრაელები მას, რომ ისინი კანონის საწინააღმდეგოდ ექსპლოატაციას უწევენ ქრისტიან მუშებს. რომ მათ გამო ქრისტიანი ხელოსნები გაჩანაგდნენ და სახელმწიფო გადასახადს ვეღარ გადაიხდიან და სხვ.[43]. არც ამან გამოიღო შედეგი: სენატმა მათი თხოვნის დაკმაყოფილება მიზანშეწონილად არ სცნო და ჯარიმაც კი გადააჭიდევინეს იმისთვის, რომ თხოვნა ღერბიან ქაღალდზე არ იყო დაწერილი[44].

რაკი კანონიერი გზით ვერაფერს გახდა, ამქარს ებრაელების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაც უცდია. სახელდობრ რაში გამოიხატა ეს, არ ვიცით, მაგრამ ფაქტია, რომ ამის თაობაზე თერძების ორივე უსტაბაში 1836 წლის აგვისტოში ციხეში ჩასვეს. როგორც ჩანს, თავისი დანაშაული მათ კარგად ჰქონიათ შეგნებუ-

43 სცსია, ფ. 26, აღ. 1, საქმე 5682, ფ. 35—38.

44 იქვე, ფ. 47.

ლი, რადგან წერენ: „ამ თვის 24 რიცხვში თბილისის პოლიცმეისტერმა ინება ჩვენთვის შოკლევადიანი პატიმრობა მიესაჯა, რაზეც ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ"... ოღონდ ჩვენ რომ ციხეში ვიჯექით, ფანჯრიდან ებრაელები გვაბრაზებდნენ, უწმაწურ სიტყვებს გვეძახდნენ და შეურაცხყოფისათვის მათ დასჯას ვითხოვთო...[45] მათ დასამშვიდებლად უბრალო საყვედურიც არ უთხრეს ებრაელებს. ამქარს კი უპასუხეს, ასეთი საჩივრით სასამართლოს უნდა მიმართოთო.

ასე დამარცხდნენ თბილისელი თერძი ხელოსნები ებრაელებთან ბრძოლაში. ჩვენ არ გვაქვს ცნობები თუ ამ ბრძოლაში რა მონაწილეობას იღებდნენ სხვა ამქრები, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ როგორც ჩვეულებრივ ხდებოდა, ისინი ყოველ მხრივ ეხმარებოდნენ თავიანთ თანამოძმეებს, მაგრამ უშედეგოდ. კავკასიაში მაგრად ფეხმოკიდებული ცარიზმის ადგილობრივი ხელისუფლება თბილისში თავის პოლიტიკას ატარებდა და რა გასაკვირია, რომ იგი აინუნშიც არ ჩააგდებდა მშრომელი მოსახლეობის გაჭირვებასა და სურვილებს.

რაც შეეხება ებრაელებს, ისინი 1839 წლიდან ბრძოლას იწყებენ, რათა საქართველოში მუდმივად ცხოვრების უფლება მიიღონ. ეს საქმე ცოტა გაჭიანურდა, მაგრამ 50 წლებში ვორონცოვის ჩარევით ესეც თითქმის ებრაელთა სასარგებლოდ გადაწყდა.

თბილისელ ხელოსნებს გარკვეულ კონკურენციას თბილისის გერმანელთა კოლონიაში მცხოვრები ხელოსნებიც უწევდნენ. ისინი ბევრნი არ იყვნენ: 5 მეჩექმე, 3 მკერავი, 3 მჭედელი. მაგრამ მკერავები და მეჩექმეები, როგორც ევროპული ხელობის სპეციალისტები, ქვეოსტატებისა და მოწაფეების ექსპლოატაციით საკმაოდ ფართო სამუშაოებს ასრულებდნენ; მაგალითად, მკერავ გუბლერს ქალაქის მცხოვრებლებისაგან მნიშვნელოვან შეკვეთებთან ერთად იჯარით ჰქონდა აღებული თბილისის გიმნაზიისათვის ტანსაცმლის შეკერვა, საიდანაც დიდ შემოსავალს იღებდა[46]; ხოლო კოლონისტი მაიერი საკმაოდ ფართო სახელოსნოს მფლობელი იყო, ექსპლოატაციას უწევდა შეგირდებსა და ქვეოსტატებს და ქალაქში საუკეთესო მეჩექმედ და მეტად შეძლებულ კაცად ითვლებოდა[47].

---

45 სცსია, ფ. 26, აღ. 1, საქმე 5682, ფ. 55.

46 სცსია, ფ. 16, საქმე, 4883, გვ. 4.

47 ი ქ ვ ე.

1832 წლიდან თბილისელი თერძები კატეგორიულად თხოვენ კოლონისტებს ან ქალაქიდან შეკვეთებს ნუ აიღებთ, ანდა შესაბამისი გადასახადები გადაიხადეთო. თავის მხრივ როგორც მკერავი, ისე მეჩექმე კოლონისტები, ყოველნაირად ცდილობდნენ თავი აერიდებიათ გადასახადებისათვის. ისინი განგებ არ ამხელდნენ ხელოსანთა რაოდენობას და გადასახადების გამწერ მოქალაქეებს მთელი რიგი ეშმაკობისათვის მიმართვა სჭირდებოდათ, რათა დაეზუსტებიათ თუ რამდენი ხელოსანი მუშაობდა გერმანელთა კოლონიაში[48].

თავის მხრივ არც მოქალაქეები რჩებოდნენ ვალში და, გამოხატავდნენ რა თბილისის ამქრული ხელოსნების ინტერესებს, გაზრდილი, მძიმე გადასახადებით ავიწროებდნენ ხელოსან კოლონისტებს; რაზედაც ამ უკანასკნელთ საჩივარი შეუტანიათ და კიდევაც მიუღწევიათ იმისთვის, რომ აღნიშნული გადასახადები გადასინჯული და შემცირებული ყოფილიყო[49].

ასეთი დამოკიდებულება შეიქმნა ადგილობრივ და უცხოელ ხელოსნებს შორის მე-19 საუკუნის 30-იან წლებში. ხოლო ადგილობრივი მთავრობა გამოდიოდა რა რუსის ჩინოვნიკებისა და სამხედრო მოხელეების ინტერესებიდან, მოსული ხელოსნების მხარეს იჭერდა და ყოველმხრივ ცდილობდა გაეძლიერებია ისინი ამქრული ხელოსნობის ძლიერების შემცირების ხარჯზე.

რუსი და უცხოელი ხელოსნების საქართველოში მოზიდვის პოლიტიკა, რომელიც გასული საუკუნის დასაწყისში ჩაისახა 30-იანი წლებიდან უკვე ჩამოყალიბებულ სახეს იღებს. ამ მხრივ ჯერ კიდევ პასკევიჩის მთავარმართებლობის პერიოდში დგებოდა ვრცელი პროექტები, მაგრამ ეს პროექტები მაშინ ვერ განხორციელდნენ, რადგან მათ მთელი რიგი წინააღმდეგობები გადაეღობა; მთავარი კი ის იყო, რომ რუს გლეხს, თუ ხელოსანს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა კავკასიაზე, სიშორეზე, კლიმატზე და ასე ადვილად ვერ ბედავდა აქეთ გამომგზავრებას. ეტყობა მთავრობას ამ შიშის გაფანტვაც უცდია და ამ ცდამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ცნობილ შრომაში: «Обозрение Российских владений за Кавказом».... რომლის ავტორი რუს ახალმოსახლეებს საქართველოში ფუფუნებით ცხოვრებას ჰპირდებოდა.

---

48 სცსია. ფ. 16, საქმე, 4883, ფ. 19.

49 იქვე. ფ. 17. 31.

«Отдаленность от России и трудность сообщений, при распространенном ошибочном мнении в отечестве нашем о качестве климата в Грузии, доселе удерживает русских работников от поездки в Тифлис, где могли бы они извлекать большие выгоды от своих трудов, легкость с какою вырабатывают там деньги, доставляет ремесленникам все средства привольной, даже роскошной, относительно их состояния жизни»[50]. სხვა ადგილას იგივე წყარო მიუთითებს, რომ «Никакая отрасль Тифлисской промышленности не доведена до степени совершенства».

Не взирая на это, каждое ремесло производится с большою выгодою, ибо ничто столь дорого там не ценится, как труд»[51].

მიუხედავად ადგილობრივი ამქრული ხელოსნების დიდი უკმაყოფილებისა ადგილობრივმა მთავრობამ 1843 წელს მოსული ხელოსნების მოსაწყობად სპეციალური კომიტეტი დააარსა[52]. «Комитет попечительства для заведывания прибывающими в Тифлисе ремесленниками», რომელსაც სათავეში თბილისის სამეფოთა უფროსი, ინჟინერ პოლკოვნიკი სონინი ჩაუყენა, ხოლო თავდაპირველ სარეზერვო კაპიტალად 2000 მანეთი გამოუყო[53].

ყოველივე ამის შედეგად თბილისისკენ წამომსვლელ უცხოელ და რუს ხელოსანთა რაოდენობა თანდათან მნიშვნელოვნად გაიზარდა. საქართველოს მთავარმმართებლის უკვე 1843 წლის ანგარიშში ვკითხულობთ: «Заметив крупный недостаток по городам Закавказского края мастеровых и ремесленников, главное управление входило в сношение с петербургскими и московскими генерал-губернаторами о приглашении для сего из столиц на 1-й раз в Тифлис благонадежных людей, а об оказании им вспомоществования отнеслась в министерство внутренних дел. Часть из сих ремесленников и мастеровых уже прибыли, на местах оказаны всевозможные пособия и они занимаются теперь своими мастерствами»[54].

---

50 დასახ. ნამრომი, ნაწ. 1, გვ. 237.

51 იქვე, გვ. 234.

52 ბ. გუგუშვილი, მონოგრაფიები, ტ. V, გვ. 146.

53 „აქტები", ტ. IX, გვ. 59, № 514.

54 იქვე, ტ. IX, გვ. 604, № 520.

1844 წლისათვის ამიერკავკასიის საქმეთა კომიტეტის წარდგინებით იმპერატორმა მთავარმართებელს დაავალა მიეღო ზომები იმპერიის სხვადასხვა ადგილებიდან თბილისში აუცილებლად საჭირო ხელოსნების მოსაზიდავად[55].

იმავე 1844 წელს საქართველოს ადგილობრივი მთავრობა შეკვეთას გზავნის ორივე დედაქალაქში, რომ თბილისში ყველაზე მეტად საჭირო 20-მდე დარგის 40-ზე მეტი ხელოსანი გამოგზავნონ.

ევროპული ხელოსნობის მოზიდვის საქმეს დიდ ყურადღებას უთმობდა მეფისნაცვალი მ. ს. ვორონცოვი. მაგრამ სხვა დაბრკოლებებთან ერთად, საქმის წარმატებით დაგვირგვინებას ისიც უშლიდა ხელს, რომ რუს ოსტატებს თბილისში სალდათ ხელოსანთა საკმაოდ დიდი არმია დახვდათ; მათი კონკურენცია ახალი, ჯერ კიდევ ფეხმოუკიდებელი მწარმოებლებისათვის მეტად მძიმე იყო, ამაზე მიუთითებდნენ თავიანთ თხოვნაში რუსი დურგლები 1845 წლის აპრილში[56]. ჩანს მდგომარეობა საკმაოდ მწვავე ყოფილა. ამას სხვა მიზეზებიც დაემატა და ვორონცოვმა თბილისში სალდათი ხელოსნების საქმიანობა აკრძალა. მისი ბრძანებით მწყობრში დააბრუნეს 700-მდე ჯარისკაცი ხელოსანი. ვორონცოვის ეს ღონისძიება ორ მიზანს ისახავდა: ერთის მხრივ არბილებდა ამქრის უკმაყოფილებას, მეორეს მხრივ კი თბილისში გზას უხსნიდა რუს და უცხოელ მაღალკვალიფიცირებულ ოსტატებს[57].

ამგვარი ღონისძიების წყალობით თბილისში თანდათან ძლიერდებოდა ახალი, ევროპული ყაიდის ხელოსნობა. 1846 წლის თბილისის გუბერნატორის ანგარიშში აღნიშნულია, რომ თბილისში გამრავლდნენ კარგი ხელოსნები — ადგილობრივი, რუსი და უცხოელი (მესაათე, მეხელთათმანე, მეჩექმე, მეეპოლეტე და სხვ.), რომელთა მოქმედების არე შორს სცილდება მაზრის და გუბერნიის ფარგლებსო[58], მაგრამ თბილისისაკენ მომავალ ხელოსანთა ნაკადი არ წყდებოდა[59].

---

55 ი ქ ე ე, ტ. X, გვ. 625, № 528.

56 სცსია, ფ. 4, აღ. 5, საქმე 19.

57 „აქტები", ტ. X, გვ. 833.

58 სცსია, ფ. 4, აღ. 8 საქ. 129, გვ. 147.

59 В Тифлисе число промышленников с каждым годом возрастает. Кроме туземных ремесл... Тифлис смело может похвастаться количеством выделываемого на заказ товара по всем отраслям Русского и иностранного мастерства и производительной ремесленности, как это можно усмотреть из того, что в ней работают: часовые мастера, ма-

ადგილობრივი მთავრობა და მისი ოფიციოზი, მარტო ხელოსანთა მოზიდვაზე და მოწყობაზე კი არ ზრუნავდნენ, არამედ ფართო რეკლამასაც უკეთებდნენ მათ[60]. თუ ადგილობრივი ხელოსნები ტრადიციულად ძველ უბნებში, ხელოსნურ რიგებად ცხოვრობდნენ, სადაც ერთი დარგის ხელოსნებს ცალკე ქუჩა ეკავათ და ამდენად ერთ ადგილას იყვნენ კონცენტრირებულნი, მოსული ხელოსნები იკავებდნენ ძირითადად ქალაქის ახლად გაშენებულ ნაწილებს, რათა მომხმარებლისათვის გაეადვილებიათ მათი მიგნება. „Кавказский календарь"-ის ნომრებს დართული ჰქონდა რუსი და ევროპელი ხელოსნების საკმაოდ სრული სიები ადგილმდებარეობის ჩვენებით.

თბილისში მოდიოდნენ მეტად მრავალი დარგის ხელოსნები, ძირითადად კი ისეთი დარგებისა, რომლებიც აქ არ იყო გავრცელებული (მებუზმენტეები, მეკარეტეები, მეხელთათმანეები და სხვა), ან აზიური ყაიდის ხელოსნობა, განვითარებულ მოთხოვნილებებს ვეღარ აკმაყოფილებდა (მკერავები, მეჩექმეები, დურგლები და ა. შ.).

ჩვენ მიერ შედგენილ ცხრილიდან (იხ. ცხრილი 3) ჩანს თუ როგორ ეცემოდნენ თბილისის ხელოსნობის ადგილობრივი დარგები, ახალი, ევროპული ყაიდის ხელოსნური დარგების გამრავლე-

---

стера делающие медную посуду, каретники. Сапожники русского образца, перчаточница и гребеньщики, парикмахеры, модистки и эполетчики, бриллиантщики, ружейные мастера, золотых и серебряных дел мастера, делателей клинков для шашек и кинжалов, кинжальщики, шашники чистой отделки и проч... Большая часть из ремесленников отпуск изделий своих производит в одном Тифлисе, а некоторые, именно: каретники, эполетчики и модистки производят отпуск во все города губернии даже Шемахинскую, Дербентскую и Кутаисскую» გაზ. „კავკაზი", 1846 წ, №40.

60 იმდროინდელი ტრესის ფურცლებზე ხშირად ვხვდებით ამგვარ განცხადებას «Прибывший из Парижа Жорж Русель честь имеет известить почтеннейшую публику, что во вновь открытом им красильном заведении 1-й части во втором квартале города Тифлиса... производится перекрашивание всех вообще материй: шелковых, шерстяных, суконных, и бумажных, во все цвета по вновь принятым лучшим способам: Кроме того, в этом же заведении чистят и отделывают разные материи, например: шали, платки, жилеты, шарфы, скуртуки... и вообще все, что только касается до мужского и женского туалета»... «Ламповщик Виперт имеет честь известить почтеннейшую публику, что в магазине его можно найти всякого рода лампы..» და სხვ.

ხელოსანთა რაოდენობა ქ. თბილისში 1845—1865 წწ.

	1845 წ.	1848 წ.		1865 წ.		
		ოსტატი	საერთო-ოდენ რაოდენობა	ოსტატი	მეშვ.	მოწაფე
1	2	3	4	5	6	7
მეპურე	150	44	40	122		
მეფუნთუშე	1	—	37	14		
ყო ოდიტერი	—	1	1	10	8	8
ყასაბი	—	—	—	110		
მკერავი	62	231	121	168	—	176
მოდისტკა	—	—	—	15	22	20
მეკუდე	43	138	68	85	—	95
მეუჯრქე	—	36	16	—	—	—
მე პოლეტე	—	3	—	—	—	—
ლუხსაცმელის მკერავი	169	175	65	120	—	140
მეწყალე	—	74	42	59	—	62
ეჭსოველი	—	44	55	—	—	—
აბრეშუმის ამომხვევი	—	73	45	—	—	—
მჩითავი	—	9	10	—	—	—
ქსოველების მღებავი	15	30	25	43	—	50
ყაზაზი (მეყაითხე)	36	—	—	—	—	—
მენაბდე	11	15	7	2	—	—
მებაწრე	8	5	1	—	—	6
მუხელთამანე	—	—	—	—	—	94
მელუმელე	—	—	—	61	—	—
კალატოზი	182	181	72	312	400	353
დურგალი	55	156	39	43	—	58
ხარატი	11	—	—	—	—	—
ხურო	85	139	33	214	—	159
მღებავი	—	45	13	21	—	49
შპალერის გამკერელი	—	—	—	19	—	—
მეჩუქურთმე	—	93	35	—	—	—
მეაჯერე	110	26	10	—	—	—
თოკმჩი	294	27	14	25	30	29
მკედელი	39	112	70	159	80	200
ზეინკალი	8	—	—	—	—	—
მხურავი	—	—	—	13	—	—
მკალავი	46	30	10	44	—	59
მ მეარაყებელი	41	33	—	—	—	—
მენალე	—	15	20	—	—	—
ოქრომკედელი და ოუველ.	180	26	1	91	—	120
მებრილიანტე	—	4	4	—	—	—
მესაათე	—	4	1	21	—	45
მეთარაღე	82	66	32	38	—	49
მექოთნე	—	2	—	69	80	—
მეკეაბე	—	32	24	—	—	—

მე-3 ცხრილის გაგრძელება

1	2	3	4	5	6	7
მეტიკე	—	14	11	—	—	—
მეკარეტე	—	1	—	32	—	59
მეეტლე	—	1	—	352	—	—
მეტყავე	178	83	66	116	150	140
დალაქი	93	89	30	128	—	170
მექისე	—	24	—	—	—	—
მეწისქვილე	—	20	3	—	—	—
მელაბფე	—	9	3	9	—	—
მხატვარი	—	2	1	—	—	—
ამკიხძავი	—	3	—	12	—	—
მეპაპიროსე	—	1	1	70	—	—
ფორტეპიანოს ოსტატი	—	—	—	3	—	—
მესაპნე	—	48	31	8	—	—
თულუხჩი	—	13	—	—	—	—
მუშები	—	237	129	—	—	—
სხვადასხვა	197	102	38	—	—	—
ჯამი	2082	2609	1264	2642	770	2158
		3873		5570		

ბის გამო. მაგალითად: 1848-65 წლებში მეტიკეების რიცხვი 14-დან 0-მდე შემცირდა, ამავე დროს, როგორც სხვა ცნობებიდან დგინდება, მრავლდებიან მეკასრეები[61]. მკვეთრად იზრდება რიცხვი მეფუნთუშეებისა (1—14), მეკონდიტრეებისა (1—26), მესაათეებისა (5—66), მეეპოლეტეებისა, მეკარეტეების, მებუზმენტეებისა და სხვ. სამაგიეროდ მცირდება რაოდენობა მქსოველების, ხელსაბნეებისა, მენაბდეების, თოქმაჩებისა და იარაღის მკეთებლებისაც კი (1845-82—1865-38).

მასალების სინაკლულე საშუალებას არ გვაძლევს დავადგინოთ წლობის მიხედვით მოსულ ხელოსანთა რაოდენობა თბილისში, მაგრამ მათი რიცხვი რომ საკმაოდ მოზრდილი იყო, ამის ვარაუდი მტკიცედ შეიძლება. საერთოდ 1845—1865 წლებში თბილისის ხელოსნობა კვლავ ჩქარი ტემპით იზრდება[62]. როგორც რაოდენობრივად, ისე დარგობლივად (იხ. ცხრილი 3.) 1845 წელს თბილისში 24 დარგის 2082 ხელოსანია (ალბათ ოსტატი) აღნიშნული;

61 სცსია, ფ. 16, საქ. 5255.

62 პროფ. გ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ 9 წლის განმავლობაში (1845—1854 წწ.) თბილისის ხელოსანთა რაოდენობა 3-ჯერ გაიზარდა. იხ. Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, тб. 1958.

1848 წელს — 33 დარგის 2609 ოსტატი ხელოსანი, ხოლო ქვეოსტატებისა და მოწაფეების სავარაუდო რიცხვი 1264-ს უნდა უდრიდეს, ე. ი. მთლიანი სავარაუდო რაოდენობა 3873 კაცს უდრის. 1865 წლისათვის ჩვენი ცხრილის მონაცემების ცნობით თბილისში 53 დარგის 5570-მდე ხელოსანი ითვლებოდა, პროფ. პ. გუგუშვილის გამოანგარიშებით კი 5.524 კაცი[63].

პროფ. გ. ბაქრაძე ამტკიცებს, რომ თბილისის ხელოსნობა ძირითადად მოსული ხელოსნების ხარჯზე იზრდებოდა[64]. ჩვენის ფიქრით ამ ზრდაში ძირითადი ადგილი მაინც ადგილობრივ ელემენტებს ეკავა. და ეს რომ ნამდვილად ასე იყო იქიდან ჩანს, რომ უკვე 1865 წლისათვის ხელოსნობის ისეთ დარგებშიც კი, რომლებსაც მანამდე საქართველოში საერთოდ არ იცნობდნენ, ადგილობრივი ხელოსნები რაოდენობრივად უტოლდებიან და ზოგჯერ კიდეც აჭარბებენ მოსულ ხელოსნებს. მაგალითად: მეკონდიტრეებში 1865 წელს დასაქმებული იყო უცხოელი 5 ოსტატი 16 მოწაფით, ადგილობრივი კი 8 ოსტატი 6 მოწაფით; მეძეხვეებში უცხოელი 2 ოსტატი 6 მოწაფით და ადგილობრივი 4 ოსტატი 4 მოწაფით; გადამკერელები რუსი და უცხოელი 4 ოსტატი 7 მოწაფით, ადგილობრივი 9 ოსტატი 6 მოწაფით; მებუზმენტეები და ოქრომქსოველები — უცხოელები 4 ოსტატი, 13 ქვეოსტატი, 1 მოწაფე, ადგილობრივი 22 ოსტატი და ქვეოსტატი, 19 მოწაფე და ა. შ.[65]

ახალ პირობებში იცვლებოდა ადგილობრივი ხელოსნური დარგების ხასიათი, მასში თანდათან მცირდებოდა აზიური და ძლიერდებოდა ევროპული გავლენა. მაგალითად, 1866 წლისათვის ფეხსაცმლის წარმოებაში თბილისში დასაქმებული იყო 637 ოსტატი, ქვეოსტატი და მოწაფე. აქედან ევროპულ მეჩექმეობაში ჩაბმული იყო 179 კაცი (108 ოსტატი და ქვეოსტატი 71 მოწაფე. აქედან 114 კაცი თავისუფალ ხელობას მისდევდა, 64 კი ამქარში იყო გაერთიანებული), ქართული, აზიურ, სპარსულ და თურქულ ფეხსაცმელების კერვაში მთლიანად ჩაბმული იყო 167 ოსტატი და ქვეოსტატი და 126 მოწაფე, შემდეგი შეფარდებით:

---

63 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მონოგრაფიები, ტ. V, გვ. 125.

64 გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке Тб., 1958, გვ. 23.

65 სცსია. ფ. 7, აღ. 1, საქ. 22, 29.

აზიური მეჩექმე ოსტატი და ქვეოსტატი	54,	მოწ.	62
თურქული ტუფლების მკერავი	45,	„	19
ქართული მეწაღლეები	48	„	16
გარდა ამისა იყენენ ფეხსაცმლის შემკეთებლები	40	„	9
მექალამნეები	21	„	8

როგორც ვხედავთ, ევროპული ტიპის ხელოსნები ყველა მათგანზე ცალკეულად მეტია და საერთო რაოდენობის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს[66].

აღნიშნული მდგომარეობა უფრო თვალნათლივ მკერავების მაგალითზე ჩანს: ამავე პერიოდისათვის ტანისამოსის სამკერვალო ხელოსნობა აერთიანებდა 432 ოსტატს და მოწაფეს (მუშების რაოდენობა არაა დადგენილი), აქედან ევროპული ტანსაცმელის კერვაში ჩაბმული იყო 294 კაცი — 181 ოსტატი და ქვეოსტატი და 113 მოწაფე (აქედან 121 ოსტატი და ქვეოსტატი და 63 მოწაფე თავისუფალ ხელობას მისდევს, ხოლო 60 ოსტატი და ქვეოსტატი და 50 მოწაფე ამქარშია გაერთიანებული); ხოლო აზიური ტანსაცმლის კერვაში მხოლოდ 138 კაცი იყო ჩაბმული — 63 ოსტატი და ქვეოსტატი და 75 მოწაფე[67].

მსგავსი შედარებების გაგრძელება შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობ ნათელია, რომ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თბილისი თანდათანობით ევროპული ხელოსნობის ქალაქად იქცევა.

ეს იყო რთული პროცესი ჩვენში ხელოსნობის სრულიად ახალი დარგების გაჩენისა და განვითარებისა. ცხადია, ეს პროცესი უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა; მას წინ აღუდგა და წლების განმავლობაში მედგარ წინააღმდეგობას უწევდა ამქარში გაერთიანებული ადგილობრივი ხელოსნების წარმომადგენლობა. ადგილობრივი ხელოსნები ხედავდნენ, რომ თანდათან მათ ძალა ეკარგებოდათ. მოსული ხელოსნები მათ სულ უფრო და უფრო აცლიდნენ ასპარეზს. ადგილობრივ ბაზარზე მათი ნახელავი ევროპული ყაიდის ნაკეთობებს უთმობდა გზას. ადგილობრივი მთავრობა აშკარად მოსული ხელოსნების მხარეს იჭერდა.

შექმნილ ვითარებაში თბილისელ ხელოსნებს გაერთიანება და შეკავშირება მიაჩნდათ ერთადერთ პირობად, რომ ხელიდან არ გაეშვათ მოქმედების ასპარეზი, შეეჩერებიათ დაშლის პროცესი თავის შიგნით, წინააღმდეგობა გაეწიათ მოსული ხელოსნებისათ-

66 სცსია. თ. 7. აღ. 1, საქ. 22, 29.

67 იქვე.

ვეს და წინ აღდგომოდნენ მთავრობის პოლიტიკას, რომელიც ხედავდა რა ადგილობრივი ხელოსნების დამოკიდებულებას მოსული ხელოსნებისადმი, თანდათან ამჭრული ხელოსნობის საწინააღმდეგოდ მიიმართებოდა.

კრიზისისაგან თავის დაღწევის ერთადერთ საშუალებად ადგილობრივ ხელოსნებს ამქარში გაერთიანება მიაჩნდათ. და აი, გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან მოყოლებული, თბილისში მეტად სწრაფად იზრდება ამჭრების რიცხვი. ამქარში ერთიანდებიან არა მარტო ხელოსნები, არამედ საქალაქო მეურნეობის თითქმის ყველა დარგის წარმომადგენლები — თულუხჩები, მებაღეები, მეწვრილმანეები[68] და, ასე გასინჯეთ, მათხოვრებიც კი. ჩქარა ადგილობრივი ხელოსნები შეერთებული ძალებით უკვე აშკარად იწყებენ შეტევას მოსული ხელოსნების წინააღმდეგ.

რუსი და უცხოელი ხელოსნები უკვე 40-იანი წლების დასაწყისში იწყებენ ჩივილს ადგილობრივი ხელოსნების მიერ მათ შევიწროებაზე[69]. და არა მარტო ხელოსნები, მსგავსი მდგომარეობა იყო ვაჭრობის მიმართაც; მეტად დამახასიათებელია რუსი ვაჭრების: ვასილ იაკიმოვის, გაბრიელ ვოლოდინის და ივანე ველიკანოვის თხოვნა იმპერატორისადმი (1837-42 წწ.): «Мы прибыли в Грузию и производим здесь торговлю... но при производстве оной, торговые общества Грузии, где нет еще разряда по гильдиям, притесняли нас в том, что берут с нас противу существующего здесь порядка, в весьма превосходительном количестве общественные сборы, так что они превосходят даже в десять раз более против здешних жителей, а именно: собирая с здешних жителей не более трех рублей серебром с нас берут — с меня Просякина, 220 руб., с Вологина 140 руб. Таковой несправедливый сбор не только лишает про-

---

68 სცსია, ფ. 414, აღ. 1, საქმე 213. ფ. 132—133. კავკასიის ყოფილი ნამესტნიკი ნ. მურავიოვი იგონებდა, როგორ შექმნეს მათხოვრებმა ამქარი, როგორ აირჩიეს უსტაბაშად გავლენიანი მათხოვარი, რომელიც იმდენად შეძლებული (კაცი ყოფილა, რომ ქალიშვილი გაუთხოვებია და 2000 მ. მზითევი მიუცია ЦГВИА ფ. 109, საქ. 4, ფ. 60), თავის დროზე მათხოვრების ამქარი მრავალი ხუმრობისა და დაცინვის საგანი გახდა. ამ თემაზე არა ერთი იუმორისტული ლექსი დაიბეჭდა გაზ. „კავკაზში".

69 სცსია, ფ. 16, საქმე 5612.

центов нас с производимой нами торговли, но и возможности содержать себя в Грузии»...[70]

ხოლო მთხოვნელები რომ განგებ არ აზვიადებენ საქმეს იქედან ჩანს, რომ პოლიცმეისტერს შეუმოწმებია მდგომარეობა, დარწმუნებულმა საჩივრის საფუძვლიანობაში, რაღაც ზომებიც მიუღია და აღნიშნავდა, რომ მომჩივნები ეხლა დაკმაყოფილებულები არიანო.

მოსულ ხელოსნებზე გაზრდილი გადასახადის გაწერა, ჩანს, საკმაოდ გავრცელებული ხერხი იყო: 1852 წელს რუსი ხელოსნები ხუროები, დურგლები, მხატვრები, მღებავები, მეთუნუქეები, მხურავები, მხერხავები და სხვ. მიმართავდნენ მეფისნაცვალ ვორონცოვს, რომ ჩვენ სადაც არ გვიმუშავია, ყველგან ერთნაირ გადასახადს ვიხდით: ოსტატი 4 მანეთს, მუშა 1 მანეთს ვერცხლით. აქ კი აუტანელი გადასახადი დაგვადეს: ოსტატი 10—25 მანეთამდე, მუშა 1—6 მანეთამდეო[71].

უეჭველია, რომ მოსული ხელოსნების წინააღმდეგ ამქარი ბრძოლის სხვა საშუალებებსაც მიმართავდა. იგი რუს და ევროპელ ხელოსნებთან შედარებით უკეთ იყო ორგანიზებული და უკანასკნელთ მთავრობის მხარდაჭერითაც კი უჭირდათ გამკლავებოდნენ მათ. ამიტომ მოსული ხელოსნები ან ადგილობრივ ამქრებში უნდა შესულიყვნენ, ან კი მათი შევიწროება უნდა ვანეცადათ. თუ ზოგიერთი რუსი ხელოსანი მაინც შედიოდა ადგილობრივ ამქარში და ზოგჯერ საკმაო გავლენასაც აღწევდა იქ, უცხოელები ამის წინააღმდეგნი იყვნენ და საკუთარი ინტერესების დასაცავად ისინი შეკავშირებასა და დამოუკიდებელი საკუთარი ამქრის შექმნას იწყებენ. ჯერ კიდევ 1846 წელს ამქარს ქმნიან უცხოელი (ევროპელი) მეჩექმეები; ადგენენ საკუთარ წესდებას და მამასახლისად (უსტაბაშად) ირჩევენ კარლ ბემლერს[72].

60-იანი წლების დასაწყისში თბილისში ამქარს ჰქმნიან უცხოელი მეფუნთუშეები. ამქრის მამასახლისად აურჩევიათ გერმანელი ქრისტეფორე კლოტცი. ჩვენ ხელთ გვაქვს აღნიშნული ამქრის წესდება. იგი ადგილობრივი ამქრების წესდების გავლენითაა შედგენილი. 1 პარაგრაფში პირდაპირაა მითითებული, რომ «Общество

---

70 სცია, ფ. 2, საქმე 4842.

71 სცსია, ფ. 26, აღ. 4, საქმე 839. გვ. 3—4.

72 იქვე, ფ. 16, აღ. 1, საქ. 9015.

булочных мастеров в городе Тифлисе, состоящей из лиц разных наций и званий, обязано по примеру других, ежегодно выбирать из своей среды на общем основании старшину или устабаша, с двумя его помощниками»[73].

წესდება არ განსაზღვრავს არც ქარგლის და არც შეგირდის რაოდენობას, ხოლო დაქირავებული მუშები კი რამდენიც სურდათ, იმდენი შეეძლოთ ჰყოლოდათ. საბუთი პირდაპირ მიუთითებს. «Для удобства жителей, каждый булочник может посылать по городу неограниченное число разносчиков»[74].

აღნიშნული ამქარი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, არ არის გამორიცხული, რომ მასში ადგილობრივი ხელოსნებიც ერივნენ, მაგრამ უმრავლესობა მოსული რუსი და ევროპელი ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ: როცა წესდებაში ლაპარაკია იმაზე თუ როგორ და რაში უნდა იქნას გამოყენებული ამქრის სალარო, იქ ერთ-ერთი მთავარი პუნქტია ის, რომ მან ფულადი დახმარება უნდა გაუწიოს ამქრის წევრებს სამშობლოში მგზავრობისათვის. მოსული და უმეტესად უცხოელი ხელოსნების მიერ ცალკე ამქრის შექმნა 40-იანი წლებიდან უკვე გავრცელებულ სახეს იღებს. ეს პროცესი, როგორც ვნახეთ, 60-იან წლებამდე გრძელდებოდა.

ევროპული ხელოსნობისა და კერძოდ რუსი, ებრაელი და უცხოელი ხელოსნების საქმიანობას თბილისში პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან, ჯერ-ერთი, ისინი ხელოსნობის ახალ დარგებს ნერგავდნენ, ზრდიდნენ მოწაფეებს და ა. შ. ხოლო, რაც მთავარია, ამქრული შეზღუდულობისაგან თავისუფალ ამ ხელოსნებს მეტი შესაძლებლობა და მისწრაფება ჰქონდათ თავიანთი სახელოსნოების უფრო რაციონალურად მოწყობისა და ახალი ურთიერთობა მათში უფრო ჩქარა იკაფავდა გზას[75]. სწორედ აქ იჩენდა თავს ყველაზე მკაფიოდ კაპიტალისტური ურთიერთობის ელე-

---

73 სცსია, ფ. 26. აღ. 2, საქმე 1854, ფურც. 4.

74 იქვე, § 10.

75 მებრილიანტე ნიკოლოზ დაინოვი 1824 წელს ჩამოვიდა თბილისში და ამ საქმის ერთ-ერთი პირველი ოსტატი იყო, ბევრი ადგილობრივი შეგირდი გაუზრდია; თავისი სახელოსნო მნიშვნელოვნად გაუფართოებია და ლითონის გამოსადნობი ღუმელიც კი გამოუგონებია (სცსია, ფ. 2, საქ. 1045 ფ. 4). 1855 წელს თბილისში სახელოსნო მოაწყო ლიფლანდიელმა იუველირმა რობ. ბალდუსმ. 1855 წლამდე მას სახელოსნო გაუზრდია, მაგრამ მოთხოვნილებებს თავის ნა-

მენტები, ხოლო ზოგი მათი სახელოსნო შემდგომში მსხვილ წარმოებადაც კი გადაიქცა.

მნიშვნელოვანი იყო დაქირავებული შრომის გამოყენება მოსულ ხელოსნებში. აქ 221 ოსტატი ექსპლოატაციას უწევდა 382 ქარგალს, 450 შეგირდს და 91 მუშას[76]. ამგვარად ერთ ოსტატზე აქ საშუალოდ 4—5 დაქირავებული მუშა მოდის. მაგრამ მათი რაოდენობა ყველგან ერთნაირი ხომ არ იქნებოდა და აი მოსულ ხელოსნებისაგან, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ ამქრული შეზღუდულობისგან, იწყებენ განვითარებას ისეთი მსხვილი კაპიტალისტური სახელოსნოები, რომლებშიც 10 და მეტი დაქირავებული მუშა მუშაობდა. ასეთები იყო, მაგალითად, სახარაზო სახელოსნოები: შვარცისა, სადაც დაქირავებული იყო 12 ქვეოსტატი და 2 შეგირდი; ლუცენკოსი — 10 ქვეოსტატი და 6 შეგირდი; ამმოსოვისა — 4 ქვეოსტატი და 4 შეგირდი და სხვ. გეკშტეტერის სასარაჯო სახელოსნოში 6 ქვეოსტატი და 4 შეგირდი მუშაობდა, კრეისმანის სამკერვალო სახელოსნოში 8 ქვეოსტატი და 4 მოწაფე; ვალინგისაში კი 10 ქვეოსტატი და 10 შეგირდი, ტაბლესი 4 ქვეოსტატი და 4 შეგირდი. პუდოვისა 5 ქვეოსტატი და 4 შეგირდი. ერგიესი 8 ქვეოსტატი და სხვ. სადურგლო სახელოსნოებში — ნაუმენკოსა 20 ქვეოსტატი და 22 შეგირდი, ზეტცერისა 21 ქვეოსტატი და 30 შეგირდი, ილინისა 12 ქვეოსტატი და 10 შეგირდი და ა. შ. სანათებლების სახელოსნო ნაუმენკოსი 7 ქვეოსტატი და 3 მოწაფე, სახარატო სახელოსნო აფანასიევის 8 ქვეოსტატი და 4 მოწაფე და მრავალი სხვა[77]. რასაკვირველია შვარცი, კრეისმანი და ვალინგი, მით უმეტეს ნაუმენკო, ზეტცერი, ილინი და სხვები, რომელთა წარმოებაში 10—20 და 40 მშრომელია ჩაბმული, უკვე ხელოსნები კი არა კაპიტალისტები არიან. და მართლაც, მაგალითად, ზეტცერს, ილინს და ნაუმენკოს სხვა ადგილას „ფაბრიკანტებად“ იხსენიებენ.

ნარმზე მაინც ვერ აკმაყოფილებდა და განუზრახავს მოსკოვიდან ქვეოსტატი ჩამოეყვანა (სცსია, ფ. 4, აღ. 2, საქ. 531). 1843 წ. კონსტანტინეპოლიდან თბილისში ჩამოვიდა მეტყავე ხელოსანი ბენგრატ კრაუსი, იგი მეტად ღარიბი იყო, საშუალება არ ჰქონდა სახელოსნო გაეხსნა და სხვის სახელოსნოში მუშაობდა ქირით. შემდეგ ფული შეუგროვებია და ტყავის გამოსაყვანი სახელოსნო გაუხსნია, ორიოდე წლის შემდეგ კი ისე მომაგრებულა, რომ უკვე სახელოსნოს გაფართოებაზე იწყებს ზრუნვას (იქვე ფ. 209, საქ. 417). ამგვარი ფაქტი კი არაერთია.

76 სცსია, ფ. 7, აღწ. 1, საქმე 2229.

77 იქვე.

* * *

ცხადია, ასეთი მკვეთრი გარდაქმნების ვითარებაში, უცვლელად არც ადგილობრივი ხელოსნები დარჩებოდნენ, კერძოდ ახალ ვითარებასთან მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდიდა, მათი შეკავშირების ფეოდალური ინსტიტუტი — ამქარი[78].

ახალმა ვითარებამ შეარყია ამქრის პატრიარქალური სტატიკურობა. უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისიდან შეიმჩნევა მკვეთრი დიფერენციაცია ამქრის წევრებს შორის. ავლაბრის ოქრომჭედლების წესდება არაერთხელ იხსენიებს საპატიო, პატივცემულ ოსტატებს. ხოლო საპატიოდ ის ოსტატს თვლიდნენ, რომელიც მთელი წლის გადასახადს წინდაწინ შეიტანდა[79]. აღნიშნული წესდებით უმცროს-უფროსობა ამქარში მეტად შორსაა წასული. უმცროს-უფროსობას კი განსაზღვრავდა არა წლოვანება, არც თავისი ხელობის უკეთ ცოდნა, არამედ ის, თუ ვინ უფრო ადრეა ნაკურთხი ოსტატად[80], ხოლო ოსტატად კურთხევა ეკონომიურ მდგომარეობასთან იყო დაკავშირებული და სხვა ადგილას იგივე წესდება მიუთითებს, რომ სამწუხაროდ ოსტატად კურთხევა მარტო ხელობის ცოდნით არ ხდებაო. ამრიგად, ქონებრივი განსხვავება თანდათან არღვევდა ამქრის შინადემოკრატიულ სტრუქტურას. მართალია, უსტაბაშის არჩევის დროს წესდება ითვალისწინებდა არაფერს არ მიქცეოდა ყურადღება გარდა კანდიდატის პირადი ღირსებისა[81], მაგრამ ჩანს მაინც ყოფილა საშიშროება არჩეული პირის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა, რადგან სხვა ადგილზე იგივე წესდება აფრთხილებს არჩეულ პირებს არ გაამპარტავდნენ, არ გაყოყოჩდნენ და თავი ამქრის პატრონებად არ წარმოადგინონ[82]. ხოლო, რომ ასეთი საშიშროება მართლა არსებობდა, ამაზე ერთი უცნობი ავტორი მიგვითითებს: იგი მოგვითხრობს, რომ აღა-მაჰმად-ხანის შემოსევის შემდეგ ქალაქის მცხოვრებნი, წარჩინებული გვარის წარმომადგენლები, სიღარიბის გამო ხელოსნობას ჰკიდებდნენ ხელს, აი სწორედ ისინი, მიაღწიეს რა 1815-20 წლებში სრულ წლოვანებას, მოექცნენ ამქრის სათავეშიო[83]. ავტორის პრიმიტიული თხრო-

---

78 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მონოგრაფიები, ტ. V, გვ. 72.

79 „ლუმა", 1898, 1, § 13.

80 ი ქ ვ ე, 1898. 11, § 25.

81 „ლუმა", 1898, 11, § 1.

82 ი ქ ვ ე, § 34.

83 ხელნაწ. ინსტ. Ros d 258, გვ. 1.

ბა იმას მიგვანიშნებს, რომ უსტაბაშად ჩვეულებრივი ხელოსანი კი არ მიჩნდათ, არამედ წარჩინებული, დიდგვარიანი.

ამქრის რღვევის ნიშანია ისიც, რომ უკვე „მე-19 ს. დამდეგიდანვე ამქართა ცხოვრებაში ვაჭრული და მევახშური კაპიტალის როლი სულ უფრო იზრდებოდა და 1840—1850-იან წლებში. მას უკვე გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდა მოპოვებული"[84]. პროფ. ჰ. გუგუშვილს აღნიშნული დებულების დასამტკიცებლად მოჰყავს ჩვენ მიერ დამოწმებული ანონიმური ავტორის ცნობა თბილისის ვაჭრებსა და ხელოსნებს შორის 1820-იანი წლებიდან განხეთქილების გამწვავების შესახებ, სადაც ანონიმური ავტორი პირდაპირ მიუთითებს ხელოსნები ვაჭრების მორჩილებაში იყვნენო. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ცნობაში საქმე გვაქვს არა უბრალო მეტოქეობასთან ვაჭართა და ხელოსანთა ამქრებს შორის, არამედ სავაჭრო კაპიტალის შეჭრასთან ამქრულ ხელოსნობაში და შემსყიდველების გაჩენასთან, რაც, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, მოასწავებს „მეტად დიდ ნაბიჯს" კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებაში, ეს პროცესი გაცილებით ადრე დაიწყო თბილისის იმ ხელოსნებში, რომლებიც არ იყვნენ გაერთიანებული ამქარში (ჩვენ მას შევეხებით ამ ნაშრომის შემდეგ თავში), მაგრამ თუ მათში ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ მიდიოდა, ამქარში გაერთიანებული ხელოსნების მიმართ საქმე სხვანაირად დატრიალდა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელთ შემსყიდველთა გაბატონებისათვის მედგარი წინააღმდეგობა გაუწევიათ.

მასალების სიმცირე საშუალებას არ გვაძლევს თვალი გავადევნოთ ამ მეტად საინტერესო პროცესს უწყვეტლივ მთელი მე-19 საუკუნის 1 ნახევრის მანძილზე. ჩვენთვის ცნობილი არ არის თუ რაში გამოიხატა ვაჭრების მიერ ამქრული ხელოსნების დამორჩილება, გაიხადეს თუ არა ვაჭრებმა ისინი თავის დაქირავებულ მუშებად, ე. ი. იქცნენ თუ არა ვაჭრები შემსყიდველ კაპიტალისტებად. უნდა ვიფიქროთ, რომ ცალკეულად ასეთ პროცესს ადგილი ჰქონდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მან საყოველთაოდ გავრცელებული ხასიათი ვერ მიიღო სწორედ იმ ორგანიზებული წინააღმდეგობის გამო, რომელსაც მას ამქარი უწევდა, რათა თავი გადაერჩინა. თუმცა ეს პროცესი მთლიანად არ შეწყვეტილა, ხოლო მას შემდეგ, რაც ახალი ვითარების შესაბამისად თბილისში ოფი-

---

84 ჰ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 275—276.

ციალურად დაშვებული იქნა თავისუფალი ხელოსნობა, იგი კიდევ უფრო განვითარდა. მაგრამ ამქარი ეხლაც არ წყვეტდა წინააღმდეგობას და ბრძოლას ვაჭარი შემსყიდველების თუ გაკაპიტალისტებული ყოფილი ოსტატების წინააღმდეგ. აი ამის ერთ-ერთი მაგალითი: 1854 წელს თბილისის მცხოვრებს ხეჩო ყაზაროვს საჩივარი შეუტანია თბილისის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელთან კოლუბიაკინთან იმ შევიწროებაზე, რომელსაც მას აყენებდნენ მეტყავეთა ამქრის უსტაბაში მოსეს ხითაროვი და აღსაკლები —ივანე ყოროჯაევი და ოქიმ ავეტიკოვი.

როგორც მეტყავეთა ამქრის წევრების განმარტებიდან ირკვევა, ყაზაროვი ადრე ამქრის ოსტატი ყოფილა, გარკვეული სიმდიდრე შეუგროვებია, დაუქირავებია მუშები, რომლებიც მისთვის მირზოევის „ქარხანაში“ ამუშავებდნენ ტყავს[85]. თვითონ ყაზაროვი ხელობას აღარ ეწევა, მას გახსნილი აქვს სპეციალური ფარდული და აღნიშნული დაქირავებული მუშების მიერ დამზადებული მასალის რეალიზაციით არის დაკავებული. მისი ნაწარმი, ჩანს, მნიშვნელოვან კონკურენციას უწევდა ამქრული ხელოსნების ნაწარმს. მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო ამქარი ვერ შეურიგდებოდა თავისი ყოფილი წევრის განდგომისა და ასეთი ფართო მოღვაწეობის თვით ფაქტს, რადგან ყაზაროვის მაგალითი ამქრის სიკვდილის სერიოზული სიმპტომი იყო და ამქარს ბრძოლა გაუჩაღებია მის წინააღმდეგ: ხელს უშლიდნენ ნედლეულის შესყიდვაში და ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევდნენ მის დაქირავებულ მუშებს.

თბილისის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, ბუნებრივია, ყაზაროვის მხარე დაიჭირა და ქალაქის თვითმმართველობას დაავალა მიეღო ზომები ამქრის თვითნებობის აღსაკვეთად. მეტყავეთა უსტაბაშებს ხელწერილები ჩამოართვეს[86] და ისინიც

---

85 სცსია, ფ. 26, აღ. 4, საქმე 1212, ფ. 15.

თავისთავად მირზოევის ქარხანაზე ჩვენ ჯერჯერობით სხვა ცნობები არ მოგვეპოვება. უნდა ვიფიქროთ—„ქარხანა“ ალბათ იმ შენობას ეწოდებოდა რომელიც მირზოევს ეკუთვნოდა და რომელსაც იგი ქირით გასცემდა სხვადასხვა მწარმოებლებზე თუ ოსტატებზე. მსგავსი მოვლენა უცხო არ არის თბილისის მრეწველობისათვის, როგორც ქვევით დავინახავთ, ასეთი მდგომარეობა იყო სუმბათაშვილისა და ბებუთოვის ტყავის „ქარხნებშიც“. საფიქრებელია, რომ წარმოებაში რამდენიმე დამოუკიდებელი კაპიტალი მოქმედებდა, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ „ქარხანა“ მთლიანად ყაზაროვს ჰქონდეს დაქირავებული.

86 ი ქ ვ ე, ფ. 11.

ერთხანს თითქოს მიწყნარდნენ. მაგრამ ჩქარა ახალი კამპანია წამოიწყეს ყაზაროვის წინააღმდეგ, რაც იმაში გამოიხატა, რომ სხვა დარგების უსტაბაშების დახმარებით, ყველა ხელოსანს აეკრძალა ყაზაროვისაგან ტყავის შესყიდვა[87]. საქმეში კვლავ ხელისუფლება ჩაერია, დამნაშავენი ადმინისტრაციული წესით დასაჯეს. მაგრამ, როგორც ჩანს, საქმეს არც ამან უშველა და 1862 წელს ყაზაროვი კვლავ ამქრული ხელოსნების მიერ მის შევიწროებაზე ჩივის[88].

უეჭველია, რომ ყაზაროვის სახით ჩვენ საქმე გვაქვს ამქრულ წიაღიდან წარმოშობილ მწარმოებელთან. ჩვენთვის ცნობილი არ არის თუ მისი რამდენი დაქირავებული მუშა მუშაობდა მირზოევის ქარხანაში, რომ მისი წარმოების მასშტაბი წარმოვიდგინოთ, მაგრამ ეჭვი არ არის, იგი უკვე პატარა კაპიტალისტია. მისი წარმოების საკმაოდ მოზრდილ მასშტაბს ისიც მიგვანიშნებს, რომ: 1) იგი ნედლეულს შეისყიდდა არა თბილისში, არამედ კავკასიის სხვადასხვა ადგილებში, 2) როგორც ჩანს, იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობის პროდუქციას აწარმოებდა, რაკი კონკურენციას უწევდა თბილისის ამქრული ხელოსნობის ნაწარმს; 3) ყაზაროვი თვითონ უშუალოდ წარმოებაში არ ერევა, იგი მეთვალყურეობასაც არ უწევს დაქირავებულ მუშებს და მხოლოდ ნედლეულით მომარაგებისა თუ ნაწარმის რეალიზაციის საქმითაა დაკავებული.

40-იანი წლების ბოლოსა და 50-იანი წლების დასაწყისში მეპურეთა ამქარი მწვავე ბრძოლას აწარმოებდა ხელოსან გოგია ომიაძის წინააღმდეგ. 1848 წელს ანდრონიკაშვილის ყმას გოგია ომიაძეს თბილისში პურის საცხობი გაუხსნია, ამაზე მას ნებართვა აუღია ქალაქის მმართველობაში[89]. ამქრის წესდებით მას ფარდულის გახსნაზე ამქრისათვის 20 მანეთი უნდა გადაეხადა ვერცხლით. მან ეს არ ისურვა. ცოტა ხნის შემდეგ ომიაძეს მეორე საცხობის მოწყობა განუზრახავს. ამქარს ამის ნება არ მოუცია, მას მაინც არ დაუშლია და მეპურეთა ამქრის უსტაბაშის ხოსია სულაძის განკარგულებით ხელოსნები შევარდნიან საცხობში და თორნე დაუმტვრევიათ. საქმეში ხელისუფლება ჩაერია. ბუნტის მოთავე 8 კაცი დაუპატიმრეს. მათ შორის უსტაბაში სულაძე. იგი 15 როზგით დასაჯეს, რასაც მეპურეებმა გაფიცვით უპასუხეს. ფარდულები დაი-

---

87 სცსია, ფ. 26, იქვე.
88 იქვე, ფ. 4, იქვე, ფ. 7.
89 იქვე, ფ. 2.

კეტა. მაშინ პოლიციამ ძალას მიმართა, ფარდულები ძალით გააღებინეს და 31 კაცს თითო თუმანი ჯარიმაც დააკისრეს. ამის შემდეგ ამქარს კვლავ არ მოუსვენია. ისინი სხვა ამქრებს უკავშირდებიან და მათი მხარდაჭერით ბოიკოტს უცხადებენ ომიაძეს. ამის თაობაზე უსტაბაში ხოსია სულაძე თანამდებობიდან მოხსნეს[90]. როცა ოფიციალურ წრეებში ვერას გახდნენ, ამქარს ომიაძის ბატონისათვის არმიის პოლკოვნიკ ევსეი ანდრონიკაშვილისათვის მიუმართია თხოვნით: თქვენი გლეხი, თქვენი იმედით ამქრის საწინააღმდეგო მოქმედებას ჩადის და გთხოვთ დაარიგოთ, ჭკუაზე მოიყვანოთ, თორემ მას ყველა ამქარი განდევნის და ვერც ცოცხალი და ვერც მკვდარი ადგილს ვერ იპოვის, არც ერთი ხელოსანი მასთან არამც თუ საქმეს არ იქონიებს, არამედ არც კი დაელაპარაკება. მას საშინელი სასჯელი ელის, რადგან იგი აღღვევს 16 ასნაფის გადაწყვეტილებასო[91].

ომიაძე არც ამ მუქარამ შეაშინა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მხარდაჭერით იგი აქტიურად აგრძელებდა წინააღმდეგობას.

ეჭვი არ არის, რომ ომიაძის სახით ჩვენ საქმე გვაქვს გაკაპიტალისტების გზაზე დამდგარ ხელოსანთან. ის ამბავი, რომ ომიაძე ორი პურის საცხობის მფლობელი იყო, მის მიერ დაქირავებულ შრომის გამოყენებაზე მიგვითითებს. ხოლო ის გარემოება, რომ ომიაძე ასე მედგრად იცავდა თავს, მის შეძლებულობაზეც მეტყველებს. გასაგებია ომიაძესა და ამქარს შორის ბრძოლა იმ ო

რივი ხელოსნობისაკენ წინააღმდეგ. აქტიურად დაუჭირა მხარი იმიტომ, რომ იგი პასუხობდა ხელოსნობისადმი მისი დამოკიდებულების გენერალურ ხაზს — შეეზღუდა ამქრის მონოპოლია.

მართალია, მსგავსი მასალა ჩვენ ბევრი არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის ვივარაუდოთ, რომ ყაზაროვისთანა ვაჭარი მწარმოებლები, 50—60-იან წლებში მაინც, თბილისში იშვიათი არ იყო, ამაზე ჩვენ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: თბილისის ამქრის 1867 წლის წესდების პროექტში ყურადღებას იპყრობს ოსტატის განსაზღვრა: „ოსტატად იწოდება ის, რომელიც ან თვითონ მოქმედებს როგორიმე ხელობით ცალკე დუქანში,ან უჭირავს საოსტატო სახლი. რომელშიც ჰყვანან მოჯამაგირე ქარგლები და შეგირდები“[92]. როგორც ვხედავთ, წესდება ითვალისწინებდა, რომ ამქრის წევრი ოსტატი სულაც არ იყო ვალდებული თვითონ ემუშავნა, იგი შეიძლება იყოს სახელოსნოს პატრონი, რომელშიც დაქირავებული შრომის ექსპლოატაციით იღებს მოგებას. როგორც ვხედავთ, აქ ისეთი მდგომარეობაა გათვალისწინებული, რომელიც სრულიად უცხოა ორთოდოქსალური ამქრისათვის. გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამნაირი განსაზღვრა პროექტის შემდგენის ფანტაზიის ნაყოფი იყოს. ეტყობა მას თიბლისის სინამდვილეში მტკიცე საფუძველი ჰქონდა; მაშასადამე, თბილისში მრავლად ყოფილა მსხვილი კაპიტალისტური სახელოსნოები, რომლის მფლობელნიც, ძველი ტრადიციის მიხედვით, ჯერ კდევ ოსტატებად იწოდებოდნენ. ასეთი სახელოსნოების გაჩენა ჩვენ უფრო მრავლად მოსულ ხელოსნებში აღვნიშნეთ. მაგრამ მსგავსი მდგომარეობა არაიშვიათად არც ადგილობრივი ხელოსნობისათვის უნდა ყოფილიყო უცხო. მოსალოდნელია, რომ მსგავსი სახელოსნოს მეპატრონე ხელოსნები ამქრული ორგანიზაციებიდან თავისუფლები იყვნენ, მაგრამ არც ის იქნება უჩვეულო, რომ ისინი ამქარშიაც კი ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი.

ამქრული ორგანიზაციის რღვევაზე და მასში შეჭრილი ახალი ურთიერთობის სიძლიერეზე მიუთითებს თბილისის ხელოსნობაში დაქირავებული შრომის სულ უფრო მზარდი გამოყენება. დაქირავებული შრომის გამოყენების საქმეში ყველაზე წინ იყვნენ წასული დამმუშავებელი ხელოსნობის ისეთი დარგები, როგორიცაა: მეაგურეები, მეტყავეები, საპნისა და სანთლის მკეთებლები

---

92 ცსიალ. ფ. 1287, აღ. 38, საქმე 696, ფ. 49.

და სხვ.[93]. მაგრამ დაქირავებული შრომის გამოყენების რაოდენობა თანდათან იზრდებოდა ხელოსნობის თითქმის ყველა დარგში. არამც თუ კვალიფიციური ხელოსნები, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას თულუხჩებიც კი ეწეოდნენ: 1865 წლისათვის 95 თულუხჩს 25 დაქირავებული მუშა ჰყავდა[94].

მე-19 საუკუნის I ნახევრის მანძილზე ძალიან ჭირს თბილისის ხელოსნობაში მთლიანად დაქირავებული შრომის გამოყენების დადგენა. შედარებით უკეთესი მდგომარეობა ამ მხრივ 1865-66 წლებისათვის გვაქვს. ამ დროისათვის, ერთი ცნობით, თბილისში ადგილობრივ ხელოსანთაგან მუშაობდა 2449 ოსტატი და ქვეოსტატი, 847 მოწაფე და 245 მუშა[95]. მაგრამ ამ ცნობას (ჩვენ იგი შევკრიბეთ დარგების მიხედვით) შემდეგი დიდი ნაკლი გააჩნია. ჯერ-ერთი, გამიჯნული არ არის ოსტატებისა და ქვეოსტატების რაოდენობა, ე. ი. სახელოსნოს პატრონებისა და დაქირავებული კვალიფიცირებული მუშების რაოდენობა; მეორე ის, რომ თუ ოსტატების, ქვეოსტატებისა და მოწაფეების რიცხვი სანდოდ მოჩანს. ჩვენ მეტად შემცირებულად გვეჩვენება მუშების რიცხვი და გვგონია, რომ ავტორებს აქ აღებული აქვთ მუშების მუდმივი კონტინგენტი ან კვალიფიცირებული დაქირავებული მუშები ისე, რომ მხედველობაში არ უნდა იყვეს მიღებული დაქირავებული მუშების ის კატეგორია, რომლებიც სეზონურად მუშაობდნენ. ცნობილია, რომ ზაფხულობით სხვა ქალაქებიდან თბილისში საშოვარზე მოსულთა რაოდენობა ამ პერიოდისათვის 20 000 კაცამდე აღწევდა. ცხადია, ამ მასის გარკვეული ნაწილი ადგილობრივ ხელოსნებთან ეწეოდა დაქირავებულ შრომას.

ყოველ შემთხვევაში მკვლევარ ე. ხოშტარიას, რომელიც წლობის განმავლობაში სპეციალურად მუშაობდა დაქირავებული შრომის გამოყენების საკითხებზე, მიაჩნია, რომ 1865 წლისათვის თბილისის გუბერნიაში თითო ოსტატზე საშუალოდ 1—2 შეგირდი და დაქირავებული მუშა მოდიოდა[96]. მაგრამ თუ ამას ქვეოსტატსაც დავუმატებთ, აგრეთვე მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამ მხრივ თბილისი მაშინ შორს უსწრებდა გუბერნიის სხვა ქალა-

93 აღნიშნულ დარგებზე ჩვენ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი.

94 საქ. ცსსა, ფ. 414, აღ. 1. საქმე 213, გვ. 132—133.

95 საქ. ცსსა, ფ. 7, აღ. 1, საქ. 2229.

96 ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX ს. 30-იან წლებში. ხაქ .მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრ., ტ. III, 1958, გვ. 156.

ქებს, მაშინ აღნიშნული რაოდენობა დაქირავებული მუშებისა და შეგირდებისა შეიძლება მნიშვნელოვნად გაზრდილად წარმოვიდგინოთ.

ჩვენ, ცალკეული დარგების განხილვის დროს, ქვევით შევეხებით თუ რამდენად შორს იყო წასული თბილისის ხელოსნობის სხვადასხვა დარგში დაქირავებული შრომის გამოყენება. მაგრამ, რომ თბილისში ამ დროს ინტენსიურად ჩნდებოდნენ მსხვილი სახელოსნოები, რომლებშიაც უეჭველია არა ერთი და ორი დაქირავებული მუშა მუშაობდა, ამაზე ნათლად მიგვითითებს ხელოსნური ნაწარმის ასორტიმენტი, რომელიც წარმოდგენილი იყო 1850 წლის გამოფენაზე. ბუნებრივია, რომ გამოფენაში ხელოსნების საუკეთესო ნაწილი მიიღებდა მონაწილეობას, მაგრამ თუ საერთოდ თითო ხელოსანი, როგორც წესი, 1—2 ნაწარმით წარმოდგებოდა, იყვნენ ისეთი ხელოსნებიც, რომელთა ნაწარმის ასორტიმენტი გაცილებით მრავალფეროვანია. მაგალითად, თბილისელმა მოქალაქემ ივანე აღაბეგოვმა გამოფენაზე წარადგინა 20-მდე დასახელების 30 ნივთი დაახლოებით 170 მანეთის ღირებულებისა ვერცხლით[97]. ეს იყო ყოველგვარი ქურქები, შეკერილი და გამოყვანილი, დაწყებული ცხვრიდან გათავებული სიასამურამდე. თორმეტი დასახელების ნაწარმი წარადგინა თბილისის მცხოვრებმა მიხ. გასპაროვმა: სხვადასხვა ოქროს, ვერცხლისა და აბრეშუმის სირმები, ზონრები, ჩოხის მოსართავები და სხვა აბრეშუმის ნაკეთობები. თბილისის მოქალაქემ ავეტიკ აკუპოვმა წარმოადგინა 18 დასახელების სხვადასხვა სახის ხარისხისა და დანიშნულების ქართული ტანსაცმელი დაახლოებით 130 მანეთის ღირებულებისა ვერცხლით[98] და ა. შ. ეჭვი არ არის, რომ ივანე აღაბეგოვი, მიხეილ გასპაროვი, ავეტიკ აკოპოვი და სხვები საკმაოდ მოზრდილი სახელოსნოების მეპატრონეები არიან, სადაც ფართოდ იყენებენ დაქირავებულ შრომას.

ამქრის დაშლასა და მისი სიმტკიცის შერყევას თან სდევდა ამქრის ეკონომიური დასუსტებაც. თანდათან ცარიელდებოდა ამქრის სალარო და ჩქარა იგი მხოლოდ ფიქტიურადღა არსებობდა. 1865 წელს თბილისის 122 ამქრიდან მხოლოდ 9-ს ჰყავდა სპეციალურად მოლარე[99]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მოლარის არ ყოლა სალაროს

---

97 ცსიალ, ფ. 398, აღ. 14, საქმე 4522, ფურც. 22—23.

98 ი ქ ვ ე.

99 სცსია, ფ. 414, აღ. 1, საქმე 13, ფ. 103—131.

სიმცირეს ან სრულიად არ არსებობას შეიძლება არც ნიშნავდეს, რადგან მოლარის მოვალეობა მოსალოდნელია რომელიმე აღსაჰკალს ჰქონოდეს დაკისრებული, მაგრამ ცნობიდან ჩანს რომ ეს ასე არ ყოფილა, პირიქით უმეტესი ამქრის სალაროები ცარიელი იყო და ბუნებრივია ხაზინადარის ყოლას აზრი აღარ ექნებოდა: «...В кассе Амкарства кожевников, винопродавцов, бокальщиков, муркитантов и других важных амкарствах бывает всегда от 100 до 500 руб., а у других почти никогда ничего не бывает»[100].

ადგილობრივი მთავრობა კარგად აფასებდა ხელოსნობაში შექმნილ ვითარებას და ხედავდა თუ რა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა ადგილობრივი ხელოსნობა. მაგრამ იგი განუხრელად აგრძელებდა თბილისსა და საერთოდ საქართველოში ევროპული ხელოსნობის გავრცელების პოლიტიკას და ამით თავის წინააღმდეგ განაწყობდა თბილისის ამქარს.

მთავრობას შესანიშნავად ესმოდა თუ რა მწვავე ბრძოლა გამოიწვია მოსული ხელოსნების მომრავლებამ თბილისსა და საერთოდ საქართველოში[101], მაგრამ იგი დაბეჯითებით აგრძელებდა თავის გეზს. ეხლა მას უკვე შესაძლებლობა ჰქონდა ანგარიში არ გაეწია ამქრისათვის. პირიქით, ამქარში იგი თავის დასაყრდენს კი არა, უკვე ხელის შემშლელ ძალას ხედავდა.

თავის მხრივ თბილისის ხელოსნებიც ხედავდნენ თუ როგორ მეთოდიურად აძლიერებდა მთავრობა მათ საწინააღმდეგო პოლიტიკას. ამიტომ ირღვევა მათი ურთიერთ კეთილგანწყობილება. ჯერ კიდევ 20-იანი წლების ბოლოდან იწყება ამქრების მღელვარება კანტიკუნტად[102]. თანდათანობით ამქარი სულ უფრო მეტ ურჩობას იჩენს. ყოველივე ამან კანონზომიერად მიიყვანა იგი აჯანყებამდე 1865 წელს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ყალიბდებოდა მთავრობის დამოკიდებულება ამქრისადმი. მას სურდა ჩამოეცილებია ამქრისათვის მონოპოლიისადმი მისწრაფების ძალა და დაეტოვებინა ამქარი, როგორც მხოლოდ საქველმოქმედო ორგანიზაცია და საგადამხდელო ერთეული. ამ მიზანს ისახავდა ვორონცოვის პროექტი თბილისში „სახელოსნო მმართველობის“ დაარსების

---

100 სცსია, ფ. 414, აღ. 1, საქმე 13, ფ. 104—105.
101 სცსია, ფ. 416, აღ. 3, საქმე 679, ფურც. 5.
102 ხელნაწ. ინსტ. ფ. 268, გვ. 1.

შესახებ, რომელიც 1852 წ. დამტკიცდა[103]. აღნიშნული პროექტი ცხოვრებაში ეტად კუდშეკვეცილად გატარდა. 1854 წელს თავრობა კვლავ დაუბრუნდა ამქრის საკითხის გადაწყვეტას, მაგრამ უშედეგოდ. 1859 წელს ბევრი შესწორება შეიტანეს 1852 წლის პროექტში, მაგრამ „სახელოსნო მმართველობის“ სრული ფორმით მოწყობა მაინც შეუძლებელი შეიქმნა.

60-იანი წლების დასაწყისში საბოლოოდ ჩამოყალიბდა მთავრობის წრეების აზრი ამქარზე, რომელსაც ისინი თვლიდნენ თბილისში ხელოსნობის წარუმატებლობის, სიძვირისა და მრავალი სხვა უბედურობის მიზეზად[104]. ეს იმას ნიშნავდა, რომ ამქრის ბედის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. თბილისის ამქრის 1865 წლის გამოსვლა მხოლოდ საბაბი იყო მთავრობისათვის, რათა ახალ კანონმდებლობით საბოლოოდ შეერყია ამქრული ორგანიზაციის საფუძველი.

ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა თუ როგორ იცვლებოდა დამოკიდებულება მთავრების წრეებსა და ამქრული ხელოსნებს შორის. ეს ორი ძალა ისე დაუპირისპირდა ურთიერთს, რომ საბოლოოდ საქმე იარაღამდეც კი მივიდა. ასეთია თბილისის ხელოსნობის განვითარების ძირითადი მომენტები მე-19 საუკუნის რეფორმამდელ ხანაში.

მაგრამ აღნიშნული პერიოდის თბილისის სამრეწველო განვითარებისათვის დამახასიათებელია უფრო მსხვილი კაპიტალისტური სარეწების გაჩენაც. ასეთი სარეწები განსახილველი პერიოდის დასაწყისშივე ისეთ დარგებში ვლინდება, რომლებმაც თავისი სპეციფიური პირობების გამო ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში მიიღეს ბიძგი განვითარებისკენ. ასეთი დარგი იყო, მაგალითად, საფეიქრო წარმოება, რომლის განვითარების საკითხებზე ნაშრომის მომდევნო თავში შევჩერდებით.

კაპიტალისტური სარეწები საფეიქრო წარმოებაში

1. მანუფაქტურის ჩასახვის საკითხისათვის ბამბეულის დამუშავებაში

ჩვენს მიზანს არ შეადგენს გარკვევა თუ როდის და როგორ ჩაისახა საქსოვი წარმოება ჩვენში. მრეწველობის ამ დარგზე დაკვირვებამ მე-18 ს. მიწურულსა და მე-19 ს. დასაწყისის მასალების

103 აქტები, ტ. X, გვ. 51, № 49, იქვე, გვ. 53, № 52.

104 სცსა, ფონდი 416, აღწ. 3, საქ. 651, ფ. 8.

მიხედვით ჩვენ დაგვარწმუნა, რომ იგი ამ დროისათვის საქართველოში მაღალ დონეზე იდგა.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდა ბამბის საქსოვი წარმოება. ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის II ნახევარში თბილისი ამ წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, იგი თავისი ნაწარმით თითქმის მთელ კავკასიას ამარაგებდა; ს. დ. ბურნაშოვი აღნიშნავს: «...Есть малыя ручныя фабрики шелковыя и бумажныя, последних очень много... большой торг состоит у них с горскими и персидскими ближними соседями в их рукоделиях, то есть ...Бумажными полотнами, набивными, крашенными и белыми... ибо сими надобностями почти все Кавказские народы и все соседи пользуются от трудолюбия тифлисских Армян»[1].

ბამბეულის ნაწარმი აღმ. საქართველოდან დიდი რაოდენობით გაჰქონდათ კავკასიის სხვადასხვა რაიონებშიც. 1765 წელს ყიზლარის ბაზარზე სხვა ნაწარმთან ერთად თბილისური ნარმა, ბურმენტი და სხვა ქსოვილი იყიდებოდა[2]. გიულდენშტედტის სიტყვით, ონში სომეხი და ებრაელი ვაჭრები, სხვათა შორის, ქართლიდან ჩატანილი ბამბის ქსოვილებითაც ვაჭრობდნენ[3]. იგივე ავტორი როცა ხონის ბაზრობას აღწერს, ჩამოთვლილ საქონელს შორის მრავალფეროვანი ასორტიმენტის თბილისურ ქსოვილებსაც აღნიშნავს: „ბამბის წითელი და ცისფერი უხეში ქსოვილები შარვლებისათვის, პერანგებისა და ქალთა ზედატანისათვის, და სახიანი ქსოვილები ქვედანისათვის თბილისის ფაბრიკებიდან"[4].

როცა ბამბის ქსოვილების ქვეყნის გარეთ გატანაზე ვლაპარაკობთ, აუცილებლად ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ აღნიშნული ნაწარმის მეტად ფართე და ინტენსიური გატანა ყოველ შემთხვევაში მე-18 საუკუნის მიწურულისათვის, რუსეთში წარმოებდა. იმავე გიულდენშტედტის ცნობით, ბამბის კულტურა და,

---

[1] С. Д. Бурнашов, Картина Грузии или описание политического состояния царств Карталинского и Кахетинского, 1886, стр. 2.

[2] П. П. Бутков, Материалы для новой истории Кавказа, ч. V, СПб, 1869, стр. 355.

[3] გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. გელაშვილის რედაქციით, ტ. 1, თბილისი, 1962, გვ. 107.

[4] იქვე, გვ. 153.

განსაკუთრებით, მისი დამუშავება თბილისის მცხოვრებთა მთავარი საქმიანობა და შემოსავლის ძირითადი წყაროა: „ქალაქის მოსახლეობა ცხოვრობს უმთავრესად თავისი ვენახებითა და ნარგაევებით, განსაკუთრებით ბამბისკულტურით, ბევრი არიან ვაჭრები. არიან სხვადასხვა (ხელოსნები): მეტყაევეები. მღებაევები, მქსოველები, მჭედლები"[5].

არა მარტო კერძო პირებს, არამედ ხაზინასაც დიდი შემოსავალი უნდა ჰქონოდა საქსოვი წარმოებებიდან, ეს შემოსავალი შეიძლება გადასახადის სახით შემოდიოდა, მოსალოდნელია, რომ ბამბის სახაზინო წარმოებებიც ყოფილიყო. ამის ანარეკლი უნდა იყოს, რომ დ. ბაგრატიონი სხვა საწარმოთა შორის, საქართველოში სახაზინო ფაბრიკების არსებობაზეც მიუთითებს[6].

ამასვე მიგვანიშნებს ერთი სომეხი ავტორის ცნობა იმის შესახებ, რომ ერეკლე მოხალისე ლაშქარს ფულთან ერთად ბამბის ნაწარმითაც უხდიდა გასამრჯელოს: «в сие самое время племянник Ганджинского Джавад-хана, просил от грузинского царя Ираклия помощь отнять у дяди его несправедливо завладенное им, после отца его владение. Для сего добирались (добровольцы). Им каждому давали 30 рублей и три куска материи на халат. Таковых охотников были уже в сборе до четырехсот человек»[7].

მე-19 საუკუნის დასაწყისიდან განსაკუთრებით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ბამბეულის დამმუშავებელი მრეწველობის გან-

---

5 გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში..... გვ. 93.

სხვა ადგილას ავტორი ამბობს, რომ „თბილისსა და ზოგიერთ სხვა ადგილებში არის მცირე რაოდენობა, პატარა, ცუდი, ყოველმხრივ უმნიშვნელო ფაბრიკებისა" (გვ. 229). თუ ზემოთ მოყვანილ ცნობას მოვიგონებთ, სადაც თბილისის ფაბრიკებში დამზადებულ ქსოვილებზე იყო ლაპარაკი, ცხადი გახდება, რომ ავტორი სწორედ საქსოვ ფაბრიკებზე ლაპარაკობს და რომ ასეთი „ფაბრიკები" საქართველოში, გარდა თბილისისა, სხვაგანაც ყოფილა. ხოლო ის ამბავი, რომ იგი მათზე არც თუ სახარბიელო შეხედულებისაა, მაინცდამაინც არსებითი არ არის.

6 დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა აპ. როგავას რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1959. გვ. 239.

7 Приключение Артемия Араратского... т. II., გვ. 2, ხაზი ჩემია, მ. ს. როგორც ცოტა ქვევით დავინახავთ, თითო ნაჭერი ქსოვილი 10—15 არშინი ზომისა იყო. მაშასადამე აღნიშნული 400 მოხალისისათვის ერეკლეს 12—18 ათასი არშინი ქსოვილი მიუცია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ხაზინას ამ საქონლის მნიშვნელოვანი მარაგი ჰქონდა.

ვითარებისათვის[8]. ქვეყანაში მშვიდობიანობის დამყარებამ, მთიელთა თარეშის აღკვეთამ, ქვეყნის ერთი ცენტრალური ხელისუფლების ქვეშ მოქცევამ და, ამასთან დაკავშირებით, შინა ბაჟების გაუქმებამ და ბოლოს, საგზაო მიმოსვლის შედარებით მოწესრიგებამ, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა სავაჭრო მიმოქცევა ქვეყნის შიგნით. ამის გამო გაცილებით გაადვილდა ბამბეულის წარმოების როგორც ნედლეულით მომარაგების, ისე მისი ნაწარმის გასაღების საქმე. მწარმოებელი მოსახლეობის ეკონომიური პირობების გაუმჯობესებამ კი გაზარდა მისი მოთხოვნილება მრეწველობის ნაწარმზე.

მართალია, მე-19 ს. 20-იანი წლებიდან საქართველოში შეღავათიანი ტრანზიტი მოქმედებს, რომლის დროსაც უხვად შემოზიდულმა უცხოურმა საქონელმა მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა ხელოსნობის მთელ რიგ ადგილობრივ დარგებს, მაგრამ ტრანზიტის პირველ პერიოდში (1822-26 წწ.) ეს ბამბეულის დამმუშავებელ წარმოებას არ შეხებია. ჯერ-ერთი, მოცემულ პერიოდში შემოზიდული საქონლის რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე შემდეგ. მეორეც, უცხოური საქონელი აგრე ადვილად ადგილობრივ ბაზარს ვერ დაიპყრობდა, რადგან მოსახლეობა მიეჩვეველი იყო ამ ნაწარმის მოხმარებას, ხოლო მისი გემოვნების განვითარებას დრო სჭირდებოდა. ამასთანავე ერთად, რუსეთში შექმნილმა ვითარებამ საშუალება მისცა ჩვენს ვაჭრებს ბამბეულის ნაწარმის მეტად ფართე გასაღება ეწარმოებიათ რუსეთის ბაზარზე.

ბამბეულის წარმოება რუსეთში შედარებით გვიან. მე-18 საუკუნის მიწურულში ჩაისახა. მართალია, აღნიშნულ წარმოებაში მეტად სწრაფად იწყებს განვითარებას წარმოების კაპიტალისტური წესი და დამახასიათებელია, რომ 1805 წელს სწორედ დასახელებულ დარგში იქნა გამოყენებული რუსეთის იმპერიაში პირველი

---

8 მოცემული ხანის საქართველოს ერთ-ერთი აღწერის ცნობით, თბილისში «есть несколько фабрик, на которых делается сукно и хлопчатая бумага» (Описание Кавказа с кратким историческим и статистическим описанием Грузии, СПб, 1805, стр. 55). ამ პერიოდში საქართველოში ბამბეულის წარმოების ფართოდ განვითარებას ის მნიშვნელოვანი ფაქტიც გვიდასტურებს, რომ მთავარსარდალ ციციანოვს რაკი აქ განლაგებული სამხედრო ნაწილებისათვის რუსეთიდან ტანსაცმლის მიღება ძალიან ჭირდა, გადაუწყვეტია, ლაშქარი ადგილზე დამზადებული უხეში ბამბის ქსოვილით შეემოსა და მას ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ბამბეულის ადგილობრივი წარმოება რაოდენობრივად თავისუფლად შეძლებდა აღნიშნული მოთხოვნილების დაკმაყოფილებას (იხ. Н. Дубровин, Закавказье от 1803—1806 года, СПб, 1966, გვ. 124).

ორთქლის მანქანაᲐ, მაგრამ მიუხედავად ამისა ჯერ კიდევ რუსეთი ძირითადად საზღვარგარეთიდან, უმთავრესად ინგლისიდან, შემოზიდულ საქონელს ხმარობდა. რუსეთში, როგორც ითქვა, ქართული ნაწარმიც შედიოდა. რუსი მრეწველების დაჟინებითი მოთხოვნით 1822 წელს მთავრობამ 1819 წელს გაუქმებული აკრძალვითი ტარიფი აღადგინა და უცხოური საქონლის რუსეთში მოზღვავება შეწყვიტა. მაგრამ რუსეთის ბამბეულის ახალგაზრდა წარმოებას. ბუნებრივია, არ შეეძლო ნაწილობრივადაც დაეკმაყოფილებია იმპერიის მოთხოვნილებები აღნიშნულ ნაწარმზე და ასეთ პირობებში ქართულ ნაწარმს ფართო გზა ეხსნებოდა რუსეთის ბაზარზე. ამასთანავე ერთად, ახალგაზრდა საქსოვ წარმოებას რუსეთში ნედლეული სჭირდებოდა და, ეტყობა, საქართველოდან სულ უფრო მეტად გაჰქონდათ არა ბამბის ქსოვილები, არამედ ნართი შეღებილი. შეუღებავი და გათეთრებული.

ყოველივე ამან განაპირობა ის მდგომარეობა, რომ მე-19 საუკუნის I მეოთხედში ბამბეულის საქსოვი და მასთან დაკავშირებული წარმოებები მეტად ჩქარი ტემპით იზრდება. ამის დადასტურება აღნიშნული დარგების ფარდულების რაოდენობის ზრდა, რომელიც ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდან[10]:

	1807 წ.	1813 წ.	1817 წ.	1819 წ.	1823 წ.	1824 წ.	1827 წ.
საქსოვი ფარდულები	1	7	10	12/41	128	150	33
საჩითაეები	6		3	6	4	5	7
სამღებროები	4	1	5	8	4	13	18

როგორც ვხედავთ, 1807—1827 წლებში ბამბეულის საქსოვი ფარდულების რიცხვი 1-დან 339-მდე გაიზარდა, სამღებროებისა 1-დან 18-მდე. მართალია, საჩითავი ფარდულების ზრდის ტემპები გაცილებით ნელია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იმის ბრალი უნდა იყოს, რომ თანდათან სამღებროები ითავსებდნენ საჩითავი სახელოსნოების ფუნქციებს და ამ დროისათვის ისინი, როგორც

---

9 И. В. Мешалин, Текстильная промышленность крестьян московской губернии в XVIII и первой половине XIX века, М., 1950, გვ. 16, 33.

10 აღნიშნული ცნობები ამოკრებილია სხვადასხვა წლების თბილისის გუბერნატორისა თუ საქართველოს მთავარმმართებლის ანგარიშებიდან 1807 წ. სცსია, ფ. 16, საქ. 495, ფ. 3; 1813 წ. იქვე, ფ. 16, საქმე 1516, ფ. 18; 1817 წ. იქვე, ფ. 16, საქმე 2046, ფ. 86; 1819 წ. იქვე, ფ. 16, საქმე 2420, ფ. 125; 1823 წ. იქვე, ფ. 16, საქმე 3112, ფ. 93; 1824 წ. იქვე, ფ. 16, საქმე 3272, ფ. 150; 1827 წ. იქვე, ფ. 16, საქმე 3503, ფ. 516.

ამაზე ქვევით გვექნება საუბარი, სავარაუდოა, გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობის სამუშაოებს ასრულებდნენ, ვიდრე საკუთრივ ღებვაა.

მოცემული პერიოდის წყაროებში ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ვერც ერთ პირდაპირ მითითებას თბილისში ან საქართველოში გამოშვებული ბამბეულის ნაწარმის რაოდენობის შესახებ. იმის გამო, რომ აღნიშნული წარმოება ხელოსნებსა და ძირითადად შინამრეწველებს შორის იყო გაფანტული. მეტად საეჭვოა, რომ ამ მხრივ რაიმე საიმედო მითითება როდესმე იქნეს აღმოჩენილი. მაგრამ ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობის მიხედვით შეიძლება დადგინდეს გარკვეულ პერიოდებში რუსეთსა და კავკასიის ზოგიერთ რაიონში თბილისიდან გატანილი საქონლის რაოდენობა, რის მიხედვითაც შეიძლება დაახლოებით ნავარაუდევი იქნას აქ გამოშვებული პროდუქციის საერთო რაოდენობაც.

ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ქართული წარმოების ბამბეული ქსოვილები რუსეთში საკმაოდ ფართო ექსპორტირების საგანი იყო. რუსეთში ამ საქონლის გატანა იმდენად მნიშვნელოვანი იყო. რომ ქართველ ხელისუფლებს სპეციალური ბაჟები დაუწესებიათ საქართველოდან უშუალოდ რუსეთში გასატან ბამბეულის ქსოვილებზე. აღნიშნული ბაჟები იჯარა შესყიდვის წესით გაიცემოდა და ცალ-ცალკე აიღებოდა კახეთიდან, ქართლიდან და თბილისიდან გატანილ საქონელზე. მას „საბეჭდავის მოსაკრები" («печатнопошлинный сбор») ან „საბეჭდავის მუხლი" («стемпельная статья») ეწოდებოდა. აღნიშნული მოსაკრები ფორმალურად უცვლელი დარჩა მე-19 საუკუნის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე. ადგილობრივი მთავრობის ერთ-ერთ განცხადებაში ვკითხულობთ: «печатнопошлинный сбор и другия откупныя статьи отдаются на откуп на том основании, как при грузинских царях был, равно сие и в контакте упоминается»[11]. ხოლო კონტრაქტი ითვალისწინებდა, რომ შემსყიდველს უფლება ეძლეოდა აეღო ბაჟი შემდეგი რაოდენობით: თუ ქსოვილი დაუმუშავებელი იყო— თეთრი, უბრალო, მაშინ მის ათარშინიან ცალზე (სხვა ცნობით მისი ზომა 15 არშინს უდრიდა) აიღებოდა ბაჟი 2½ კაპ. რაოდენობით, ხოლო თუ დამუშავებული იყო, ე. ი. სპეციალურად გათეთრებული,

---

[11] საქ. ცსია, ფ. 26, აღ. 1, საქმე 2361, ფ. 9.

შეღებილი ან მოჩითული, მაშინ ბაჟი 10 არშინიანი ნაჭრიდან 10 კაპ. უნდა აღებულიყო ვერცხლით[12].

შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. 1821 წელს აღნიშნული მოსაკრების შემსყიდველი მოქალაქეები ადგილობრივ ხელისუფლებასთან საჩივრით შედიან: თბილისელი ვაჭრები დიდ ზიანს გვაყენებენო იმით, რომ ისინი «Во избежании платежа следуемой им откупщикам пошлины на приложение на бумажных изделиях, стемпеля, вывозят отсюда в другие места для продажи, вместо бумажного холста, пряденую из бумаги же нить, каковой торговли до сего времени вовсе не было, и через ведения которого терпят они немаловажный убыток»[13].

საქმემ იმდენად სერიოზული ხასიათი მიიღო, რომ აღნიშნული მოსაკრების შემსყიდველებმა 1822 წელს უარი განაცხადეს კონტრაქტის გაგრძელებაზე. სახაზინო ექსპედიცია შეშინდა, რომ აღნიშნული მუხლი საერთოდ გაუყიდელი დარჩებოდა; ამიტომ მან სა-

---

12 ი ქ ვ ე; 20-იანი წლების დასაწყისში ადგილობრივი ვაჭრები ჩივიან. რომ ჩვენ რუსეთში ადრეც გაგვქონდა საქონელი, მაგრამ ბაჟებს გაცილებით ნაკლებს ვიხდითო. „არც ქართველი მეფეების დროს და არც აქობამდის, — აღნიშნავენდნენ ისინი, — რუსეთის მმართველობის დროს თოფის წამალზედ ორი შაური არ აღებულა, თუმცა კონტრაქტშიც ორი შაური ყოფილა დაწერილი და აღებულია მხოლოდ ერთი შაური და იმაზე მეტი დებულებაც არ ყოფილა". ცხადია, ნთავრობამ ვაჭრების ამ საჩივარს ყურადღება არ მიაქცია და მიუთითა, რომ 1814 წლამდე ჩვენ კონტრაქტში არ მიეუთითებდით ბაჟის რაოდენობას. მხოლოდ აღნიშნავდით, რომ იგი აიღოს ქართველი მეფეების დაკანონებული წესების მიხედვით. 1814 წლიდან ჩვენ დავიწყეთ ბაჟის რაოდენობის მითითება ზემოთ აღნიშნული ზომით; მაგრამ დღემდე არავის საყვედური არ გამოუთქვამს რომ აღნიშნული ბაჟის ზომა განსხვავდება ქართველი მეფეების დროინდელისაგან ასე, რომ ეხლა თქვენი საჩივარი მიუღებელიაო.

მაგრამ ჩვენთვის სხვა გარემოებაა საინტერესო. თუ, როგორც ვაჭრები მიუთითებდნენ მე-18 საუკუნის ბოლო ხანებში და მე-19 საუკუნის დასაწყისში, რუსეთში გატანილი საქონელზე ბაჟი ფაქტიურად ერთიორად ნაკლები აიღებოდა, ვიდრე ეს კონტრაქტში იყო გათვალისწინებული, ეს იმაზე მიუთითებს. რომ იმ დიდი უბედურების პერიოდში, როცა თბილისმა და საქართველომ საშინელი აოხრება განიცადა, ბამბეულის წარმოება ჩვენში მეტად დაცემულა. ამის გამო რუსეთში საქონლის გატანა იმდენად შემცირებულა, რომ იძულებულნი გამხდარან წახალისების მიზნით ბაჟები შეემცირებიათ.

13 სცსია, ფონდი 26, აღ. 1, საქმე 2361, ფ. 1—2.

ქართველოს სამოქალაქო მმართველობას წინადადებით მიმართა რუსეთში გატანილ ნართზეც დაეწესებია ბაჟი[14].

ამის შემდეგ 1823-26 წლებში აღნიშნული მოსაკრები შეუსყიდია კომპანიას მე-12 კლასის კომისიონერის ზუბალაშვილის მეთაურობით. კონტრაქტით გათვალისწინებული იყო, რომ «откупщики должны взимать положенную пошлину только о вывозимой пряжи, не касаясь той, которая вырабатывается для надобностей города»[15]. აღნიშნული მოსაკრები ზუბალაშვილმა წელიწადში 4.600 მანეთად შეისყიდა. მაგრამ მისი შემოსავალი გაცილებით მეტი იქნებოდა, რადგან შემსყიდველს უნდა დაეფარა საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარჯები და მოგებაც მიეღო.

ამრიგად ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოსაკრების საერთო შემოსავალი 8—10 ათას მან. მაინც უდრიდა. პირობით თუ დავუშვებთ, რომ გატანილი დამუშავებული და დაუმუშავებელი ნაწარმის რაოდენობა თანაბრი იყო, ამასთან გავითვალისწინებთ, რომ ქსოვილის ნაჭერი (თოფი), რომელზედაც ბაჟი იყო დაწესებული, 10—15 არშინიანი ზომის ყოფილა, მაშინ დაახლოებით შეიძლება დავადგინოთ, რომ $12^1/_2$ არშინ ქსოვილზე, ან მის შესაბამის ნართზე საშუალო ბაჟი $6^1/_2$ კაპიკს უდრიდა, ხოლო იმისათვის, რომ შემსყიდველს 8—10 ათასი მან. საერთო შემოსავალი მიეღო, თბილისიდან რუსეთში გატანილი ბამბის ქსოვილისა და ძაფის რაოდენობა 1.438 ათასიდან 1.921 ათასამდე არშინი ქსოვილის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ეს მეტად თვალსაჩინო რიცხვია. მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ მასში არ შედის არც ადგილზე მოსახმარად წარმოებული და არც კავკასიის სხვადასხვა რაიონში გასატანად დამზადებული ქსოვილები[16]. ყოველივე ზემოთქმულის გათვალის-

[14] ი ქ ვ ე, ფ. 6, ეს ბაჟი შემდეგნაირად გამოიანგარიშებოდა: იღებდნენ იქ ნართის წონას, რაც საჭირო იქნებოდა 15 არშინი ნარმის მოსაქსოვად (ამასთან იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ სხვადასხვა ხარისხის ქსო�eლს სხვადასხვა რაოდენობის ძაფი დასჭირდებოდა) და ამ წონის მიხედვით აწესებდნენ დაუმუშავებელზე $2^1/_2$ ხოლო დამუშავებულზე 10 კაპ.

[15] ი ქ ვ ე, 6.

[16] კავკასიის სხვადასხვა ადგილებში და კერძოდ ჩრდილოეთ კავკასიაშიც კი მოცემული ნაწარმის გატანა მეტად მნიშვნელოვანი `ყოფილა, მაგალითად, მარტო მოზდოკის კარანტინის 1815 წლის 16 კვირის უწყისებით (ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ამ დროს ბამბეულის წარმოებას ჩვენში ჯერ კიდევ არ მიუღწევია თავისი განვითარების უმაღლესი დონისთვის) საქართველოდან ჩრდ. კავკასიაში ჩაუტანიათ მოჩითული ბამბის ქსოვილი 7125 თოფი, ჩითი 1326 თოფი, კუმაჩი 383 თოფი, ბურმენტი 13321 თოფი, ბამბის გადასაფარე-

წინებით, თბილისსა და მის რაიონებში დამზადებული ბამბეული ნაწარმის წლიური პროდუქცია 2—3 მილიონი არშინის შესაბამისად მაინც უნდა ვიგულისხმოთ. სამწუხაროდ, ჩვენი ანგარიში მათემატიკურ სიზუსტეს მოკლებულია, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იგი გადაჭარბებული არ არის. ეს კი მეტად ფართო მასშტაბის წარმოებაა იმდროინდელი თბილისისათვის. მაგრამ ჩვენ აქ ხაზი გვინდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ბამბის წარმოება დაახლოებით ასევე იყო განვითარებული მთელ ქართლ-კახეთში. ის ამბავი, რომ მაგალითად, კახეთში, რუსეთში გასატან ნაწარმზე ბაჟის მოსაკრები ცალკე გაიცემოდა, ამ ადგილიდან საკმაოდ დიდი რაოდენობის გატანაზე მიუთითებს. ამრიგად, შეიძლება დაბეჯითებით აღვნიშნოთ, რომ მე-18 და მე-19 საუკუნეების მიჯნაზე საქსოვი და კერძოდ ბამბეულის საქსოვი წარმოება მთელს აღმოსავლეთ საქართველოში განვითარების მაღალ დონეზე იდგა.

განვითარების ასეთი მაღალი დონე კი გვიკარნახებს მასში წარმოების მაღალი, — მანუფაქტურული, ფორმები ვეძიოთ, რადგან ამქრულ-ხელოსნურ, ანდა საოჯახო წარმოებას არ შეეძლო მოეცა იმდენი ნამატი, რომ ადგილობრივი ბაზარიც დაეკმაყოფილებია და ასე ფართო მასშტაბით ეწარმოებია გატანა საგარეო ბაზარზე; მანუფაქტურული წარმოება კი, მარქსის სიტყვით, უპირველეს ყოვლისა „წარმოიშვება იქ, სადაც ხდება მასობრივი წარმოება გაზიდვის მიზნით, საგარეო ბაზრისათვის“[17].

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაზე დაკვირვებას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თბილისისა და საქართველოს ბამბეულის დამუშავებაში ძირითადი ადგილი შინაწარმოებას ეკავა. თუმცა თბილისში იყვნენ საქსოვი ან მასთან დაკავშირებული დარგების ხელოსნები, მაგრამ მათი წვლილი წარმოებაში გაცილებით ნაკლები იყო, ხოლო როგორც დგინდება, ყოველ შემთხვევაში მე-19 საუკუნის და-

---

ბელი 2224, ნარმა 9829 თოფი, შილი 12540 თოფი, და სხვ. საქონელი, ე. ი. მარტო ქსოვილის სახით ჩაუტანიათ 44524 თოფი. თუ თოფის საშუალოდ 10—15 არშინს ეიანგარიშებთ, მაშინ გამოვა რომ მარტო 1815 წლის 16 კვირის განმავლობაში საქართველოდან ჩრდ. კავკასიაში 445240—667866 არშინი ქსოვილი ჩაუტანიათ. ამრიგად, ადვილი წარმოსადგენია თუ რამდენად დიდი რაოდენობის ქსოვილი ჩაჰქონდათ იქ მთელი წლის განმავლობაში. იხ. მაგ., Кумыков, Т. Х., Вовлечение Северного Кавказа во всероссийский рынок, Нальчик. 1962.

[17] კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, სახელგამი, 1952, გვ. 65.

საწყისში (20-იან—30-იან წლებამდე) აღნიშნული დარგების ხელოსნები ამქარში არ ყოფილან გაერთიანებულნი[18]. მარქსი კი გარკვევით მიუთითებს, რომ „მანუფაქტურა პირველად იპყრობს არა ეგრეთწოდებულ ქალაქურ ხელოსნობას, არამედ სოფლის დამხმარე დამატებით სარეწავს, რთვას და ქსოვას, შრომის იმ სახეს, რომელიც ყველაზე ნაკლებ მოითხოვს ამქრულ გაწაფვას, მხატვრულ დახელოვნებას.. სოფლის დამხმარე დამატებითი სარეწავი შეადგენს მანუფაქტურის ფართე ბაზისს"[19]. ამრიგად წარმოების მაღალი განვითარების პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ თბილისისა და საქართველოს ბამბეულის მრეწველობაში შედარებით ადვილად იჩენდა თავს (წარმოების კაპიტალისტურ ფორმებზე გადასვლის ტენდენცია. ეს გადასვლა წარმოებაში სავაჭრო კაპიტალის ჩარევით უნდა დაწყებულიყო — „სასაქონლო მეურნეობის პირობებში, — წერს ვ. ი. ლენინი, — წვრილი მწარმოებელი აუცილებლად დამოკიდებული ხდება სავაჭრო კაპიტალისაგან იმ წმინდა ეკონომიური უპირატესობის გამო, რომელიც მსხვილ მასობრივ გასაღებას აქვს, დაქსაქსულ წვრილ გასაღებასთან შედარებით"[20]. ეს დამოკიდებულება პირველად ნა-

---

18 ერთ-ერთი საბუთი ეხება თბილისის ამქრების რაოდენობას 1825-30 წლებში (აკად. კორნელი კეკელიძის სახელობის საქართვ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი Ros d 268, ფ. 2). მასში არც მქსოველთა ამქარია დასახელებული. არც მღებავთა და არც მჩითავთა. ჩვენ ეს გარემოება შეიძლებოდა საბუთის ნაკლოვანებად ჩაგვეთვალა, რომ ამასვე არ ადასტურებდეს მეორე საბუთიც, რომელიც უკვე 1849 წელს ეკუთვნის (იქვე, ფ. Ros 291, ფ. 102). საბუთი ეხება ამქრის მოწყობას თბილისში და მოითხოვს გაუქმდეს მთელი რიგი ამქრები, შემდეგი მიზეზების გამო: как потому, что (1) в прежния времена не имели устабашев, таки потому, что (2) они не принадлежат к классу ремесленников (3), а некоторые хотя и принадлежат, но не имеют оседлости в Тифлисе. ამქართა ამ რიცხვში შეუყვანიათ (№ 67) მღებავები სხვადასხვა საღებაკებით ბამბის ქსოვილებისა და ძაფისა, მჩითავები და მქსოველები. დასახელებულ ამქრებს არ შეეფერებოდათ ზემოთ მოყვანილი განმარტების არც მეორე და არც მესამე პუნქტი, რადგან ისინი ხელოსნების კატეგორიას მიეკუთვნებოდნენ და ძირითადად ადგილობრივი მცხოვრებლებისგან შედგებოდნენ. მაშასადამე, მათი გაუქმება გადაუწყვეტიათ «... потому, что в прежние времена не имели устабашеа...» ჩვენ ვერც სხვაგან სადმე წავაწყდით ცნობას, რომ მოცემულ პერიოდში აღნიშნული ხელოსნები ამქარში ყოფილიყვნენ გაერთიანებულნი.

19 კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი, ფორმები, გვ. 66, თბ., 1952.

20 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 3, გვ. 416.

წარმის შესყიდვიდან იწყება. რაკი ჯერ კიდევ მე-18 საუკუნიდან მოყოლებული, თბილისური ბამბეულის ქსოვილები არამც თუ ადგილობრივ ბაზრებს ავსებდა, არამედ ქვეყნის გარეთაც კი გადიოდა. ბუნებრივია, უშუალო მწარმოებელი ასეთ ფართო ბაზარს ვერ მოიცავდა, რადგან „დიდ ბაზარზე გასაღებაც დიდი, მასობრივი უნდა ყოფილიყო". ცხადია, თბილისელი ან ვთქვათ კახელი შინამრეწველი, თავისი ნაწარმის გასასაღებლად, ბაზარზე ვერ გავიდოდა, მით უმეტეს იგი ვერ წავიდოდა ყიზლარში, ასტრახანში და სხვაგან, რადგან მისი წარმოება წვრილია, პროდუქცია მცირე, იგი ვერ აანაზღაურებს ხარჯებს; გარდა ამისა, მან თუ გასაღებაზე იზრუნა, მაშინ როდისღა უნდა აწარმოოს? „და აი წარმოების წვრილი ხასიათი შეურიგებელ წინააღმდეგობაში ვარდება მსხვილი, საბითუმო გასაღების აუცილებლობასთან. არსებულ საზოგადოებრივ სამეურნეო პირობებში, წვრილ მწარმოებელთა განცალკევებისა და დაშლის დროს, ამ წინააღმდეგობიდან სხვა გამოსავალი არ იყო, გარდა იმისა, რომ შეძლებული უმცირესობის წარმომადგენლებმა ხელთ იგდეს გასაღება, მოახდინეს მისი კონცენტრაცია"[21].

თუმცა საქართველოს სხვადასხვა ადგილებში ბამბის კულტურის მოყვანას ძველი დროიდან მისდევენ, მაგრამ მე-19 საუკუნის დასაწყისში და, ეჭვი არ არის, მე-18 საუკუნის ბოლოსაც, აღნიშნული სარეწები ძირითადად შემოტანილ ბამბის ნედლეულზე მუშაობენ. 20-იანი წლებისათვის თბილისელი მქსოველები ძირითადად ერევნიდან შემოტანილ ბამბას ამუშავებენ[22], ხოლო არაერთი საბუთის მითითებით, კახეთში აღნიშნული ნედლეული დიდი რაოდენობით შემოჰქონდათ სპარსეთიდან[23].

საფეიქრო სარეწების ნედლეულით მომარაგების საქმეში უკვე თვალნათლივ იჩენს თავს სავაჭრო კაპიტალის აქტიური ჩარევა

---

21 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ, თხზ. ტ. III, გვ. 420.

22 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d 110.

23 სესია, ფონდი 16, საქმე 2420, ფ. 189. თავისთავად ნედლეულის დიდი რაოდენობით შემოზიდვა კიდევ ერთი უტყუარი მაჩვენებელია წარმოების ფართო მასშტაბისა. პროფ. როეკოვას ნაშრომში: Экономическая политика царского правительвста на среднем востоке, м. 1949, გვ. 111 მოტანილი აქვს მეტად საგულისხმო ცნობები მე-19 საუკუნის 20-იან წლებში ერევნიდან და სხვა რაიონებიდან თბილისში მოტანილი ნედლი ბამბის რაოდენობის შესახებ. მაგალითად, ერევნიდან თბილისში მოჰქონდათ 70 ათასი ფუთი ნედლი ბამბა, ნახჩევნის ოლქიდან თბილისსა და თურქეთში 35 ათასი ფუთი, გორიდან ორივე მიმართულებით არანაკლებ 63 ათასი ფუთისა.

წარმოებაში. იოსებ შახგუბატოვის მიერ 1819 წელს შედგენილ საქართველოს მოკლე აღწერაში ხაზგასმულია, რომ «купцы скупают хлопчатую бумагу, привозимую в значительном числе вьюков из Ериваня, меняют оную на пряжу, отдавая за тонкую вдвое против весу бумаги в материал; за посредственную одну часть и три четверти весу, а за толстую пряжу полтора раза менее[24].

როგორც ვხედავთ, მწარმოებელი მოწყვეტილია არა მარტო გასაღების ბაზარს, არამედ ნედლეულის ბაზარსაც. მოცემულ შემთხვევაში იგი ნედლეულს ვაჭარი შემსყიდველისაგან იღებს გაცვლის სახით.

„წვრილი მრეწველისათვის წარმოების მასალის მიყიდვა, შეიძლება შეადგენდეს სავაჭრო კაპიტალის დამოუკიდებელ ოპერაციასაც, — აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, — თუ კი ნაწარმის შემსყიდველი ანგარიშის გასწორებას იწყებს იმ ნედლი მასალით, რომელიც „შინამრეწველს" ესაჭიროება, ეს ნიშნავს მეტად დიდ ნაბიჯს კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებაში, მას შემდეგ, რაც შემსყიდველმა წვრილი მრეწველი მოწყვიტა მზა ნაწარმთა ბაზარს, ეხლა იგი მას სწყვეტს ნედლეულის ბაზარს და ამით საბოლოოდ იმორჩილებს შინამრეწველს. ამ ფორმიდან ერთი ნაბიჯია რჩება სავაჭრო კაპიტალის იმ უმაღლეს ფორმამდე, როცა შემსყიდველი პირდაპირ ურიგებს მასალას „შინამრეწველს" განსაზღვრულ ფასებში დასამუშავებლად. შინამრეწველი de facto ხდება დაქირავებულ მუშად, რომელიც მუშაობს კაპიტალისტისათვის თავის სახლში. აქ შემსყიდველის სავაჭრო კაპიტალი იქცევა სამრეწველო კაპიტალად. იქმნება კაპიტალისტური შინმუშაობა"[25].

რომ შემსყიდველის მიერ შინამრეწველის თანდათანობით დამორჩილების პროცესს მეტნაკლებად ადგილი ჰქონდა თბილისის (და ალბათ საქართველოს) საფეიქრო წარმოებაში, ამას ნათლად ადასტურებს დაკვირვება აღნიშნული წარმოების მთელ სისტემაზე, რომელიც მრავალ ცალკეულ დარგს მოიცავდა და რომელსაც მთლიანად სავაჭრო კაპიტალი ედგა სათავეში. წარმოების მთელი პროცესი შემდეგ სტადიებად იყოფოდა: 1. ვაჭარი შეისყიდიდა ნედლ ბამბას. 2. ნედლ ბამბას აძლევდა მპენტავებს განსაზღვრულ

---

24 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d, 110.

25 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 3, გვ. 429—430.

ფასში დასამუშავებლად: უმცროსი აგრონომის შანშიევის და ინჟინერ ტექნოლოგის ბიხოლდის ერთ-ერთ უფრო გვიანდელ (50-იანი წლების ბოლო ხანების) პატაკში ვკითხულობთ, რომ ბამბის წარმოება «существует в Тифлисе с давних пор и до появления машин составляло особое ремесло, занимавшее множество рук и доставлявшее средства к жизни многим бедным семействам. Этот промысел распадался между двумя отдельными классами ремесленников: трепальщиков и приготовителей ваты. Первое сословие, по обычаю, принимало сырую хлопку от продавцов ее, растрепав и очистив на своем луке (очень простой аппарат, состоящий из лука, натянутого струной) возвращал ему, получая весьма скудное вознаграждение от 25—40 к. в день»[26]. მართალია, აქ ავტორები მოსახმარი ბამბის დამზადებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ეს არაფერს არ ცვლის, რადგან მპენტავის როლი როგორც საქსოვი, ისე მოსახმარი ბამბის წარმოებაში ერთი და იგივე იქნებოდა. მწარმოებელი ვაჭრისთვის მუშაობს ქირით, ე. ი. ფაქტიურად მისი დაქირავებული მუშაა. 3. გაპენტილ ბამბას მისცემდნენ მრთველებს, როგორც ზევით მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ნაწარმის ნედლეულზე გაცვლის სახით დასამუშავებლად; თუმცა ჩვენ ვფიქრობთ, რომ ნედლეულით ანაზღაურება მოცემულ პერიოდში უკვე ძველთაგან აქა-იქ შემორჩენილი წესი უნდა ყოფილიყო და თუ სხვა ოპერაციები განსაზღვრული ფასით სრულდებოდა, ეჭვი არ არის, რომ უმრავლეს შემთხვევაში მრთველებიც ძირითადად ფულად იღებდნენ გასამრჯელოს; 4. გაპენტვისა და დართვის შემდეგ ნედლეული ბეჭოველთან მოდიოდა: «Таким образом вымененную пряжу, — აგრძელებს ი. შახგუბატოვი, — отдают ткачам для приготовления Аладжи (род пестрой ткани) и широкого полотна для простых женских чадр и разных сортов бязи»[27]. წარმოების პროცესი ამით არ მთავრდება. 5. შემდეგი ოპერაცია უკვე მღებავისა თუ მჩითავის სახელოსნოში წარმოებს: ამრიგად დამზადებულ ქსოვილისგანო—აგრძელებს ზემოთ აღნიშნული ავტორი «набойщики делают скатерти, одеяла, выбойки, платки, покупаемые горскими и деревенскими жителями»[28]. ამასაც მიუთითებს დაახლოებით იმავე პერიოდის სხვა

---

26 სცსია, ფონდი, 240, აღ. 1, საქმე 1292, ფურც. 4.

27 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d 110.

28 იქვე.

საბუთიც: «набойщики или читави делают для купцов набойки из бязи для скатертей, занавес, маленьких платков...»[29] და სხვ. როგორც ვხედავთ, ყველა მოცემულ შემთხვევაში შემსყიდველს დამორჩილებული ჰყავს შინამრეწველი ,იგი მას პირდაპირ ურიგებს მასალას განსაზღვრულ ფასებში დასამუშავებლად და, ამრიგად, მას თავის დაქირავებულ მუშად აქცევს.

რომ მთელ ამ პროცესს, და მაშასადამე საქსოვი წარმოების მთელ სისტემას საქართველოში, როგორც წესი, სავაჭრო კაპიტალი ედგა სათავეში, ამაზე მრავალი საბუთი მიგვითითებს:«Тифлисские купцы — ვკითხულობთ პოლკ. კოცებუს მიერ შედგენილ საქართველოს აღწერაში —производят торг особенно шерстяными, бумажными материалами, делают Аладжи (род пестрой ткани), приготовляют скатерти, одеяла, выбойки, платки и прочие»[30].

გასაგებია, რომ ვაჭრები აღნიშნულ ნაწარმს თავის ხელით ვერ დაამზადებდნენ, საბუთი გულისხმობს მათ მეთაურობას აღნიშნულ წარმოებაში.

ამრიგად, სრულიად უდავოა „შემსყიდველთა სრულიად განუყრელი კავშირი წარმოებასთან. წარმოებაში მათი პირდაპირი მონაწილეობაც კი; „მონაწილეობა“ როგორც დაქირავებული მუშის მყოლი სახელოსნოს მეპატრონისა... შემსყიდველთათვის მუშაობა არის წარმოების განსაკუთრებული ფორმა, წარმოებაში ეკონომიური ურთიერთობის განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც უშუალოდ წვრილი სასაქონლო წარმოებიდან აღმოცენდა... შემსყიდველთათვის მუშაობა, რაც უშუალოდ ესაზღვრება დაქირავებული მუშების მყოლ კაპიტალისტურ სახელოსნოს და ხშირად წარმოადგენს მხოლოდ მის გაგრძელებას, ან ერთ-ერთ მის განყოფილებას, ფაბრიკის პირდაპირი დანამატია. თუ ამ უკანასკნელს გავიგებთ მისი არა მეცნიერული, არამედ სალაპარაკო მნიშვნელობით. მრეწველობის ფორმათა მეცნიერული კლასიფიკაციის მიხედვით კი, ამ ფორმათა თანმიმდევრული განვითარების პროცესში, შემსყიდველისათვის მუშაობა უმეტესწილად კაპიტალისტურ მანუფაქტურას მიეკუთვნება, ვინაიდან იგი: 1) დაფუძნებულია ხელით წარმოებაზე და წვრილი წარმოების ფართო ბაზისზე; 2). ამ საწარმოთა მიხედ-

---

29 სცსია, ფ. 16,, საქმე 495, ფურც. 38.

30 (ЦГВИА, ф. ВУА, д. 1481, ф. 55).

ვით შემოაქვს შრომის დანაწილება, ავრცელებს რა ამ დანაწილებას სახელოსნოს შიგნითაც; 3) წარმოების სათავეში აყენებს ვაჭარს, როგორც ეს ყოველთვის ხდება ხოლმე მანუფაქტურაში, რომელიც ვარაუდობს წარმოებას ფართო მასშტაბით, ნედლეულის ბითუმად შესყიდვასა და პროდუქციის გასაღებას; 4) მშრომელებს აქვეითებს დაქირავებული მუშის მდგომარეობამდე, რომელნიც მეპატრონის სახელოსნოში ან საკუთარ სახლში მუშაობენ. სწორედ ამ ნიშნებით ხასიათდება, როგორც ვიცით, მეცნიერული ცნება მანუფაქტურისა, როგორც კაპიტალიზმის განვითარების განსაკუთრებული ფორმისა მრეწველობაში... მრეწველობის ეს ფორმა, როგორც ცნობილია, ნიშნავს კაპიტალიზმის ღრმა ბატონობას და მისი უკანასკნელი და უმაღლესი ფორმის, ე. ი. მსხვილი მანქანური ინდუსტრიის უშუალო წინამორბედია"[31].

განხილული მასალიდან ჩანს რომ წარმოების სტრუქტურა თბილისისა და საქართველოს ბამბეულის წარმოებაში თითქმის ზუსტად აკმაყოფილებს იმ ოთხივე ნიშანს, რომელსაც ვ. ი. ლენინი საჭიროდ მიიჩნევს კაპიტალისტური მანუფაქტურის ცნების განსასაზღვრავად: 1. იგი დაფუძნებული იყო ხელით შრომაზე და წვრილი წარმოების ფართო ბაზისზე, 2. ამ საწარმოთა მიხედვით საკმაოდ ნათლად ჩანდა შრომის საკმაოდ მკვეთრი დანაწილება. ცალკე სპეციალისტები მუშაობდნენ მასალის გაპენტვაზე, ცალკე — რთვაზე, ქსოვაზე, ღებვაზე, მოჩითვაზე და ა. შ. 3. ჩვენ არა ერთი ცნობა მოვიტანეთ იმის დასამტკიცებლად, რომ თბილისისა და საქართველოს ბამბეულის საქსოვი წარმოების სათავეში როგორც წესი, ვაჭრები გამოდიოდნენ. 4. ჩვენს მიერ განხილული მასალიდან აგრეთვე ჩანდა, რომ რამდენადაც ვაჭარი შემსყიდველები მწარმოებლებს ქირით ამუშავებდნენ, ამდენად უკანასკნელნი ფაქტიურად მათი დაქირავებული მუშების როლში გამოდიან. ამრიგად თითქმის არაფერი არ ეღობება წინ იმას, რომ თბილისის ბამბის საქსოვ წარმოებაში დანაწევრებული მანუფაქტურის არსებობა ვივარაუდოთ. რასაკვირველია, შეიძლება დავა მისი განვითარების ხარისხზე, მაგრამ რაღაც ფორმით მისი არსებობა, ჩვენ ვფიქრობთ, ნათელია[32].

---

31 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 533—534.

32 ამგვარ შეფასებას არ იზიარებს მკვლევარი დ. გოგოლაძე (იხ. მისი „სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხები", თბ., 1966 წ.) „მ. სამსონაძის ნაშრომში მოტანილი მასალა, — ამბობს იგი (გვ. 202) ვერ ადასტურებს ვაჭრის მიერ წარმოებას. კა-

ამასთან დაკავშირებით იბადება კითხვა, აღნიშნული წარმოება მხოლოდ „უშუალოდ ესაზღვრება დაქირავებული მუშების მყოლ კაპიტალისტურ სახელოსნოს“ თუ „წარმოადგენს მხოლოდ მის გაგრძელებას, ან ერთ-ერთ მის განყოფილებას“.

საბუთები არ ანცალკევებენ შინამრეწველურ და ხელოსნურ საწარმოებს. ისინი შეჯამებულად იძლევიან მათ რიცხვს —«вырабатывается хлопчатая бумага в лавках и домах» —და შემდეგ რაოდენობას. ამიტომ შეუძლებელია განცალკევება რამდენია სახელოსნო და რამდენი შინა საწარმო. სახელოსნოების არსებობა კი ფაქტია. შეუძლებელია დადგენა აღნიშნული სახელოსნოების მასშტაბის, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ ისინი გაცილებით დიდი იყვნენ ჩვეულებრივ სახელოსნოზე და ემყარებოდნენ დაქირავებული შრომის გამოყენებას, შემოჰქონდათ შრომის დანაწილება სახელოსნოს შიგნით და ამდენად საქსოვი წარმოების სისტემაში ცენტრალური სახელოსნოს როლს ასრულებდნენ (მოვიგონოთ, რომ ჯერ კიდევ გიულდენშტედტი მათ „ფაბრიკებს“ უწოდებდა, ხოლო რუსული ოფიციალური ცნობები კი „ფაბრიკას“ და „მანუფაქტურას“).

მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ წარმოების აღნიშნულ სისტემაში ცენტრალური სახელოსნოს როლს უმეტეს წილად სამღებროები ასრულებდნენ. მათზე ცოტა უფრო ქვევით შევჩერდებით.

ჭიტაელისტურ წესზე გადასვლას“... და შემდეგ უმატებს, ეს მხოლოდ პირველ ნაბიჯს მოწმობს ამ მხრივ. როგორც დავინახეთ, ვ. ი. ლენინი საკითხს სხვაგვარად უდგება. მაგრამ დ. გოგოლაძე კიდევ უფრო შორს მიდის. იგი მთელ აღწერილ პროცესს „ფეოდალური ეპოქის მრეწველობისთვისაც (ძირითადად ხელოსნური) „დამახასიათებლად თვლის (გვ. 203). ვ. ი. ლენინი კი „შემსყიდველებს ყველაზე დიდ მრეწველებს“ უწოდებს, იქვე დასძენს, რომ „ჩვეულებრივი ნაროდნიკული თვალსაზრისით ეს ერესია“ (ტ. 3, გვ. 517) და ასკვნის, რომ შემსყიდველთათვის მუშაობა თუმცა ჩამორჩენილი (იგულისხმება XIX საუკუნის მიწურული რუსეთისათვის), მაგრამ მაინც კაპიტალისტური ფორმაა (ტ. 3, გვ. 534). ამრიგად, დ. გოგოლაძე არსებითად იმავე შეცდომას იმეორებს რასაც გასული საუკუნის ბოლოს რუსი ნაროდნიკები უშვებდნენ და რისთვისაც მათ ვ. ი. ლენინის გამანადგურებელი კრიტიკა იწვნიეს.

საფეიქრო წარმოების მთელი სტრუქტურა და ორგანიზაცია ჩვენში გვიკარნახებს, რომ იქ ცენტრალური სახელოსნოს არსებობა ვივარაუდოთ, მაგრამ ეს ვარაუდი რომც არ გამართლდეს წარმოების მანუფაქტურული ხასიათი მაინც უდაოა. იგი მანუფაქტურას უახლოვდება რადგან მის ყველა ნიშანს აკმაყოფილებს.

ჩვენ ძირითადად ბამბის საქსოვ წარმოებაზე ვილაპარაკეთ, რადგან, ჯერ-ერთი, აღნიშნულ პერიოდში იგი ყველაზე ფართოდ განვითარებული და მნიშვნელოვანია, მეორეც, მასზე ჩვენ უფრო მეტი მასალები მოგვეპოვება. მაგრამ ბამბის საქსოვი წარმოების ასეთი ფართო გავრცელების და დაწინაურების პირობებში საფეიქრო წარმოების სხვა დარგებშიც განვითარების თვალსაზრისით გარკვეული ცვლილებები უნდა ვივარაუდოთ; მნიშვნელოვანი ძვრები შეინიშნება აბრეშუმის წარმოებაშიც და ახალი წყობის ჩანასახები მასშიაც ფართოდ იკვლევს გზას; ყოველ შემთხვევაში გასული საუკუნის დასაწყისისათვის სავაჭრო კაპიტალის გარკვეული ბატონობა ამ დარგშიც შეიმჩნევა: «Купцы торгующие шелком называются казаками, они ткут золотые, серебряные позументы и шелковые тесмы, для обшивки мужских кафтанов — сучат и красят шелк, который покупают в довольном количестве тагаурцы и осетины. Шелку много расходится в Тифлисе; где почти все женщины занимаются узорчатым шитьем с золотом и серебром по разным материам»[33]. აღნიშნული საბუთი (ჩვენ მას ხშირად ვიშველიებთ) 1819 წლისაა. მასში არაფერია ნათქვამი აბრეშუმის ქსოვილების წარმოებაზე (მოვი, დარაია და სხვ.) მაშინ, როდესაც უფრო ადრეული წყაროები მიუთითებენ, რომ ამ ქსოვილების წარმოება თბილისში საკმაოდ განვითარებული ყოფილა. ამ პერიოდში კი უკვე აღმოსავლური საქონელი ჩვენში შეღავათიანი ბაჟით შემოდიოდა. აღნიშნულმა ვაჭრობამ შეაფერხა აბრეშუმის ქსოვილების წარმოება, რომელიც ბამბის წარმოებას ვერ შეედრებოდა თავისი სიძლიერით. ამას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ საბუთი მხოლოდ ნახევარ ფაბრიკატების წარმოებაზე მიუთითებს, რომელიც ამიერკავკასიის მასშტაბით საღდებოდა. თანდათანობით აღნიშნული წარმოება კარგავდა სამრეწველო მნიშვნელობას. ჩქარა იგი საერთოდ მოისპო და მხოლოდ შინა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად იწარმოებოდა.

თბილისელი ვაჭრების აქტიური ჩარევა სავარაუდოა არა მარტო საქართველოს, არამედ საერთოდ კავკასიის შალეულის დამამზადებელ წარმოებაშიც.

საფეიქრო წარმოებაზე სრული სურათი არ შეიძლება შეგვექმნას, თუ გაკვრით მაინც არ შევეხებით სამღებროებსა და ღებვის

---

33 ხელნაწ. ინსტ. Ros d 110.

საქმეს, რადგან მას „მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფეოდალური საქართველოს მეურნეობაში“[34].

XVIII საუკუნეში, ალბათ საფეიქრო წარმოების ფართო განვითარების საფუძველზე, „ინტერესი ამ დარგისადმი ძლიერდება, ფეოდალები (ბატონიშვილები, თავადები და ეკლესია) ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ეს შემოსავლიანი წყარო და აღწევენ კიდეც თავიანთ მიზნებს“[35].

XIX საუკუნის I მეოთხედში შეიმჩნევა სამღებროების რაოდენობის ზრდა, როგორც მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოში, ისე თბილისში. ოფიციალური მონაცემებით ეს ზრდა შემდეგნაირად გამოიყურება: აღმ. საქართველოში 1819 წელს — 69 სამღებრო ითვლებოდა[30]; 1822 — 97[37]; 1824 წელს — 102[38].

თბილისში კერძო ინიციატივას მეტი გასაქანი ჰქონდა, ამიტომ სამღებროების ზრდის ტემპები თბილისში გაცილებით ჩქარია, ვიდრე საერთოდ საქართველოში (1807 წ. 1 სამღებრო, 1826 წ. 18, იხ. ცხრილი № 2). ამავე პერიოდში საქმე გვაქვს აღნიშნული საწარმოების თვისობრივ ზრდასთანაც — სამღებროების გამსხვილებასთან. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა თბილისის მცხოვრების არუთინ კრასილნიკოვის (ალბათ ელებრიშვილი) მაგალითი, რომელსაც 20-იანი წლების შუა ხანებში სამღებროს გაფართოება განუზრახავს: «Как на пред сего так и ныне занимаясь я красильным мастерством и плачу в казну пошлину по рублю серебром с пуда, каковое мастерство хочу увеличить; но не имею для потребных мастерских довольного места; а потому вынужденным нашел покорнейше просить... позволить мне таковыя мастерские и сараи построить почти за городом по косогору, близ самой ганджинской дороги на казенной земле длиной в 30 сажен и в ширину 10»[39]. წერდა იგი 1827 წელს თბილისის მომწყობ კომიტეტს.

აკად. ნ. ბერძენიშვილი გასული საუკუნის დასაწყისში თბილისში 5 სამღებროს ითვლის. ისინი ქალაქის ცენტრში,

---

34 ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. VI.

35 ი ქ ვ ე, გვ. 439.

36 სცსია, ფ. 16. საქმე 242, ფ. 125.

37 ი ქ ვ ე, საქმე 3112, ფ. 182.

38 ი ქ ვ ე, საქმე 3272, ფ. 217.

39 სცსია, ფ. 209, საქმე 57, ფ. 1.

(ძველ ქალაქში) ყოფილან მოწყობილი. 1819 წლისათვის სამღებროთა რიცხვმა თბილისში 8-ს მიაღწია, მაგრამ ახლად მოწყობილი სამღებროები, როგორც წესი, ქალაქგარეთ მდებარეობდნენ. ამიტომ ოფიციალური ცნობა, რომელიც სამღებროების ქალაქის ცენტრიდან ქალაქგარეთ გატანას შეეხება. სწორედ ხუთ სამღებროს მიუთითებს: «Красилен коих три около старого монетного двора, а две в шубных рядах, не только портят воздух, а и оскверняют воду...»[40] და სხვ. ამ სამღებროებიდან ერთი საეკლესიო ყოფილა და, როგორც პოლიცმეისტერის პატაკიდან ჩანს, საქართველოს ეგზარხოსის თეოფილაქტეს პირველი მოთხოვნისთანავე გაუუქმებია, დანარჩენი ოთხი კი კერძო უნდა ყოფილიყო (ამაზე უფრო გვიანდელი საბუთი მიგვითითებს) და ეკუთვნოდა სახაზინო გლეხებს ნოვოსარტ ზალინოვს, ავაქ მატუზოვს, გრიგოლ ალავერდოვს და ვართან გერდკოვს. 1827 წელს დაწერილ ერთ-ერთ თხოვნაში ისინი აღნიშნავენ, რომ «Имели... в разных местах г. Тифлиса красильные, но бывший старший полицмейстер почитая их для жителей близ живущих вредным, принудил... сломать и перенесть их за город»[41].

თბილისში მე-19 საუკუნის დასაწყისში ყველაზე დიდი სახაზინო სამღებრო უნდა ყოფილიყო, შემდეგ საეკლესიო, რომელიც ჩქარა დაუხურიათ, შედარებით მცირე ზომისა იყვნენ კერძო სამღებროები, თუმცა ეს უკანასკნელნიც საშუალოდ სულ მცირე 5 კაცს მაინც აერთიანებდნენ: ზევით მოყვანილ თხოვნაში სამღებროების მფლობელები აღნიშნავენ, რომ სამღებროები დაგვანგრევინეს და ახლის ასაშენებლად მიგვითითეს ადგილი «За вновь выстроенными казармами между селении Чугуреты и Авлабаром, состоящей в авраге, где мы около двадцати дымов принуждены были большими трудами и издержками, выламливая камни выстроить красильни и дома»[42].

თუ ოთხ სამღებროში 20 ოჯახი მონაწილეობდა, ხოლო თითო ოჯახიდან უშუალოდ წარმოებაში ჩაბმულს 1 კაცს მაინც ვიგუ-

---

40 სცსია, ფ. 16. საქ. 2215, ფურც. 6.

41 სცსია, ფ. 209, საქმე 75.

42 ი ქ ვ ე, ფურც. 5.

43 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი. გვ. 442.

ლისხმებთ (შეიძლება მეტსაც). მაშინ 1 სამღებროზე საშუალოდ 5 ხელოსანი მოდის.

გაცილებით დიდი ზომისა იყო სახაზინო სამღებრო. მისი საიჯარო ფასი მე-18 საუკუნეში 500—700 თუმანი ყოფილა, ხოლო შემოსავალს აკად. ნ. ბერძენიშვილი 1200 თუმნამდე ვარაუდობს[43]. XIX საუკუნეში თუმცა სამღებროს საიჯარო ფასი დაკლებულია, მაგრამ იგი მაინც მეტად მაღალია და 4.300 მანეთამდე აღწევს[44].

აკად ნ. ბერძენიშვილი აღნიშნული სამღებროს სიდიდის გასარკვევად ადარებს მას XIX საუკუნის მიწურულის ყარსის სამღებროს, რომლის შემოსავალი 336—504 თუმანს უდრიდა წელიწადში, და მასში 10—12 კაცი ყოფილა დასაქმებული. თბილისის სამღებროს შემოსავალი კი, როგორც აღვნიშნეთ, 1200 თუმანი ივარაუდება. ითვალისწინებს რა მთელ რიგ განსხვავებულ პირობებს ამ ორ სამღებროს შორის, ავტორი ასკვნის: „მოყვანილ მოსაზრებათა ნიადაგზე ჩვენ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ თბილისის სამღებრო XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში გ ა ც ი ლ ე ბ ი თ დ ი დ ი ი ყ ო. ვ ი დ რ ე ყ ა რ ს ი ს ს ა მ ღ ე ბ რ ო XIX საუკუნის 90-იან წლებში“[45].

არ ვიცით, რატომ შეიკავა თავი აწ განსვენებულმა მეცნიერმა ეეორე შედარებისაგან, მაგრამ თუ უნებლიე შეცდომა არ მოგვდის, გვგონია, რომ მისი მსჯელობიდან ლოგიკურად იბადება ასეთი აუცილებლობა, ამიტომ ჩვენ მაინც გვინდა მასზე შევჩერდეთ: აკად. ნ. ბერძენიშვილი სამღებროებს მათი საიჯარო ქირის მიხედვით 4 კატეგორიად ჰყოფს: უმცირესი, რომლის საიჯარო ქირა 3 თუმანს უდრიდა, მცირე — 12 თუმანს, საშუალო — 30 თუმანს, და უდიდესი — 700 თუმანს (თბილისი). დავუშვათ, რომ უმცირესი სამღებროები სეზონური საწარმოებია, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში სრული დატვირთვით არ მუშაობდნენ, მაგრამ მცირე სამღებროებში კი უფლება გვაქვს 1—2 კაცი მაინც ვიგულისხმოთ დასაქმებული. თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთნაირი წარმოების წესის პირობებში საწარმოთა შემოსავალს ძირითადად მათში დასაქმებული მუშების რაოდენობა განსაზღვრავს, მაშინ ე. წ. საშუალო სამღებროებში მუშათა რიცხვი შესაბამისად 3—5 კაცს მიაღწევდა, ხოლო უდიდესში (თბილისის), თუ მხედველობაში მივიღებთ

---

44 სცსია, ფ. 16, საქ. 1451, ფ. 7 (?).

45 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 448.

იმ გარემოებას, რომ მასში შრომის განაწილებისა და მუშახელის მკაცრი ექსპლოატაციის საშუალებით შრომის ნაყოფიერება შედარებით გაზრდილი იქნებოდა, უნდა ვიფიქროთ, რომ დაახლოებით 40—60 კაცი იყო დასაქმებული.

აქ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ, სახელდობრ ის, რომ თუ XVIII საუკუნის ბოლოსათვის თბილისის სამღებრო ტიპიური არ იყო საერთოდ საქართველოსათვის, პირიქით, თავისი სიდიდით იგი გამონაკლისად მოჩანს, XIX საუკუნის 20-იანი წლების შუა ხანებისათვის თბილისის სამღებროები სწორედ აღნიშნული ტიპის სამღებროს უახლოვდებიან.

ასეთი დიდი რაოდენობის მუშახელის დაგროვება ,,ი ერთ წარმოებაში ერთი და იმავე ,,აპიტალის მეთაურობით, ბუნებრივად შექმნიდა მოთხოვნილებას შრომის დანაწილების შემოღებაზე.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბამბის ნაწარმი ბაზარზე გადიოდა როგორც შეღებილი, ისე სპეციალურად გათითრებული. მათი გასატანი ბაჟი ერთნაირი ყოფილა. ქსოვილის გამთეთრებელი მღებავისაგან განსხვავებულ ხელობას წარმოადგენდა, მას ცალკე ოსტატები ასრულებდნენ[46]. ამასთან, თუ სამღებროები და საჩითავი სახელოსნოები საბუთებში ცალ-ცალკე მოხსენებული, გამთეთრებელი სახელოსნო არსად გვხვდება. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გამთეთრებლები სწორედ სამღებროებში ეწეოდნენ თავიანთ ხელობას, როგორც შრომის დანაწილების შედეგად მღებრებისაგან გამოყოფილი ოსტატები.

მართალია, მჩითავთა სახელოსნოები ცალკე იყო, მაგრამ გამორიცხული არ უნდა იყოს, რომ ზოგიერთ უკვლაზე მსხვილ სამღებროში ცალკე საჩითავი განყოფილებებიც არსებობდა. ამასთანავე ეოსალოდნელია, რომ მოჩითვა მარტო თითრ ქსოვილზე ,,ი არ ხდებოდა, არამედ შეღებილზეც. ამაზე უნდა მიუთითებდეს 1841 წელს აღა ყორჩიბაშევის მიერ თბილისში დაარსებული სამღებროს მოწყობილობა: „Котлов 4, тисков 16“[47]. თუ მოვიგონებთ, რომ მჩითავები „Занимаются тиском разных изображении на материях[48]“ მაშინ ცხადი გახდება, რომ აღნიშნულ საწარმოში „ტისკების“ არსებობა მიუთითებს, რომ იქ ნაწარმის მოჩითვაც ხდებოდა.

---

46 ხელნაწერთა ინსტიტუტი, Ros d 110.

47 სცსია, ფ. 16, საქმე 6351, ფ. 25—28.

48 ხელნაწ. ინსტ: Ros d 110.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით შრომის დანაწილება მსხვილ სამღებროებში შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1) მასალის (ქსოვილი, ნართი) მომზადება (გაწმენდა, გარეცხვა), 2) გათეთრება, 3) ღებვა, 4) მოჩითვა, 5) მზა ნაწარმის გავლება, გარეცხვა, გაუთოვება და, ალბათ, უკანასკნელი ოპერაციაც. შეფუთვაც აქვე სრულდებოდა.

ამრიგად, სამღებრო არა პირდაპირი, არამედ განვითარებული გაგებით ,უნდა ყოფილიყო მანუფაქტურის ის ცენტრალური სახელოსნო, სადაც საფეიქრო წარმოების დამასრულებელი ოპერაციები წარმოებდა.

სწორედ ამაზე უნდა მიუთითებდეს ერთი მეტად საინტერესო ფაქტი: ჩვენ ზევით მოვიყვანეთ თბილისელი მოქალაქის არუთინ კრასილნიკოვის 1827 წლის თხოვნა, სამღებროს გადიდების შესახებ. იგი მთავრობას მიწის ნაკვეთს თხოვდა. საქმეში მოცემულია აღნიშნული საწარმოს გეგმა და პროექტი ფასადით. იგი მასშტაბშია შესრულებული და ყურადღებას იქცევს თავისი სიდიდით. ესაა უზარმაზარი შენობა, რომლის ფასადი 28½ საჟენზეა გადაჭიმული (70 მეტრი). ცხადია, უბრალო სამღებროსათვის ასეთ შენობას არავინ არ ააშენებდა. მაგრამ უფრო საინტერესოა აღნიშნული პროექტის წარწერა: «План и фасад данный гражданину Арутину Красильникову для постройки ткацких лавок на казенной земле состоящей, города Тифлиса 2 ч. I квартал»[49]. როგორც ვხედავთ, აქ ერთსა და იმავე საგანზე, ერთ შემთხვევაში ლაპარაკია როგორც სამღებროებზე, მეორე შემთხვევაში—როგორც „საქსოვ ფარდულებზე". ვფიქრობთ, აქ სწორედ ის საწარმო უნდა იგულისხმებოდეს, რაზედაც ჩვენ ზევით გვქონდა საუბარი: ე. ი. არა კონკრეტულად სამღებრო, არამედ ადგილი, სადაც საფეიქრო წარმოების დამასრულებელი, შემაჯამებელი პროცესი ხდება, რომელშიაც წამყვანი ადგილი ტრადიციულად ღებვას უჭირავს. დაახლოებით ამგვარივე წარმოება უნდა ყოფილიყო 1841 წელს აღა ყორჩიბაშევის მიერ თბილისში მოწყობილი «...красильный завод», რომელშიც вырабатывается холста до 1000 аршин и ниток до 9 пудов»[50].

ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ აქ ლაპარაკია არა კონკრეტულად შეღებვაზე, არამედ იმაზე, რომ ამ საწარმოში

---

49 სცსია, ფონდი 209, საქმე 57, ფ. 1, 7.

50 სცსია, ფ. 16. საქმე 6351, ფ. 26—28.

საერთოდ გამომუშავდებოდა (вырабатывается) ტილო და ძაფი. აღნიშნული წარმოება საკმაოდ მსხვილი იყო. მასში 7ოსტატი, 12 ქვეოსტატი და 14 მუშა მუშაობდა (სულ 33 კაცი) აქ არავითარი მანქანა არ იდგა. წარმოება ხელით შრომაზე იყო დამყარებული.

ზოგი წყარო კანტიკუნტად, მაგრამ დაბეჯითებით მიუთითებს, რომ თბილისში საფეიქრო მანუფაქტურები ან ფაბრიკები არსებობდნენ, ზოგი კი ამას კატეგორიულად უარყოფს.

დაბოლოს, ამაზეც უნდა მიუთითებდეს კოცებუს მრავალმნიშვნელოვანი განცხადება: თბილისის სამღებროები განსაკუთრებით საუცხოო («особенно замечательные») არიანო[51].

სამღებროების იჯარა შეიძლება მღებავსაც ჰქონოდა და არა მღებავსაც. ამავე დროს რაც მეტია იჯარის ფასი, მით ნაკლებია შესაძლებლობა მოიჯარადრედ მღებავის ყოფნისა, აქ მით უფრო იჩენს თავს ვაჭრის ჩარევა საქმეში: „მოიჯარადრეები ცნობილი ვაჭარ მოსაქმენი არიან (ქალაქის ნაცვალი მიკირტუმ სურგუნოვი, ავთანდილ მირიმანოვი და სხვ.)“[52]. საკვირაუდოა, რომ სამღებროების მოიჯარადრეები, ხოლო შემდეგ შეიძლება სამღებროების მფლობელებიც კი სწორედ ის ვაჭარ მწარმოებლები იყვნენ, რომელთაც დაფანტული მანუფაქტურის სათავეში ვხედავთ. აი რატომ:

შეღებვა საკმაოდ ძვირი ღირდა. ზევით მოყვანილი ცნობიდან ჩანს, რომ სამღებროს პატრონი მთავრობას უხდიდა გადასახადს შეღებილი მასალის მიხედვით ყოველ ფუთზე 1 მანეთს. ამავე დროს სხვა ცნობიდან ვიცით, რომ საერთოდ საწარმოებიდან გადასახადი იკრიბებოდა შემოსული თანხის მიხედვით 1 მანეთიდან 5 კაპიკი[53]. ამრიგად, ფუთი მასალის შეღებვის ფასი დაახლოებით 20 მანეთი უნდა ყოფილიყო. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ 15 არშინი ქსოვილის მოსაქსოვად დაახლოებით 1400 გრამი (გირვანქა) ძაფი იყო საჭირო, მაშინ მივიღებთ, რომ 15 არშინი ქსოვილის შეღებვა დაახლოებით 1 მ. 75 კაპ. ჯდებოდა.

პროფ. ვ. ჩანტლაძეს თავის წერილში „სახელმწიფო საწარმოთა შემოსავალი აღმოსავლეთ საქართველოში“[54] მოაქვს ცნობები საქართველოს სხვადასხვა რაიონებში შეღებვის ფასების შესახებ. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, თბილისის სამღებროების ფასების შე-

---

[51] ЦГВИА. ВУА, д. 1481, стр. 51.

[52] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 441.

[53] სცსია, ფ. 16, საქმე 4943, ფ. 45.

[54] საქართველოს მეცნ. აკად. ეკონომიკის ინსტ. შრომები, V, 1951.

სახებ მას ცნობები არ მოეპოვება, ხოლო სხვა აღგილების ფასები მეტად არათანაბარია. საშუალოდ კი 15 არშინიანი ქსოვილის შეღებვა, როგორც ირკვევა, 1 მანეთიდან 2 მანეთამდე ყოფილა.

ზევით ჩვენ თბილისში საშუალოდ წელიწადში გამოშვებული ბამბეულის ნაწარმი 2—3 მილიონ არშინამდე მაინც ვიანგარიშოთ. ბუნებრივია, აღნიშნული ნაწარმის მნიშვნელოვანი ნაწილი ბაზარზე დამუშავებული (შეღებილი ან გათეთრებული) სახით გადიოდა. ეათი ამრიგად დამუშავება მეტად დიდ თანხას მოითხოვდა; თავისთავად ეს ფაქტი სამღებროების დიდ შემოსავლიანობაზე მიუთითებს და, მართლაც, 1826 წლის ერთი ცნობით თბილისის 7 სამღებროს შემოსავალი წელიწადში 84.800 მანეთი ყოფილა[55]. მაგრამ ჩვენ აქ იმ გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება, რომ ვაჭარ მწარმოებლებს საქონლის (პროდუქციის) საბოლოო დამუშავებაზე მეტად დიდი თანხა დაეხარჯებოდათ, თუ საქმეს სხვაგვარად არ მოუვლიდნენ. ამიტომ ვაჭარი დაინტერესებული იქნებოდა ჰქონოდა თავისი საკუთარი სამღებრო, ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, იჯარით აეღო იგი.

ერთ-ერთი ასეთი ვაჭარი მწარმოებელი უნდა ყოფილიყო ასატურ როსტომოვი (როსტომაშვილი). იგი რომ ბამბის ნაწარმით ფართო ვაჭრობას ეწეოდა, ეს იქიდან ჩანს, რომ, რამდენიმე სხვა ვაჭართან ერთად, თხოვნით მიმართავდა მთავრობას რუსეთში გასატან ბამბის ქსოვილზე ბაჟის შემცირებაზე[56]. ასატურ როსტომოვი საკმაოდ დიდი ოჯახის უფროსი იყო, ყავდა ორი ძმა და სამიკე დიდ ვაჭრობას ეწეოდნენ. მაგრამ ჩვენთვის მეტად საგულისხმოა, რომ იგი სამღებრო „ქარხნების“ მეპატრონეც ყოფილა. 1824 წლის თბილისის მოქალაქეთა აღწერაში აღნიშნულია, რომ მელაინე ასატურ როსტომაშვილი და მისი ძმები არუთინი და სტეფანე — „Имеют красильные заводы и торг значительный по ярмаркам.“[57]

---

55 სცსია, ფ. 16, საქმე 3436, ფურც. 29.

56 სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 2361, ფ. 20 .

57 სცსია, ფ. 254, აღწ. I, საქმე 649, ფურც. 11. აქ იმ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება, რომ როსტომაშვილი მელაინედ იწოდება, რაც მის ხელსნურ წარმოებაზე უნდა მიუთითებდეს და საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რომელიმე მისმა არც ისე შორეულმა ნინაპარმა (შეიძლება მამამ ან ბაბუამ) ხელობით მელაინე მქსოველმა, პირველი ნაბიჯი გადადგა ქსოვიდან ნაქსოვის გასაღებისაკენ და ამის საფუძველი ჩაუყარა იმ ფართო წარმოება-ვაჭრობას, რომელსაც XIX საუკუნის 20-იან წლებში ასატური და მისი ძმები ეწეოდნენ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალები (რომლებიც არაა სრული), საშუალებას არ გვაძლევენ სხვა კონკრეტული მაგალითი მოვიშველიოთ ნათქვამის დასამტკიცებლად, მაგრამ ვფიქრობთ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ვაჭარი მწარმოებლის მიერ სამღებროს მოწყობა, ან იჯარით აღება საერთო ტენდენცია უნდა ყოფილიყო. და თუ ეს ასეა, მაშინ უფრო რელიეფურად გამოიკვეთება სამღებროების როლი საერთოდ საფეიქრო წარმოების სისტემაში, როგორც დანაწევრებული მანუფაქტურის ცენტრალური სახელოსნოსი, რომელშიაც თავს იყრის ნაწარმი უამრავი დაქირავებული მუშებისა (მპენტავების, მრთველების, მქსოველების), რომლებიც ნაწილობრივ სახელოსნოებში, უმეტესად კი სახლებში, მუშაობდნენ ვაჭრისთვის, და შეადგენდნენ აღნიშნული ცენტრალური სახელოსნოს პერიფერიებს. თავისთავად ეს ფაქტი მნიშვნელოვნად ამაღლებს მანუფაქტურის განვითარების ხარისხს.

* * *

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ბამბის წარმოებამ თბილისში და საქართველოში თავის კულმინაციურ წერტილს 1825-27 წლებში მიაღწია. 1827 წლიდან მისი დაცემა იწყება. ამას თავისი მიზეზები ჰქონდა.

შეღავათიანი ტრანზიტის მეორე პერიოდში 1827-31 წწ. განსაკუთრებით გადიდდა საქართველოს სავაჭრო ბრუნვა. იგი ძირითადად ბამბის ნაწარმის ხარჯზე იზრდებოდა. აღნიშნული საქონლის შემოტანა მოცემულ პერიოდში, წინა 5 წელთან შედარებით, თითქმის ერთი ორად გაიზარდა და 11 122 923 მან. ასიგ. პროდუქციას მიაღწია[58].

ამასობაში აკრძალვითი ტარიფის ზემოქმედებით მნიშვნელოვნად მოძლიერდა ბამბის წარმოება თვით რუსეთში. თუ 1802—1807 წლებში რუსეთს ბამბის ნაწარმი საერთოდ არ გაჰქონდა საზღვარგარეთ, 1825 წელს მან 1.733 ათასი მანეთის ღირებულების აღნიშნული ნაწარმი გაიტანა. ბამბის ნაწარმის ექსპორტი აზიაში საერთო რუსული საქონლის ექსპორტის 53,9% შეადგენდა. აქედან მოყოლებული ეს წარმოება ჩქარი ტემპით ძლიერდებოდა. 1829 წლისა-

---

58 ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, თსუ შრომები, 1936, III, გვ. 111.

თვის ბამბეულის ნაწარმის ექსპორტმა აზიაში თითქმის 5 მილიონი მანეთის ღირებულებას მიაღწია[59].

ასეთ პირობებში ქართული პროდუქცია თანდათან იდევნებოდა რუსეთის ბაზრებიდან. წარმოება ძირითადად ნახევარ ფაბრიკატის გამომუშავებაზე გადავიდა. გატანილ პროდუქციაში ძირითად ადგილს ნართი იჭერდა. უფრო მეტიც. შემოზიდულ საზღვარგარეთულ და რუსულ ნაწარმთან კონკურენციაში ქართული ნაწარმი ადგილობრივ ბაზარზეც კი მარცხდებოდა[60].

შეღავათიანი ტრანზიტის გაუქმებამ ბამბის წარძოებას დროებით სიცოცხლე გაუხანგრძლივა. 1833 წლის ერთი ცნობით საქართველოში ითვლებოდა მაუდისა და შალის 903 „ფაბრიკა", აბრეშუმის — 59; ტილოს — 641; საჩითავი — 35; სამღებრო — 101[61]. ამ დროისათვის უკვე ადგილობრივი ბამბის ნაწარმის გასაღება ძირითადად მთის შორეულ რაიონებში ხდება, სადაც საზღვარგარეთული საქონელი ვერ აღწევს. 1835 წლის თელავის აღწერაში ვკითხულობთ, რომ თელავში 80 მქსოველია; ისინი მუშაობენ სახლში ერევნიდან ჩამოტანილი ბამბის ნედლეულზე (აქაც ვაჭრის როლი უეჭველია), ამზადებენ ნარმას და ძირითადად მთის პროვინციებში ასაღებენ[62]. შედარებით უფრო მეტი გამძლეობა გამოიჩინა სამღებრო წარმოებამ, რადგან აქ ჯერ კიდევ ადრიდანვე თვით რუსეთიდან შემოჰქონდათ ქსოვილები შესაღებად; ამიტომ წყარო მიუთითებს: «Крашение хлопчатой бумаги, тканей бумажных и шелка, производится весьма посредственно, но составляют изрядную отрасль дохода нескольких лиц»[63].

---

59 М. К. Рожкова. Экономическая политика царского правительства на Среднем Востоке во второй четверти XIX века и русская буржуазия, М., 1949 г. стр. 69.

60 1826—1828 წლების რუსეთ-ირანის ომის ბოლო ხანებში, საქართველოს ბამბეულის წარმოების ირანული ნედლეულით მომარაგების საქმე მნიშვნელოვნად შეფერხდა; ხოლო 1830 წელს, იმასთან დაკავშირებით, რომ ირანსა და ამერიკავკასიის ზოგიერთ რაიონში შავი ჭირი გავრცელდა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ირანიდან ნედლი ბამბის შემოტანა აკრძალა; (სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქმე 2288).

61 სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქმე 3575, ფ. 20—21.

62 სცსია, ფ. 16, საქმე 6255, ფურც. 51.

63 Обозрение Российских владений Закавказья... ч. I, СПб., 1836 г., стр. 241.

მაგრამ თანდათანობით ისიც ეცემა, რუსეთიდან უკვე უმეტესად შეღებილი ნაწარმი შემოდიოდა: 1838 წელს სახაზინო სამღებროს შემსყიდველი მოითხოვდა მთავრობისაგან აეკრძალა მიტკლისა და სხვა ნაწარმის შეღებილი სახით შემოტანა საქართველოში, რადგან წელიწადში 2000 მანეთამდე ზარალს ვნახულობო[64].

რადგან თბილისში უცხოური საქონლის კონკურენცია მეტი იყო, ბამბის წარმოება უფრო ადრე ეცემა. 1843 წლისათვის ეს წარმოება თბილისში საკმაოდ უმნიშვნელო ყოფილა. თბილისის პოლიცმეისტერის პატაკში საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორისადმი ვკითხულობთ: «На предписание Вашего превосходительства имею честь донести — фабрик из коих выделываются шелковые, бумажные и шерстяныя изделия, в г. Тифлисе не имеется; а есть домашния станки числом 51 на которых выделываются бумажныя полотна называемые бязь, весьма грубой обработки[65].

ბუნებრივია, ასეთ პირობებში მსხვილი ვაჭარი მწარმოებლები თავს ანებებენ ამ საქმეს. ხოლო ვინც ალღო ვერ აუღო შექმნილ ვითარებას, მეტად ცუდ პირობებში ჩავარდა. დამახასიათებელია ერთი ვაჭრის სტ. პაპალოვის სიტყვები: С давних времен ведя в Тифлисе торговлю разными ситцевыми и холщевыми товарами, увидел наконец, что продажею оных остался с убытками, то вынужден был оставить таковую торговлю и заняться другими»[66].

ცხადია, ყოველივე ამან გამოიწვია აღნიშნული დარგის ხელოსნობის შემცირება და მოსპობაც კი. 1845 წლის ერთი ცნობით თბილისში არც ერთი მქსოველი არ იხსენიება. ხოლო თბილისის გუბერნიის სოფლებში სულ 85 კაცია ასეთი[67]. თუმცა აღნიშნული ცნობა მთლად ზუსტი არ უნდა იყოს, რადგან მქსოველთა თუნდაც მცირე კონტიგენტი თბილისში მაშინ ჯერ კიდევ იქნებოდა, მაგრამ იგი სწორად მიუთითებს არსებულ ტენდენციაზე. ამის დამადასტურებელია ის, რომ 1848 წლის თბილისის კამერალურ აღწერაში[68] 44 მქსოველია აღნიშნული, მაგრამ დამახასიათებელი ისიცაა,

---

64 სცსია, ფ. 16, საქმე 5541.

65 იქვე, საქმე 8392, ფურც. 6.

66 იქვე, ფ. 2, საქმე 9336, ფურც. 1—2.

67 იქვე, ფ. 4, აღ. 8, საქმე 43, ფურც. 339—340.

68 სცსია, ფ. 254, საქმე 19, 124.

რომ აქედან 21 კაცი 60 წელს გადაცილებულია, 7 — 55 წელზე მეტი ხნისაა, 7—50 წელს ზევით, 4—45 წლის და მეტის, დანარჩენი 5-ის წლოვანება უცნობია. როგორც ვხედავთ, წარმოებაში მოხუცი ხალხია დაკავებული, იგი არ ივსება ახალგაზრდა კადრებით. წარმოება ინერციით მიდის. ყოველივე ამას საბოლოოდ მიცი სიკვდილი უნდა გამოეწვია და ეს ასეც მოხდა. უფრო გვიან თბილისში სავსებით გაქრა აღნიშნული წარმოება, და აქა-იქ სოფლებში თუ შემორჩა, ისიც მეტად მცირე მნიშვნელობისა.

ასეთია ზოგად შტრიხებში საქსოვი წარმოების განვითარება თბილისში მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. მიუხედავად ჩვენ მიერ მოტანილი ცნობების სიმცირისა, ვფიქრობთ, მათში მაინც საკმაოდ რელიეფურად ჩანს აღნიშნული წარმოების მაღალი დონე და ის გარემოება, თუ რა შორს იყო წასული ამ დარგში ახალი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარება.

ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ და შექმნილმა ეკონომიურმა ვითარებამ განსაზღვრა ჩვენში აღნიშნული წარმოების გაქრობა. ახლად განვითარებულმა ბამბეულის წარმოებამ იგი რუსეთის ბაზრიდან გამოაძევა. ხოლო მოზღვავებულმა ევროპულმა და რუსულმა ნაწარმმა, რომლის შემოტანა განსაკუთრებით გაძლიერდა შეღავათიანი ტრანზიტის დროიდან, შეავიწროა მისი როლი ადგილობრივ ბაზარზე.

საფეიქრო წარმოებას საერთოდ, და ბამბეულის წარმოებას კერძოდ. მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა მე-19 საუკუნის I ნახევრის თბილისისა და საქართველოს სამრეწველო განვითარებაში. აღნიშნულ პერიოდში ჩვენ არ გვეგულება არც ერთი დარგი, რომელსაც ისეთი ფართო გაქანება ჰქონოდეს, როგორც წარმოების მასშტაბის, გამომუშავებული პროდუქციის და მასში გაერთიანებული მუშახელის, ისე ნაწარმის გასაღების მხრივ, როგორიც აღნიშნულ დარგს ჰქონდა.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება საკითხის მნიშვნელობა. საქმე იმაშია, რომ აღნიშნული წარმოების მაღალი განვითარება მე-19 საუკუნეში არ დაწყებულა, ამ დროისათვის მხოლოდ გრძელდება ბამბეულის წარმოებაში ახალი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარების ის რთული პროცესი, რომლის დასაწყისი მე-18 საუკუნის შუა წლებიდან მაინც უნდა ვიგულისხმოთ. ზემოთ, აღწერილობითი მასალის ზოგიერთი მონაცემის მოშველიებით, ჩვენ

ჰხოლოდ გაკვრით შეეხეთ ამ საკითხს. აღნიშნულ წარმოებაში რომ კაპიტალიზმის ჩასახვის პროცესი უკვე მაშინ იყო დაწყებული, ეს ჩანს არა მარტო ამ წარმოების მასშტაბიდან, არამედ მისი მოსაზღვრე და დამხმარე წარმოებების მაღალი განვითარებიდანაც, რაც ასე ღრმად შეამჩნია აკად. ნ. ბერძენიშვილმა საკლებროების მაგალითზე. საქსოვი წარმოების განვითარება კიდეც განმარტავს აღნიშნულ სამღებროებში კაპიტალისტური ურთიერთობის არსებობას, რადგან მაღალგანვითარებული წარმოება მაღალგანვითარებულ დამატებით წარმოებასაც მოითხოვდა. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით გასაგები ხდება არა მარტო სამღებროების, არამედ სხვა მთელი რიგი საკმაოდ მსხვილი საჰრეწველო წამოწყებების არსებობა მე-18 საუკუნის II ნახევრის საქართველოში, რომლებიც კაპიტალისტური მანუფაქტურის მეტნაკლებად განვითარებულ ფორმებად გვევლინებიან, მართალია. აღნიშნული საწარმოების უმრავლესობა ზევიდან მფარველობით ეწყობოდნენ, მაგრამ მათ მყარი ეკონომიური საფუძველიც ჰქონდათ. როცა ერეკლე II თავის წარმოებებში დაქირავებულ მუშებს იყენებდა, ამას იგი იმიტომ კი არ აკეთებდა, რომ ყმები აკლდა, არამედ იმისათვის, რომ მას კარგად ესმოდა დაქირავებული შრომის მეტი ნაყოფიერება და პროგრესულობა. ამის გასაგებად მას პეტრე დიდივით ევროპაში მოგზაურობა არ დასჭირებია. საქართველოს სინამდვილეში მიმდინარე სოციალ-ეკონომიური ძვრები კარნახობდნენ მას ამის აუცილებლობას. ამ ძვრებს კი, როგორც ჩანს, უპირველეს ყოვლისა ბამბეულის წარმოებაში ჰქონდა ადგილი.

* * *

ბამბეულის წარმოების მეორე მხარეა უშუალოდ მოსახმარი ბამბის დამზადება. ასეთი ბამბის (вата) დამზადება ჩვენში ძველთაგანვე იყო ცნობილი და იგი ორ ოპერაციად იყოფოდა: პენტვა და ფურცლოვანი ბამბის დამზადება. ბამბის პენტვაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი მოსახმარი ბამბის დამზადებაზე კი წყარო მიუთითებს, რომ «Деланием ваты занимались исключительно женщины и получали достаточное вознаграждение, так что одна работница, не отрываясь от семейства и обычных занятий по хозяйству имела чистого барыша до 40 коп. в день»[69]

69 სცსია, ფ. 240, აღ. 1, საქმე 292, ფურც. 4.

როგორც ჩანს, სავაჭრო კაპიტალის ბატონობა ამ სარეწზეც უდავოა.

უკვე 30-იანი წლების ბოლოსათვის თბილისში ადგილი აქვს ბამბის მანქანური წესით დამუშავების ცდებს. 1839 წელს ამგვარი წარმოების მოწყობის ნებართვა მიიღო უცხოელმა ლუდვიგ შევალიემ და საჭირო მანქანა-მოწყობილობებიც ჩამოზიდა[70].

1857 წელს ბამბის დამმუშავებელი წარმოება მოაწყო მოქალაქე მიკირტუმოვმა. საწარმოში 3 მანქანა იდგა (2 ბამბის, 1 საპენტი), რომლებიც ცხენის ამძრავით მუშაობდნენ. პირველ ხანებში წარმოებაში 8 ოსტატი მუშაობდა (მუშების რაოდენობა უცნობია) და წელიწადში 1200 ფუთ ბამბას ამუშავებდნენ[71]. 1861 წელს მიკირტუმოვს ახალი მანქანები გამოუწერია და დამუშავებული ბამბის რაოდენობამ 1400 ფუთს მიაღწია, 1863 წელს კი 2000 ფუთს. ამ ხანებში მას თავის პროდუქცია გამოფენაზე გაუტანია და ვერცხლის მედალი დაუმსახურებია[72].

1860 წლიდან თბილისში ამგვარი ტიპის სხვა საწარმოებიც ჩნდება. 1862 წელს, მაგალითად, ბამბის მანქანური დამუშავების 3 საწარმო ითვლებოდა[73].

საყურადღებოა ის გარემოება, რომ სამივე საწარმოს ზრდის მნიშვნელოვანი ტენდენციები გააჩნდა. რისთვისაც მისი მეპატრონეები ადგილობრივ ხელისუფლებას ფულად დახმარებას თხოვდნენ, თუმცა უშედეგოდ.

* * *

ბამბის საფეიქრო წარმოების ბედი ერთობ დამახასიათებელია რეფორმამდელი ხანის თბილისისა და საქართველოს სამრეწველო განვითარებისათვის; მასში ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა ძვრები ახალი წარმოებითი ურთიერთობის ჩასახვა-განვითარებისაკენ. მასზე მეტად არსებითი გავლენა იქონია ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ, დააკნინა და ცალმხრივი განვითარება მისცა მას. წარმოების ამ დარგში შედარებით ადრე იჩინა თავი მანქანის გამოყენების ცდებმა, მაგრამ მათ ივ დროს სათანადო განვითარება ვერ ჰპოვეს, რაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ჩვენი იმდროინდელი მრეწველობისათვის კანონზომიერი მოვლენა იყო.

70 სცსია, ფ. 1105, საქმე 354 და 8950 ფ. 4.

71 სცსია, ფ. 240, აღ. 1, საქმე 1292, ფ. ფ. 5—6, 16.

72 იქვე.

73 იქვე.

XVIII—XIX საუკუნის მიჯნაზე რუსეთში ძლიერდება აბრეშუმის დამუშავებელი მრეწველობა. საინტერესოა მთავრობა დიდად იყო დაინტერესებული მეაბრეშუმეობის განვითარებით ამერიკაში, როდესაც ნედლეულით უნდა მოეძარაგებია რუსეთის ფაბრიკები. ამერიკაში ეაბრეშუმეობის ოლქებში ხაზინაც თავიდანვე ნატურით სახელმწიფო გადასახადი დააწესა და აქედან დიდი რაოდენობით პარკს იღებდა, მაგრამ აბრეშუმის ადგილობრივი წარმოების ჩამორჩენილობის გამო იგი გაცილებით დაბალი ხარისხის იყო იტალიურ ნედლეულთან შედარებით, რომელსაც რუსეთის მრეწველობა ხმარობდა; ყოველივე ამას ერთვოდა გზის სიშორე და ნედლეულის სპეციფიურობა, რომელიც ვერ ეგუებოდა ასეთ შორ მანძილზე გატანას, რაც კიდევ უფრო აქვეითებდა მის ხარისხს და თითქმის აზრს უკარგავდა მის რუსეთში გაზიდვას. ჯერ კიდევ 1810 წელს არსებობდა კალაგირში და ლაბაჯანში სახაზინო აბრეშუმსახვევი წარმოებები, მაგრამ მთელი რიგი მიზეზების გამო ისინი იმედებს ვერ ამართლებდნენ. მთავრობის წრეებში საგონებელში ჩავარდნენ. არ იცოდნენ რა ექნათ უამრავი აბრეშუმის ნედლეულისათვის.

ასეთი მდგომარეობა იყო შექმნილი ადგილობრივი აბრეშუმის გამოყენების საკითხში, როცა ასპარეზზე გამოვიდა ფრანგი ნეგოციანტი ედუარდ ჰენრიხ კასტელა და მთავრობას თავისი სამსახური შესთავაზა. შექმნილი რთული ვითარების გამო მთავრობას ბევრი არ უფიქრია და შედარებით ადვილად დაეთანხმა ფრანგ საქმოსანს, მიეცა მისთვის მნიშვნელოვანი პრივილეგიები და სახაზინო სესხი იმ პირობით, რომ უკანასკნელი ამერიკაში მოაწყობდა აბრეშუმის მექანიზირებული ამოხვევის დიდ წარმოებას, გააშენებდა თუთის პლანტაციებს და ამით აქ აბრეშუმის ევროპულ მეურნეობას გაავრცელებდა[74]. მთავრობის პრივილეგიები და სესხები კასტელას წამოწყებას მნიშვნელოვან ავტორიტეტს უქმნიდა და მან ადვილად მოახერხა ადგილობრივი და უცხოელი მემამულეების, ვაჭრებისა და საქმოსნებისაგან შეედგინა ძლიერი კომპანია, რომელმაც მას დიდძალი კაპიტალი ჩაუგდო ხელში. ამის შემდეგ იგი სწრაფად იწყებს მოქმედებას: ჩამოაქვს საფრანგეთი-

74 სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქმე 3530, ფურც. 9.

დან საჭირო მანქანა-იარაღები და ჩამოჰყავს ოსტატები. 1826 წელს იგი უკვე აბრეშუმის საცდელ ამოხვევას აწყობს[75]. მაგრამ უკვე 1828 წლის დასაწყისიდან ადგილობრივ ხელისუფლებას ეუბვი შეეპარა კასტელას კეთილსინდისიერებაში[76]. ამან და კიდევ სხვა გარემოებებმა პასკევიჩს მიაღებინა გადაწყვეტილება შეედგინა სპეციალური კომიტეტი, რომელსაც თვალყური უნდა ედევნებინა თუ რაში და როგორ ხარჯავდა კასტელა მთავრობისაგან მიღებულ სესხს[77]. მაგრამ ეტყობა ამ დროისათვის კასტელას თავის საქმე გაკეთებული ჰქონდა. იმავე წლის ნოემბერში იგი გარდაიცვალა, ხოლო შემოწმებამ ცხადჰყო, რომ მან სასტიკად მოატყუა როგორც ხაზინა, ისე კომპანიონები და მის ხელში არსებული კაპიტალის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი მოახმარა წარმოებას, დანარჩენი კი გაფლანგა. მაგრამ საქმეში დიდი სახაზინო თანხა იყო ჩაყრილი და მთავრობამ დაიწყო საშუალების ძიება ფაბრიკის მშენებლობის დასამთავრებლად და წარმოების ასამოქმედებლად. რაკი წარმოების ვაგრძელების შესახებ კასტელამ ყოფილ კომპანიონებთან საერთო ენა ვერ ვამონახა, მთავრობა იძულებული შეიქნა ფაბრიკა ხაზინის სახსრებით აემოქმედებია. 1833 წელს ფაბრიკა ხაზინის საკუთრებად გამოცხადდა[78]. კასტელას სიკვდილის დროიდან ეს საფაბრიკო კომიტეტი უძღვებოდა.

1834 წელს საფაბრიკო კომიტეტი გააუქმეს, ხოლო ფაბრიკის საქმეებს 1837 წლამდე უცხოელი ტესერი განაგებდა და ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ საეკვო მაქინაციებით და სახაზინო ქონების მითვისებით გამოიჩინა თავი, რასაც სასამართლო პროცესიც კი მოჰყვა[79]. ამის შემდეგ ფაბრიკის მთავარ მმართველად ემერიხი ჩანს. მან მთელი რიგი ღონისძიებები ჩაატარა, რათა წარმოება რენტაბელური გაეხადა. მაგრამ ამაოდ. ხაზინის ხელში არსებობის მანძილზე მთავრობამ მასზე მთელი რიგი ახალი ხარჯები გაიღო, როგორც წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის გასაუმჯობესებლად, ისე მშენებლობის დასასრულებლად თუ ნედლეულით უზრუნველსაყოფად. ყოველივე ამის გამო 1841 წლისათვის ფაბრიკის

---

75 სცსია, ფ. 2. აღ. 1, საქმე 3530. ფ. 10.
76 აქტები ტ. VII, № 120.
77 სცსია, ფ. 3, საქმე 4700, გვ. 59.
78 ი ქ ვ ე, ფურც. 15.
79 სცსია, ფ. 4, აღ. 1, საქმე 3071.

სახაზინო ვალმა 1 00 000 მანეთს მიაღწია. 1841 წელს წარმოება დაიხურა.

ასეთია მეტად მოკლედ ბედი აბრეშუმის წარმოებისა, რომელიც უცხოელმა საქმოსანმა ნეგოციანტმა და ავანტურისტმა ედუარდ კასტელამ წამოიწყო და რომლის იმედითაც საიმპერიო ხელისუფლება რუსეთის აბრეშუმის ქარხნების ამიერკავკასიის ნედლეულით მომარაგების საკითხის გადაწყვეტას აპირებდა.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა, აღნიშნული წარმოების შესახებ საშუალებას მოგვცემდა გაცილებით დაწვრილებით გაგვეშუქებინა მისი ისტორია, მაგრამ ჩვენმა წინამორბედმა ავტორებმა შესანიშნავად შეასრულეს ეს ამოცანა[80]. ამიტომ ჩვენ შეგვეძლო აღნიშნული ავტორების დასკვნები მოგვეტანა და ამით დაგვესრულებია საუბარი ამ წარმოებაზე, რომ ამ დასკვნების ერთი ნაწილი ჩვენში ზოგიერთ ეჭვებს არ იწვევდეს; ეს კი გვაიძულებს უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ზოგ მათგანზე.

ჩვენს მეცნიერულ ლიტერატურაში დღესდღეობით გაბატონებული აზრი, კასტელას აბრეშუმსაქსოვ წარმოებას მანუფაქტურად მიიჩნევს. მკვლევართა იმ დიდი ჯგუფიდან, რომლებსაც ეს წარმოება მანუფაქტურად მიაჩნიათ, ყველაზე უფრო ჩამოყალიბებულად თავისი მოსაზრებები მოცემული აქვთ პროფესორ. პ. გუგუშვილს და ისტორ. მეცნ. კანდ. დ. გოგოლაძეს. აღნიშნული წარმოების შესახებ არსებული საარქივო მასალების გულდასმითმა შესწავლამ ჩვენ საწინააღმდეგო დასკვნამდე მიგვიყვანა. შევეცდებით გავარკვიოთ აღნიშნული წარმოების სოციალურ-ეკონომიური ბუნება.

მოაქვს რა მეტად მდიდარი საარქივო და ლიტერატურული მასალა, პროფ. პ. გუგუშვილი მეტად საინტერესოდ და დაწვრილებით გადმოგვცემს ფაბრიკის ისტორიას და ასკვნის: «Как усматривается из представленных нами материалов, это (კასტელას ფ-კა.—მ. ს.) не было фабричное производство. Как известно, даже спорадическое применение машин не меняет по существу характера предприятия, поскольку в основ-

---

80 П. Гугушвили. Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., Тб., 1957 г.; ა. კიკვიძე. საქართველოს ისტორია (მე-19 საუკუნე), თბ., 1954 წ. დ. გოგოლაძე, დასახელებული ნაშრომი, ე. ხოშტარია, დასახელებული ნაშრომი.

ных частях производственных процессов господствует ручной труд. В данном же случае основные операции, как размотка шелка, так и прядение выполнялись от руки, станки же шелкомотальные и крутильные «мельницы и механизмы» приводились в движение руками»[81].

აღნიშნული მსჯელობა ზოგიერთ გაუგებრობას იწვევს: ჯერ-ერთი, არ არის ახსნილი რატომ იყო წარმოებაში ძირითადი ოპერაციები ხვევა და, მით უმეტეს, რთვა. როგორც ცნობილია, ფაბრიკა ორი განყოფილებისაგან შედგებოდა: სახვევი და საძახავი, ამდენად ორივე ამ ოპერაციას თანაბარი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ხოლო გარკვეულ პერიოდში კი ფაბრიკის ძირითადი ოპერაცია სწორედ ძახვა იყო; ამას პროფ. გუგუშვილიც აღნიშნავს:«Таким образом, «Тифлисская образцовая шелкомотальная фабрика» отныне (с 1835г. — М. С.) мыслилась, главным образом, как тростильное заведение, а вопрос о внедрении улучшенных способов шелкомотания отодвигался на задний план»[82]. მაშასადამე, წარმოებაში წამყვან ოპერაციად ხვევის წარმოდგენა სინამდვილეს არ შეეფერება.

რაც შეეხება ტექნიკურ აღჭურვილობას, პატივცემულ ავტორს უეჭველად მიაჩნია, რომ ფაბრიკაში მდგარი დაზგები (როგორც საძახავი, ისე სახვევი) მანქანები კი არ იყვნენ, არამედ გაუმჯობესებული იარაღები: «Мы не располагаем подробными сведениями конструкции упомянутых станков. Правда их называли машинами, однако, не подлежит сомнению, что это не были механические станки, хотя, как видно, по сравнению с старинными местными архаическими инструментами, это были усовершенствованные орудия»[83].

ვფიქრობთ, დამატებითი არგუმენტაციის მოშველიების გარეშე, ავტორის აღნიშნული მსჯელობა მთლად დამაჯერებლად ვერ გამოიყურება.

სხვაგვარად მსჯელობს ისტ. მეცნ. კანდიდატი დ. გოგოლაძე: „... ეს იყო კაპიტალისტური ტიპის სახაზინო მანუფაქტურა — ამ-

---

81 П. Гугушвили, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., Тб., 1957, стр. 266.

82 პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 261.

83 იქვე, გვ. 263.

ბობს იგი, — რადგან, მართალია, ნედლეულის დამუშავება (ძახვა, რთვა) ხდებოდა მექანიკური დაზგებით (ე. ი. მანქანებით. — მ. ს.), მაგრამ ეს დაზგები მოიერაობაში მოჰყავდა ადამიანებს. დაზგების დასატრიალებლად გამოყენებული არ ყოფილა არც ორთქლის ძრავა და არც ცხენძრავა ამიტომ ეს საწარმო ფაბრიკის ხასიათს არ ატარებდა"[84].

ამრიგად, ორივე ავტორი სრულიად სხვადასხვაგვარი მსჯელობიდან ერთ დასკვნას იღებს. დ. გოგოლაძეს მიაჩნია, რომ წარმოებაში გამოყენებული მოწყობილობები მექანიკური დაზგები (ე. ი. მანქანები) იყვნენ, მაგრამ ეს არაფერს არ ნიშნავს, რადგან ისინი ხელით მოდიოდნენ მოძრაობაში, და ე. ი. წარმოება მანუფაქტურის ხასიათს ატარებდა (ჩვენის აზრით, მკვლევარი აქ თეორიული ხასიათის შეცდომას უშვებს), პროფ. პ. გუგუშვილი კი თვლის, რომ ფაბრიკაში არსებული დაზგები მხოლოდ გაუმჯობესებული იარაღები იყვნენ და არა მანქანები, და ამიტომ, იგი მანუფაქტურა იყო (აქ კი, ჩვენ ვფიქრობთ, ფაქტიური ხასიათის უზუსტობასთან გვაქვს საქმე).

ამგვარად, საკითხი საკმაოდ სადაოდ წარმოგვიდგება; ჩვენის აზრით, ეს იმით არის გამოწვეული, რომ მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნულ წარმოებას, და განსაკუთრებით მის ტექნიკურ აღჭურვილობას გაყინულად, სტატიკურად წარმოიდგენენ მაშინ, როდესაც იგი წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად იცვლებოდა და უმჯობესდებოდა.

შევეცდებით ჩვენს ხელთ არსებული მასალის საშუალებით აღვწეროთ წარმოების ტექნიკური მხარე, ვაჩვენოთ მისი განვითარების ტენდენციები და დავადგინოთ წარმოების სოციალურ-ეკონომიური ბუნება.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ხაზს უსვამენ იმ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას, რომ წარმოებაში მანქანის ძირითადი ელემენტის სამუშაო მანქანის გაჩენა მუდამ ამოსავალი პუნქტია

---

84 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 121.

ჩვენ არ ვიცით, რატომ ანიჭებს დ. გოგოლაძე განსაკუთრებით ცხენის ძრავას ასეთ უპირატესობას, კ. მარქსს, მაგალითად, მიაჩნია, რომ „მანუფაქტურული პერიოდიდან გადმოცემული ყველა დიდ მამოძრავებელ ძალთა შორის ცხენის ძალა ყველაზე უვარგისი იყო"... (კაპიტალი ტ. 1, გვ. 476). მაგრამ უფრო მოგვიანებით საქმე ისე მოეწყო, რომ ამ წარმოებაში ცხენძრავაც იყო გამოყენებული და ორთქლის ძალაც.

იმ შემთხვევაში, როცა მანუფაქტურული ან ხელოსნური წარმოება მანქანურ წარმოებად იქცევა. ამდენად, წარმოებაში უკვე მუშამანქანის გაჩენიდან უნდა ვიგულისხმოთ მანუფაქტურიდან ფაბრიკისაკენ გადასვლის დასაწყისი.

თავიდანვე იყო ნავარაუდევი, რომ კასტელას წარმოება მექანიკური ხასიათისა უნდა ყოფილიყო. კასტელამ ათწლიანი პრივილეგია მიიღო არა კონკრეტულად რომელიმე დაზგის თუ იარაღის გამოყენებაზე, არამედ აბრეშუმის მექანიკურ ამოხვევაზე და ძახვაზე. თავის თხოვნაში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იგი პრივილეგიას ითხოვს აბრეშუმის დამუშავებაზე იმ მექანიკური წესით. როგორც ეს საფრანგეთში და იტალიაში ხდებოდა, და რომ ეს პრივილეგია არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეხებოდა აბრეშუმის ხელით დამუშავებას[85]. ამდენად ფაბრიკის მოწყობა უახლესი ტიპის მექანიკურ დაზგებზე უნდა ყოფილიყო დამყარებული. კასტელას ფაბრიკაში იყო საძახავი და ამოსახვევი მოწყობილობები. რომლებიც წყაროებში, შესაბამისად, საძახავ წისქვილებად და სახვევ წისქვილებად ან სახვევ დაზგებად მოიხსენიებიან. კასტელას სიკვდილის დროისათვის ფაბრიკაში 5 საძახავი[86] და 11 სახვევი იდგა[87]. როგორც საძახავ წისქვილებს, ისე სახვევ დაზგებს უკლებლივ ყველა წყარო (და ასეთი არა ერთია) მანქანებს უწოდებს. მართალია, ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება ამ მოწყობილობების ზუსტი აღწერა, მაგრამ არსებული ცნობები არაფრით არ უარყოფენ წყაროების მითითებას. ხელოსნური იარაღებისაგან განსხვავებით, მანქანისათვის დამახასიათებელია მოძრაობის გარედან მიღება (ამასთან საქმის დედაარსი არ იცვლება იმით, თუ საიდან მოდის ეს მამოძრავებელი ძალა). ამის შემდეგ იგი თავისი იარაღებით იმავე ოპერაციებს ასრულებს, რასაც უწინ მუშა ასრულებდა. ფაბრიკის როგორც საძახავი, ისე ამოსახვევი დაზგები გულისხმობდნენ გარედან მოძრაობის მიღებას; პირველი მოძრაობდა ცენტრალური ამძრავი მექანიზმის საშუალებით, მეორე კი დამხმარე მუშის საშუალებით. ფაბრიკის შენობების ერთ-ერთი აღწერიდან ვიგებთ, რომ ერთი ქვის მოზრდილი შენობა საძახავად ყოფილა გამოყოფილი; იგი ორსართულიანი იყო. ქვედა სართულში მოთავსებული იყო

---

85 ცსიალ, ფ. 18, აღწ. 2, საქმე 395, ფურც. 81—82.

86 ი ქ ვ ე, საქმე 586, ფ. 109.

87 ი ქ ვ ე, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 2288, ფ. 14.

5 საძახავი წისქვილი, ხოლო ზედა სართული კი ამძრავ მოწყობილობას ეკავა, რომელსაც მთელი საძახავი მექანიზმი მოჰყავდა ძრაობაში[88].

აბრეშუმსახვევი დაზგების შესახებ ფაბრიკის ერთ-ერთ აღწერაში ვკითხულობთ, რომ: Для размотки коконов, например, французского, находится особое строение, в котором устроено 30 печей, из коих при каждой имеется по одной машине для размотки шелка, для каждой из таковых машин нужно два человека, один для приведения в действие машины, другой для самой размотки»[89].

„განსხვავება იარაღსა და მანქანას შორის ერთი შეხედვითვე თვალში გეცემა, თუნდაც რომ თვით ადამიანი ჯერ კიდევ რჩებოდეს პირველ ძრავად, — ამბობს მარქსი, — რაოდენობა სამუშაო ინსტრუმენტების, რომლებითაც ადამიანს ერთსა და იმავე დროს შეუძლია იმოქმედოს, შეზღუდულია მისი ბუნებრივი საწარმოო ინსტრუმენტებით, მისი სხეულის ორგანოების რიცხვით... რიცხვი სამუშაო იარაღებისა, რომელსაც იმავდროულად ამუშავებს ერთი და იგივე სამუშაო მანქანა, თავიდანვე თავისუფალია ამ ორგანული შეზღუდვისაგან, რომლითაც მუშის ხელოსნური იარაღი შემოიფარგლება“[90]. კასტელას წარმოებაში გამოყენებული საძახავი წისქვილები მრავალ თითისტარისაგან შედგებოდნენ, რომლებიც დაზგაზე რამდენიმე რიგად იყვნენ მოწყობილნი, ხოლო ყოველი რიგი ცალკე ღვედის ხახუნის საშუალებით მოძრაობდა: 1831 წელს ფაბრიკას ჩამოაცილეს უფროსი მძახველი ოსტატი ფრანგი გლეზელი. მის დროს ფაბრიკის 5 საძახავი წისქვილიდან 2 სრულად მუშაობდა, 2 საერთოდ არ მუშაობდა, ხოლო 1 წისქვილი მხოლოდ ერთრიგად ძახავდა. ფაბრიკის მუშამ ს. ბერიძემ გლეზელის დახმარების გარეშე აამოძრავა ერთი გაჩერებული წისქვილი. ხოლო ის-

---

88 ი ქ ვ ე, ფ. 18, აღწ. 1, საქმე 586, ფ. 109.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ უცხოელი გლაზელი, რომელიც წარმოებაში მთელი ოჯახით მონაწილეობდა, მისი ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა იყო და სწორედ ძახვის საქმეს ედგა სათავეში. ხელობით მძახავი ოსტატი კი არ ყოფილა, არამედ მექანიკოსი და საძახავი მანქანების სპეციალისტი. (ცსიალ. ფ. 18, აღწ. 2, საქმე 399, ფ. 42).

89 ცსიალ. ფ. 18, აღწ. 2, საქმე 400. ფურც. 134.

90 მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 473—474.

რომელიც ერთ რიგად ახვევდა, მთელი ძალით (სამრიგად) აამუშავა[91].

სახვევი დაზგები გაცილებით მარტივი კონსტრუქციისა უნდა ყოფილიყო, ვიდრე საძახავი წისქვილები, მაგრამ ეს საფუძველს არ გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ისინი მხოლოდ გაუმჯობესებული იარაღები იყვნენ. მე-18—19 საუკუნეების მიჯნაზე ევროპაში შემოღებული იქნა აბრეშუმის ამოსახვევი მოწყობილობები, რომლებმაც ხელით ამოხვევა შეცვალეს და თავიდანვე მანქანის ხასიათს ატარებდნენ. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ევროპაში გავრცელდა სახვევი დაზგის ორი ტიპი—ფრანგული და იტალიური, აღნიშნული დაზგები მთელი მე-19 საუკუნის განმავლობაში გაბატონებული იყვნენ აბრეშუმის მრეწველობაში, ამასთან მათ იყენებდნენ როგორც კუსტარულ საწარმოებში (ცხადია, ეს ფაქტი მათ არ უკარგავთ მანქანის ხასიათს), ისე ფაბრიკებშიც. ამასთან პირველ შემთხვევაში ისინი ხელით (უფრო სწორად ფეხით) მოდიოდნენ მოძრაობაში. ხოლო მეორე შემთხვევაში უმეტესად (და არა ყოველთვის) ცენტრალური ამძრავის საშუალებით — დაზგების მთელი რიგი; ამ ცენტრალური ამძრავის ფუნქციას თანდათანობით ორთქლის მანქანა იჭერდა. მართალია, დროთა განმავლობაში უჯობესდებოდა აღნიშნული დაზგების კონსტრუქციული დეტალები, მაგრამ პრინციპი უცვლელი რჩებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ კასტელას ფაბრიკაში გამოყენებული დაზგები ფრანგული ტიპისანი იყვნენ. ისინი საფრანგეთიდან ჩამოიტანეს, საფრანგეთიდანვე ჩამოიყვანეს ოსტატებიც. აღნიშნული ორი ტიპის დაზგებიდან XIX ს. II ნახევრისათვის, რუსეთში იტალიურებს ამჯობინებდნენ, მაგრამ ჩვენი განსახილველი პერიოდისათვის მათ შორის მნიშვნელოვანი განსხვავება არ უნდა ყოფილიყო და კასტელას თაბრიკის სახვევი დაზგები საკმაოდ დიდი წარმადობისანი ყოფილან.

როგორც ცნობილია, აბრეშუმის საწარმოში ერთ-ერთი მიტაღ შრომატევადი სამუშაო იყო პარის დახარისხება. აღნიშნულ სამუშაოზე დიდი რაოდენობით მუშახელი იყო დაბანდებული (ტყვე

---

91 სცსია. ფ. 2, აღწ. 1, საქმე 2669, ფურც. 79.

არავითარი ეჭვი არ არის, რომ აქ მანქანასთან გვაქვს საქმე; ყველაზე დახელოვნებული ოსტატი 2 თითისტარითაც კი უაღრესად დაძაბვით მუშაობდა, თითისტრების 3 რიგზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. დიდი რაოდენობის თითისტრების გამოყენებაზე ისიც მიუთითებს, რომ ფაბრიკის დახურვის დროისათვის სხვა მანქანა-მოწყობილობებთან ერთად ფაბრიკაში აღმოჩნდა რკინის თითისტარების 7 საკმაოდ მოზრდილი ყუთი, და 1 ყუთი ტყვიის თითისტრებით.

თურქები, პატიმარი ქალები და სხვ.). უფრო გვიან კი, პარკის დამხარისხებელი მანქანა იქნა შემოტანილი. ამ შემთხვევაში ეს გარემოება ჩვენთვის მეტად საინტერესოა, რადგან აბრეშუმის ამოხვევია მექანიკური წესი განსხვავებით კუატარული

ველ ხანებში წინა მოსამზადებელი სამუშაოები ხელით წარმოებდა, რადგან ფაბრიკაში მხოლოდ საძახავი დაზგები იდგა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ფაბრიკა ხაზინის ხელში გადავიდა, წარმოებაში ამუშავდა დაზგები ყაჭის გასაყოფად (წინასწარი გრეხა). ამრიგად 1831 წლისათვის ფაბრიკის საძახავი მოწყობილობა შედგებოდა: 3 დგამი ყაჭის გასაყოფათ, რომელთაც თითოს 1 ოსტატი და 4 მუშა ემსახურებოდა (5 კაცი); 2 დაზგა აბრეშუმის გასაორფებლად, თითოს მუშახელის იგივე რაოდენობა სჭირდებოდა (სულ 10 კაცი) და 5 საძახველი დაზგა (тростильная мельница), თითოს 2 მუშა ემსახურებოდა (სულ 10 კაცი). ამათ გარდა გათვალისწინებული იყო 4 მუშა საძახავი განყოფილების მოძრაობაში მოსაყვანად[93].

ამრიგად, საძახავი განყოფილების დაზგები თანმიმდევრობით სხვადასხვა ოპერაციების შესრულებას გულისხმობდნენ წარმოების ერთიანი პროცესის ცალკეულ ეტაპებზე. მაშასადამე აქ საქმე გვაქვს მანქანების არა უბრალო კონცენტრაციასთან, არამედ მანუფაქტურულ კოოპერაციასთან. ხოლო რადგან საძახავი განყოფილების მთელი მექანიზმი ერთი ძალით მოდიოდა მოძრაობაში, აქ საქმე გვაქვს მანქანების სისტემასთან „ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით“.

1833 წლიდან ისმება ფაბრიკის მნიშვნელოვანი გადაკეთების საკითხი. კერძოდ გათვალისწინებული იყო საძახავი განყოფილების მანქანების ერთიორად გაზრდა, ეს განსაკუთრებით საძახავი განყოფილების იმ დაზგებს შეეხებოდა, რომლებიც მოსამზადებელი სამუშაოებისათვის იყვნენ გათვალისწინებულნი[94]. ხოლო მას შემდეგ, რაც გადაწყდა, რომ წარმოების ძირითადი პროფილი პროვინციებიდან მოტანილი ყაჭის ძახვა იქნებოდა, ფაბრიკაში უნდა მოწყობილიყო 24 საძახავი წისქვილი (მისი მოწყობა 36000 მანეთად იქნა შეფასებული) და დამხმარე სამუშაოებისათვის 30 მოსამზადებელი დაზგა „скамья“ (რომლისთვისაც 4 5000 მან. იქნა გამოყოფილი), ხოლო 10 დაზგა აბრეშუმის გაორფებისათვის (მის მოწყობაზე 1500 მანეთი უნდა დახარჯულიყო)[95].

1833 წლის 12 აპრილის ცნობით, ფაბრიკის მოწყობილობა მნიშვნელოვნადაა გაუმჯობესებული. მასში იდგა: აბრეშუმსახვე-

---

93 სცსია, ფ. 2. აღ. 1. საქმე 2669, ფურც. 15, 81.

94 ცსიალ, ფ. 1263, აღ. 1, საქმე 1417, ფურც. 76Ე.

95 სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქმე 3530, ფურც. 16.

ეი დაზგა 14 (აღნიშნული დაზგები ძახვის ოპერაციაში უნდა ყოფილიყვნენ გამოყენებულნი, რადგან, როგორც ქვევით დავინახავთ, პარკის ამოსახვევი დაზგები ცალკეა გამოყოფილი); 3 რკინის დაზგა, სპილენძის ბორბლებით, საკერავი ძაფის გაორფებისათვის. ფაბრიკაში ყოფილა (არ ვიცით მუშაობდა თუ არა) პარკის სახვევი 11 დაზგა ადგილზე გაკეთებული (იგულისხმება რუსეთში დამზადებული) ღუმელებითა და ქვაბებით; ასეთივე 20 ალბათ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი — სულ. 31. ჩვენ ზევით აღვნიშნეთ, რომ კასტელას სიკვდილის დროისათვის ფაბრიკაში პარკის ამოსახვევი 11 დაზგა იდგა, ხოლო 20 დაზგა გამოუყენებელი იყო; შემდეგ ხაზინამ ოცივე დაზგა დააყენა და აამუშავა. მაგრამ, გარდა ამისა, ამ დროს ფაბრიკაში დამატებით ჩანს კიდევ 24 პარკის სახვევი დაზგა — ორი ორთქლის ქვაბით[96]. უკანასკნელი ცნობა მეტად საინტერესოა, რადგან პარკის სახვევ წარმოებაში ამოხვევის ფაბრიკული წესი ამგვარივე კუსტარული წესისაგან ძირითადად (გარდა ცენტრალური ამძრავისა) განსხვავდება ხვევის პროცესში ორთქლის გამოყენებით. ამოხვევის კუსტარული წესი გულისხმობს, რომ ყოველ დაზგასთან გაკეთებულია სპეციალური ღუმელი (ქურა), რომელზედაც თასით წყალი დუღს და შიგ პარკი იხარშება. მუდმივ ცეცხლზე ყოფნა იწვევს ამოხვეული ყაჭის გაუხეშებას. ამასთან შეუძლებელია ტემპერატურის რეგულირება. რადგან იდეალური ტემპერატურად ამ პროცესისათვის 60—70° ითვლება, რომ აღარაფერი ვთქვათ ცალკე ღუმელების არსებობის დიდ შრომატევადობაზე და საწვავის დიდი რაოდენობით ხარჯვაზე და სხვ. ორთქლით ამოხვევის დროს ყველა ეს უხერხულობა მოხსნილია. ცენტრალური ორთქლის ქვაბი მილების საშუალებით შეერთებულია დაზგების თასებთან. მოწოდებული ორთქლი ათბობს წყალს, რომელშიც პარკი ლბება. ამჯერად საშუალება არის წყლის ტემპერატურის რეგულირებისა: ამგვარად ფაბრიკაში პარკის სახვევ დაზგებთან ორთქლის ქვაბის აღნიშვნა იმას მიუთითებს, რომ აქედან მოყოლებული, წარმოებაში წყლის გასათბობად ორთქლს იყენებენ, რაც მეტად მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური გაუმჯობესება იყო.

1836-37 წლებში მთავრობის წრეებში კვლავ შეიცვალა აზრი ფაბრიკის დანიშნულების შესახებ. გადაწყდა, ფაბრიკა სანიმუშო

---

96 სცსია ფ. 2 აღ. 1, საქმე 3530, ფურც. 25.

წარმოებად გადაკეთებულიყო[97]. ეხლა უკვე მთავარი ყურადღება უნდა მიქცეოდა აბრეშუმის ხარშვის (პარკის ამოხვევის) საქმის უკეთ მოწყობას, რომელიც, როგორც ცნობილია, კარგა ხნის განმავლობაში უკანა პლანზე იყო გადაწეული. 1837 წლის აგვისტოში პოდპოლკოვნიკ ევსტრატოვს 4490 მან. 19 კაპ. მიეცა, რათა ფაბრიკასთან ხელახლა აეშენებია ქვის აბრეშუმსახარში და ცეიხჰაუზი[98].

ამ ხანებში ქარხნის მმართველი ტესიერი, მის გენერალურ რეკონსტრუქციას იწყებს. როგორც ჩანს, მანამდე აღნიშნული 24 პარკის სახვევი წისქვილი 2 ორთქლის ქვაბით წარმოებაში გაშვებული არ ყოფილა; ყოველ შემთხვევაში ისინი არც ერთ უწყისში არ ჩანან.

ფაბრიკის 1837 წლის უწყისიდან ვიგებთ, რომ ამ წლის დასაწყისიდან ფაბრიკის მუშაობის აქცენტი ძირითადად პარკის ამოხვევაზე იყო გადატანილი, ხოლო ოქტომბრიდან კი ფაბრიკას ორთქლით ამოხვევა დაუწყია[99]. მაგრამ იმის გამო, რომ ახალი აბრეშუმსახვევი ნაჩქარევად იყო მოწყობილი, მანქანები ხშირად ზიანდებოდნენ და ფაბრიკას ნოემბერ-დეკემბერში თითქმის არ უმუშავნია[100]. როგორც ჩანს, ორთქლის აბრეშუმსახვევის მოწყობას ფრანგი მექანიკოსი ლუდვიგ ტერ-შივალიე მეთაურობდა. ორთქლის ქვაბი კი თბილისის მცხოვრებს მექვაბე ნონია ამირაგოვს მოუწყვია: დაუყენებია 24 თასი 24 სახვევი დაზგისათვის და სხვა[101]. მუშაობა აღნიშნულ განყოფილების მოწყობაზე 4,5 თვე გაგრძელებულა. ამავე წელს აბრეშუმის ფაბრიკა იმპერატორს დაუთვალიერებია და მოსწონებია[102].

როცა ფაბრიკის მეთაურად ტესიერი ემირიხმა შეცვალა, მან მისი წინამორბედის მიერ ჩატარებული სამუშაოები არადამაკმაყოფილებლად მიიჩნია და შეუდგა ორთქლის აბრეშუმსახვევის წესრიგში მოყვანას. მისი 1838 წლის 11 ივნისის მოხსენებიდან გოლოვინისადმი ვიგებთ, რა დამატებითი სამუშაოების ჩატარებას მიიჩნევს იგი საჭიროდ. კერძოდ, შესაკეთებელი ყოფილა თვით

---

97 ცსიალ, ფ. 1, 1268, აღწ. 1, 1837, საქმე 39, ფურც. 16—18.

98 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 3839, ფურც 104.

99 იქვე, ფ. 272, საქმე 12.

100 იქვე, ფ. 4.

101 სცსია, ფ. 4, აღწ. 1, საქმე 3071, ფურც. 104—105.

102 იქვე, ფ. 2, აღ. 1, საქმე 3839, ფურც. 358.

შენობა ორთქლითსახვევისა (паровая прядильня), ხელახლა გადაკეთებას და მოწყობას ჰპირითხოვდა ორთქლის ქვაბი და დაზგები[103].

თანდათანობით წარმოების მექანიკური წესი იკრებოდა არა მარტო უშუალოდ ამოხვევასა და ძახვაში, არამედ სხვა დამხმარე ოპერაციებშიც; მაგალითად, ფაბრიკის 1842 წლის მანქანა-იარაღების აღწერიდან ჩანს, რომ ფაბრიკაში ჰქონიათ ბიურო სასინჯი მანქანით აბრეშუმის შესამოწმებლად; შულოების შესაგრაგნი მანქანა და სხვ. ხოლო უშუალოდ ხვევისა და ძახვისათვის გამოსაყენებელი მანქანა-იარაღებიდან აღსანიშნავია: 2 ძველი ორთქლის ქვაბი—აბრეშუმის ორთქლით ამოხვევისათვის, 14 აბრეშუმსახვევი დაზგა უვარგისი, 40 აბრეშუმსახვევი დაზგა და 2 არასრული დაზგა, 97 ბორბალი აბრეშუმსახვევი დაზგებისა. 5 აბრეშუმსახვევი მანქანა ორგანზინისა და ტრამისათვის: თითისტარებით, ნაბალდაშნიკებით, კოჭებითა და ძაფგამტარებით. 2 დაზგა აბრეშუმის გაორებისათვის, 3 დაზგა აბრეშუმის ძახვისათვის. 1 დიდი დაზგა საკერავი ძაფის ძახვისათვის. დიდი ორთქლის მანქანა მილებითა და ონკანებით: სპილენძის 24 მოკალული ქვაბი; 24 დაზგა აბრეშუმსახვევი, ტყავის საბერველი და სხვ[104].

ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით ამგვარად წარმოგვიდგება ფაბრიკაში ცალკეული მანქანების გამოყენების საკითხი; მაგრამ წარმოების მანქანური ხასიათის გასარკვევად საჭიროა მოკლედ მაინც შევჩერდეთ მის ამძრავ მოწყობილობებზე.

როგორც ჩანს, კასტელას თავდაპირველად განზრახული ჰქონდა ფაბრიკის საძახავი მოწყობილობა წყლის ძალით მოეყვანა მოძრაობაში. 1828 წლის წარმოების ნაგებობების აღწერაში ვკითხულობთ: «Около заведения вырыт ровин и провит в скале канал для действия водяных колес, долженствующих приводить в действие тростильные машины»[105].

აღნიშნული არხი 1800 საჟენი სიგრძისა და 2 არშინი და 9 ჩარექი სიღრმის ყოფილა. ფაბრიკაში იდგა ჩაღაც ჰიდრავლიკური მოწყობილობა; არხის გაყვანა 500 მანეთი დამჯდარა[106]. მაგრამ, როგორც ეტყობა, წყლის აღმძრავმა მოწყობილობამ ვერ გაამართლა იმედი. შეიძლება იმიტომ, რომ მტკვარი მეტად არათა-

---

103 ცსიალ. ფ 1263 აღ. 1. საქმე 1417, ფურც. 191.

104 ცსია. ფ. 2, აღ. 1, საქმე 3839, ფ. 363—366.

ეს ცნობა ფაბრიკის დახურვის დროინდელია და მანქანა-იარაღებსაც უკვე ეტყობათ გაპარტახების ნიშნები.

105 ცსიალ. ფ. 18, აღ. 2, საქმე 397, ფურც. 140.

106 იქვე.

ნაბარი მდინარეა და ხან წყალდიდობა და ხან დაშრობა, რეგულირების საშუალებას უსპობდა. შეიძლება ამას სხვა მიზეზებიც დაემატა, ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ფაბრიკის არსებობის პირველ ხანებში ამძრავში ადამიანის ძალას იყენებდნენ.

1833 წელს, როგორც აღვნიშნეთ, ფაბრიკა საბოლოოდ გადაკიდა ხაზინის გამგებლობაში. ამ დროს ისმება საკითხი ფაბრიკის საფუძვლიანი გადაკეთების შესახებ. გადაკეთება პირველ რიგში უნდა შეხებოდა ფაბრიკის ამძრავ მოწყობილობას. ამასთან გამოთქმული იყო ორი აზრი. I — ამძრავი მოწყობილიყო წყლის ბორბლის პრინციპზე, ხოლო II — ითვალისწინებდა, რომ მოეწყობოდა ორი ამძრავი: ერთი მოძრაობაში მოვიდოდა 4 ცხენის საშუალებით, ხოლო მეორე — ორი კაცის საშუალებით[107]. რაკი ორი ამძრავი გაითვალისწინეს, მაშასადამე ერთი საძახავისათვის უნდა ყოფილიყო, მეორე კი სახვევისათვის. მაშასადამე პირველ ვარიანტში იგულისხმებოდა, რომ ორივე განყოფილება წყლის ერთი ამძრავის საშუალებით იმუშავებდა.

თუმცა პროექტის ავტორი ამ ორ აზრიდან პირველს ამჯობინებდა, მაგრამ ეტყობა შემდეგ ძველი გამოცდილება გაითვალისწინეს და მეორე ვარიანტზე შეჩერდნენ. ამიტომ ფაბრიკის გადაკეთების გეგმაში, ცოტა უფრო მოგვიანებით ვკითხულობთ, რომ ახალი ამძრავის მოსაწყობად საჭიროა ჯორებისა და ცხენების ყიდვა, რაზედაც გამოიყო 750 მანეთი. აღნიშნული „პრივოდი“ ჩანს 1833 წლის II ნახევარში ამუშავდა. ფაბრიკის გასავლის უწყისში 1833 წლის ივლისიდან საძახავი წიბქვილების მოძრაობაში მომყვანად ერთი კაცი ჩანს[108], რომელსაც, უნდა ვიფიქროთ, ცხენების გარეკვა ევალებოდა. ნოემბრის უწყისში აღნიშნული მოვალეობის შემსრულებელი არ არის აღნიშნული, ხოლო 1834 წლის მარტის უწყისებიდან ფაბრიკაში დასაქმებული — მანეჟის ბიჭი (манежный мальчик) ჩნდება[109], რომელსაც თვეში 7 მანეთს უხდიდნენ გასამრჯელოს. ეს ბიჭი ფაბრიკაში იხსენიება 1837 წლამდე, ამასთან უმეტესად უბრალოდ წერენ „бичe“[110]. ამ დროიდან კი, როგორც ჩანს, ეს ფუნქცია პატიმარ ქალებზე გადავიდა. ფაბრიკის ყოფილი ხელმძღვანელის ტესერის განცხადებიდან ვიგებთ, რომ მას დაქირავე-

107 სცსია, ფ. 2. აღ. 1, საქმე 3530, ფურც. 29.
108 სცსია, ფ. 2. აღწ. 1, საქმე 2962, ფურც. 125.
109 იქვე, ფ. 272. საქმე 8.
110 იქვე, საქმე 11, ფ. 2.

ბული ჰყავდა ყმაწვილი, მანეჟში ცხენების გასარეკად, რომელსაც იგი „ნიჩე“-ად იხსენიებდა და რომელიც ეკონომიის მიზნით მან პატიმარი ქალებით შეცვალა[111]. ამრიგად ეჭვი არ არის, რომ 1833 წლის მეორე ნახევრიდან მაინც ფაბრიკის საძახავი მოწყობილობები ცხენძრავის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში.

უფრო ძნელი დასადგენი ხდება თუ როგორ განახორციელა ხაზინამ ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი გეგმა ფაბრიკის სახვევი განყოფილების მიმართ. საქმე იმაშია, რომ ამ დროიდან მოყოლებული პარკის ამოხვევა ფაბრიკაში მხოლოდ სასწავლო დანიშნულებით წარმოებს, მეტად მცირე ზომით. ფაბრიკის საძახავი განყოფილება კი ძირითადად მოტანილი ყაჭისა და აბრეშუმის ხამის დამუშავებაზე გადადის. ფაბრიკის უწყისებში ამოხვევაზე მუშახელის მეტად მცირე რაოდენობაა დაბანდებული, მასში ვხვდებით პატიმარ ქალებსაც; მაგრამ ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: ამ დროიდან არც ერთ უწყისში არ არის მითითებული, რომ აღნიშნული ქალები იქ მაინცდამაინც მანქანების ასამოძრავებლად იყვნენ. პირიქით, უწყისები მიუთითებენ, რომ პატიმარი ქალები ახვევენ აბრეშუმს და ჩეხენ შეშას[112]. მაშინ, როდესაც მანამდე უწყისებში, თითქმის ყოველთვის იყო აღნიშნული, რომ პატიმარი ქალები ახვევენ პარკს, აბრუნებენ დაზგებს, ჩეხენ შეშას და ა. შ. როგორც ცნობილია, 1834-38 წწ. ფაბრიკას უცხოელი ტესერი განაგებდა, ხოლო შემდეგ იგი ემერიხმა შეცვალა. თავის ანგარიშში ემერიხი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ტესერის დიდი შეცდომა ის იყო, რომ იგი პატიმარ ქალებს იყენებდა «На разные работы по хозяйственной части, шелк же отматываем был наемными рабочими»[113]. როგორც ვხედავთ, აქ არაფერი არაა ნათქვამი იმაზე, რომ ქალები დაზგების მამოძრავებლად იყენენ გამოყენებული. იგივე ემერიხი, ერთ-ერთ სხვა ჩოხსენებაში ახალი ორთქლის აბრეშუმსახვევის დასრულების სარგებლიანობას იმაშიც ხედავს, რომ მასში დაქირავებული მუშები პატიმარი ქალებისაგან სავსებით იზოლირებული იქნებიანო[114]. ამ შემთხვევაში კი გამორიცხულია შესაძლებლობაც კი, რომ პატიმარი ქალები ცალკეულ აბრე-

---

111 სცსია. ფ. 4, აღწ. 1 საქმე 3071, ფ. 102—103.

112 სცსია. ფ. 272, საქმე 4, ფურც. 18, 21 და სხვ.

113 სცსია. ფ. 2, აღწ. 1, საქმე 6245 ფურც. 4.

114 ი ქ ვ ე. საქმე 5539, ფ. 37.

შუმსახვევი დაზგების მოძრაობაში მოყვანაზე ყოფილიყვნენ გამოყენებულნი. ასევე გამორიცხულია ამ საქმეში დაქირავებული მუშების გამოყენებაც, რადგან ჩვეულებრივ მათ საქმიანობას ფაბრიკის უწყისები საკმაოდ ზუსტად და გარკვევით მიუთითებენ, მსგავსი გარემოება კი არსად არ არის აღნიშნული.

მსგავსი მდგომარეობა გრძელდება ფაბრიკის დახურვის დღემდე. ვერსად ვერც ერთ უწყისში (ჩვენ ხელთ გვაქვს თითქმის ყველა თვეების უწყისები) ჩვენ ვერ წავაწყდით მითითებას, რომ მანქანების ასამოძრავებლად რაიმე იძულებითი ან თუნდაც დაქირავებული შრომა ყოფილიყო გამოყენებული. ვიმეორებთ, 1833 წლამდე ეს თითქმის ყველგანაა ხაზგასმული. მაგრამ უბედურება ისაა, რომ უწყისები და საერთოდ მასალა ფაბრიკის შესახებ, არსად არ იძლევა პირდაპირ მითითებას, თუ რა ძალას მოყავდა მოძრაობაში აღნიშნული დაზგები. მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ამ პერიოდში ისინიც ცენტრალურ ამძრავზე გადაიყვანეს. მაგრამ რა საშუალებით მოდიოდა იგი მოძრაობაში? 1835 წლის თებერვლის უწყისში აღნიშნულია, რომ შეიძინეს ორი ძელი დიდ მანეჟში გამოსაცვლელად[115]. დიდი მანეჟის აღნიშვნა გვავარაუდებინებს, რომ ფაბრიკაში მცირე მანეჟიც უნდა ყოფილიყო. ორი მანეჟის არსებობა, ბუნებრივია, ორი ამძრავი მოწყობილობის არსებობაზე მიუთითებს, რომელთაგან ერთი საძახავ განყოფილებას ემსახურებოდა, მეორე კი სახვევ განყოფილებას. ამრიგად, გამოდის, რომ სახვევი განყოფილებაც, ისევე როგორც საძახავი, ცხენძრავის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში; მაგრამ აღნიშნულ ვარაუდს ეჭვის ქვეშ აყენებს მეორე მითითება: 1836 წლის მაისისთვის უწყისში ვკითხულობთ, რომ «Работа на фабрике остановилась за недостатком шелк-сырца, а производилась только размотка одних коконов в сие работа была остановлена на несколько дней полноводием (половодье?) Куры»[116].

მაგრამ რატომ უნდა შეებრკოლებია წყალდიდობას მუშაობა? იქნებ ფაბრიკის შენობაში წყალი შეიჭრა, მაგრამ მაშინ სხვა ზარალიც იქნებოდა, რასაც უწყისში უეჭველად აღნიშნავდნენ. ძალაუნებურად აღნიშნულ მინაწერს მივყევართ იმ დასკვნამდე, რომ შეიძლება სახვევი განყოფილების დაზგები წყლის ძალით მოდიოდ-

---

115 სცსია, ფ. 272, საქმე 14, ფურც. 5.

116 იქვე, საქმე 11. ფურც. 12.

ნენ მოძრაობაში და, ბუნებრივია, წყალდიდობა მის ნორმალურ მუშაობას შეაფერხებდა.

აქ არ შეგვიძლია კიდევ ერთი ცნობა არ მოვიტანოთ: ზემოთ მითითებულ მოხსენებაში ემერიხი აღნიშნავდა, რომ ამჟამად (1838 წელია) წარმოებს აბრეშუმსახვევი განყოფილების ახალი ორთქლის მანქანის შეკეთება[117]. ფაბრიკაში ორთქლის მანქანის არსებობაზე კანტიკუნტად სხვა ცნობებიც მიუთითებენ. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ფაბრიკაში 1836-37 წწ. ორთქლის ქვაბი დადგეს: აღნიშნული ქვაბი ორთქლს ამუშავებდა, რომელსაც ტექნოლოგიური დანიშნულებით იყენებდნენ; შეიძლება გვეფიქრა, რომ ფაბრიკის ზოგიერთი აღმწერი შეცდომით სწორედ მას მიიჩნევდა ორთქლის მანქანად. მაგრამ მეტად საეჭვოა ასეთი შეცდომა ფაბრიკის მმართველს მოსვლოდა. ამიტომ არც იმის შესაძლებლობა უნდა იყოს გამორიცხული, რომ ფაბრიკის არსებობის ბოლო წლებში აბრეშუმსახვევის ამძრავში ორთქლის მანქანას იყენებდნენ.

ყველა ზემოთ მოყვანილი ვარაუდი თითქოს ერთმანეთს ეწინააღმდეგება, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველა ამ ცნობას შორის განსხვავება საშუალოდ 1—2 წელი მაინც არის, ხოლო ამ ხანებში აბრეშუმის წარმოება გამუდმებულ შეკეთებასა და გადაკეთებას განიცდიდა, ეს წინააღმდეგობა შეიძლება არც ისე მწვავედ მოგვეჩვენოს. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ მოკლებული ვართ საშუალებას დაბეჯითებით ვთქვათ რაიმე, თუმცა ვარაუდი რომ ბოლო წლებში სახვევი დაზგები საერთოდ ცენტრალურ ამძრავზე გადაიყვანეს, საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. ხოლო თუ ეს ასეა, მაშინ თავისთავად იზრდება მანქანის გამოყენების ხარისხი, რადგან უკვე საქმე გვაქვს არა ცალკეულ მუშა მანქანებთან, არამედ მაღალგანვითარებულ მანქანა-გადამცემებთანაც, და, რაც მთავარია, რაკი რამდენიმე მანქანა ერთი ამძრავის საშუალებით მოდის მოძრაობაში, ე. ი. მანქანების სისტემასთან.

ამრიგად, აბრეშუმის ფაბრიკა საკმაოდ მსხვილი კაპიტალისტური საწარმო იყო, რომელიც ხაზინის ხელში გადავიდა. მართალია, მისი არსებობის თითქმის მთელ მანძილზე მასში ნებით დაქირავებულთან ერთად იძულებით შრომასაც იყენებდნენ (ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მისი გამოყენების მასშტაბი ყოველთვის ერთნაირი არ იყო). მაგრამ წამყვანი ადგილი ყოველთვის დაქირავებულ მუშათა შრომას ეკავა, ხოლო ზოგ შემთხვევაში იძულებითი შრომის გამოყენების პირობებში, ადგილი ჰქონდა ეკონომიურ დაინ-

117 ხცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 5539, ფ. 37.

ტერესებას. ამდენად იძულებითი შრომის გამოყენება ფაბრიკას კაპიტალისტურ ხასიათს არ უკარგავდა.

რაც შეეხება ფაბრიკის ტექნიკურ აღჭურვილობას, ჩვენ დავინახეთ, რომ ფაბრიკა თავიდანვე მექანიკურ წარმოებად იყო განსაზღვრული. წარმოების ძირითადი პროცესები მექანიკური დაზგებით — მანქანებით სრულდებოდა. მართალია, სახვევი და დასაძახავი მანქანები თავის ხარისხით ერთგვაროვანნი არ იყვნენ, მაგრამ უეჭველია, რომ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს ე. წ. მანქანა-იარაღთან — მუშა-მანქანასთან. სოლო რადგან მთელი საძახავი მოწყობილობა, რომელიც რამოდენიმე სახის დაზგებისაგან შედგებოდა, რომლებიც ერთი პროცესის სხვადასხვა ეტაპებს ემსახურებოდნენ, ცენტრალური ამძრავის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში. აქ საქმე გვაქვს მანქანების სისტემასთან. ჩვენ დავინახეთ, რომ დროთა განმავლობაში უმჯობესდებოდა ფაბრიკის ტექნიკური აღჭურვილობა, სხვათა შორის, ეს ფაბრიკის სახვევ განყოფილებასაც შეეხო, სადაც ტექნოლოგიაში წამყვანი ადგილი დაიკავა ორთქლის ცენტრალური მიწოდების სისტემამ. ჩვენ დავინახეთ, რომ სახვევი განყოფილება ფაბრიკის მეორე პერიოდში ცენტრალურ ამძრავზე გადავიდა. ხოლო საერთოდ ფაბრიკაში ამ დროიდან უკუგდებული იქნა ამძრავების ხელით მოყვანა მოქმედებაში. არ არის გამორიცხული ისიც, რომ ამძრავის ფუნქციის შესრულება ორთქლის ძალას ჰქონდა დაკისრებული.

ყოველივე აქედან გამომდინარე, წინააღმდეგ ჩვენი წინამორბედი ავტორების დაბეჯითებითი მტკიცებისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ საწარმოში განვითარება საკმაოდ შორს იყო წასული მანუფაქტურასთან შედარებით და იგი ფაბრიკის ხასიათს ატარებდა[118].

40-იან წლებში თბილისში აბრეშუმის წარმოების მოწყობის ორიოდე უშედეგო ცდას ჰქონდა ადგილი (1843 წ. მინას იაკუბოვი[119], 1847 წ. მაიორი შეიმიოტი[120]). მხოლოდ 1857 წელს დადო სახაზინო ქონების ექსპედიციამ კონტრაქტი უცხოელ ოტო პროპიუსთან, რომლის ძალითაც ამ უკანასკნელს ავლაბრის საცდელ ფირმაში აბრეშუმის ამომხვევის მსხვილი საწარმო უნდა მოეწყო[121].

---

118 უნდა აღვნიშნოთ, რომ როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, თავის ერთ გამოუქვეყნებელ ნაშრომში ჩვენზე ადრე ამავე დასკვნამდე მისულა პროფ. პ. რატიანი.

119 სცსია. ფონდი 3, საქმე 4701.

120 სცსია, ფ. 4, აღწ. 5, საქმე 69.

121 სცსია, ფ. 239, საქმე 717, ფურც. 8.

რა ბედი ეწია აღნიშნულ წამოწყებას უცნობია. 1870 წლის ერთი ცნობით აღნიშნულია თბილისში აბრეშუმის ამომხვევი წარმოება 1 00000 მან. წლიური შემოსავლით[122]. მოსალოდნელია რომ აქ სწორედ პროპიუსის საწარმოზე იყოს ლაპარაკი.

3. მაუდის წარმოება

ზემოთ უკვე გვქონდა ლაპარაკი იმაზე, თუ რამდენად გართულებული იყო კავკასიის ჯარის ნაწილების მომარაგება ტანსაცმლით საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ ხანებში. ამ გარემოებამ საქართველოს სამოქალაქო მმართველობის უფროსს — კოვალენსკის თბილისში მაუდის ფაბრიკის მოწყობა აფიქრებინა[123]. მას შშენებლობაში აღა-მაჰმადხანის მიერ დანგრეული მეფის სასახლის კედლების მასალა გამოუყენებია, რომელიც დ. ბატონიშვილს ეკუთვნოდა. ამ უკანასკნელმა ბევრი იჩივლა, ამგვარ უსამართლობაზე, მაგრამ უშედეგოდ. კოვალენსკიმ დაასრულა ფაბრიკის შენობა, რომელიც ნახევრად ხის ყოფილა, ნახევრად კი ქვისა; შენობა იმდენად დიდი იყო, რომ შემდეგში მასში თავისუფლად დაეტია მთელი ბატალიონის ყაზარმები[124]. უფრო გვიან ფაბრიკის შენობა 5020 მანეთად იქნა შეფასებული[125]. კოვალენსკიმ თბილისში მეტად იაფ ფასებში შეიძინა 15000 ფუთი მატყლი, რომლის დიდი ნაწილი რუსეთში გააგზავნა, ხოლო მცირე ნაწილი, 2492 მანეთის ღირებულებისა, ფაბრიკაში გადასამუშავებლად დატოვა[126]. შესაფერისი „მანქანა-იარაღების“ შეძენაზე და ოსტატების დაქირავებაზე მას 8000-მდე მანეთი დაუხარჯავს. ამრიგად, ფაბრიკის მთელი ფასეულობა 15.500 მანეთად იყო შეფასებული, თუმცა დაბეჯითებით არავინ იცის რა დაუჯდა იგი კოვალენსკის.

მომწყობს განზრახული ჰქონია წარმოებაში მთავარი ოსტატები დაექირავებინა (ალბათ რუსეთიდან ჩამოეყვანა), ხოლო მუშების ძირითადი მასა მიწერილი ყმები უნდა ყოფილიყვნენ. ჩვენ არ გვაქვს ზუსტი ცნობები წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის დასადგენად, მაგრამ ვფიქრობთ, რომ იგი ხელით შრომას ემყარებოდა.

---

[122] Сборник материалов для описания Тифлисской губернии, т. I вып. I, 1870, გვ. 72-73.

[123] ა. კ ი კ ვ ი ძ ე. საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე) თბ., 1954 გვ. 41.

[124] ი ქ ვ ე.

[125] ცსიალ, ფ. 17, აღწ. 1, საქმე 855.

[126] ი ქ ვ ე.

წარმოების მოწყობა თითქმის დამთავრებული იყო, როცა მისი ინიციატორის მოღვაწეობის ბნელი საქმეები გამოაშკარავდა; კოვალენსკი საქართველოს ჩამოაცილეს და, ამრიგად, წარმოება ვერ ამუშავდა. თუმცა შემდეგ კოვალენსკი შეეცადა ფაბრიკა დაებრუნებია და იქ მუშაობა დაეწყო, მაგრამ, როგორც ჩანს, უშედეგოდ.

არ არის გამორიცხული, რომ სწორედ კოვალენსკის დატოვებული წარმოების აღდგენა ჰქონდა მხედველობაში მთავარსარდალ ციციანოვს, როცა იგი ჯარის ნაწილების მომარაგების მიზნით მთავრობის წინაშე სვამდა საკითხს საქართველოში სახაზინო მაუდის ფაბრიკის აშენების შესახებ. განზრახული იყო წარმოების მოწყობა 3 დღანზე. დაზგები ადგილზე უნდა დაემზადებინათ, გარდა სავარცხლებისა და ზოგიერთი სხვა ნაწილისა, რომელიც რუსეთიდან უნდა მიეღოთ. რუსეთიდანვე უნდა გამოეგზავნათ სართავი მანქანები და გამოცდილი ოსტატები. ციციანოვს იმედი ჰქონდა, რომ ადგილობრივი თავადაზნაურობა ფაბრიკაში მოწაფეებად მისცემდა თავიანთ ყმებს და შემდგომში ისინი რუსეთიდან მოყვანილ ოსტატებს შეცვლიდნენ. ფაბრიკის გაუმჯობესების შედეგად, რაკი ადგილზე მატყლი ძალიან იაფი ღირდა (მისი ფასი 8 კაპიკამდეც კი დადიოდა), ციციანოვი ფიქრობდა წარმოების პროდუქცია კავკასიის გარეთაც კი გაეტანა.

როგორც ვხედავთ, ეს წარმოება უკეთესად იყო მოფიქრებული, ვიდრე კოვალენსკის, იგი გარკვეული ზომით მანქანების გამოყენებასაც გულისხმობდა. მაგრამ ციციანოვის გეგმებს განხორციელება არ ეწერა, რადგან უმაღლესმა მთავრობამ სასტიკი უარი განაცხადა სახაზინო სახსრებით აქ რაიმე წარმოების მოწყობაზე და ადგილობრივ ხელისუფლებას მიუთითა ამგვარ საქმეში მხოლოდ კერძო ინიციატივა წაეხალისებიათ[127].

მიუხედავად ამისა, ცოტა უფრო გვიან ამიერკავკასიაში მაინც დაარსდა სახაზინო მაუდის ფაბრიკა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში გასული საუკუნის 40-იან წლებამდე მაინც მოქმედებდა: მთავარმართებელ როზენის 1835 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ 1814 წლიდან შავი ზღვისპირეთში არსებობს სამხედრო მაუდის ფაბრიკა, მაგრამ კარგი სპეციალისტების შოვნა თავიდანვე გაძნელდა და ჯერჯერობით იგი არ არის სასურველ მდგომარეობაში; ამჟა-

---

127 ნ. დუბროვინი, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

მად მე გავეცი განკარგულება, რომ მოიძებნოს საქმის მცოდნე ფაბრიკანტი და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ აწი საქმე უკეთ წავალ[128].

ჯარის ნაწილების მაუდით მომარაგების საკითხი მაინც გადაუჭრელი რჩებოდა. 1828 წელს თავრიზიდან თბილისში ჩამოვიდა გერმანელი სპეციალისტი იოჰან გეხლერი. მას ადგილობრივი მთავრობისათვის წინადადება მიუცია, რომ იგი თანახმა იქნება 400 მანეთ წლიურ გასამრჯელოდ იმუშაოს მთავარ ოსტატად სახაზინო მაუდის ფაბრიკაში, თუ ხაზინა ისურვებს ასეთ წარმოების მოწყობას; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი თვითონ კისრულობდა მაუდის ფაბრიკის მოწყობას, ოღონდ მთავრობისაგან ითხოვდა სესხს 3 წლით 700 (სხვა ცნობით 1000) მანეთის რაოდენობით. ამასთან იგი კისრულობდა ვალი ხაზინისათვის საფარაჯე მაუდის მიწოდებით დაეფარა არშინზე 80 კაპიკის კვალობაზე. ადგილობრივი ხელისუფლება შეაყოყმანა იმ გარემოებამ, რომ მაუდის რუსეთიდან ჩამოტანა უფრო იაფი ჯდებოდა (70 კაპ.). ხელისუფლება იქნებ კიდეც წასულიყო ერთგვარ დათმობაზე. გეხლერს წარმოების მოწყობა უახლესი ტექნიკის სათანადოზე რომ განეზრახა, მაგრამ თუმცა გეხლერის გეგმა ითვალისწინებდა წარმოების მოწყობას მანქანების გამოყენებით, მაგრამ ეს მანქანები ძველი ტიპისა ყოფილა, ამიტომ მთავრობას იმაშიც შეეპარა ეჭვი, რომ მისი ნაწარმი ახალ გამოგონებულ მანქანაზე დამზადებულ მაუდს ვერ შეედრებოდა. მაგრამ პასკევიჩი საქმეს სხვანაირად მიუდგა. გაითვალისწინა რა სესხის სიმცირე და წამოწყების სარგებლიანობა, იგი დაეთანხმა უცხოელ ოსტატს. ამასთან მთავრობამ მას წინადადება წაუყენა, რომ სესხს იმ შემთხვევაში მისცემდა, თუ გლეხური საწარმოს ეკატერინოფელდის კოლონიაში ააშენებდა[129]. საქმის შემდგომი ბედი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია. თუმცა მოსალოდნელია, რომ კასტელას სავალალო მაგალითმა მთავრობას შემდეგში ხელი ააღებია გეხლერის დახმარებაზე.

მეფისნაცვალმა ვორონცოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეცხვარეობის განვითარებას საქართველოში; იგი ხედავდა, რომ ამისათვის მყარი საფუძველი არსებობდა, მაგრამ რათა აქ დარგს სამრეწველო ხასიათი მისცემოდა და ადგილობრივი ნედ-

---

128 ცსიალ, ფ. 561, აღწ. 1, საქმე 158, (1835 წ.). ფ. 9.

129 სცსია, ფ. 1165, საქმე 89.

ლეული გამოსადეგი ყოფილიყო რუსეთის ფაბრიკისათვის, საჭირო იყო მატყლის წინასწარი შესაფერისი დამუშავება, გარეცხვა, დახარისხება და ა. შ. ერთის მხრით მატყლის პირველადი დამუშავების გაუმჯობესებას და რუსეთის ფაბრიკების ნედლეულით მომარაგებას, ამასთან მატყლით საბოთუმო ვაჭრობის განვითარებას, ხოლო მეორეს მხრით, ადგილობრივი ჯარის ნაწილების მაუდით მომარაგებას ითვალისწინებდა ვორონცოვის მიერ ჩატარებული ღონისძიებები სოფ. ‹დრეში მაუდის ფაბრიკის მოწყობის თაობაზე[130].

1852 წელს ვორონცოვის წახალისებით უცხოელმა მეცნიერმა აღნიშნული წარმოების მოწყობა იკისრა. ამ საქმეში ვორონცოვის ექიმს ანდრეევსკისაც გარკვეული როლი უნდა ეთამაშა; ნ. ი. მურავიოვი, რომელიც ვორონცოვისადმი კეთილგანწყობილებით არ გამოირჩეოდა, მის დაარსებას შეცდომად მიიჩნევდა და მთლიანად ანდრეევსკის მაქინაციებს უკავშირებდა[131]. შეიძლება მურავიოვი ცოტას აჭარბებს, მაგრამ ერთი ცხადია, რომ წარმოება ანდრეევსკის მამულში და მისთვის საკმაოდ ხელსაყრელ პირობებში უნდა მოწყობილიყო; გათვალისწინებული იყო, რომ წარმოების შენობა და წყლის ბორბალი 10—12 წლის შემდეგ — მიწის მეპატრონის განკარგულებაში უნდა გადასულიყო.

კონდიცია ითვალისწინებდა, რომ ხაზინა მეიცნერს მისცემდა 15000 მან. სესხს. ეს უკანასკნელი კი კისრულობდა წარმოების პირველი რიგი 1853 წლის იანვარში დაემთავრებია ისე, რომ მას 16000-მდე არშინი მაუდის გამოშვება შესძლებოდა; ამასთან ფაბრიკა ივგვარად უნდა გაემართათ, რომ შემდეგში გაუმჯობესების შედეგად შესაძლებელი ყოფილიყო 90.000 არშინი მაუდის გამოშვება. ფაბრიკასთან მატყლის საკრეჭი და სარეცხი უნდა მოწყობილიყო. იქვე მოხდებოდა მატყლის დახარისხებაც. საუკეთესო ხარისხის მატყლი მოსკოვში უნდა გაეგზავნათ, ხოლო დაბალი ხარისხისას კი ფაბრიკაში მოიხმარდნენ. ფაბრიკას სამი განყოფილება ექნებოდა: საბჭრატო, საქსოვი და დამმუშავებელი. გათვალისწინებული იყო რომ

---

130 აქტები ტ. X—№ 802 — აღნიშნულ საწარმოზე იხილე დაწერილები ბ. გუგუშვილი „მანუფაქტურული წარმოების ისტორიისათვის საქართველოში". მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის 1958 წ. ნაკ. III, მისივე „Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв; აგრეთვე ლ. გოგოლაძე. კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა დამრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, თბ., 1959 წ., ე. ხოშტარია. დასახ. ნაშრომი.

131 ЦГВИА, Ф. 169, д. 4, стр. 25—26.

მუშახელზე წელიწადში 7.756 მან.[132] დაიხარჯებოდა თუ ერთი მუ-შის საშუალო ხელფას 20 მანეთს ვიანგარიშებთ, მაშინ წარმოება-ში 65 კაცი მაინც უნდა ყოფილიყო. ეს მეტად დიდი რიცხვია. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ფაბრიკის მხოლოდ პირ-ველი რიგის მომსახურებაზე იყო განსაზღვრული, ხოლო ფაბრიკის სრული დატვირთვით მუშაობის დროს კი მასში 260 მუშის დაბან-დება[313] ყოფილა განსაზღვრული.

თუმცა ვორონცოვმა ყოველგვარი ღონისძიება იხმარა რათა მეიცნერს მიცემული სესხი რაციონალურად გამოეყენებინა, მაგრამ 15000 მანეთი მაინც არ აღმოჩნდა საკმარისი, რადგან მარტო მან-ქანების ყიდვას და 3 ოსტატის დაქირავებას 10000 მანეთი დასჭირ-და[134]. ამიტომ საჭირო გახდა დამატებითი სესხის მიცემა. საბოლო-ოდ სახაზინო სესხის რაოდენობამ 23.600 მანეთს მიაღწია, ფაბრი-კა კი ამოქმედებამდე ჯერ შორს იყო. ამიტომ ვორონცოვი იძულე-ბული გამხდარა მეიცნერი წარმოებისათვის ჩამოეცილებია, ფაბრი-კა ხაზინის გამგებლობაში მიეღო, მის მეთაურად ინჟინერ-ტექნო-ლოგი ილიაშევიჩი დაენიშნა[135] და ფაბრიკის დამთავრებისათვის და-მატებით 13.500 მანეთი გამოეყო. 1853 წლის ბოლოსათვის წარმოე-ბა ნაწილობრივ ამუშავდა[136]. 1854 წლისათვის კი ვორონცოვი ცდი-ლობს ფაბრიკისათვის სახაზინო შეკვეთა მიიღოს, მაგრამ აქ მთე-ლი ძალით იჩინა თავი ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ: მიუ-ხედავად იმისა, რომ ვორონცოვი მთავრობას არშინ მაუდს ჩვეუ-ლებრივზე 2 კაპიკით იაფად სთავაზობდა, მან 1854 წლისათვის სა-ხაზინო შეკვეთა ვერ მიიღო. ამასთან ვორონცოვს განუმარტეს, რომ ხაზინა შეკვეთებს აძლევს მხოლოდ კერძო ქარხნებსო და ისიც მხოლოდ 3 წლის წინ დაარსებულებს. ცხადია, დრეს თაბრი-კისათვის მათ რაიმე დათმობაზე წასვლა არც კი უფიქრიათ, რად-გან, როგორც ერთი საბუთი მიუთითებს, ფინანსთა მინისტრს მი-აჩნდა, რომ «Едва ли удобно допустить, чтобы промышленности Закавказского края, было оказываемо поощрение в ущерб промышленности внутренних губерний»[137].

---

132 აქტები, ტ. X, № 802.

133 ბ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, მასალები, ...გვ. 41.

134 აქტები, ტ. X, № 802.

135 აქტები, ტ. X, № 802.

136 ცსიალ, ფ. 1268, 1853 წ. აღწ. 26, საქმე 16, ფურც. 455—450.

137 ი ქ ვ ე.

ამდენად ფაბრიკამ სახაზინო შეკვეთა ვერც 1855 წლისათვის მიიღო. რაკი სახაზინო შეკვეთებზე უარი უთხრეს, ილიაშვილი იძულებული გამხდარა დაქირავებული ხელოსნების (მუშების) უმეტესობა გაენთავისუფლებია და მეტად მცირე ზომით განეგრძო წარმოება. 1854 წლის II ნახევარში ფაბრიკას მხოლოდ 1120 მანეთის ბეწვიანი დრაპი, მაუდი და სხვა პროდუქცია დაუმზადებია.

ამასობაში ვორონცოვი მურავიოვმა შეცვალა. მან ფაბრიკა დაათვალიერა და გამოთქვა აზრი, რომ უმჯობესი იქნებოდა წარმოება მხოლოდ საშუალო ხარისხის მაუდის დამზადებაზე გადასულიყო. ამასთანავე მან დააყენა საკითხი ფაბრიკის კერძო პირისათვის გადაცემის შესახებ.

1855 წლის დასაწყისში ფაბრიკა მცირე ზომით, მაგრამ მაინც მუშაობს. რაკი კერძო პირი, რომელსაც შეეძლო ეკისრა ხაზინისაგან ფაბრიკის მიღება, არ აღმოჩნდა, 1855 წლის მაისში მურავიოვმა იგი გაუქმებულად გამოაცხადა. მას სურდა ფაბრიკის მანქანები გაეყიდა, მაგრამ ვეღარ მოასწრო. მეფისნაცვალმა ბარიატინსკიმ 1857 წლის დასაწყისში ფაბრიკა უცხოელ (ფრანგ) რიშონეს გადასცა და თან საქმის დაყენებისათვის 10.000 მანეთი სესხიც გამოუყო[138]. სხვა ცნობით 1857-58 წლებში ფრანგ რიშონეს ფაბრიკის ამოქმედებისათვის და მატყლის სარეცხის მოსაწყობად 12.600 მანეთი სესხი მისცეს[139]. რიშონე თითქოს საქმეს კეთილსინდისიერად მიუდგა, ფულიც გეგმაზომიერად დახარჯა, მაგრამ ორი წლის განმავლობაში საბოლოოდ დარწმუნდა, რომ წარმოების მუშაობის რენტაბელობის მიღწევას იგი ვერ ახერხებს და თავი გაკოტრებულად გამოაცხადა[140]. 1860 წელს ფაბრიკა დაიხურა. საინტერესოა ის გარემოება, რომ რიშონეს გადაუწყვეტია მაუდი ადგილობრივი ვაჭრობის მოთხოვნილების შესაბამისად დაემზადებია[141]. ე. ი. იგი პირველ რიგში ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილებას ითვალისწინებდა. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მწარმოებელს საბოლოოდ დაეკარგა იმედი სახაზინო შეკვეთების მიღებისა. შემდეგში თვით რიშონე ფაბრიკის წარუმატებლობის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებდა, რომ საწარმო თავიდანვე არ იყო კარგად მოწყობილი. შეუფერებელი იყო თვით ადგილიც და სხვ., მაგრამ საქმეში ჩახე-

---

138 სცსია, ფ. 10, აღწ. 1, საქმე 3684, ფ. 13.

139 ი ქ ვ ე, ფ. 28.

140 სცსია, ფ. 10, საქმე 1479, ფურც. 11—12.

141 სცსია, ფ. 4, აღწ. 8, საქმე 451, ფ. 106.

ღული პირები ყოველივე ამასთან ერთად წინა პლანზე სწევენ ივ გარემოებასაც, რომ თვითონ რიშონე თუ საერთოდ ამ საქმეში გაბოუცდელი არ იყო, ყოველ შემთხვევაში ახალი კაცი იყო მხარეში, არ იცნობდა ადგილობრივი ვაჭრობის თავისებურებებს; ამასთან ერთად იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ქონებრივმა შეზღუდულებამ რიშონეს საშუალება არ მისცესა მატყლით ფართო ვაჭრობა ეწარმოებინა[142].

დრეს მაუდის ფაბრიკა მეტად ფართე მასშტაბის წარმოებად იყო გათვალისწინებული. იგი გულისხმობდა მთავრობისათვის 90000 არშინი მაუდის მიწოდებას. ეს კი თურმე დაახლოებით იმდენი ყოფილა, რასაც მთავრობას აძლევდა 2—3 მეორეხარისხოვანი მაუდის საწარმო ერთად და თითქმის იმდენი, რამდენსაც რუსეთის ორიოდე უდიდესი ფაბრიკა თუ აძლევდა. 100 ათას და მეტ არშინ მაუდს ხაზინას მხოლოდ 3 უდიდესი ფაბრიკა აწვდიდა[143]. როგორც ვხედავთ, ფაბრიკის მასშტაბი მეტად საგულისხმო იყო. მართალია, მასში წარმოება ასეთი დიდი ზომით არ განხორციელებულა, მაგრამ მისი ტექნიკური ბაზა, როგორც ჩანს, ამის საშუალებას იძლეოდა. ეს წარმოება ყურადღებას იქცევს არა მარტო თავისი ზომებით, არამედ აგრეთვე თავისი ტექნიკური აღჭურვილობითაც. ფაბრიკაში იმ დროისათვის ძვირფასი მანქანა-დანადგარები იდგა, რომელთაგან ნაწილი მოსკოვში იყო ნაყიდი, ნაწილი სათრანგეთიდან გამოწერილი. ფაბრიკის მოწყობის გეგმა ითვალისწინებდა, რომ სხვადასხვა განყოფილებები შემდეგი მანქანა-იარაღებით ყოფილიყო აღჭურვილი: სააპარატო განყოფილებაში უნდა მდგარიყო: 1 ორბორბლიანი მატყლის საპენტი მანქანა, 2 მატყლის საჩეჩი მანქანა, 3 მატყლის სართავი და ნართის სახვევი: — ერთი ჭულიდან ძაფის გამომყვანი (равнильная) მანქანა 60 თითისტარით და ოთხი სუფთად მრთველი მანქანა 60 თითისტარით. ს ა ფ ე ი ქ რ ო ს ა ა მ ქ რ ო შ ი (განყოფილებაში): ხელის 9 დგიმი და 2 მექანიკური დგიმი. მაუდის გამომყვან საამქროში: 1) მთელავი მანქანა, 2) გამრეცხავი მანქანა, 3) მაუდის საშრობი ორი ჩარჩო, 4) ორი სამოებრო ქვაბი, 5) სიგრძივი საკრეპი მანქანა და 6) ბერკეტიანი წნეხი და სხვ.[144].

---

142 სცსია, ფ. 10. საქმე 1479, ფურც. 12.
143 ცსიალ, ფ. 1268, 1853 წ., აღწ. 26. საქმე 16, ფურც. 445—450.
144 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, მასალები... გვ. 40.

ჩვენ არ მოგვეპოვება ფაბრიკის ასე თუ ისე ვრცელი აღწერილობა მისი ამოქმედების დროისათვის. როგორც ცნობილია, ფაბრიკის ქონება მისი დახურვის შემდეგ ძირითადად ავლაბრის ძველი ფერმის შენობაში იქნა გადატანილი, სადაც მოუვლელობისა და სხვ. გამო მისი უმეტესობა განიავდა. 1870 წლის შემოწმებით გამოირკვა, რომ აღნიშნულ შენობაში ყოფილა: 1) საწეწი მანქანა, 2) 2 ბამბის საჩეჩი მანქანა, 3) ქულიდან ძაფის გამომყვანი (равильная) მანქანა, 4) წმინდათ მქსოვი მანქანები (რაოდენობა არაა მითითებული), 5) საქსოვი მანქანები, მექანიკური მოწყობილობებით (რაოდენობა არაა მითითებული), 6) მაუდის დამამზადებელი, 7) გამრეცხავი, 8) გამშრობი მანქანები, 9) გამკრეჭავი (стругательная) მანქანა და მათი მოწყობილობები[145], მაგრამ აღნიშნული ცნობა არც ზუსტია (რაოდენობა არაა მითითებული) და არც სრული, რადგან ფაბრიკის მოწყობილობის ნაწილი კერძო პირების ხელში აღმოჩნდა მისი დახურვის შემდეგ, ნაწილი კი განადგურდა. მაგალითად, სხვა ცნობა მიგვითითებს, რომ ფაბრიკაში ხელის მანქანებიც ყოფილა[146].

მოყვანილი ორი ცნობა თვალნათლივ მიუთითებს, რომ წარმოებაში მანქანების გამოყენება საკმაოდ ფართო მასშტაბით წარმოებდა და მას წამყვანი ადგილი ეჭირა. აქ ეჭვს იწვევს ფაბრიკის თავდაპირველ გეგმაში მოცემული ცნობა, რომ ფაბრიკის საქსოვ განყოფილებაში ორი მექანიკური და 9 ხელის დგამი უნდა ყოფილიყო. მაგრამ აქ უნდა აღინიშნოს შემდეგი: 1) ჩვენ არ ვიცით აღნიშნული შეფარდება უცვლელი დარჩა ფაბრიკის მოწყობის შემდეგ, თუ შეიცვალა მექანიკური დაზგების სასარგებლოდ, რადგან. მართალია, ხელის დაზგების რაოდენობა უცვლელია, მაგრამ მექანიკური დაზგები ზემოთმოყვანილ ცნობაში მოცემულია მრავლობითი რიცხვით, ე. ი. ისინი 2-ზე მეტი იყო. 2) ცნობები არც იმას აზუსტებენ, რომ აღნიშნული 9 ხელის დაზგა მხოლოდ საქსოვი იარაღი იყო, ე. ი. ქსოვა უშუალოდ ხელით წარმოებდა, თუ ადამიანის ხელი (ან საერთოდ ძალა) მხოლოდ მის მოქმედებაში მოსაყვანად გამოიყენებოდა, რადგან „აქტებში" მითითებულია, რომ საქსოვ განყოფილებაში უნდა მდგარიყო 9 ხელის დგამი. ხოლო წყარო ხელის მანქანებზე მიუთითებს, რაც უკანასკნელ ვარაუდს საკ-

---

145 სცსია, ფ. 10, აღწ. 1, საქმე 3684, ფ. 28—29.

146 იქ ე ე, ფურც. 56.

შაოდ რეალურს ხდის. და ბოლოს 3) რომ დადგინდეს კიდეც (ჩვენი ვარაუდის საწინააღმდეგოდ), რომ აღნიშნული დგამები მხოლოდ ხელის იარაღები იყვნენ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ფაბრიკის საქსოვ განყოფილებაში წამყვანი ადგილი ხელით შრომას ეჭირა. რადგან მათი როლი განისაზღვრება არა დაზგების რაოდენობით, არამედ გამოშვებული პროდუქციით, ხოლო შეფარდება 9 : 2 რაოდენობრივია და იგი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება უტოლდებოდეს ხელით და მანქანური წესით გამოშვებული პროდუქციის შეფარდებას, რადგან მექანიკური დგამების წარმადობა ცხადია, გაცილებით დიდი იქნებოდა.

ხოლო რაკი ფაბრიკის მოწყობილობა ძირითადად ერთი ცენტრალური ამძრავით (წყლის ენერგიის გამოყენებით) მოდიოდა მოძრაობაში, აქ საქმე გვაქვს მანქანების არა ცალკეულ დანაწევრებულ გამოყენებასთან, არამედ მანქანების სისტემასთან.

ყოველივე ამის გამო დრეს მაუდის ფაბრიკა მანქანური ხასიათის — ფაბრიკის ტიპის წარმოებად წარმოგვიდგება. რასაკვირველია, შეიძლება იგი განუვითარებელი და დაბალხარისხოვანი იყო, რადგან მასში გარკვეული, და შეიძლება მნიშვნელოვანი ადგილიც, ხელით შრომას ეჭირა, მაგრამ მაინც ფაბრიკის ხასიათის წარმოებასთან გვაქვს საქმე, რადგან მანქანა გამოყენებულია არა შემთხვევით, არა ერთეული სახით, არამედ იგი წარმოებაში წამყვან ადგილს იჭერს.

სამრეწველო წაგოწყებები ტყავის, საპნისა და კვების წარმოებებში

1. ტყავის დამუშავებელი წარმოება

თბილისის ამქრებში მეტყავეები პირველობას არავის უთმობდნენ. ამაში უეჭველი გავლენა უნდა ჰქონოდა იმას, რომ მათ მიერ დამზადებული საქონელი აუცილებელი და შეუცვლელი ნედლეული იყო მრავალი ხელოსნური დარგისათვის; ფეხსაცმლის მკერავები იქნებოდნენ ესენი, მეუნაგირეები თუ მრავალი სხვა. «То обстоятельство, что среди тбилисских амкаров, кожевники претендовали на первенство, обусловливалось тем, что ряд других амкаров находился в зависимости от них в отношении

сырья: амкар кожевников объединял богатых торговцев ремесленников, которые часто выполняли крупные подряды военного ведомства и благодаря этому важнейшему источнику дохода, пользовались влиянием в административных кругах»[1].

დიდი რაოდენობით თბილი წყლის აუცილებლობა და სათბობის სიძვირე თბილისში განსაზღვრავდა იმას, რომ ტყავის საწარმოები თბილი მინერალური წყლების ბაზაზე ეწყობოდა. ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ ამ დარგის ხელოსნები ერთად მუშაობდნენ. მეტყავე ხელოსნები საქართველოს რუსეთთან შეერთების დროისათვის თითქმის ქალაქის ცენტრში, სიონის მახლობლად იყვნენ განლაგებულნი იმ ადგილას, სადაც შემდეგ არწრუნის ქარვასლა აშენდა. ციციანოვის მთავარმართებლობის დროს მათი ამ ადგილზე დატოვება ქალაქისათვის საზიანოდ მიიჩნიეს და ხელოსნები აიძულეს ქალაქგარეთ გადასულიყვნენ[2]. მეტყავეთა ერთი ნაწილი საეკლესიო და ბებუთოვის აბანოებს შორის (ქალაქის II ნაწილი II კვარტალში), ბებუთოვის მიერ მოწყობილ შენობაში გადავიდა; ხოლო მეორე ნაწილმა სუმბათაშვილებთან დასდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც ხელოსნებს უფლება ეძლეოდათ სუმბათაშვილების მიწაზე საკუთარი სახსრებით, აეშენებინათ ტყავის ქარხანა, ხოლო მიწის პატრონებისა და მათი შთამომავლობისათვის ყოველწლიურად უნდა ეხადათ მიწის საიჯარო ფასი[3].

1845 წლის აღწერით ქარხანა რამდენიმე ნაგებობისაგან შედგებოდა, ცალკე შენობა იყო გამოყოფილი მასალის დასაწყობად, ცალკე შენობაში წარმოებდა ტყავის გამოყვანა, დათრთიმვლა; ცალკე — ტყავის მოქნა, შეღებვა და სხვა ოპერაციები. „ქარხანაში“ სპეციალური ოთახები იყო დაქირავებული მუშების საცხოვრებლად. მას სამზარეულოც ჰქონდა[4]. დაახლოებით ასე უნდა ყოფილიყო მოწყობილი ბებუთოვის „ქარხანაც“.

30-იანი წლების დასასრულისათვის ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით ორივე „ქარხანაში“ დროებით შეწყდა მუშაობა. სუმბათაშვილის „ქარხანაში“ მომუშავე ხელოსნებს შემ-

---

1 П. Гугушвили. Развитие промышленности... გვ. 74.
2 სცსია, ფ. 16, საქმე 8399, ფურც. 19.
3 სცსია, ფ. 2, საქმე 3486, აღწ. 1, ფურც. 9.
4 სცსია, ფ. 16, საქმე 8399, ფურც. 15—17.

დეგ ნება დართეს გაეგრძელებიათ მუშაობა, ხოლო ბებუთოვისამ კი, როგორც ჩანს, ამ დროიდან საერთოდ შეწყვიტა არსებობა[5].

1834 წლის ცნობით სულ ორივე „ქარხანაში" 61 დამოუკიდებელი ოსტატი მუშაობდა[6]. მუშახელის საერთო რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. მაგალითად, მარტო სუმბათაშვილის „ქარხანაში" 100-ზე მეტი კაცი მუშაობდა[7]. აქედან 27 ოსტატი, დანარჩენი შეგირდები და შავი მუშები[8]. მაშასადამე, ბებუთოვის „ქარხანაში" 34 ოსტატი იქნებოდა შეგირდებისა და მუშების შესაბამისი რაოდენობით.

ერთ შენობაში ასეთი დიდი რაოდენობის მუშახელის თავმოყრა, ცხადია, არ ნიშნავს, რომ ეს მსხვილი კაპიტალისტური წარმოება იყო, რადგან წარმოებას ერთი კაპიტალისტი არ ედგა სათავეში. აღნიშნულ „ქარხნებში" წარმოების ხელოსნური, ამქრული წესი ბატონობდა. მასში მომუშავე ოსტატები კი, ამქრული ხელოსანი ოსტატები, დამოუკიდებელი მწარმოებელნი არიან, რომლებიც საკუთარი კაპიტალით აწარმოებენ პროდუქციას. როგორც ვხედავთ, ორივე ქარხანაში 61 დამოუკიდებელი კაპიტალი მოქმედებდა.

დაშლის სიმპტომები, რომლებიც თბილისის ამქრულ ხელოსნობაში ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისისათვის შეინიშნება, მეტყველ ხელოსნებშიაც ინტენსიურად იჩენდა თავს, რაც მის წიაღში ვაჭარი ოსტატების გაჩენაში, მათ მიერ მათივე ამხანაგი ოსტატების დამორჩილებაში, და საერთოდ დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის ზრდაში გამოიხატებოდა. ამქარში ერთის მხრივ ჯგუფდებოდნენ „მდიდარი ვაჭარ ხელოსნები", რომლებიც სახაზინო შეკვეთებით დიდ მოგებას იღებდნენ[9], იკავებდნენ მასში გაბატონებულ მდგომარეობას, იმორჩილებდნენ და დაქირავებულ მუშებად აქცევდნენ გუშინდელ თავის მოძმე ოსტატებს და, მეორე მხრით, გაღარიბებული ხელოსნები, რომლებიც დღითიდღე კარგავდნენ პოზიციებს და ოსტატებითან და მეპატრონეებთან დაქირავებულ მუშებად და ქვეოსტატებად იქცეოდნენ. ეს პროცესი გასული საუკუნის დასაწყისიდან იწყება. ამ მხრივ დამახასიათებელია ისტორია ალექსი ფეიქარ გიორგისშვილისა, რომელიც მეტყველ იყო,

---

5 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 3486, ფურც. 36, 50, 54.

6 ი ქ ვ ე, ფურც. 35.

7 ი ქ ვ ე, ფურც. 86.

8 სცსია, ფ. 209, აღწ. 1, საქმე 506, ფურც. 51.

9 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

ჰქონდა 1/27 ნაწილი ტყავის ქარხანაში (ალბათ ბებუთოვის, ქალაქის II ნაწილის II კვარტალში), მერე საქმე ცუდად წასულია, ვალები დაედო ქვრივი ხამპერასი 50 მან. და თ. ბებუთოვის გლეხის მეჩექმე ავეტიკა მესანთლესი — 90 მანეთი. 1819 წელს მევალეებმა უჩივლეს და „ქარხანაში“ ნაწილი გაუყიდეს[10]. ცხადია, ალექსი გიორგისშვილს მეტი არაფერი დარჩებოდა, რომ რომელიმე გამდიდრებულ ოსტატს ქვეოსტატად დადგომოდა, ან სადმე ამქარგარეშე სახელოსნოში ეშოვა მუშის ადგილი. ხოლო მსგავსი შემთხვევები ჩანს იშვიათი არ ყოფილა; ამის შედეგია ის, რომ მეტყავე ხელოსნები სულ უფრო და უფრო მეტ დაქირავებულ მუშებს იყენებდნენ. მაგალითად, 1834 წლამდე სუმბათაშვილის ქარხანაში ოსტატების რაოდენობა 27-დან 25-მდე შემცირებულა, შესაბამისად გაზრდილა დაქირავებული მუშების რაოდენობა 75 კაცამდე. ამრიგად, ერთი მწარმოებელი ოსტატი ექსპლოატაციას უწევს 3 დაქირავებულ მუშას. დაახლოებით 10 წლის შემდეგ იმავე ქარხანაში ოსტატების იგივე რაოდენობას 100 დაქირავებული მუშა და 200-მდე შეგირდი ჰყავს[11]. მაშასადამე, თითო ოსტატზე საშუალოდ 4 დაქირავებული მუშა და 8 შეგირდი მოდის. როგორც ვხედავთ, განვითარების პროცესი საკმაოდ ჩქარია. ამქრის წიაღშივე ხელოსანი საქონლის მწარმოებელ კუსტარად და მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის მეთაურადაც კი იქცევა.

1834 წლისათვის თვითონ მეტყავე ხელოსნები სუმბათაშვილის ქარხნის წლიურ შემოსავალს 100 000 მანეთამდე ანგარიშობენ[12]. ეს შეიძლება ცოტა გადაჭარბებული ჩანს, მაგრამ ქარხნის ფაქტიური შემოსავალი გაცილებით მეტი იქნებოდა, ვიდრე ამას ოფიციალური ცნობები გვიჩვენებენ. ოფიციალური მონაცემებით, მაგალითად. 1843 წლისათვის თბილისში არსებული ორი ქარხნის შემოსავალი 4500-დან 5200 მანეთამდე მერყეობს[13].

1847 წლისათვის უკვე თბილისში 3 ტყავის ქარხანაა აღნიშნული 14948 მანეთის წლიური პროდუქციით[14]. მაგრამ იგივე ცნობა იძლევა წლიურად გამომუშავებული პროდუქციის რაოდენობას და

---

10 სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 2068, ფურც. 1—2.

11 სცსია, ფ. 8399, ფურც. 19—20.

12 ი ქ ვ ე, ფურც. 20—21.

13 სცსია, ფ. 16, საქმე 8093; ცსიალ, ფ. 1268, აღწ. 1, საქმე 623. ფურც. 73; იქვე, საქმე 744.

14 სცსია, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 617, ფურც. 45.

ფასებს. კერძოდ, 1847 წელს სამივე ქარხანას დაუმზადებია 24.330 ცალი ტყავი[15]. თითო ტყავის ფასი 1 მან. 20 კაპიკიდან 3 მანეთამდე ყოფილა[16]. თუ საშუალო ფასით ვიანგარიშებთ, რაც 2 მან. 10 კაპიკს შეადგენს, მაშინ აღნიშნული „ქარხნების" წლიური შემოსავალი 51.093 მანეთი გამოვა. როგორც ვხედავთ, ოფიციალური ცნობები ტყავის ქარხნის შემოსავლის შესახებ მეტად შემცირებულია და რომ ეს ნამდვილად ასეა, ეს სხვა მონაცემებითაც მტკიცდება: სახელდობრ, ჩვენ ხელთ გვაქვს სუმბათაშვილის „ქარხნის" 1841 წლის შედარებით სანდო აღწერა[17]. მასში აღნიშნულია, რომ „ქარხანაში" მზადდება თხის საპირე და ხარისა და კამეჩის საძირე ტყავები. ამასთან პირველის ფასია, ერთი ცალისა 2 მან. 50 კაპ., და მეორისა—4 მან. 50 კაპ. ვერცხლით. 1841 წელს წარმოებას გამოუშვია 8000 ცალი საპირე ტყავი 20000 მან. ღირებულებისა ვერცხლით და 10000 საძირე ტყავი 45000 მანეთის ღირებულებისა, ე. ი. მთლიანად 65.000 მანეთის პროდუქცია. მაგრამ ეს მარტო ერთი „ქარხნის" მონაცემებია, სულ კი იმ დროს თბილისში 3 ქარხანა ითვლებოდა და რამდენად მცირეც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, ტყავის წარმოების მთლიანი პროდუქციულობა გაცილებით მეტი უნდა წარმოვიდგინოთ.

მკვეთრი განსხვავება სხვადასხვა მონაცემებს შორის და ოფიციალური ცნობების მონაცემების სიმცირე იმის ბრალი უნდა იყოს, რომ მთავრობა საწარმოო დაწესებულებებზე გადასახადს მოგების მიხედვით აწესებდა, ამიტომ ცნობებსაც ძირითადად ამ მიმართულებით კრებდა. მოხელეების დაუკვირვებლობისა და უცოდინარობის მიზეზით, ეს ცნობები მექანიკურად გადმოვიდა ადგილობრივ მთავრობის ანგარიშებში. რამდენადაც მოხელეებს მათი ზუსტი შემოწმების საშუალება არ ექნებოდათ, ამდენად უნდა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მოგების ცნობებიც შემცირების ტენდენციას ატარებენ.

ამრიგად, სუმბათაშვილის „ქარხნის" წლიური პროდუქცია საშუალოდ 50—60 ათასი მანეთი უნდა ვივარაუდოთ, ხოლო რამდენადაც ბებუთოვის „ქარხანაც" დაახლოებით ამ ზომისა იყო, შეიძლება დავასკვნათ, რომ ორივე „ქარხანა" წელიწადში 100—120 ათასი მანეთის პროდუქციას უშვებდა.

---

15 იქვე.

16 სცსია, ფ. 26. აღწ. 2, საქმე 617. ფურც. 56.

17 სცსია, ფ. 16, საქმე 6351, ფ. 27.

როგორც ჩანს, უკვე მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის თბილისში თავისუფალი მეტყავე ხელოსნების გარკვეული კონტიგენტი არსებობდა, რომელიც ამქრული შეზღუდულობისაგან თავისუფალ სახელოსნოებში მუშაობდა. თავისუფალ სახელოსნოებს აარსებენ როგორც მოსული რუსი და უცხოელი მეტყავე ხელოსნები (ასეთი იყო, მაგალითად, ბერნარდ კრაუსის სახელოსნო[18]) და თბილისელი კოლონისტები (ფრიდრიხ რიხერის წარმოება)[19], ისე ადგილობრივი ხელოსნებიც, რომლებიც 40—50-იანი წლებიდან მაინც სხვადასხვა საშუალებებით ახერხებენ ამქრის გავლენისაგან თავის დაღწევას (ასეთი უნდა ყოფილიყო ხაჩიკოვის მიერ სოლოლაკის ხევში აშენებული სახელოსნო)[20].

ამქრის რღვევას, მასში სასაქონლო ურთიერთობის შეჭრას, ამქარგარეშე თავისუფალი ხელოსნობის გაჩენას, საერთოდ ხელოსნური პროდუქციის და მასზე მოთხოვნილების სწრაფ ზრდას, გარკვეული რაოდენობის ტყავის ნაწარმის გატანას არა მარტო კავკასიაში, არამედ ირანსა და თურქეთშიც კი, არ შეიძლებოდა თვისობრივად ახალი ნაბიჯი არ გამოეწვია ტყავის დამუშავებელ წარმოებაში და ასეც მოხდა.

სამხედრო ნაწილების ფეხსაცმლით უზრუნველყოფის მიზნით ჯერ კიდევ საქართველოს რუსეთთან შეერთების პირველ წლებშივე დაისვა საკითხი თბილისში სახაზინო ტყავის ქარხნის აშენების შესახებ[21]. მაგრამ ციციანოვის მეცადინეობა ამ მხრივ უშედეგოდ დამთავრდა. თუმცა საკითხი დღის წესრიგიდან არ მოხსნილა, რადგან ადგილობრივი ტყავის ნაწარმი სამხედრო უწყების მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებდა ვერც რაოდენობრივად და ვერც

---

18 სცსია, ფ. 4, აღწ. 2, საქმე 2417, ფ. 1.

კრაუსი 1842 წელს ჩამოვიდა თბილისში, ერთხანს სხვა ოსტატს დაექირავა; ფული შეაგროვა, ზოგი ინსტრუმენტი და მოწყობილობა იყიდა და პატარა სახელოსნო მოაწყო; სადაც ერთ დამხმარე მუშასთან ერთად თავის ხელობას ეწეოდა და „მეტად საშუალო ხარისხის“ ტყავებს ამზადებდა. შემდეგ იგი სახელოსნოს გაფართოებას იწყებს და მთავრობას სესხს თხოვს.

19 ცსიალ. ფ. 398 აღწ. 14, საქმე 4522, ფ. 22—23.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულმა კრაუსმა სწორედ კოლონისტებისაგან იყიდა მოწყობილობა თავისი წარმოებისათვის. უფრო გვიან 1850 წელს გამოფენაზე თბილისელმა კოლონისტმა ფრიდრიხ რერხერმა წარმოადგინა 4 დასახელების საკმაოდ კარგი ხარისხის ტყავის ნაწარმი.

20 სცსია, ფ. 4, აღწ. 2, საქმე 1200.

21 დ უ ბ რ ო ვ ი ნ ი, დასახ. ნაშრომი (რუს. ენაზე), გვ. 123—124.

ხარისხით რუსეთიდან მათი შემოზიდვა კი ძვირი ჯდებოდა. ამიტომ უფრო გვიან მთავარსარდალ ერმოლოვსაც უცდია ასეთი ქარხნის დაარსება თბილისში[22]. მაგრამ არც ეს ცდა დასრულდა წარმატებით. რაკი სახაზინო წარმოების მოწყობა ვერ მოახერხა, მთავარსარდალი ერმოლოვი დაეხმარა ვაჯარ-მოიჯარადრეს მიხეილ სარაჯიშვილს სამხედრო უწყების მომარაგებისათვის თბილისში ტყავის წარმოება მოეწყო[23].

მ. სარაჯიშვილს ტყავის ქარხნის მოწყობა ჯერ კიდევ 1814 წელს დაუწყია. მას ამ მიზნით ქალაქგარეთ მტკვრის მარცხენა სანაპიროზე (დაახლოებით იმ მიდამოებში, სადაც შემდეგ სამხედრო ლაზარეთი იქნა აშენებული) სახაზინო მიწის ნაკვეთი გამოეყო[24], მაგრამ საქმე სხვადასხვა მიზეზების გამო გაჭიანურდა, სანამ მასში მთავარსარდალი ერმოლოვი არ ჩაერია. საბოლოოდ ქარხანა 1820-24 წლებში იქნა მოწყობილი[25]. ჩვენ ხელთ გვაქვს აღნიშნული ქარხნის გვიანდელი, 1835 წლის მეტად ზერელე აღწერა, შეიძლება ამ ხნის განმავლობაში ქარხანას ზოგი რამ დაკლებოდა, მაგრამ ამ აღწერითაც ჩანს, რომ იგი მოწყობილი ყოფილა საკმაოდ მოზრდილ, ორსართულიან (70 საჟენი სიგრძისა და 35 საჟენი სიგანის) ნაგებობაში. ზემო ნაწილში მოთავსებული იყო საცხოვრებელი ოთახები სამზარეულოთი, აგრეთვე ქერქის საშრობი, სიგრძით 11 და სიგანით 3 საჟენი. ქვეევით 4 ოთახი და ტყავის გამოსაყვანი, სადაც როფები იდგა. ქარხანას ოროთახიანი სარდაფიც ჰქონია[26]. როგორც ვხედავთ, შენობა საკმაოდ დიდია, ამას თუ დავუმატებთ მოწყობილობის, იარაღების, ნედლეულისა და სხვა ხარჯებსაც, გასაგები გახ-

---

22 ცსიალ, ფ. 17, აღწ. 1, საქმე 93, ფურც. 8.

23 სცსია, ფ. 2, საქმე 6893, ფ. 4.

მიხეილ სარაჯიშვილი ცნობილი ვაჭარი და მოიჯარადრე იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მას სამხედრო ნაწილების ტყავის ნაწარმით მომარაგება ჰქონდა იჯარით აღებული; ეს საკმაოდ რთული საქმე იყო, რადგან მისი „ქარხნის მოწყობამდე ხაზინა უკიდურესი გაჭირვებით და დიდი ხარჯებით, ამზადებდა ტყავის საქონელს კავკასიის კორპუსისათვის, მოქონდა რა იგი რუსეთიდან". ყოველ შემთხვევაში, უკვე გვიან 1841 წელს მ. სარაჯიშვილი იმპერატორს მოაგონებდა იმ დიდ დამსახურებებს, რომელიც მას რუსეთის ხელისუფლების წინაშე მიუძღვოდა და რომლებიც 1809 და 1814 წლებში თურმე სპეციალური მოწმობებით აღინიშნა. საქ. ც. სა ფ. 16, საქმე 6001, ფურც. 7.

24 ი ქ ვ ე, ფ. 16, საქმე 1618.

25 სცსია, ფ. 2, საქმე 11596, ფ. 1, იქვე, ფონდი 18, საქ. 6691, ფ. 32.

26 ი ქ ვ ე, ფ. 209, აღ. 1, საქმე 506, ფურც. 32.

დება, რომ მისი მოწყობა საკმაოდ ძვირი დაჯდებოდა და, მართლაც, სარაჯიშვილმა მასში დააბანდა არა მარტო მთავრობის სესხი 60.000 მან. ასიგნ. არამედ თიქმის მთელი თავისი ქონება[27].

სხვადასხვა ცნობებით დგინდება, რომ ქარხანაში დაქირავებული მუშები იყვნენ დასაქმებულნი. ისინი ნაწილობრივ თბილისელი ხელოსნები უნდა ყოფილიყვნენ, ნაწილობრივ კი რუსეთიდან ჩამოყვანილი. ალბათ ოსტატები[28].

რუსეთიდან ჩამოყვანილი ხელოსნების არსებობა, შეიძლება იმის მაჩვენებელი იყოს, რომ მეპატრონეები წარმოებაში ტყავის დამუშავების ევროპულ ტექნოლოგიას ნერგავდნენ. ქარხანა ხელით შრომაზე იყო დამყარებული. ამაზე მიგვითითებს ქარხნის შესახებ არსებული მრავალი მიმოწერა, რომლებშიც არსად არ ჩანს, რომ იქ მანქანის ელემენტარულ გამოყენებასაც კი ჰქონდეს ადგილი. იმ დროისათვის კი მანქანის გამოყენება იმდენად უჩვეულო მოვლენა იყო, რომ მას უეჭველად აღნიშნავდა როგორც მისი მომწყობი, ისე აღმწერი.

ჩვენ საშუალება არა გვაქვს დავადგინოთ ქარხანაში დასაქმებული ტუმანელის და გაწომუშავებული პროდუქციის რაოდენობა. მაგრამ იგი საკმაოდ ფართო მასშტაბის წარმოება უნდა ყოფილიყო. ამას შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: 30-იან წლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ფიქრობდნენ აღნიშნული ქარხნის შენობაში გადაეტანათ ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი სუმბათაშვილის ტყავის „ქარხანა"[29]. ეს „ქარხანა" კი საკმაოდ დიდი წარმოება იყო, მასში სხვადასხვა დროს 100—300 კაცი მუშაობდა. ხოლო სარაჯიშვილის ქარხანაში კი მოსალოდნელია, რომ მუშების რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდებოდა, რადგან ქარხანას არ ჰქონდა მინერალური თბილი წყალი და იგი მტკვრის სპეციალურად გამთბარი წყლით უნდა შეეცვალათ, რაც მეტად შრომატევადი სამუშაო იყო და დიდი რაოდენობით დამატებით მუშა ხელს მოითხოვდა[30]. მაშასადამე, ქარხნის საწარმოო ბაზა საკმარისი იყო ასეთი დიდი რაოდენობის მწარმოებელთა უზრუნველყოფისათვის. აღნიშნული ქარხნის სიდიდის შესახებ უფრო გვიან ინჟინერ-ტექნოლოგი ბიხოლდი და აგრონომი შანშიევი გადმოგვცემდნენ, რომ «Здешние

---

27 ი ქ ვ ე, ფ. 2, აღ. 1, საქმე 3486, ფურც. 1.
28 ი ქ ვ ე, საქმე 6893, ფურც. 4—5.
29 სცსია, ფ. 201, აღწ., 1, საქმე 506, ფ. 20, 32—34, 36.
30 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 3486, ფურც. 25.

граждане устроили кожевенный завод в большом размере... завод окончил свое существование, оставив посебе крайне разоренных хозяев и громадные постройки на Куре»[31].

ხოლო თუ რა დიდი რაოდენობის პროდუქცია მზადდებოდა ქარხანაში იქიდანაც ჩანს, რომ იგი თურმე ტყავის ნაწარმით ძირითადად აკმაყოფილებდა კავკასიის ჯარის ნაწილებს. უფრო გვიან ქარხნის მომწყობი მიუთითებდა, რომ მისი ქარხნის აშენებამდე ხაზინას რუსეთიდან შემოჰქონდა ტყავის ნაწარმი, — მაშასადამე ქარხნის აშენების შემდეგ აღნიშნული მდგომარეობა შეცვლილა და თუ მთლიანად არა, ძირითადად რუსეთიდან ამ მიზნით ტყავის ნაწარმის შემოტანა შეწყვეტილა. უნდა ვიფიქროთ, რომ ასეთ დიდ წარმოებაში, შრომის დანაწილებაც იქნებოდა შემოღებული. რადგან მასში ხელით შრომა ბატონობდა, იგი კაპიტალისტური მანუფაქტურის ფორმით უნდა წარმოვიდგინოთ.

მაგრამ აღნიშნულმა წარმოებამ ვერ მოასწრო განვითარება, აყვავება; იგი ძალიან ჩქარა დაიხურა და მისი მომწყობი თითქმის გაკოტრდა 1830 წელს ქარხანამ მუშაობა შეწყვიტა[32].

კაპიტალის სიმცირემ, გამოცდილი ოსტატების უყოლობამ, ქარხანაში მინერალური თბილი წყლის არ არსებობამ, ამქრის კონკურენციამ და ბრძოლამ, რასაც შეღავათიანი ტრანზიტის პირობებში საქართველოში შემოზიდული უცხოური საწარმის კონკურენციაც დაერთო, და, რაც მთავარია, ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ განსაზღვრა აღნიშნული ქარხნის წარუმატებლობა. საფიქრებელია, რომ აღნიშნული ქარხნის გახსნა უკმაყოფილებას გამოიწვევდა რუსეთის იმ მრეწველობაში, რომლებიც კავკასიის ნაწილებს ტყავის ნაწარმით ამარაგებდნენ. მთავრობა ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, სარაჯიშვილს შეკვეთებს შეუზღუდავდა. რაკი მფარველი ერმოლოვი აღარ ჰყავდა (ამ დროისათვის ივი პასკევიჩმა შეცვალა), ქარხანა განწირული იყო დასაღუპავად.

სარაჯიშვილის ქარხნის ტრაგიკულმა დასასრულმა ჩვენს ვაჭარ მოიჯარადრეებს, როგორც ჩანს, ერთ ხანს აღნიშნულ წარმოებაში კაპიტალის დაბანდების ხასიათი გაუფუჭა. მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა და 30-იანი წლების დასასრულისა და 40-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისში კიდევ ერთი ტყავის მოზრდილი კაპიტალისტური საწარმო ჩნდება, რომელიც დავით თა-

---

31 სცსია, ფ. 548, აღწ. 2,საქმე 490, ფ. 7.

32 იქვე.

მამშევს ეკუთვნოდა. აღნიშნულ წარმოებაზე ცნობები თითქმის არ შოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ 1841-44 წლებში აღნიშნული ქარხანა თბილისში არსებობდა. ამ დროისათვის თამამშევს მინერალური აბანო ჰქონდა ქალაქის ბოლოს თითქმის საბაეოს პირდაპირ[33], და საფიქრებელია, რომ ქარხანაც აღნიშნული აბანოს მიდამოებში ექნებოდა აშენებული. ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ერთი ფრაგმენტი ამ ქარხნის ისტორიიდან, რაც საშუალებას გვაძლევს ზოგიერთი დასკვნა გავაკეთოთ: 1840—1841 წლებში დ. თამამშევს უთხოვნია ზემდგომი ორგანოებისათვის სამხედრო სამსახურიდან გაენთავისუფლებიათ მე-4 კლასის ცეიხდინერი, ეროვნებით პოლონელი, ალექსანდრე სტრაშინსკი, რომელიც მას თავისი ტყავის ქარხნის მმართველად სურდა დაენიშნა. იმპერატორს აღნიშნული ცეიხდინერის განთავისუფლების ნება მიუცია; ოღონდ თამამშევს რეკრუტის ქვითარი უნდა წარედგინა[34]. თამამშევი შეთანხმებია ვინმე პოლკოვნიკ ვარლამოვს და ამ უკანასკნელს მის განკარგულებაში გადაუცია ყმა-გლეხი ტიტოვი. თამამშევს მის სახელზე წარუდგენია რეკრუტის ქვითარი[35]. სტრაშინსკი გაუთავისუფლებიათ, მაგრამ შემდეგ მდგომარეობა გართულებულა იმით, რომ ტიტოვი თამამშევის ყმა არ იყო, უფრო კი იმით, რომ თამამშევს საერთოდ არ ჰქონდა ყმის ყოლის უფლება. ამასობაში სტრაშინსკი უკვე თამამშევთან მუშაობს. საკმაო გაჭიანურების შემდეგ საქმე იმით დამთავრდა, რომ თამამშევს რეკრუტის ქვითრის მაგივრად 1 000 მან. ასიგნ. (300 მ. ვერცხლ.) გადასაღები გადაახდევინეს[36].

თავისთავად საწარმოში მმართველის დანიშვნა მის სიდიდეზე მიუთითებს. როგორც დავინახეთ, თამამშევს არამც თუ ყმები არ ჰყავდა, მათი ყოლის უფლებაც კი არ ჰქონდა, მაშასადამე, აღნიშნული წარმოება მხოლოდ დაქირავებული მუშახელის ექსპლოატაციაზე შეიძლებოდა ყოფილიყო დამყარებული. მაგრამ უფრო საინტერესო სხვა გარემოებაა: სახელდობრ ის, რომ თამამშევი თითქმის ოთხი წლის განმავლობაში (1841-44 წწ.) ცდილობდა ალექსი სტრაშინსკის წაყვანას თავის წარმოებაში, რაც მას მეტად დიდ დროს, ენერგიას და სახსრებს ართმევდა. რაში სჭირდებოდა მას სწორედ სტრაშინსკი? თბილისში ბევრი იყო ადგილობრივი, რუსი და უცხოელი მეტყავე

---

33 სცსია, ფ. 16, საქმე 8399, ფურც. 19—20.

34 ი ქ ვ ე, ფ. 15.

35 იქვე.

36 ი ქ ვ ე, ფ. 40—42.

ხელოსანი, რომელსაც იგი გაცილებით ადვილად დაიქირაევებდა. უნდა ვიფიქროთ, რომ თამამშვილის ქარხანაში იყო ცდები მანქანის გამოყენებისა, მანქანის მცოდნე სპეციალისტის შოვნა მაშინ თბილისში არც ისე ადვილი იქნებოდა, ალბათ სტრაშინსკი სწორედ მანქანის საქმის მცოდნე ოსტატი იყო და მეპატრონეს ამიტომ სურდა მისი ქარხნის მმართველად დაყენება. მაგრამ ვერც ამ წარმოებამ იხეირა და იგი ჩქარა დაიხურა.

1847 წლისათვის კი თბილისის მახლობლად სოფელ დრეში ვხედავთ ტყავის შედარებით დიდ წარმოებას, რომელიც წინ გადადგმული ნაბიჯია როგორც პროდუქციის მასშტაბით, ისე მისი ტექნიკური აღჭურვილობით. ქარხანა ანდრიევსკის ეკუთვნოდა[37].

ჩანს ამ დროისათვის თამამშვილის ქარხანა უკვე დახურულია, რადგან ალექსანდრე სტრაშინსკი, რომლის თავის ქარხანაში გადაყვანა ასე ძვირი დაუჯდა დ: თამამშვილს, 1847 წელს უკვე ანდრიევსკის ქარხანაში მუშაობს ოსტატად (თავისთავად ეს ფაქტი შეიძლება ამართლებდეს ჩვენს აზრს თამამშვილის ქარხანაში მანქანის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ). როგორც ჩანს იგი წარმოების ხელმძღვანელია, წარმოებაში მის გარდა 16 მუშა მუშაობდა[38], ყველა ნებით დაქირავებული. სხვა ცნობით ქარხანაში მუშაობდა 2 გერმანელი, 3 რუსი და 1 სომეხი ოსტატი და 6 შავი მუშა[39].

წარმოება ამზადებდა 8 დასახელების სხვადასხვა ფერის ხარისხისა და ღირებულების ტყავს. წარმოების მასშტაბზე საბუთები სხვადასხვა ცნობებს იძლევიან. ერთი საბუთის მითითებით 1848 წელს ქარხანამ გამოუშვა დაახლოებით 10.000 მანეთის პროდუქცია[40]. მეორე ცნობა 1847 წლისათვის 16.500 მანეთის გამოშვებულ პროდუქციას ასახელებს[41].

ამ ქარხანაში მანქანის გამოყენება უკვე თვალნათლივ ჩანს. მას-

---

37 ამ წარმოებაზე იხ. დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში, თბილისი, 1959; ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა. დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში მე-19 ს. 30-იან წლებში, საქ. მეცნ. აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორ. ინსტ. შრომები, III, 1958. და სხვ.

38 სცსია, ფ. 2, აღწ. 2, საქმე 617, ფურც. 36—37.

39 ი ქ ვ ე, ფ. 67.

40 სცსია, ფ. 67.

41 ი ქ ვ ე, ფ. 36—37.

ში 1 სანაყველი და 2 სათელი მანქანა იდგა, რომელიც საჭაპანო ძალით მოდიოდა მოძრაობაში[42].

მართალია, 1848 წელთან შედარებით გამოშვებული პროდუქციის ღირებულება შემცირებულად მოჩანს, მაგრამ საერთოდ წარმოებას ზრდის ტენდენცია ჰქონია. ამაზე მიუთითებს როფების რიცხვის ზრდა, მათი რაოდენობა თავდაპირველად 18 ყოფილა, შემდეგ კი 28-ამდე გაუზრდიათ[43].

60-იანი წლებიდან ტყავის წარმოება თბილისში მკვეთრად იზრდება როგორც საწარმოთა რაოდენობით ,ისე პროდუქციის მიხედვითაც. 1863 წელს 10 ქარხანა იყო 68 ათასი მანეთის პროდუქციით, 1865 წელს 18 ქარხანა 71 ათასი მანეთის პროდუქციით[44]. ცხადია, ყველა ესენი ერთნაირი არ იქნებოდნენ არც ხასიათით და არც სიდიდით. მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ჯერჯერობით შეუძლებელია. მაგრამ ერთი რამ უდაოა — ტყავის წარმოებაში თანდათან წამყვან ადგილს კაპიტალისტური ტიპის საწარმოები იკავებენ; ხოლო მათში მანქანის ელემენტების სულ უფრო მეტად გამოყენების ტენდენცია შეიმჩნევა.

ამ აზრის დასადასტურებლად ჩვენ შევჩერდებით 60-იანი წლების ერთ-ერთ წარმოებაზე, რომელიც არ გამოირჩევა თავისი სიდიდით. იგი თბილისის პირობებში საშუალო ტიპის საწარმოო უნდა ყოფილიყო და ამდენად ყველაზე უკეთ გამოხატავს განვითარების ტენდენციას. ეს წარმოება 1862 წელს[45] მოუწყვიათ თბილისში უცხოელებს ბრანდტსა და კაზინოს. წარმოება ძირითადად ამუშავებდა ხარის, ძროხისა და ხბოს ტყავებს და ამზადებდა საძირე ტყავს. იუფტს, აგრეთვე ტყავს მანქანის ღვედებისათვის (თავისთავად ეს ფაქტი თბილისში და საქართველოში მანქანების გავრცელებაზე უნდა მიუთითებდეს). ტყავის დასათრიმლავად მუხის ქერქს იყენებდნენ. რომელსაც თბილისში იძენდნენ. აქვე იძენდნენ წარმოებისათვის საჭირო სხვა ნედლეულსაც. წარმოება მეტად რაციონალურად იყო მოწყობილი და მნიშვნელოვან მოგებას იძლეოდა[46]. იგი დღითიდღე

---

42 სცსია, ფ. 4, აღწ. 5. საქმე 125, ფ. 26—29; ფ. 2, აღწ. 2, საქ. 617. ფურც. 67.

43 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 169.

44 იხ. ცხრილი 5.

45 სცსია, ფ. 548, აღწ. 2. საქმე 490, ფურც. 3.

46 ი ქ ვ ე, ფ. 6.

უმჯობესდებოდა: 1862 წელს მსხვილი ტყავი დაამზადეს 150 ცალი. 1863 წელს—300 ცალი, ხოლო 1864 წელს—500.

„ქარხანა“ მოთავსებული იყო ვორონცოვის ქუჩაზე მტკვრის ნაპირას ნაქირავებ შენობაში, რომელშიც მეპატრონეები 500 მანეთს იხდიდნენ წელიწადში. წარმოებაში 1 ფრანგი ოსტატი და 5 ადგილობრივი მუშა მუშაობდა. ამ რიცხვში არ უნდა შედიოდნენ მეპატრონეები ბრანდტი და კაზინო, რომლებიც თვითონაც მონაწილეობდნენ წარმოებაში. მაშასადამე, მასში სულ 8 კაცი იქნებოდა დასაქმებული[47]. წარმოება არ იყო დიდი მასშტაბის, მაგრამ მოწინავე ტექნოლოგიას იყენებდა, მასში თავიდანვე იყო გამოყენებული მანქანის ელემენტები, კერძოდ 1862 წელს მასში მოქმედებდა საფრანგეთიდან გამოწერილი მანქანა, რომელიც ქერქების მექანიკური დაფქვისათვის იყო გამიზნული[48]. როგორც ჩანს წარმოება თანდათანობით იზრდებოდა და მასში მანქანის გამოყენება უფრო ინტენსიურ ხასიათს იღებდა. როცა 1864 წელს წარმოება ხელმეორედ იქნა აღწერილი. უკვე მექანიკური აჩქარებული საშუალებებით წარმოებდა ქერქის დაფქვა და ტყავის დათრიმვლა[49]. ამ ოპერაციების შესასრულებლად საწარმოში ყოფილა: 1) წისქვილი მუხის ქერქის დასაფქვავად, რომელიც ერთი ცხენის ძალით მოძრაობდა. იგი საათში ერთ ფუთ ქერქს ფქვავდა. 2) მოწყობილობა ტყავის მექანიკური თრთიმლვისათვის. რომელიც მოძრაობაში ორთქლის ძრავის საშუალებით მოდიოდა[50]. ალბათ მასვე მოჰყავდა მოძრაობაში შეშის სახერხი დაზგა მრგვალი ხერხით[51]. როგორც ვხედავთ, ყველაზე მძიმე და შრომატევადი სამუშაოები წარმოებაში მექანიკური საშუალებებით სრულდებოდა და ახლო მომავალში მეპატრონეებს განზრახული ჰქონდათ დანარჩენ ოპერაციებშიაც ხელით შრომა მანქანებით შეეცვალათ[52].

საწარმოოს სიმძლავრეზე საკმარისი იყო 3000-მდე ცალი სხვადასხვა ხარისხის ტყავის დასამუშავებლად, მაგრამ მეპატრონეებს საბრუნავი კაპიტალი არ ყოფნიდათ და სახელმწიფოსაგან 5000 მანეთი სესხი უთხოვიათ[53]. თუ რა შედეგი გამოიღო ამ თხოვნამ, უცნობია.

---

47 სცსია, ფ. 33.
48 იქვე, ფ. 3, 31.
49 იქვე, ფ. 31.
50 იქვე, ფ. 10.
51 იქვე.
52 იქვე, ფ. 35.
53 იქვე, ფ. 44.

როგორც ვხედავთ, ბრანდტის წარმოება ტყავის კაპიტალისტური სახელოსნო იყო, რომელშიც მანქანებს იყენებდნენ და მათი როლი წარმოებაში თანდათან იზრდებოდა.

ჩვენ მოკლედ მოვხაზეთ ტყავის წარმოების განვითარება თბილისში ე9-19 საუკუნის I ნახევარში. შევეცადეთ გვეჩვენებინა ამ განვითარების ეტაპები, დაწყებული ხელოსნურ ამქრული წარმოებიდან ორთქლის მანქანით მოწყობის მექანიკურ სახელოსნოამდე. ამ პერიოდში კაპიტალისტური წარმოების წესი მრეწველობის ამ დარგში სულ უფრო და უფრო ღრმად იჭრებოდა, რაც მყარი საფუძველი იყო იმ მნიშვნელოვანი აყვავებისა, რომელიც ამ დარგმა რეფორმის შემდგომ პერიოდში განიცადა.

2. საპნისა და სანთლის წარმოება.

ჯერ კიდევ საქართველოს დამოუკიდებლობის დროიდან მოკიდებული, თბილისში საპნის დამზადება იჯარა-შესყიდვის წესით ხდებოდა. იმის გამო, რომ საპნის ხარშვას დიდი ხელოსნური გაწაფვა და რთული მოწყობილობა არ სჭირდებოდა, ქალაქში მსხვილი წარმოების გარდა, გასაყიდ საპონს შინაურულადაც ამზადებდნენ, რაც კანონით აკრძალული იყო.

მიუხედავად შემსყიდველთა გააფთრებული წინააღმდეგობისა XIX საუკუნის I მეოთხედში ქალაქში არალეგალური წესით 1800-მდე ფუთი საპონი მზადდებოდა. ამგვარი ვითარება იმით იყო გაპირობებული რომ ქალაქის ზრდისა და მოსახლეობის გემოვნების ამაღლების პირობებში, იჯარა-შემსყიდველთა წარმოება მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერც რაოდენობრივად და ვერც ხარისხით ვერ აკმაყოფილებდა.

30-იანი წლებიდან თბილისში უკეთ მოწყობილი საპნის საწარმოები ჩნდებიან. 1834 წელს თ. ამათუნმა ჩუღურეთში მოაწყო საპნის „ქარხანა", რომელსაც იგი იჯარა შემსყიდველებს აქირავებდა[54]. ამავე წელს საპნის საწარმოს აარსებს მდიდარი საქმოსანი ტარიელ ლორის-შელიქოვი[55]. 1838 წელს იგი საპნის იჯარის შემსყიდველად ჩანს, ხოლო როგორც 1841 წლის ცნობით ირკვევა, იგი სათავეში

---

54 სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 2452, ფ. 31.

55 სცსია, ფ. 209, აღ. 1. საქმე 506, ფ. 33.

უდგას საკმაოდ მოზრდილ წარმოებას, რომელიც უკვე დაქირავებული მუშების გამოყენებით მუშაობდა (1 ოსტატი და 18 მუშა) და საკმაოდ მაღალი ხარისხისა და მრავალფეროვანი ასორტიმენტის ნაწარმს ამზადებდა[56].

1841 წელს თბილისში სტეფანე მელვინოვის საპნის კაპიტალისტური საწარმოც არსებობდა. მასში 1 ოსტატი და 10 მუშა ყოფილა დასაქმებული[57]. 1843 წელს კი საპნისა და სანთლის წარმოების მოწყობას იწყებს უცხოელი ფრანც შულცი. 1845 წელს შულცთან კონტრაქტში შედის მოქალაქე იაგორ ხატისოვი და კომპანიონები გერმანელთა კოლონიის მახლობლად სანთლისა და საპნის მსხვილი წარმოების მოწყობას იწყებენ. 1846 წელს კომპანიონებს შორის უთანხმოება ჩამოვარდნილა და წარმოების მეთაურად ხატისოვი დარჩა[58]. როგორც ჩანს შულცი თავის ძველ წარმოებას დაუბრუნდა, ხოლო ხატისოვის საწარმო, სადაც საპნისა და სანთლის გარდა ლამპის ზეთსაც ამზადებდნენ მთელი XIX საუკუნის I ნახევარში საუკეთესო საწარმოდ ითვლებოდა. 1846 წელს საპნისა და სანთლის წარმოების კომპანია შეადგინეს თბილისის მოქალაქეებმა გოგია რაზიზოვმა, სტეფანე მანთაშოვმა, დანიელ ჯანჯოგაძემ, დავით მატინოვმა, როსტომ კოსტანოვმა, ასლამაზოვმა და სხვებმა. ხოლო 1850-53 წლებში ეს კომპანია თავისი წარმოების მნიშვნელოვან გაფართოებას იწყებს.

თუმცა ოფიციალური მონაცემები საწარმოთა მოცულობის შესახებ სანდონი არ არიან მაგრამ ისინი ერთგვარ წარმოდგენას მაინც იძლევიან საწარმოთა საერთო ზრდაზე. ამ მონაცემების მიხედვით

1843	წელს თბილისში იყო	2	ქარხანა	2700	მან. წლ. პროდ.
1845	„	2	„	15000	მან. „
1847	„	2	„	16590	მან. „
1849	წელს თბილისში იყო საპნის	2	„	28451	მან. „
	ამავე დროს სანთლის	2	„	1200	მან. პროდუქციით

უნდა ვიფიქროთ, რომ აღნიშნულ წარმოებაში წარმოების კაპიტალისტური წესი თანდათან უპირატეს ადგილს იჭერდა.

---

56 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 166.
57 სცსია, ფ. 16, საქმე 6351, ფ. 26.
58 სცსია, ფ. 4. აღ. 6, საქმე 902.

ჯარის ნაწილების მომრავლებამ საქართველოში მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნილება ალკოჰოლიან სასმელებზე და განსაკუთრებით, არაყზე. ამიტომ არყის წარმოების მოწყობის ცდებს თბილისში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში ჰქონდა ადგილი, მაგრამ ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია[59].

1826 წელს არყის ქარხნის მოწყობას ხელი მოჰკიდა მეტად ენერგიულმა ქართველმა აზნაურმა ქალმა ბარბალე იმერლიშვილმა. მან შეაგროვა საკმაოდ მოზრდილი თანხა (25.000 მანეთამდე) და ორ კომპანიონთან ერთად, რომელთა წვლილი წარმოებაში გაცილებით ნაკლები იყო, აღნიშნულ წელს საქმეს შეუდგა[60]. მან წარმოების მოწყობა გადაწყვიტა მტკვრის ნაპირას, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც მდინარე ვერა მტკვარს უერთდებოდა, ბებუთოვების მიწის ნაკვეთზე. მიწის მეპატრონეებთან კი დასდო 12-წლიანი კონტრაქტი, რომლის ძალითაც იმერლიშვილს მათთვის ყოველწლიურად უნდა ეხადა მიწის საიჯარო ფასი, წელიწადში 40 მანეთის როდენობით[61].

თავიდანვე განსაზღვრული იყო, რომ წარმოება მექანიკური ხასიათისა იქნებოდა, სადაც გამოყენებული უნდა ყოფილიყო ორთქლის მანქანა. რაკი თბილისში შესაფერისი სპეციალისტების შოვნა შეუძლებელი შეიქნა, ბარბალე იმერლიშვილმა ისინი რუსეთიდან გამოიწერა. ესენი იყვნენ წარმოშობით ებრაელი ოსტატები ელკინი და ედელსონი. 1827 წელს იმერლიშვილი მათთან კონტრაქტს დებს. რომლის ძალითაც ედელსონს ევალებოდა თვალყური ედევნებინა ქარხნის მოწყობისათვის ადგილზე, ხოლო ელკინი კი რუსეთში უნდა გამგზავრებულიყო ქარხნის მოწყობილობის. მათ შორის ორთქლის მანქანის, შესაძენად და ჩამოსატანად[62]. ქარხნის მთელი მოწყობილობა ხარკოვში იყიდეს და იქედან სამხედრო გზით, თბილისში ჩამოიტანეს[63]. ეს ალბათ 1828 წელს მოხდა, ხოლო 1829 წლისა-

---

59 კერძოდ 1823 წელს არშაკოვს უცდია თბილისში ასეთი ქარხნის მოწყობა, მაგრამ შეშის და წყლის სიძვირემ შეაშინა და გადაწყვიტა კარაკლისში აეშენებინა.

60 სცსია, ფ. 26. აღწ. 1. საქმე 4162, ფურც. 9.

61 სცსია, ფ. 209, აღწ. 1, საქმე 58, ფურც. 1—3.

62 სცსია, ფ. 26. აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 9—10.

63 ი ქ ვ ე, ფურც. 63.

თვის ქარხნის მოწყობა ძირითადად დამთავრებულია[64]. ახლა უკვე ქარხნის პატრონი კონტრაქტს დებს ოსტატ ედელსონთან, რომლითაც უკანასკნელს, როგორც ჩანს, ქარხნის მთავარი ოსტატის ფუნქცია ეკისრებოდა[65]. მთლიანად ქარხნის მოწყობა 30.000 მანეთზე მეტი დაჯდა[66].

თავიდან განზრახული იყო ,რომ ქარხანაში უნდა დამზადებულიყო „ჩვეულებრივი ღვინო", არაყი, ლიქიორი, აგრეთვე უნდა ეწარმოებიათ ლუდის ხარშვაც[67]. უფრო მოგვიანებით ჩვენ გვაქვს ცნობა ქარხანაში დამზადებული პროდუქციის შესახებ. ქარხანაში მზადდებოდა: 7—8 გრადუსიანი არაყი, არყის ნაყენი, კონიაკი, I და II ხარისხის ტკბილი არაყი, ლიქიორი, სხვადასხვა ნაყენები, აგრეთვე ლუდი და ძმარი. როგორც ვხედავთ, თავდაპირველად განზრახულთან შედარებით პროდუქციის ასორტიმენტი საკმაოდ გაზრდილი ჩანს.

წარმოებაში ნედლეულის სახით იყენებდნენ: ხორბალს, ალაოს. ქერს, ჭაჭას, თუთის ნაყოფს, სხვადასხვა ხილეულის წვენებს[68]; შაქრის ფხვნილს, ლიმონისა და ნარინჯის ქერქებს და ა. შ.[69].

ქარხანაში გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ ჩვენ ცნობები არ გვაქვს. მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო. ეს ჩანს ჯერ იქედან, რომ ქარხანაში გათვალისწინებული იყო დიდი რაოდენობით ნედლეულის გამოყენება; კერძოდ, სხვადასხვა მარცვლეული 1150 ჩეტვერამდე, და სხვადასხვა წვენები 2000 ლიტრამდე[70]. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ქარხანას სწორი ორგანიზაციის პირობებში თურმე შეეძლო საკმაოდ დიდი მოგება მოეცა. არაპირდაპირი ცნობების საშუალებით დგინდება, რომ ქარხნის წლიური მოგება 5000 მანეთამდე ვერცხლით შეიძლება ყოფილიყო[71]. და ბოლოს, გამოშვებული პროდუქ-

---

64 საინტერესოა, რომ ქარხნის საქმეებში მონაწილეობდა მაიორი თავ. ალ. ორბელიანიც.

65 სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 4162. ფ. 9—10.

66 სცსია, ფ. 2, საქ. 4925, ფურც. 40—41.

67 სცსია, ფ. 209, აღწ. 58, ფურც. 1.

68 ი ქ ვ ე, ფურც. 5.

69 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 4925. ფურც. 63.

70 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 4925, ფურც. 63.

71 სცსია, ფონდი 26, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 11.

ციის საგულისხმო რაოდენობაზე და საერთოდ წარმოების მასშტაბზე მიგვითითებს გასაღების საკმაოდ კარგად ორგანიზებული სისტემა, რომელიც ქარხნის მეპატრონეებს ნაწარმის რეალიზაციისათვის მოუწყვიათ. სპეციალურად ამ ქარხანაში გამოშვებული სასმელებისათვის მეპატრონეებს 3 დუქანი ჰქონიათ თბილისში გახსნილი, სადაც მათი დაქირავებული ნოქრები ვაჭრობდნენ[72]. ქარხნის პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის გარეთაც გაჰქონდათ. კერძოდ იგი დიდი რაოდენობით იყიდებოდა დუშეთში[73].

პირდაპირი მითითება ჩვენ არც იმაზე გვაქვს, თუ რამდენი კაცი იყო დასაქმებული წარმოებაში. თავდაპირველად ნავარაუდევი იყო, რომ ქარხანას 10 შავი მუშა დასჭირდებოდა[74]. მაგრამ ამაში არ შედის ოსტატების რაოდენობა, რომელიც 3 კაცი მაინც უნდა ყოფილიყო. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ქარხნის ამუშავების შემდეგ მუშების რაოდენობა ფაქტიურად გაიზარდა. ქარხანას ყავდა ზედამხედველები და კანტორის მოსამსახურე[75]. დარაჯი და სხვ. ამრიგად უშუალოდ ქარხანაში 15—20 კაცი იქნებოდა დასაქმებული. მუშები ძირითადად თავისუფლად დაქირავებულნი იყვნენ[76], თუმცა ქარხანაში იმერლიშვილის ერთი ყმა გლეხიც მუშაობდა[77].

ამრიგად, იმერლიშვილის არყის ქარხანა იმ დროისათვის საკმაოდ განვითარებული მექანიზებული წარმოება იყო; ამაზე მიუთითებს მასში ორთქლის მანქანის გამოყენების ფაქტი. ამაზე მიუთითებს ის მეტად საინტერესო გარემოებაც, რომ ქარხანაში თურვე ყოფილა ცდები სპირტის ქიმიური საშუალებებით გამოხდისა, ეს კი მხოლოდ უაღრესად მოწინავე ტექნოლოგიის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი.

ჩვენამდე არ მოაღწია ქარხნის წარმოების პროცესის აღწერამ; ამდენად უცნობია თუ რა ფუნქციას ასრულებდა აღნიშნული ორთქლის მანქანა, ანდა იყო თუ არა იქ სხვა მანქანები. მოსალოდნელია, რომ მანქანის გამოყენება აქ მხოლოდ პირველ საფეხურზე იქნებოდა და იგი ჯერ ვერ მოიცავდა წარმოების მთლიან პროცესს.

აღნიშნულ წარმოებაში ჩვენ გვაქვს პირველი ცნობა თბილის-

---

72 სცსია, ფონდი 26, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 11.

73 ი ქ ვ ე, ფურც. 17.

74 სცსია, ფონდი 209, აღწ. 1, საქმე 58, ფურც. 7.

75 სცსია, ფონდი 26, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 7.

76 ი ქ ვ ე, ფურც. 30, სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 4162, ფურც. 7.

77 სცსია, ფ. 26, აღწ. 3, საქმე 368, ფურც. 15—16.

ში და საქართველოში ორთქლის მანქანის გამოყენების შესახებ: ამრიგად პირველი ორთქლის მანქანა საქართველოს მრეწველობაში 1828 წლიდან შეიძლება ვიგულისხმოთ (აქამდე ჩვენ მხოლოდ 1843 წლიდან გვქონდა ასეთი ცნობა), თუმცა სავარაუდოა, რომ ორთქლის მანქანის გამოყენებას საქართველოსა და თბილისის მრეწველობაში მანამდეც ჰქონდა ადგილი, რაზეც ჩვენ ჯერჯერობით ცნობები არ გვაქვს. ამ ვარაუდის საფუძველს ჩვენ ის გარემოება გვაძლევს, რომ ქარხნის მომწყობები არსად არ აღნიშნავენ თავიანთ პრიორიტეტს ამ მხრივ. ჩვეულებრივ კი, როგორც მაშინ მიღებული იყო, სხვადასხვა თხოვნებსა თუ მიმართვებში ამგვარ გარემოებას ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ხოლმე.

იმერლიშვილის წარმოებამ დაახლოებით 7—8 წელი იარსება. ქარხნის ამუშავების პირველი ხანებიდანვე კომპანიონებს შორის დავა ატყდა[78]. იმერლიშვილმა წარმოებაში ძირითადად სხვადასხვა კერძო პირებისაგან ნასესხები კაპიტალი დააბანდა; რაკი ვალი დროზე ვერ გადაიხადა, მევალეებმა მას ქარხნის ნაწილი ჩამოართვეს. ამრიგად ქარხნის მეპატრონეების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა და კომპანიონებს შორის შუღლი ჩამოვარდა. 1830 წლისათვის, როგორც ჩანს, წარმოება დატოვეს ქარხნის მთავარმა ოსტატებმა ელკინმა და ედელსონმა, რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა წარმოების ნაყოფიერებაზე. ყოველივე ამან განსაზღვრა ქარხნის დახურვა. უკანასკნელი ცნობა აღნიშნულ ქარხანაზე ჩვენ 1836-37 წლისა გვაქვს, რომელშიც აღნიშნულია, რომ წარმოება ცუდ მდგომარეობაშია[79]. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხანებში მან არსებობა შეწყვიტა. მით უმეტეს, რომ 1837—1838 წლებში იმერლიშვილს უთავდებოდა მიწის მეპატრონეებთან დადებული კონტრაქტის ვადა.

ცხადია, იმერლიშვილის წარმოების დახურვის შემდეგ თბილისში მოთხოვნილება არყის ნაწარმზე არ შემცირებულა. 1835-36 წლებში თბილისელი ცნობილი კაპიტალისტი ი. ზუბალაშვილი უცხოელ ვატმანთან ერთად დიდუბეში გერმანელთა კოლონიასთან არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც თბილისის გიმნაზიის მასწავლებლის ემერიხის საკუთრებას შეადგენდა, აწყობს ასეთ წარმოებას[80]. მასში ზუბალაშვილს საკმაოდ დიდი კაპიტალი დაუბანდებია[81].

---

78 სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 4162.

79 სცსია ფ. 16, საქმე 5679, ფურც. 125.

80 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 9579.

81 ი ქ ვ ე.

თავდაპირველად განზრახული იყო არყის გამოსახდელად ქარხანაში ძირითადად სხვადასხვა ხორბლეული გამოეყენებინათ[82]. ხოლო მას შემდეგ, რაც ზუბალაშვილის შაქრის ქარხანა ამუშავდა, ნედლეულის სახით დიდი რაოდენობით იყენებდნენ შაქრის ნარჩენებსაც[83].

1836-40 წლებში ქარხანა წარმატებით მუშაობდა და ნავარაუდევ მოგებასაც იძლეოდა[84]. 1840-42 წლებში გაუთავებელი დავა ი. ზუბალაშვილს, ვატმანსა და ემერიხს შორის. ემერიხი მათ მიწის საიჯარო ფასის გადაუხდელობას უჩიოდა და წარმოების ჩამორთმევით ემუქრებოდა, ზუბალაშვილი კი ყველაფერს ვატმანს აბრალებდა, მან საქმის კურსში არ ჩამაყენაო. საბოლოოდ 1842 წელს ვატმანმა ზუბალაშვილთან შეუთანხმებლად წარმოება ემერიხს დაუტოვა[85]. თუმცა ზუბალაშვილი 1845 წლამდე დაობდა სასამართლოებში, მაგრამ ფაქტია, რომ წარმოებამ 1842 წელს შეწყვიტა არსებობა.

ჩვენ ჯერჯერობით არ მოგვეპოვება სხვა ცნობები, რომლებიც წარმოების უფრო დაწვრილებით აღწერის საშუალებას მოგვცემდა. მრავალრიცხოვან სასამართლო საქმეებიდან მხოლოდ ორიოდე ფაქტის დადგენა შეიძლება, რომელიც ქარხნის ტექნიკურ აღჭურვილობას შეეხება. მაგალითად, ერთ ადგილას აღნიშნულია, რომ ქარხანაში იდგა „водопроводная машина", ხოლო ზუბალაშვილის ერთ-ერთი განცხადებიდან ირკვევა, რომ ეს იყო საგანგებო მექანიკური წარმოება; კერძოდ იგი წერს: «Если бы я в ненарушимости контрактного условия Эмериха с Ватманом и мною... не был уверен, то я никогда бы не решился употребить таких огромных издержек на чужой земле, ибо означенное устройство произведено посредством нарочитой механики»[86].

მას შემდეგ, რაც ვატმანთან საქმე სადაოდ გაუხდა, იმისათვის რომ შაქრის ნარჩენები გამოუყენებელი არ დარჩენოდა, ზუბალაშვილი უკვე თბილისელ მცხოვრებთან, პეპინოვთან, დებს ხელშეკრულებას და შაქრის ქარხანასთან აარსებს რომი-არყის წარმოებას. ეს უფრო ჩამოყალიბებული მექანიკური წარმოებაა, სადაც ორთქლის მანქანაც ყოფილა გამოყენებული[87]. ქარხნის ნაწარმი საუკეთე-

82 სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 4162. გვ. 17.

83 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 8520, ფურც. 39.

84 სცსია, ფ. 26. აღწ. 3, საქმე 5751, ფურც. 6.

85 იქვე, ფურც. 15.

86 იქვე, ფურც. 5.

87 დ. გოგოლაძე. დასახ. ნაშრ., გვ. 201.

სო ხარისხის ყოფილა, აქ დამზადებული რომი თურმე „ცოტათი თუ ჩამოუვარდებოდა იამაიურს“[88]. მის პროდუქციას კარგი გასაღება ჰქონდა ადგილზე, და იყო ცდები ნაწარმის რუსეთში გატანისა. როგორც ირკვევა, რუსეთში საერთოდ მსგავსი წარმოებები განვითარების უფრო დაბალ საფეხურზე მდგარან, ამიტომ ქარხნის მთავარი ოსტატი პეპინოვი, თხოვდა რა მთავრობას ნება მიეცა მისთვის რუსეთში უბაჟოთ შეეტანა ქარხანაში გამომუშავებული რომი 2000 ფუთის რაოდენობით, სამაგიეროდ პირობას იძლეოდა, რომ თუ რუსეთის შაქრის ქარხნებისათვის საჭირო იქნება რომის გამოხდის ტექნოლოგიის ახსნა, მე ამას სიამოვნებით გავაკეთებო[89].

აღნიშნულ წარმოებაზე სხვა მნიშვნელოვანი ცნობები ჩვენ არ მოგვეპოვება. უნდა ვიფიქროთ, რომ ზუბალაშვილის შაქრის ქარხნის დახურვის შემდეგ მანაც შეწყვიტა არსებობა.

40-იან წლებში სოფელ დრეში არყის წარმოება ანდრიევსკისაც ჰქონდა მოწყობილი. ნედლეულად ხილეულს იყენებდნენ. მის დასასრესად გამოყენებული იყო მექანიკური სასრესი, რომელიც ცხენის საშუალებით მოდიოდა მოძრაობაში და საათში 20 ფუთამდე ნაყოფს ჭყლეტდა. მისი წარმადობა დღედაღამეში 500 ფუთამდე ყოფილა. თვითონ ქარხანა დიდი ზომისა იყო და შესანიშნავად მოწყობილი[90].

50-იანი წლების დასაწყისში თბილისში საფუძველი ჩაეყარა სოღომონოვის კონიაკის წარმოებას[91]. მასზე ჩვენს განსახილველი პერიოდისათვის ჯერჯერობით სხვა ცნობები არ გაგვაჩნია ხოლო მე-19 საუკუნის რეფორმის შემდგომ ხანაში სოღომონოვი დ. სარაჯიშვილის შემდეგ ამიერკავკასიაში უმსხვილესი კონიაკის ქარხნის მფლობელია.

1854 წელს თბილისში ლიქიორისა და სხვა დასპირტული სასმელების წარმოებას ხსნის უცხოელი კალაინი. მისი ნაწარმი, როგორც წყაროები ირწმუნებიან, არაფრით არ ჩამოუვარდებოდა საზღვარგარეთულს და მეტად იაფად იყიდებოდა[92]. 1857 წელს იგი თავისი წარმოების გაფართოებას იწყებს. მთავრობას ლიქიორის დამზადების პრივილეგიას თხოვს და ჰპირდება, რომ მას შეუძლია სრულად ღა-

---

88 სცსია, ფონდი 2. აღწ. 1, საქმე 8520. ფურც. 7.

89 ი ქ ვ ე, საქმე 10219.

90 გაზ. „კავკაზი“, 1849 წ. № 43.

91 სცსია, ფ. 317. აღწ. 1, საქმე 298, ფურც. 127.

92 სცსია, ფონდი 4. აღწ. 4, საქმე 349, ფურც. 2.

აკმაყოფილოს მხარის მოთხოვნილებები აღნიშნულ ნაწარმზე. ამ ხანებში მას თბილისში საჭელი მოუხვეჭია, როგორც გამოცდილ და თავის საქმის შესანიშნავად მცოდნე ოსტატს[93].

1862 წელს კალაინი ფაბრიკატ ზინჩენკოს შეუამხანაგდა. მათ ერთად იმოგზაურეს ევროპაში, რათა შეესწავლათ როგორ იყო დაყენებული საქმე იქაურ ფაბრიკებში, შეესყიდათ სხვადასხვა მასალები და შეეკვეთათ წარმოებისათვის საჭირო მანქანები[94]. ამავე წელს მათ სახაზინო მიწაზე აუშენებიათ ლიქიორის საწარმოო. ნაწარმის გასასაღებლად ერევნის მოედანზე დეპო მოუწყვიათ. 1863 წელს ისინი მთავრობას სესხს თხოვენ. ამასთან დაკავშირებით „ქარხანა" დაათვალიერა და მოკლედ აღწერა ინჟინერ-ტექნოლოგმა ბიხოლდმა. წარმოებაში ამზადებდნენ: არაყს, ლიქიორს, სხვადასხვა ნაყენს. იგი თუმცა პატარა ზომის, მაგრამ კარგად მოწყობილი იყო. ნედლეულად იყენებდნენ შაქარს, თაფლს, სპირტს, სხვადასხვა ბალახეულს, მცენარეთა ქერქებს, სურნელოვან ზეთებსა და ა. შ. „ქარხანა" მთლიანად 4000 მანეთად იქნა შეფასებული[95].

თუმცა მასალების სიმცირე გვიძნელებს გადაჭრით ვთქვათ რაიმე აღნიშნული წარმოების რაობის შესახებ, მაგრამ ცხადია, რომ იგი კაპიტალისტური საწარმოა, რომელშიაც ადგილი ჰქონდა მანქანის გამოყენების ცდებს.

როგორც დავინახეთ, მე-19 საუკუნის რეფორმამდელ ხანაში თბილისის არყის წარმოებაში რამდენიმე საგულისხმო სამრეწველო წამოწყება ჩნდება. მათი დიდი უმრავლესობა დღეგრძელი არ აღმოჩნდა და მეტად ჩქარა შეწყვიტა არსებობა. მხოლოდ 50-იანი წლებიდან დგება ეს წარმოება უფრო მტკიცე ნიადაგზე. 1853 წელს შექმნილმა სოღომონოვის ქარხანამ გაუძლო ყოველგვარ განსაცდელს და რეფორმის შემდგომ ხანაში იგი გვევლინება როგორც მსხვილი მანქანური წარმოება[96].

არყის წარმოებას თბილისში ხელოსნური ტრადიციები არ ჰქონდა. ყველა ჩვენ მიერ აღწერილი წარმოება გულისხმობდა მეტნაკლები ზომით მანქანის გამოყენებას. მართალია, მანქანის გამო-

---

93 გაზ. „კავკაზი", 1860 წ. № 8.

94 სცსია, ფონდი 4, აღწ. 4, საქმე 349, ფურც. 2.

95 Документы по истории Грузии (1862—1917 гг.) т. I, ч. II, под ред. Ш. Чхетия, Тб., 1960, გვ. 415.

96 სცსია, ფ. 317, აღწ. 1, საქმე 298, ფურც. 127.

ყენება იმ სიმაღლეზე არ იყო ასული, რომ გაბედულად შეგვეძლოს ლაპარაკი, მანქანურ წარმოებაზე, მაგრამ ცხადია, რომ განვითარების თვალსაზრისით, მანუფაქტურასთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია. მანქანა მართალია ვერ მოიცავს მთელ წარმოებას, და მანქანური წარმოება მხოლოდ ჩანასახოვანი ფორმით გვევლინება, მაგრამ აქ მთავარია არა განვითარების მასშტაბი, არამედ ტენდენცია, ხოლო განვითარების ტენდენცია კი წარმოებაში მანქანის სულ უფრო მეტად დანერგვას გულისხმობდა.

* * *

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ ჩვენში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩატარდა გაუმჯობესებული ტექნიკური კულტურების და მათ შორის საუკეთესო ჯიშის თამბაქოს გასავრცელებლად.

40-იანი წლებიდან თბილისში ჩნდებიან თამბაქოს დამმუშავებელი შედარებით მსხვილი საწარმოები. ერთ-ერთი მათგანი იყო 1848 წელს გახსნილი მაიორი შემიოტის სიგარეტების საწარმო, რომელშიც მრავალნაირი ასორტიმენტის სიგარა და დაფხვნილი თამბაქო მზადდებოდა[97]. 1850 წელს თამბაქოს ამზადებდა კოლონისტი ზალცმანიც. 1852 წელს ერთდროულად ორი საწარმო გაიხსნა სადაც თამბაქო და პაპიროსი მზადდებოდა ეს „ფაბრიკები" ძმებს ამბარცუმ და ბენიამინ ენფიაჯინცებს ეკუთვნოდათ[98]. ხოლო 1861 წელს მსგავს წარმოებას აარსებს მესამე ენფინჯიანცი კარაპეტი[99]. ეს წარმოებები კაპიტალისტური მარტივი კოოპერაციის და მანუფაქტურის ტიპისანი უნდა ყოფილიყვნენ, რადგან მათში მუშაობა ხელით წარმოებდა ხოლო თვითეულში გარდა ოსტატებისა 10—15 მუშა იყო დასაქმებული (ძირითადად ქალები და არასრულწლოვანნი).

თანდათან თამბაქოს საწარმოთა რაოდენობა თბილისში მნიშვნელოვნად მატულობს: 1863 წელს წყაროები 7 საწარმოს აღნიშნავენ 21000 მან. წლიური პროდუქციით[100], ხოლო 1864 წელს კი აღნიშნულ საწარმოთა მიერ გამომუშავებული პროდუქცია 24000 მა-

---

97 ცსიალ, ფ. 398, აღწ. 14, საქმე 4522.

98 გაზ. „კავკაზი", 1851 წ. № 87, ცსიალ, ფ. 398, აღწ. 14, საქმე 4522.

99 სცსია, ფ. 10, საქმე 740, ფურც. 3—8. აღნიშნულ წარმოებებზე იხ. აგრეთვე დ. ოგოლაძის, ე. ხოშტარიას და სხვ. დასახელებული ნაშრომები.

100 სცსია, ფ. 415, აღწ. 1, საქმე 9, ფურც. 87.

ნეთის ღირებულებას აღწევს[101]. ეჭვს გარეშეა, რომ აღნიშნულ საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ჩამოყალიბებული კაპიტალისტური საწარმოებია, რომლებიც რეფორმისშემდგომ ხანაში კიდევ უფრო გაფართოვდნენ (ენფიაჯინცის, ბოზარჯიანცის და სხვ. საწარმოები).

4. შაქრის წარმოება

მე-19 საუკუნის რეფორმამდელი პერიოდის თბილისის მრეწველობის ისტორიაში ერთ-ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა ი. ზუბალაშვილის ქარხანამ. ეს იყო მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, რომელიც მიზნად ისახავდა შაქრის ნაწარმით დაეკმაყოფილება არა მარტო საქართველო, არამედ მთელი ამიერკავკასია და პროდუქციის გატანა მის ფარგლებს გარეთაც ეწარმოებია. მან გარკვეული აზრით და გარკვეულ პერიოდში შეასრულა ეს მიზანი. მისი მოვწყობები იყვნენ გამოჩენილი ვაჭრები და მრეწველები: იაკობ ზუბალაშვილი, დავით თამამშევი, დავით ტერ-გუკასოვი, ტარიელ ლორის-მელიქოვი და სხვ.

შაქრის მოხმარების დიდი სიჩქარაფით ზრდამ და საქმის მოსალოდნელმა დიდმა სარგებლიანობამ უკარნახა კომპანიას ხელი მოეკიდა აღნიშნული წარმოებისათვის. მოახერხეს რა მიეღოთ მნიშვნელოვანი პრივილეგიები მთავრობისაგან, რაც იმაში გამოიხატა, რომ მათ უფლება ეძლეოდათ საზღვარგარეთიდან 120.000 ფუთი შაქრის ფხვნილი უბაჟოდ და ამდენივე სანახევრო ბაჟით (70 კაპიკი ვერცხლით ყოველ ფუთ შემოტანილ შაქრის ფხვნილზე) შემოეტანათ[102], კომპანიამ გარეუბან კუკიის ბოლოს თუმანიშვილებისაგან ნაყიდ მიწაზე[103], ჩვენ მიერ ზევით აღწერილი ვატმანისა და ზუბალაშვილის არყის ქარხნისა და თბილისის მოქალაქე ისრალოვის ბაღს შორის

---

101 ი ქ ვ ე, საქმე 10, ფურც. 237.

102 სესია, ფ. 1268, საქმე 881, ფურც. 78. აღნიშნული პრივილეგიები კომპანიას შედარებით გვიან 1838 წელს დაუმტკიცეს. მანამდე შემოტანილი ნედლეულის ვალი მათ განსაზღვრული ჰქონდათ 6 წლით ისე, რომ პირველ 3 წელიწადს უნდა შემოეზიდათ უბაჟოდ, მეორე 3 წელიწადს სანახევროდ ბაჟით. საერთოდ აღნიშნული წარმოება საკმაოდ დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენს ისტორიოგრაფიაში (იხ. პროფ. პ. გუგუშვილის, პროფ. გ. ბაქრაძის, დ. გოგოლაძის, ე. ხიზტარიას და სხვ. დასახ. ნაშრომები). ამიტომ ჩვენ მხოლოდ ძირითად შტრიხებში გადმოვცემთ მის ისტორიას და შევეხებით ზოგიერთ სადავო საკითხს.

103 სესია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 4900, ფურც. 7—8.

(3500 კვ. საჟენი), ააგო 4 სართულიანი შენობა, ჩამოიტანა ძირითადი მოწყობილობები პეტერბურგიდან, პეტერბურგიდანვე ჩამოიყვანა საქმის მცოდნე ოსტატი, ადგილზეევე დაამზადეს თიხის ფორმები და სხვა მოწყობილობა და 1839 წლის მარტიდან ქარხანა ამუშავდა.

1839 წლის მარტიდან ივნისამდე ქარხანას 3000 ფუთამდე საკმაოდ კარგი ხარისხის პროდუქცია გამოუშვია, რომელიც შედარებით დაბალ ფასებში იყიდებოდა, რის გამოც ბაზარზე საერთოდ შაქრის ფასმა თურმე მნიშვნელოვნად დაიწია[104].

თავისი არსებობის პირველ წლებშივე ქარხანას რთული დაბრკოლებების გადალახვა მოუხდა. მაგრამ კომპანიამ შესძლო თავი დაეღწია განსაცდელისაგან და წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა 1841 წლამდე მნიშვნელოვნად იზრდებოდა: 1840 წელს ქარხანამ 181.700 მანეთის პროდუქცია გამოუშვა, 1841 წელს კი 186.600 მანეთისა. შემდეგ წლებში კი გამოშვებული პროდუქციის რაოდენობა კლებულობს, 1843 წელს იგი შეადგენს 66.905 მანეთისას[105].

წარმოებაში სხვადასხვა დროს 60—100 კაცამდე იყო დასაქმებული, იგი ემყარებოდა შრომის დანაწილებას, მუშაობა ძირითადად ხელით წარმოებდა[106], თუმცა, როგორც ჩანს, მასში სპორადიულად მანქანის გამოყენების ცდასაც ჰქონდა ადგილი. კერძოდ კომპანიონებს პეტერბურგის ტექნოლოგიური ინსტიტუტისათვის შეუკვეთიათ ფანერის საჭრელი მანქანა[107].

საერთოდ ქარხანა იმ დროისათვის შესანიშნავად იყო მოწყობილი: თავდაპირველად ქარხნის მთავარ ოსტატად უცხოელი გარტმანი მოიწვიეს; შემდეგში რაღაც მიზეზების გამო იგი რუსი ოსტატით შეცვალეს, არც იგი გამოდგა და 1842 წელს კომპანიამ გადაწყვიტა პეტერბურგიდან უცხოელი ოსტატი ბურმეისტერი გამოეწერა[108]. ამავე წელს მასთან ხელშეკრულება იქნა დადებული. მასში გათვალისწინებული იყო, რომ ბურმეისტერს პირველივე ხარშვაზე ისეთი

---

104 ცსიალ, ფონდი 1287, აღწ. 2, საქმე 544. ფ. 1.

105 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

106 პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი, ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ღ. გ ო გ ო ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომები.

107 სცსია, ფ. 2, აღ. 1, საქმე 4501, ფურც. 65.

108 სცსია, ფ. 4, აღწ. 1, საქმე 158, გვ. 27.

შაქარი უნდა დაემზადებია, რომელიც პეტერბურგის საუკეთესო ქარხნების ნაწარმზე უკეთესი იქნებოდა[109].

წარმოება რომ მეტად რაციონალურად იყო მოწყობილი, ეს იქედანაც ჩანს, რომ კომპანიას მნიშვნელოვანი ღონისძიებები ჩაუტარებია წარმოების საწვავით მომარაგების გაუმჯობესებისათვის. მას მტკვარზე სპეციალური ტივსაჭერი ჰქონია[110], რაც იმაზე მიგვითითებს, რომ კომპანიონები თბილისში კი არ ყიდულობდნენ შეშას, არამედ თვითონვე ამზადებდნენ და აცურებდნენ. მაგრამ, როგორც ჩანს, საწვავად შეშის გამოყენება მათ აღარ აკმაყოფილებდა და ისინი ცდილობენ იგი ქვანახშირით შეცვალონ[111].

ყოველივე ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ ზუბალაშვილის ქარხანა თავის დროისათვის შესანიშნავად მოწყობილი წარმოება იყო. მიუხედავად ამისა მან მხოლოდ 7—8 წელი იარსება. 1843 წლიდან ქარხნის პროდუქცია კლებულობს, 1845 წელს პროდუქციის გამოშვება თითქმის შეწყდა; ხოლო 1846 წელს წარმოება დაიხურა.

შაქრის ქარხნის ბედი გაიზიარა განსახილველი პერიოდის თბილისის მსხვილი სამრეწველო წამოწყებების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. ამიტომ თითქოს ქარხნის დახურვაში უჩვეული არაფერი ყო-

---

109 ი ქ ვ ე. გვ. 24. § 7, ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო ოსტატის ჯამაგირი პირველ ორ წელიწადს, წელიწადში 1142 მან. 85 კაპ. შემდეგ ორ წელიწადს წელიწადში 1714 მან. 28 კაპ., ე. ი. მთლიანად 4 წელიწადში 6285 მან. 71 კაპ. ამას გარდა, მას უფასოთ უნდა მიეღო ბიჭი. ბინა, სინათლე და შაქარი, რამდენიც სუოდა.

110 სცსია, ფ. 4, აღწ. 5, საქმე 119, ფ. 21—22.

111 უფრო გვიან როცა შაქრის ქარხანა უკვე დახურული იყო, ადგილობრივ ხელისუფლებას დაუწყია ცდები თბილისის მახლობლად ქვანახშირის საბადოების აღმოსაჩენად. მაშინ მოაგონდათ რომ, შაქრის ქარხანაში ქვანახშირს იყენებდნენ: კერძოდ, მათ ჰქონიათ ცნობა, რომ ქარხანაში ქვანახშირი მოიტანეს საცხენისის ტყიდან (სართიჭალის მაზრა), ადგილზე გეოლოგი კარტნერი იქნა გაგზავნილი. მაგრამ მან იქ ქვანახშირის კვალი ვერ აღმოაჩინა; საპირო გახდა ქარხანაში ნამუშევარი კაცის მოძებნა. ასეთი კაცი მართლაც იპოვნეს, ეს იყო ახალციხელი გლეხი გრიქურა მაჯათოვი. რომელიც თურმე 8 წელიწადი მუშაობდა ქარხანაში. მან განაცხადა, რომ 1840-41 წწ. კუკიელმა გლეხმა კიკოლა კატუაშვილმა შაქრის ქარხანაში მართლაც მოიტანა გასასინჯად მცირეოდენი ქვანახშირი საცხენისის ტყიდან, მაგრამ იგი მეტად დაბალხარისხოვანი გამოდგა, სამაგიეროდ კომპანიონებს მე ჩავუტანე 8 ფუთამდე ქვანახშირი თბილისსა და ბორჩალოს შორის მტკვრის სანაპიროდანო. კარტნერს ადგილი შეუმოწმებია და ქვანახშირის კვალი. მართლაც უპოვნია, მაგრამ მეტად მცირე რაოდენობით და იგი ეჭვს გამოთქვამდა, რომ შაქრის ქარხანას მარტო აქედან არ უნდა მიეღო ქვანახშირიო. როგორც ჩანს. კარტნერს ჰქონია ცნობა, რომ წარმოებაში აღნიშნულ საწვავს მნიშვნელოვანი რაოდენობით იყენებდნენ. სცსია, ფ. 4, აღწ. 8, საქმე 43, გვ. 339.

ფილა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ზუბალაშვილის შაქრის წარმოება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა სხვა სამრეწველო წამოწყებებისაგან; იგი თითქმის ყველაზე უკეთ იყო მოწყობილი; მას სათავეში ედგნენ მეტად ჭკვიანი და ენერგიული საქმოსნები, რომლებიც საკმაოდ დიდ ფულად კაპიტალს ფლობდნენ. მათ მთავრობისაგან მიიღეს მნიშვნელოვანი პრივილეგიები, ადგილობრივ ბაზარზე მოთხოვნილება შაქრის ნაწარმზე დღითი დღე იზრდებოდა. ყოველივე ეს თითქოს საკმაოდ მყარ გარანტიას ჰქმნიდა იმისათვის, რომ შაქრის წარმოება ჩვენში მტკიცე ნიადაგზე დამდგარიყო. მაგრამ ეს ასე არ მოხდა და წარმოება ჩქარა დაიხურა. აღნიშნული წარმოების ასეთ დასასრულს სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინდელი თბილისის სამრეწველო განვითარებისათვის. მას არ შეეძლო გულგატეხილობა არ გამოეწვია ჩვენს ვაჭარ-მრეწველებში. მეორეს მხრივ, თუ კი თბილისში ვერ იხერხა ასეთი ძლიერი საფუძვლის მქონე წარმოებამ, მაშინ რა გასაკვირია, რომ აქ ფეხს ვერ მოიკიდებდა შედარებით სუსტი სამრეწველო წამოწყებები. იქნებ ფაბრიკის ასეთი დასასრული სრულიად კანონზომიერი იყო, რადგან თბილისი და საქართველო ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული ასეთი მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების არსებობისათვის. თუ პირიქით, აღებულ პერიოდში ჩვენში არსებობდნენ პირობები ასეთი საწარმოს აყვავებისათვის, მაგრამ აღნიშნული წარმოების დახურვა რაიმე სპეციფიურმა ობიექტურმა მიზეზებმა განსაზღვრეს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭირო იქნება ცოტა უფრო ვრცლად შეეჩერდეთ წარმოების დახურვის მიზეზებზე.

ქარხნის დახურვამ შეაშფოთა ჩვენში არა მარტო მეწარმე კაპიტალისტები, არამედ მთავრობის წრეებიც კი. ამიერკავკასიის მხარის სამოქალაქო მმართველობის უფროსის მითითებით 1846 წელს სამედიტორო სასამართლოს დაევალა შეესწავლა ქარხნის მდგომარეობა და გაერკვია მისი დახურვის მიზეზები. მაგრამ სასამართლომ საქმეში გარკვევა ვერ მოახერხა[112].

ქარხნის დახურვის მიზეზების შესახებ უკვე მაშინვე ჩამოყალიბდა ორი აზრი: ოფიციალური წრეების წარმომადგენელთა უმეტესობა თვლიდა, რომ ქარხანა დაიხურა, რადგან 1) კომპანიონებს შორის შუღლი ჩამოვარდა და 2) კომპანიამ ვერ მოახერხა შაქრის ლერწმის პლანტაციის გაშენება; ქარხნის მეპატრონეები კი დახურვის მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ: 1) მათ მთავრობა არ

112. სცსია, ფონდი 26, აღწ. 2, საქმე 549.

დაეხმარა შაქრის ლერწმის პლანტაციის გასაშენებლად შესაფერისი მიწების გამოყოფაში და 2) საქართველოში დიდი რაოდენობით შემოტანილმა უცხოური და რუსული შაქრის კონკურენციამ მათი გაკოტრება გამოიწვია.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში უმეტესად ეს მეორე აზრია გაზიარებული. მაგალითად, პროფ. ზ. ანჩაბაძე თვლის, რომ ადგილობრივი კომპრადორული ბურჟუაზიის კონკურენციამ შაქრის კომპანიის განადგურება გამოიწვია: «Не выдержав конкуренцию с ввозимым, представителями местной компродорской буржуазии сахаром, Зубалашвили и компания разорилась» — წერს ავტორი, ხოლო შემდეგ აზუსტებს; «Попытка Якова Зубалашвили... потерпела крах вследствие того, что с одной стороны натолкнулась на противодействие царской колониальной экономической политики, — с другой стороны, не сумела преодолеть подрывную деятельность местных купцов компрадоров»[113].

აღნიშნული მოსაზრება ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო იმისათვის, რათა პროფ. ზ. ანჩაბაძეს ის დასკვნა გაეკეთებია, რომლითაც რეფორმამდელი ხანის საქართველოს ეკონომიურ განვითარებაში ადგილობრივი სავაჭრო კაპიტალის როლი რეგრესიულად დაახასიათა. ავტორის მოსაზრებას ქარხნის დახურვის მიზეზებზე იზიარებს ისტორ. მეცნ. კანდ. დ. გოგოლაძე[114].

---

[113] З. Анчабадзе, К вопросу о роли торгово-ростовщического капитала в дореформенной Грузии მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკ. 30. თბილისი, 1954, გვ. 65, 66.

[114] მაგრამ როგორც ჩანს, დ. გოგოლაძე მთლიანად არ ეთანხმება პროფ. ზ. ანჩაბაძის დასკვნას სავაჭრო კაპიტალის როლის შესახებ, ამიტომ იგი ქართველ ვაჭრებში კომპრადორების ერთ ნაწილს გამოყოფს. დასახელებული ნაშრომის ერთ-ერთ შენიშვნაში იგი წერს: „კომპრადორი ვაჭრები ვაჭართა მთელ ფენას როდი მოიცავდნენ. ისინი მხოლოდ მის ნაწილს შეადგენდნენ. რომელთაც დაგროვილი კაპიტალი წარმოებაში არასდროს არ დაუბანდებიათ და საერთოდ ხელს უშლიდნენ მის განვითარებას სამშობლოში“ (დ. გოგოლაძის დასახ. ნაშრომი. გვ. 141, შენიშვნა 5). აქ უნდა შეენიშნოთ, რომ საქართველოს ვაჭართა კლასის ასეთი გაყოფა ხელოვნური და, ჩვენი აზრით, მცდარია; რასაკვირველია, ზოგი ქართველი ვაჭარი წარმოებაში აბანდებდა თავის კაპიტალს და ზოგი არა, მაგრამ კომპრადორობა აქ არაფერ შუაშია. ხოლო თუ კომპრადორობას გავიგებთ, როგორც რუსული და უცხოური საქონლით ვაჭრობას, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ასე თუ ისე მსხვილი ქართველი ვაჭარი მეტ-ნაკლებად კომპრადორი იყო.

სიმართლესთან უფრო ახლოს უნდა იყოს ისტ. მეცნ. კანდიდატის ედ. ხოშტარიას მსჯელობა. მას მიაჩნია, რომ ქარხნის დახურვაში გარკვეული როლი ითამაშა როგორც კომპანიონების შორის ატეხილმა დავამ. ისე უცხოური შაქრის კონკურენციამ, მაგრამ ეს დაბრკოლებები არ იყო მთავარი და გადაულახავი და ამის დასასაბუთებლად ავტორს მოჰყავს ანანოვის მაგალითი, რომელიც ქარხნის დახურვის შემდეგ ითხოვდა იგივე პრივილეგიების გაგრძელების ნებართვას, იმ მოტივით, რომ შაქრის ჭარხლის პლანტაციებს გააშენებდა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ კომპროდორების მოქმედება არ ყოფილა იმდენად საშიში, რომ შაქრის წარმოების შესაძლებლობები უიმედოდ გაეხადათ[115].

ზემოთ მოყვანილი ავტორები (გარდა ე. ხოშტარიასი) თავიანთ დასკვნებში ძირითადად შაქრის ქარხნის კომპანიონების პოზიციებიდან, მათი განცხადებებიდან გამოდიან. ასეთებია, მაგალითად: 1) ზუბალაშვილის 1839 წლის მიმართვა მთავრობისადმი, სადაც იგი წარმოების განვითარების მთელ რიგ ხელშემშლელ პირობებს ასახელებს, მათ შორის უცხოური შაქრის კონკურენციაზეც უთითებს და მთელ რიგ ახალ დახმარებებს ითხოვს; მათ შორის უცხოური შაქრის შემოტანის აკრძალვას, ან ყოველ შემთხვევაში ძასზე ბაჟების ერთი ორად გადიდებას[116] (რაც საბოლოო ჯამში ერთი და იგივე იყო). ეს მოთხოვნები განმეორებულია 1842 წლის მიმართვაშიც[117]. 2) დავა მთავრობის მოხელეებსა და კომპანიონებს შორის 1839 წლის ზარალის შესახებ[118] და 3) ვრცელ მიმოწერას მთავრობასა და კომპანიონებს შორის შაქრის ლერწმის პლანტაციებისათვის მიწების გამოყოფის თაობაზე. ამავე დროს ეს ავტორები სრულიად უგულვებელყოფენ მთავრობის მოხელეთა არგუმენტებს.

ჩვენ ხელთ არსებული მასალა კი საშუალებას გვაძლევს ქარხნის დახურვის მიზეზები სხვანაირად წარმოვიდგინოთ. ეს რომ გასა-

---

ამგვარად კი კომპრადორი ყოფილა იაკობ ზუბალაშვილიც და დავით თამამშევიც: ქარხნის ერთ-ერთი კომპანიონი ტარიელ ლორის-მელიქოვი კი ჭარხნის მოქმედების პერიოდშიც კი ფართოდ ეაჭრობდა ევროპელი და რუსული საქონლით. როგორც ვხედავთ, „კომპრადორობას" მათთვის ხელი არ შეუშლია აქტიურად დაებანდებიათ თავიანთი კაპიტალი წარმოებაში.

115 ე დ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, დასახ. ნაშრომი. გვ 170.

116 ცსიალ, ფ. 1263, აღწ. 1, საქმე 1327.

117 ცსიალ, ფ. 1268, აღწ. 1, საქმე 280.

118 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 8290.

ვები გახდეს .საჭირო იქნება ცოტა უკან დავიხიოთ და გავარკვიოთ რა პირობებში აღმოცენდა შაქრის წარმოება ჩვენში.

ჯერ კიდევ 1834 წელს ალექსი და გაბრიელ შადინოვებმა სცადეს შაქრის ქარხნის მოწყობა თბილისში, რისთვისაც ისინი შედარებით ზომიერ პრივილეგიას ითხოვდნენ; მთავრობის დაინტერესების მიზნით წარმოების სარგებლიანობას ისინი იმით ხსნიდნენ, რომ: 1) პროდუქციას გაიტანდნენ ირანში სადაც იგი კონკურენციას გაუწევდა ინგლისური შაქრის ნაწარმს და 2) ქარხნის მოწყობით პევრი უსაქმო კაცი თბილისში საქმეს და ლუკმა პურს იშოვნიდა. პრივილეგიების მისაცემად ასეთი არგუმენტები საკმარისი არ აღმოჩნდა და ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა თხოვნას დააწერა: თავი შაქრის შემოტანის ბაჟი ფუთზე 3 მანეთია, ფხვნილისა 1.40 კაპ. შეღავათი თავისთავად არსებობს და თუ სურთ შეიძლება მოაწყონ წარმოებაო[119].

როგორც ჩანს, მთხოვნელები შემდეგ მიხვდნენ, რომ მთავრობის წრეებს სულ სხვა რამ აინტერესებდათ და 1837 წლის თხოვნაში უკვე ცდილობენ თავიანთი შეცდომა გამოასწორონ: «...В прежних прошениях мы не объясняли о намерении нашем, чтобы с получением дозволения на устройство заведения для рафинирования сахара немедленно приступить к разведению по здешнему краю сахарного тростника...»[120] და კვლავ იმეორებენ ზემოთ მოყვანილ თხოვნას; ეტყობა, ან მთავრობას შეეპარა ეჭვი, რომ მთხოვნელები რაღაცას ეშმაკობენ, ანდა შესაძლებელია, მთავრობის წრეებში უკვე გადაწყვეტილი იყო ზუბალაშვილისათვის პრივილეგიების მიცემის საკითხი და ამის გამო შადინოვებს კვლავ უარი უთხრეს[121].

ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის სისტემაში საქართველოს და საერთოდ კავკასიას რუსეთის ფაბრიკებისათვის თბილი ჰავის ტექნიკური კულტურების ნედლეულით მომმარაგებლის როლი უნდა შეესრულებია და, ამიტომ, მთავრობის წრეები ყოველმხრივ ახალისებდნენ ჩვენში ისეთი კულტურების გავრცელებას, როგორიცაა თამბაქო, ენდრო, ინდიგო და სხვ. ასევე იყო შაქრის ლერწამი, რომლის საზღვარგარეთიდან დიდი რაოდენობით შემოტანა უდიდეს სახსრებს მოითხოვდა და თუ ადგილზე მოხერხდებოდა მისი

119 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 3590, ფურც. 1—6.

120 იქვე, ფ. 8.

121 იქვე, ფურც. 15.

გავრცელება, მთავრობა მას ყოველმხრივ შეუწყობდა ხელს. ამიტომ მისცეს ზუბალაშვილის კომპანიას ასეთი დიდი პრივილეგიები. ეს რომ ასე იყო, ამაზე მრავალი ცნობა მიგვითითებს, მოვიყვანთ მხოლოდ ერთ ოფიციალურ ცნობას, სადაც ნათქვამია, რომ «Учредители Тифлисского Сахарного Завода обязались развести в Закавказском Крае плантации сахарного трасника и правительство в виде поощрения представило им привиллегию и облегчения...»[122]

იმ დროისათვის რუსეთის შაქრის ქარხნები იმდენად ძლიერნი ვერ იყვნენ, რომ მათთვის კავკასიის ბაზარი საჭირო ყოფილიყო, ამიტომ აქ უმთავრესად ევროპული შაქარი შემოდიოდა. აქედან გამომდინარე, მთავრობას სრული საფუძველი ჰქონდა, არამც თუ ხელი არ შეეშალა, არამედ ყოველმხრივი დახმარება აღმოეჩინა კომპანიისათვის და მისი წარმატება საკუთარი პოლიტიკის გამარჯვებად მიეღო. ამიტომ ქარხნის ამუშავებამ ფრიად გაახარა მთავრობის წრეები: შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეურნეო დეპარტამენტი საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორისადმი გაგზავნილ წერილში დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდა კომპანიის წარმატების გამო[123]. ხოლო ადგილობრივმა ხელისუფლებამ ქარხნის ამუშავებისთანავე კომპანიონები დაუყოვნებლივ ჯილდოებზე წარადგინა. 1839 წლის აგვისტოში ი. ზუბალაშვილი წმ. ვლადიმირის IV ხარისხის, ხოლო თამამშევი და ტერ-გუკასოვი წმინდა ანას III ხარისხის ორდენებზე წარადგინეს[124].

ზემოთ დასახელებული ავტორები მთავრობის პოლიტიკას იმ მოტივით აკრიტიკებენ, რომ მან 1839 წელს არ დააკმაყოფილა კომპანიის თხოვნა პრივილეგიის გაზრდის შესახებ. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აღნიშნული თხოვნის 4 პუნქტიდან მთავრობამ 2 დააკმაყოფილა (კერძოდ: რომ შეღავათიანი შაქრის შემოტანა დროით კი არ განსაზღვრულიყო, არამედ რაოდენობით, და რომ შაქრის ფხვნილის ნაწილი მურაბების გამოხარშვაზე ყოფილიყო მოხმარებული) და მხოლოდ 2-ზე უთხრა უარი, ისიც ფრიად საფუძვლიანი მიზეზით; პირველი, უარი უთხრეს უცხო შაქრის შემოტანის აკრძალვაზე იმ მოტივებით, რომ, ჯერ-ერთი კომპანია მხოლოდ იწყებდა საქმეს და არავინ იცოდა შეძლებდა

---

122 სცსია, ფონდი 26, აღწ. 2, საქმე 549.

123 სცსია, ფ. 16, საქმე 5554, ფურც. 10.

124 სცსია, ფონდი 2, აღწ. 1, საქმე 6197.

თუ არა იგი მხარის მოთხოვნილებების მთლიანად დაკმაყოფილებას შაქრის პროდუქციით; ამასთან უცხოური შაქრის შემოტანის აკრძალვა მას მონოპოლიას შეუქმნიდა და ამით საკუთარი გამორიცხავდა სხვა მსგავსი წარმოების მოწყობის შესაძლებლობას; ხოლო მეორე თხოვნაზე, საწინდრიდან განთავისუფლების შესახებ, უარი იმ მოტივით უთხრეს, რომ მთავრობას არავითარი გარანტია არ ჰქონდა იმისა, რომ წინაალმდეგ შემთხვევაში კომპანიონები შემოზიდულ ფხვნილ შაქარს გადაუმუშავებლად არ გაყიდდნენ[125].

მკვლევრები ამ აქტში მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას და მხარის განვითარებით დაუინტერესებლობას ხედავენ, მაგრამ საინტერესოა მოვიგონოთ, რომ სხვა გუბერნიებში აღნიშნულ წამოწყებებს მათი ჩასახვის დროისათვის მთავრობა გაცილებით ნაკლებ პრივილეგიებს აძლევდა, ვიდრე ზუბალაშვილის კომპანიამ მიიღო[126]. ჩანს კოლონიური პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია.

აღნიშნულ თხოვნაში სხვა დაბრკოლებებთან ერთად კომპანიონები რედუტკალეს 1839 წლის ცნობილ ზარალზეც მიუთითებენ. დასახელებულ ნაშრომში პროფ. ზ. ანჩაბაძე აღნიშნავს: (ადგილობრივი ვაჭრები: не предоставляли товариществу складских помещений и компаниоты были вынуждены держать свой сахар под открытым небом, подвергая его опасности и порче[127]. სამწუხაროდ, ავტორი გარკვევით არ მიუთითებს თუ რომელი საწყობები აქვს მას მხედველობაში. კომპანიონები თავიანთ თხოვნებში ხშირად საყვედურობენ რედუტკალეს პორტის მოუწყობლობაზე, მაგრამ ფაქტი, რომ კომპანიას ზარალი ენახოს იმის გამო, რომ მას არ დართეს ნება საქონლის საწყობში დაბინავებისა. გარდა 1839 წლის შემთხვევისა არ ვიცით, შეიძლება ვივარაუდოთ. რომ ავტორს სწორედ იგი აქვს მხედველობაში. ამავე აზრისაა დ. გოგოლაძეც. იგი ეთანხმება პროფ. ზ. ანჩაბაძეს, რომ აღნიშნულ ინციდენტში კომპრადორი ვაჭრების ხელი ერია[128]. მაგრამ კომპანიონები თავის თხოვნაში გარკვევით მიუთითებენ, რომ შაქრის ფხვნილის მაღაზიაში გადატანაზე მათ ხელი შეუშალა რედუტკალეს საბაჟოს კომისიონერმა პიუკოვმა, ხოლო ვაჭრებს არავითა-

---

125 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 4501, ფურც. 64—68.

126 იქვე, საქმე 3590.

127 ზ. ანჩაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

128 დ. გოგოლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 142.

რი უფლება არ ჰქონდათ არც აკრძალვის და არც ნებართვისა. მაგრამ სჯობს უფრო ნათლად გავარკვიოთ, თუ რა მოხდა.

1839 წლის აგვისტოში ინგლისური გემებით კომპანიამ 190Თ ყუთი შაქრის ფხვნილ ჩამოიტანა რედუტკალეში[129]. აქ იგი კომპანიის მოხელემ ბაბანოვმა მიიღო. საბაჟოს მოხელემ პიუკოვმა კი მას ნება არ მისცა საქონელი საწყობებში გადაეტანა და იგი კარგი ხანს ღია ცისქვეშ დარჩენილა. ხოლო როცა ბაბანოვს ამის ნება მისცეს, უკვე გაავდარდა და საქონელი დასველდა, ამასთანავე ნაკუბით გადატანის დროს ცუდი ამინდის პირობებში 14 ყუთი შაქარი წყალში ჩაუცვივდათ. როგორც აღვნიშნეთ, მკვლევრები ამ ინციდენტში კომპრადორი ვაჭრების ჩარევას ვარაუდობენ, მაგრამ ამ ვარაუდს თვითონ ბაბანოვის განცხადება აბათილებს, რომელმაც აჩვენა, რომ პიუკოვმა საქონლის საწყობში გადატანის ნება არ მომცა, რადგან ქრთამს მთხოვდა, მე კი ქრთამი (საკმაოდ დიდი თანხა) მანამდე არ მივეცი, სანამ არ გაავდარდა, ფულის მიღების შემდეგ მან გადატანის ნება დამრთო, მაგრამ უკვე გვიან იყო[130].

იმავე წლის ოქტომბერში საქმის გამოსარკვევად რედუტკალაში დ. ტერ-გუკასოვი ჩავიდა. მან პიუკოვზე საჩივარი შეიტანა რედუტკალეს ციხე-სიმაგრის კომენდანტთან. საქმე გამოიკვლიეს, ზარალი 6500 მანეთად შეაფასეს და ტერ-გუკასოვს შესაფერისი ცნობაც მისცეს, ხოლო პიუკოვი სამსახურიდან მოხსნეს (თუმცა შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლება ირწმუნებოდა, რომ პიუკოვი ამისთვის არ მოგვიხსნია და ზარალი თვითონ თქვენი წარმომადგენლის ბაბანოვის ბრალია, რომელიც ცუდი ამინდის მიუხედავად აგრძელებდა მასალის გადმოზიდვასო, მაგრამ ფაქტია, რომ მისი მოხსნა ამ ისტორიას დაემთხვა)[131]. მაშინ საქმე თითქოს ამით დამთავრდა. მაგრამ 1842-43 წლებში კომპანიამ აღნიშნული ისტორია გაიხსენა და მთავრობას ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა. თუ რატომ მოაგონდათ კომპანიონებს მთელი 3—4 წლის გასვლის შემდეგ ზარალის ანაზღაურება, ამის ახსნას ჩვენ ცოტა ქვევით შევეცდებით. აქ კი ხაზი გვინდა გავუსვათ რომ დასახელებული ავტორების რწმუნების საწინააღმდეგოდ, ვაჭარ კომპრადორებს რედუტკალეს ზარალის ისტორიაში რაიმე პირდაპირი მონაწილეობა არ მიუღიათ.

მეორე საბუთი, რომელიც პროფ. ზ. ანჩაბაძეს მოჰყავს შაქრის

---

129 სცსია, ფ. 16, საქმე 7395, ფურც. 2.

130 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 8529.

131 იქვე.

ქარხნის განადგურებაში კომპრადორი ვაჭრების როლის დასამტკიცებლად ის არის, რომ ადგილობრივი კომპრადორი ვაჭრები ავრცელებდნენ ხმას, რომ კომპანია შაქრის ხარშვაში ცხოველების ძვლებს იყენებდა. ავტორს მოჰყავს ამონაწერი 1842 წლის კომპანიონების თხოვნიდან, სადაც აღნიშნულია, რომ «Завистники, как водится в торговом сословии, успели вселить мысль в здешних необразованных жителях будто один только здешний сахар очищается кровью и костьми, и через это самое мы принуждены иногда сахар одинаковой доброты с заграничными продавать двумя или тремя рублями дешевле противу привозного из-за границы»[132].

მართალია, მსგავსი ხმები საქართველოში იყო გავრცელებული, მაგრამ ეს იყო ქარხნის გახსნის დროისათვის და შემდგომში ეს განცხადება სიმართლეს არ უნდა შეეფერებოდეს, რადგან დაახლოებით იმავე პერიოდისათვის ვაჭრობის საკითხის შესწავლისათვის საქართველოში მოვლინებული მოხელეები გაგემეისტერი და დიუკრუასი აღნიშნავენ, რომ «Народ не хотел употреблять рафинада, очищенного кровью и костями. Теперь это забыто...»[133]: 1842 წლის თხოვნა, როგორც აღვნიშნეთ, ორეულია კომპანიონების 1839 წლის თხოვნისა, სადაც ისინი სხვათა შორის მართლაც აღნიშნავენ, რომ: მცხოვრებლების გაუნათლებლობის გამო გავრცელდა ხმა, რომ ჩვენ შაქარში ვიყენებთ საქონლის სისხლს და ძვლებს, უცხოურში კი ეს ასე არ არის, ამიტომ ჩვენსა უხალისოდ ყიდულობენო. მაგრამ ავტორები იქ მინიშნებითაც კი არაფერს ამბობენ იმაზე, რომ ამ საქმეში მაინცადამაინც ვაჭრები არიან გარეული. ამის საშუალება კი მათ ჰქონდათ, რადგან იმ დროისათვის უცხოური საქონლის შემოზიდვა ჩვენში გაცილებით მეტი იყო, ვიდრე შემდეგ; ამდენად, მაშინ აღნიშნული ხმების გავრცელებაში ვაჭრების დანაშაულება უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. კაცმა რომ თქვას, ამ ხმების გავრცელებას ვაჭარი კომპრადორების დიდი აგიტაცია არც დასჭირდებოდა, რადგან ხალხი თავის თვალით ხედავდა, რომ ქარხანაში დიდი რაოდენობით იყენებდნენ საქონლის დამწვარ ძვალსა და სისხლს, უცხოური კი როგორ მზადდებოდა მან არ იცოდა.

---

132 ზ. ანჩაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 64.

133 მოჰყავს პროფ. პ. გუგუშვილის შრომიდან „Развитие промышленности", გვ. 286.

ცხადია, ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, თითქოს კომპანიას ბრძოლა არ უხდებოდა უცხოურ საქონელთან; რასაკვირველია, უხდებოდა და მეტად მკაცრიც, მაგრამ არავითარი პირდაპირი მითითება ჩვენ არ გაგვაჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ ეს ბრძოლა პატიოსანი კონკურენციის ფარგლებს ცდებოდა. კონკურენცია აიძულებდა კომპანიონებს თავისი შაქარი უცხოურზე ზოგჯერ 2—3 მანეთით ნაკლებად გაეყიდათ, მაგრამ მათ ამის საშუალებაც ჰქონდათ. ამიტომ ამ კონკურენციაში ისინი სულ უფრო და უფრო იმარჯვებდნენ. ამის ყველაზე ნათელი დადასტურებაა ის, რომ ქარხნის ამუშავების დღიდან უცხოური შაქრის შემოტანა ჩვენში თანდათან მცირდება, ხოლო შაქრის ქარხნის გამოშვებული პროდუქცია, როგორც ზევით დავინახეთ, მატულობს. მაგალითად: 1835 წელს ჩვენში 12.210 ფუთი შაქარი შემოიტანეს, 1836 წელს — 21.358, 1837 წელს — 23.280 ფუთი, ხოლო ქარხნის აშენების წელს (1839) მხოლოდ 8.849 ფუთი[134]. ეს მაშინ, როცა შაქრის მოხმარება ჩვენში სულ უფრო და უფრო იზრდება. ამის მაჩვენებელია შაქრის ნაწარმის შემოზიდვის ის მეტად მკვეთრი ზრდაც, რომელსაც შაქრის ქარხნის დახურვის შემდეგ ჰქონდა ადგილი ჩვენში[135]. ამრიგად კომპრადორი ვაჭრების მოქმედებას შაქრის ქარხნის კომპანიის გაკოტრება არ შეეძლო გამოეწვია და არც გამოუწვევია. უფრო მეტიც, კომპანიის არავითარ გაკოტრებას საერთოდ არ ჰქონია ადგილი.

პირიქით, წარმოება მოგებას იძლეოდა და თუმცა ძნელია დაზუსტება ოდენობისა, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო: დავით ტერ-გუკასოვის დაკარგვის შემდეგ, ქარხნის საქმიანობაში, არაოფიციალურ მონაწილეობას იღებდა მისი ძმა ისაი ტერ-გუკასოვი. შემდეგ მასა და კომპანიას შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა და ისაი ტერ-გუკასოვმა 1844 წელს სამეფიატორო სასამართლო მოითხოვა[136]. სასამართლო არ შედგა და საქმე თითქოს მიწყნარდა. შაქრის ქარხნის დახურვის შემდეგ კი ისაი ტერ-გუკასოვი კვლავ იწყებს ჩივილს, მოითხოვს მასზე დაკისრებული 9400 მანეთი ვალისაგან თავის დახსნას და წილს იმ 40.000 მანეთ მოგებაში, რომელიც მისი თქმით, ქარხანას ჰქონდა. თავის მხრივ კომპანიონები პროტესტს აცხადებდნენ, რომ ისაი ტერ-გუ-

---

134 სცსია, ფ. 1263, აღწ. 1, საქმე 1327, ფურც. 89.

135 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

136 სცსია, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 549, ფ. 42.

კასოვმა ჩვენგან ფული ისესხა (ალბათ 9400 მანეთი) ქარხანაში კი მაგის წილი არაფერი არ არის, ჩვენი ამხანაგი დავით ტერ-გუკასოვი იყო და ისაის არ ვცნობთ, საჭიროა მან თავისი ვალი უკან დააბრუნოს, ხოლო ჩვენი ამხანაგის დავით ტერ-გუკასოვის შთამომავლებთან ანგარიშს ჩვენ თვითონ გავასწორებთო[137]. ბოლოს სასამართლო მაინც დაინიშნა. მაგრამ კომპანიამ საქმე სასამართლომდე აღარ მიიყვანა და ერთმანეთში ამხანაგურად მორიგდნენ, ისაის ვექსილი დაუბრუნეს და ფული და ქაღალდები ერთმანეთში გაიყვეს. გაყოფის აქტში აღნიშნულია, რომ «...из внесенных в кассу сахарного завода Соломоном и Давидом Тер-Гукасовым капитальной суммы и добавочных, кроме взятых из завода перед сим: Давидом, Исаием и Алексеем Тер-Гукасовым в разное время денег на уплату долгов первого... получил из нас Соломон за четвертую часть товарищества свою 10 тыс. р. с., еще на его часть досталась четвертая же часть земли, из всей таковой, принадлежащей сахарному заводу; а остальным товарищам Тамамшеву, Зубалову и Лорис-Меликову достались остальные 3 части: строения помянутого завода и земли; вся движимость, принадлежащая сахарному и ромовому заводам, равно и строения в Редуткале»[138].

როგორც ვხედავთ, გუკასოვებმა მოგების მეოთხედი წილში მიიღეს 10000 მანეთი ვ. ნაღდი ფული და 9.400 მანეთი ვ. ვექსილი, რაც თითქმის 20.000 მან. ვ. შეადგენს, ხოლო გარდა ამისა ისინი სხვადასხვა დროს ქარხნიდან იღებენ მნიშვნელოვან თანხას, რომლის რაოდენობა უცნობია. საბუთში არაა მითითებული თუ რა თანხა მოუწია დანარჩენ კომპანიონებს; როგორც ქვევით დავინახავთ, ამ დროს ისინი თავს გაკოტრებულად აცხადებდნენ და ისიც კი გასაკვირია, გუკასოვების ხვედრი მოგება როგორ მიუთითეს მთავრობისათვის გასაგზავნ საბუთში. როგორც ვხედავთ, ქარხანა საკმაოდ მოზრდილ მოგებას იძლეოდა.

ამრიგად, მსჯელობა კომპანიის გაკოტრებაზე საფუძველს მოკლებულია; ან რა გაკოტრებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ქარხნის დახურვის შემდეგ კომპანიის ყველა წევრი მჩქეფარე საქმიანობას ეწევა: აწყობენ წარმოებებს, იშენებენ შესანიშნავ სასახ-

---

137 იქვე, ფურც. 57—58.

138 იქვე, ფ. 69.

ლეებს, ვაჭრობენ, მოიჯარადრეობენ და, საერთოდ, მხარის უმდიდრეს კაპიტალისტებად ითვლებიან[139].

ახლა გასარკვევია, მაინც რამ გამოიწვია ქარხნის დახურვა. როგორც ზევით ვილაპარაკეთ, კომპანიას პრივილეგია შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენების მოტივით მისცეს. ამიერკავკასიაში შაქრის ლერწმის მოყვანის ცდებს ჯერ კიდევ 1833 წელს ჰქონდა ადგილი, როცა ანტონ ჩიგინოვმა, ოჰანეს მელიქ-ადამოვმა და თომა ხანუმოვმა ამ მიზნით მიწის ნაკვეთი თხოვეს მთავრობას. ისინი შაქრის ლერწმისაგან რომის წარმოების მოწყობას აპირებდნენ. მათ თალიშის სახანოში მართლაც გამოეყოთ ორი დღიური მიწა[140], მაგრამ რა შედეგი გამოიღო მათმა წამოწყებამ — უცნობია (საინტერესოა, რომ ხანუმოვი შემდეგ კომპანიის დავალებით ხელმძღვანელობს შაქრის ლერწმის მოყვანის საქმეს თალიშის მაზრაში).

ქარხნისადმი მიცემული პრივილეგიებით გათვალისწინებული იყო, რომ კომპანიას უნდა გამოყოფდა 500—500 დესეტინა მიწა შავი და კასპიის ზღვის რაიონებში. 1837 წლიდან კომპანია აქტიურად იწყებს შესაფერისი მიწების ძებნას. თალიშის მაზრაში ცდებისათვის მას 20 დესეტინა მიწა გამოეყოთ, სადაც 10 დესეტინაზე პლანტაციაც გააშენა და თითქოს დამაკმაყოფილებელი შედეგიც მიიღო[141]. კომპანია მოითხოვდა მთელი შეპირებული მი-

---

139 საკმარისია ერთი საინტერესო ფრაგმენტი მოვიტანოთ, რომელსაც ჩვენ გაზ. „კავკაზის" ფურცლებზე წავაწყდით: ა. შჩერბაკოვი იგონებს რა ეორონცოვის ნაშესტნიკობის პერიოდს საქართველოში, ერთ საინტერესო ფაქტს გვაწვდის: იმ დროს საქართველოს სამოქალაქო მმართველობის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ლადინსკის სასწრაფოდ დიდი თანხა დასჭირდა 30.000 მან. იგი საგონებელში ჩავარდა, მაგრამ მოაგონდა ერთი ცნობილი ფულიანი კაცი, რომელსაც შეეძლო მისი მდგომარეობიდან გამოყვანა; ეს კაცი იყო სპატიო მოქალაქე იაკობ ზუბალაშვილი, რომელიც ამ დროს მნიშვნელოვან საიჯარო საქმიანობას ეწეოდა. სასწრაფოდ აფრინეს კაცი მასთან. ერთი საათიც არ გასულა, რომ ლადინსკიმ 30.000 მანეთი მიიღო ისე, რომ ზუბალაშვილს მისთვის არამც თუ ექვსილი. უბრალო ხელწერილიც არ გამოურთმეია. ეხლა მკითხველს ალბათ გაეცინება ასეთ ხელგაშლილობაზე, დასძენს ავტორი, მაგრამ მაშინ ისეთი დრო იყო, პატიოსანი სიტყვა დიდად ფასობდაო. როგორი დროც არ უნდა ყოფილიყო, ერთი ცხადია, რომ ზუბალაშვილმა დიდი ხელგაშლილობა გამოიჩინა და ივი ამას ვერ შესძლებდა, საამისოდ მტკიცე ეკონომიური საფუძველი რომ არ ჰქონოდა. გაზ. „კავკაზი", 1887 წ. № 39.

140 „აქტები", ტ. VIII, № 111.

141 სსსია, ფონდი 2, აღწ. 1. საქმე 4501. ფურც. 100.

წის გამოყოფას, მაგრამ ასეთი დიდი რაოდენობის თავისუფალი სახაზინო მიწა ვერსად ვერ იშოვეს; მთავრობამ მათ უარი უთხრა იმ მიწების გამოყოფაზე, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ამუშავებდა, კომპანია კი ჯიუტად ითხოვდა ისეთ მიწებს, რომელნიც ირწყვებოდნენ. ისე იყო თუ ასე, კომპანიამ შეპირებული ათასი დესეტინა მიწა ვერ მიიღო. ისინი ამ საქმეში ბრალს მთავრობას დებდნენ, მთავრობის წარმომადგენლები კი გარკვევით აღნიშნავდნენ, რომ: «Правительство, обещав товариществу 1000 десятин земли, неоднократно предлагал оному разные участки, но товарищество отказалось от них по причине недостатка воды. Конечно, присутствие воды за Кавказом составляет главнейшее условие произрастания, но как все обводнения земли заселены, то товарищество при полученных льготах, смогло бы часть оных употребить на обводнения предложенных участков, но товарищество, сделавшее несколько незначительных опытов, не доказавших ни возможности, не выгодность разведения сахарного тростника Закавказьем, избрало и просило себе такие участки, которые будучи обработаны вековыми трудами местных жителей, составляют единственный источник их продовольствия и исправления государственных повинностей»[142].

1837—1841 წლებში, მთელი 4 წლის მანძილზე, ამხანაგობის ზრუნვა, შაქრის ლერწმის მოყვანაზე, უბრალო ცდებს არ გასცილებია. მათი რწმუნებით ცდები თითქოს შესანიშნავ შედეგებს იძლეოდნენ, მაგრამ ერთია მოსავალი მცირე საცდელ ნაკვეთზე და სულ სხვაა უზარმაზარ პლანტაციებში. ამიტომ იმთავითვე ეჭვს გამოთქვამდნენ ამიერკავკასიაში შაქრის ლერწმის გაშენების შესაძლებლობაზე, და ამდენად შაქრის ქარხნის წარმატებებზეც. კომპანიონების 1839 წლის თხოვნის შესახებ, ფინანსთა სამინისტროს მიმართვას საქართველოს მთავარმმართებლისადმი, ანონიმური ავტორის მეტად საყურადღებო მინაწერი აქვს, სადაც ვკითხულობთ: «Я не сомневаюсь, что и при новых облегчениях тифлисский сахарный завод существовать не может, потому, что разведение сахарного тростника в таком количестве, чтобы оно могло снабжать завод песком, есть дело мечтательное»[143].

---

142 სცსია, ფ. 11, საქმე 7395, ფურც. 6.

143 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 4501, ფურც. 64.

ძნელი სათქმელია, დარწმუნებული იყო თუ არა ამ დროისათვის კომპანია შაქრის ლერწმის გაშენების შესაძლებლობაში, ყოველ შემთხვევაში ისინი ცდებს აგრძელებდნენ, აგრძელებდნენ შესაფერისი მიწების მიღებისათვის ბრძოლას; მაგრამ, როგორც ჩანს, ჩატარებული ცდები თანდათან მათ იმედებს უმტყუნებდა. მაგალითად, როგორც ზევით აღვნიშნეთ, წარმოებას თავიდანვე გამოუყვეს 20 დესეტინა მიწა. კომპანიის ერთ-ერთი წევრის ხანუმოვის (რომელიც სწორედ ლერწმის მოყვანას განაგებდა) მტკიცებით 1 დესეტინა მიწაზე უნდა მიღებულიყო 5000 ფუთამდე ლერწამი, ყოველი ფუთი ლერწამიდან უნდა მიღებულიყო 4 გირვანქა ფხვნილი[144], მაშასადამე აღნიშნული 20 დესეტინა ნაკვეთს კომპანიისათვის წელიწადში 10000 ფუთი შაქრის ფხვნილი უნდა მიეცა, ეს კი აღემატება ქარხნის მიერ თავისი არსებობის პერიოდში საშუალო წლიურ შემოტანილ პროდუქციას და ქარხნის საშუალო წლიური შესაძლებელი წარმადობის თითქმის ნახევარს შეადგენს. კომპანიამ კი აღნიშნული მიწის მხოლოდ ნახევარი დაამუშავა და, როგორც ჩანს, მისგანაც ვერ მიიღო ნავარაუდევი მოსავალი, რადგან ქარხანაში საკუთარი პლანტაციიდან მიღებული შაქრის ფხვნილის დამუშავება არ უწარმოებიათ.

1842 წლისათვის კომპანიას მოუხერხებია 150 დესეტინა მიწის მიღება კასპიის ზღვის მიდამოებში. ერთ-ერთი საბუთი მიგვითითებს, რომ «...в числе 500 десятин, отведен уже избранный им окрестностях Ленкорана участок 150 десятин, который принят поверенным товарищества»[145].

ასეთ ფართობზე კი შეიძლებოდა გაცილებით მეტი რაოდენობის შაქრის ლერწმის მოყვანა, ვიდრე ეს უშუალოდ შაქრის ქარხნისათვის იყო საჭირო. ამავე დროს კომპანია მოლაპარაკებას აწარმოებდა შაქრის ლერწმის სპეციალისტებთან ჯონსონთან და მაისთან, რომელიც მას შესთავაზა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებამ; ამ მოლაპარაკებაში კომპანიონებმა განაცხადეს, რომ თუ მათ არ გამოეყოფა შეპირებული 500 დესეტინა მიწა მაინც, ისინი უარს ამბობენ აღნიშნული სპეციალისტების მოწვევაზე[146].

---

144 ი ქ ვ ე, ფურც. 99. წელიწადში ქარხანა საშუალოდ 2500-მდე ფუთ ფხვნილს ამუშავებდა.

145 სცსია, ფ. 16, საქმე 7395.

146 სცსია,ფ. 2, აღწ. 1, საქმე 4501, ფურც. 99.

ყოველივე აქედან გამომდინარე ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1841—42 წლებში კომპანია საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამიერკავკასიის კლიმატური პირობები შეუფერებელია შაქრის ლერწმის კულტურის განვითარებისათვის. ამ აზრის სისწორეში ისიც გვარწმუნებს, რომ როცა 1848 წელს ანანოვმა შაქრის კომპანიის პრივილეგიების გაგრძელება ითხოვა, იგი უკვე ვალდებულებას კისრულობდა საქართველოში არა შაქრის ლერწმის, არამედ შაქრის ჭარხლის პლანტაციები გაეშენებია. და ბოლოს ამ აზრის სისწორეს ისიც ამტკიცებს. რომ, როგორც ეტყობა, არამც თუ მაშინ, დღევანდელი აგროტექნიკისა და აგროქიმიის პირობებშიც კი არ არის ხელსაყრელი ამიერკავკასიაში შაქრის ლერწმის პლანტაციების გაშენება, როგორც ცნობილია, ჩვენს დროშიც აღნიშნული კულტურა ამიერკავკასიის არც ერთ რაიონში არ მოჰყავთ.

მაგრამ ამხანაგობას მთავრობასთან ვალდებულება ჰქონდა აღებული, რომ იგი აუცილებლად გააშენებდა შაქრის პლანტაციას. საჭირო იყო აღნიშნული ვალდებულებებისაგან თავის დაძვრენა. ცხადია, მთავრობა ლერწმის მოყვანის შეუძლებლობას საბუთად არ მიიღებდა. რადგან პრივილეგიების მოთხოვნის დროს კომპანიამ იგი დაარწმუნა, რომ ცდებმა შესანიშნავი შედეგები გამოიღეს და წარმატება უზრუნველყოფილია. ასეთ პირობებში კომპანია ვაღმა შედავების პოლიტიკას ადგება. 1842 წელს იგი ითხოვს უცხოური შაქრის შემოტანის აკრძალვას, რაზედაც მას ჯერ კიდევ 1840 წელს უთხრეს გადაჭრილი უარი და დარწმუნებული უნდა ყოფილიყვნენ, რომ მთავრობა ეხლაც იმასვე გაიმეორებდა; მაგრამ როზენისადმი წარდგენილ მიმართვაში, ეხლა ისინი უფრო შავი ფერებით ხატავენ საქმეს და ირწმუნებიან, რომ ეს პრივილეგიები წყვეტენ ქარხნის ყოფნა არ ყოფნის საკითხს. მთავრობამ მათ ამჯერადაც უარი უთხრა. 1842-43 წლებში ამხანაგობა იხსენებს რედუტკალეს 1839 წლის ზარალს და 6500 მანეთის ანაზღაურებას ითხოვს მთავრობისაგან, რაზედაც აგრეთვე გადაჭრითი უარი მიიღეს[147]. ამავე დროისათვის, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, ამხანაგობა ჯიუტად მოითხოვს შეპირებულ მიწებს იმ ადგილებში, სადაც მისი მიცემა მთავრობისათვის შეუძლებელი იყო. ყოველივე ამას დაემატა კომპანიონებს შორის ატეხილი დავა და ქარხნის მომწყობებს სრული ფორმალური საფუძველი მიეცათ თავი გაკოტრებულად გამოეცხადებინათ.

147 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 8529.

ამრიგად ზუბალაშვილისა და ამხანაგობისათვის უკვე 1841-42 წლებში იყო ნათელი ქარხნის საბოლოო ბედი, ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მათ 1842 წელს ქარხნის მთავარ ოსტატად მოწვეულ უცხოელ სპეციალისტს ბურმეისტერს ხელშეკრულება 4 წლით დაუდეს[148]. ზუსტად 4 წლის გასვლის შემდეგ ქარხანამ შეწყვიტა არსებობა.

როგორც ჩანს, მთავრობის წარმომადგენლებმა ადრევე იცოდნეს, რომ კომპანიის მხრივ რაღაც ეშმაკობას ჰქონდა ადგილი; ისინი ეჭვობდნენ, რომ «...получив от правительства значительныя льготы, во ввозе сахарного песку, с целью развить свои средства для разведения сахарного тростника, товарищество уклонилось от представленной оным на вид правительства главной своей цели, т. е. от разведения в большом объеме сахарных плантаций»[149].

აღნიშნული ეჭვები მათ კიდევ უფრო გაუძლიერდათ ქარხნის დახურვის შემდეგ: 1846 წლის ერთ-ერთ ოფიციალურ მომართვაში ვკითხულობთ: «Учредители Тифлисского сахарного завода обязались развести в Закавказском крае плантации сахарного тростника и правительство в виде поощрения представило им привилегию и облегчения при ввозе для завода сахарного песка; но выполнено ли с их стороны подобное предположение, неизвестно. Весьма может быть, что учредители сахарного завода при первом вопросе будут оправдывать себе понесенными убытками, а посему для проверки подобного отзыва, необходимо иметь ввиду конторские книги или результаты оборотов завода»[150].

ამ მიზნით 1846 წლის მარტში ეერებცოვი კომპანიონებისაგან მოითხოვს ქარხნის ანგარიშების წარდგენას; კომპანიონებმა მას ქარხნის ანგარიშების 41 წიგნი წარუდგინეს, მაგრამ მოხელეებმა ამ წიგნებს ასავალ-დასავალი ვერ გაუგეს და იქედან ვერავითარი ცნობა ვერ დააზუსტეს[151]. წიგნები თერმე ყოველწლიურად დგე-

---

148 სცსია, ფ. 4, აღწ. 1, საქმე 158. ფურც. 21.
149 სცსია, ფ. 16, საქმე 7395, ფურც. 6.
150 სცსია, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 549, ფურც. 100.
151 ი ქ ვ ე, ფურც. 79.

ბოდა რამდენიმე და ისიც ქართულად. მხოლოდ 1842 წლის აპრილიდან ყოფილან ეს წიგნები ისეთნაირად შედგენილი, რომ მათი შინაარსის გაგება შესაძლებელი ყოფილიყო[152]. მაგრამ ცხადია, წიგნი საერთო წარმოდგენას ვერ შექმნიდა. მოხელეები იმას კი მიხვდნენ, რომ ყველაფერი ეს ხელოვნურად იყო არეული, თორემ ისე ერთმანეთშიც ვერ გაასწორებდნენ ანგარიშებს და წარმოება ვერ იმუშავებდა. ამიტომ მთავრობამ კომპანიას მოსთხოვა ქარხნის მოქმედების დაწვრილებითი ანგარიშის წარდგენა. კომპანიამ ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა: ჩვენს ამხანაგურ შეთანხმებაში აღნიშნული იყო, რომ მთავრობა ჩვენს ანგარიშში არ უნდა ჩაერიოს. ჩვენი მუშაობის ანგარიში მხოლოდ ჩვენი ამხანაგობის ვიწრო წრემ უნდა იცოდეს, რადგან ეს ცნობები ჩვენი კომერციული საიდუმლოებაა და მისი გამჟღავნება წესებს ეწინააღმდეგებაო[153].

ერთი სიტყვით, მთავრობის ეჭვები ეჭვებად დარჩა და მის დასამტკიცებლად კომპანიამ მას არავითარი საბუთი არ ჩაუგდო ხელში[154].

ამრიგად, ჩვენ საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ამიერკავკასიაში შაქრის ლერწმის გაშენებისათვის შეუფერებელმა პირობებმა, საშუალება არ მისცა წარმოებას ნედლეულის მტკიცე ბაზა შეექმნა. რადგან მთავრობის პრივილეგიები დროებითი იყო, ხოლო უამისოდ მას მართლაც გაუჭირდებოდა უცხოურ შაქრის ქარხნების ნაწარმთან კონკურენცია, წარმოება განწირული იყო დასახურავად. მაგრამ სინამდვილეში არავითარ გაკოტრებას ადგილი არ ჰქონია, მიიღეს რა მნიშვნელოვანი მოგება შეღავათიანი შაქრის ფხვნილისაგან გამომუშავებული პროდუქციით, კომპანიამ შეწყვიტა წარმოება მას შემდეგ, რაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ლერწმის პლანტაციებს იგი ვერ გააშენებდა. იყო, რასაკვირველია, სხვა ხელშემშლელი მიზეზებიც, უცხოური შაქრის კონკურენცია, კომპანიონებს შორის დავა, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკა და სხვ. მაგრამ ყველა ამათ ზემოთ აღნიშნულ მთავარ მიზეზთან მხოლოდ მეორეხარისხოვანი, დამატებითი მნიშვნელობა ენიჭებოდათ.

---

152 იქვე, ფურც. 72.
153 იქვე, ფურც. 76.
154 იქვე, ფურც. 85.

ლითონდამუშავებელი და სამშენებლო წარმოებების განვითარება

1. ლითონდამუშავებელი, სამსხმელი და მექანიკური წარმოებები

თბილისში მაღალ განვითარებას აღწევდა ხელოსნობის ის დარგები, რომლებიც ლითონის დამუშავებას ეწეოდნენ. აღნიშნულ დარგებში წარმოებითი ურთიერთობის შემდგომმა განვითარებამ განაპირობა თბილისში საკმაოდ მსხვილი საწარმოს გაჩენა, რომელიც მე-8 კლასის ჩინოვნიკს ზავრიევს ეკუთვნოდა. 1835 წელს მას თბილისში სპილენძ-ჭურჭლის ქარხანა მოუწყვია. 1841 წლის ცნობით აღნიშნულ საწარმოში 54 კაცი მუშაობდა: 14 ოსტატი, 14 ქვეოსტატი და 26 შავი მუშა, ყველა ნებით დაქირავებული. წარმოებაში მანქანები არ ყოფილა და მუშაობა მხოლოდ და მხოლოდ ხელის ინსტრუმენტებით წარმოებდა. წარმოებაში იყენებდნენ სხვადასხვა ხარისხის სპილენძს, რომელსაც ალაგირის სპილენძის ქარხანაში ყიდულობდნენ. საწარმო ზავრიევის შენობაში იყო მოწყობილი. მისი პროდუქცია მთელი ამიერკავკასიის მასშტაბით საღდებოდა[1]. წყარო გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას 2000 მანეთს ასახელებს, მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა, რადგან თვეში ერთ კაცზე ჯამაგირი 10 მანეთი რომ ვიანგარიშოთ, მაშინ მარტო ქარხნის წლიური გასავალი ხელფასის სახით 6480 მანეთი გამოვა. მაშასადამე, ორში ერთია ციფრი 2000 ან საშუალო წლიურ მოგებას აღნიშნავს, ანდა შემდგენელმა მექანიკური შეცდომა დაუშვა და 20.000 მაგივრად დაწერა 2000.

შემდეგი ცნობა აღნიშნულ წარმოებაზე უკვე 1847 წელს გვაქვს, თუმცა საბუთში არ არის აღნიშნული თუ ვის ეკუთვნის საწარმო, მაგრამ სრული საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მასში ზავრიევის სპილენძ-ჭურჭლის ქარხანაზეა ლაპარაკი[2]. ამ დროისათვის წარმოება ცოტა შეცვლილი მოჩანს. მასში მხოლოდ 44 კაცია დასაქმებული: 10 ოსტატი, 22 ქვეოსტატი და 12 მოწაფე (мастеровых 10 при них мастеров 22 и 12 чел. учеников)

---

1 სცსია, ფ. 16, საქმე 6351, ფ. 26.

2 ამ აზრისაა მკვლევარი ა. კოპლატაშვილიც, იხ. მისი დას. ნაშრ., გვ. 102.

ყველა ადგილობრივი მცხოვრებია. წარმოება ამზადებს სხვადასხვა სახის საოჯახო სპილენძის ჭურჭლეულს, კერძოდ: სამზარეულოს, სასადილოს, აბანოს ჭურჭლეულს, შანდლებს, ხელით სანაყებს და სხვა წვრილმან ჭურჭელს ყვითელი და წითელი სპილენძისაგან[3]. მუშაობა წარმოებს ხელის ინსტრუმენტებით. სპილენძს ნაწილობრივ ვაჭრებისაგან ყიდულობენ, რომელთაც იგი რუსეთიდან ჩამოაქვთ, ნაწილობრივ კი ბორჩალოს სპილენძის ქარხნიდან; ხის ნახშირი კი თბილისის მახლობელი სოფლებიდან მოსდით. წარმოება წელიწადში 18.492 მან. პროდუქციას უშვებდა[4].

1851 წლისათვის თბილისში ორი ქარხანაა აღნიშნული სპილენძსასხმელი და ჭურჭლისა. პირველის პროდუქცია წელიწადში 3.200 მანეთს უდრის, მეორისა 20.000 მანეთს[5].

სპილენძსასხმელი „ქარხნის შესახებ ჩვენ ქვევით გვექნება საუბარი. იგი რუს ოსტატს ილინს ეკუთვნოდა, ხოლო ჭურჭლის ქარხანა სწორედ ჩვენ მიერ ზევით აღნიშნული ზავრიევის საწარმო უნდა იყოს. 1852 წელს სპილენძსასხმ წარმოებას უკვე 5000 მანეთის პროდუქცია გამოუშვია ხოლო სპილენძჭურჭლისა 15.000 მანეთის[6].

ჩვენ ხელთ არსებული მასალა ზავრიევის სპილენძ-ჭურჭლის „ქარხანას" კაპიტალისტური მანუფაქტურის ფორმით წარმოგვიდგენს. აღნიშნული საწარმო იმითია საინტერესო, რომ იგი მთლიანად ადგილობრივ ნიადაგზეა წარმოქმნილი. იგი მოეწყო თბილისელი საქმოსნის ინიციატივით, მასში ადგილობრივი ოსტატები იყვნენ გამოყენებულნი, თბილისის ხელოსნობის განვითარება აღნიშნული წარმოებისათვის კვალიფიციური მუშახელის ბაზა იყო. ადგილზევე იძენდნენ წარმოების ნედლეულს და რაც მთავარია. ნაწარმსაც ძირითადად თბილისში და, გარკვეული აზრით, ამიერკავკასიაში ასაღებდნენ. ყოველივე ამის გამო წარმოება მტკიცე ნიადაგზე იდგა. და, თუმცა ჩვენ არ ვიცით როდის დაიხურა იგი. მაგრამ ყოველ შემთხვევაში 1835 წლიდან 60-იან წლებამდე წარმატებით იარსება. ასეთი ხანგრძლივი ისტორია კი რეფორმამდელი ხანის ბევრ წარმოებას არ ჰქონია.

---

3 სცსია, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 723, ფურც. 257.

4 სცსია, ფ. 16, აღწ. საქმე 6351, ფ. 26.

5 ცსიალ, ფ. 1268, აღწ. 8, საქმე 21, ფურც. 114.

6 ცსიალ, ფ. 1263, აღწ. 1, საქმე 2426, 1854 წ.

ჟ. სტ. დამატება 1097 ოქტომბერი.

1849—1850 წლებში სასულიერო უწყების შეკვეთის შესასრულებლად (სიონის ტაძრისათვის უნდა დაეზადებიათ 500 ფუთიანი ზარი) სტავროპოლელი ვაჭარი ეფიმოვი და ოსტატი ილინი თბილისში სპილენძსასხმელო წარმოებას აწყობენ[7]. 1852 წელს იქვე თუჯსასხმელი საწარმოც მოეწყო[8] მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების უყურადღებობის შედეგად საწარმომ ჩქარა, შეწყვიტა არსებობა[9].

თუჯსასხმელი საწარმოები თბილისში უკვე 40-იანი წლების დასასრულისათვის ჩნდებიან. 1854 წელს თბილისის სამეწარმოე სარბიელზე გამოდის მეტად ენერგიული პიროვნება არტილერიის პოლკოვნიკი გაბრიელ ივანეს ძე ყორღანოვი. ამ დროს მას, თბილისის სუფთა წყლით ჭომარაგების მიზნით, დაუმუშავებია გეგმა ქალაქში წყალსადენი წარმოების მოწყობის შესახებ. ყორღანოვის წარმოების ისტორია თვალნათლივი მაგალითია იმისა, თუ რა დიდი სიძნელეების გადალახვა სჭირდებოდა კაცს მაშინდელ დროში, რომ რაიმე წარმოება მოეწყო. მას საჭირო მანქანა რუსეთიდან გამოუწერია, მაგრამ გადმოტანის დროს აღნიშნული მანქანა ვოლგაში ჩაძირულა და დამატებით მეტად დიდი სახსრები გამხდარა საჭირო მის ამოსაღებად და სამხედრო გზით თბილისში ჩამოსატანად. რუსეთშივე შეუძენია წყალსადენის მილებიც, მაგრამ აქაც დიდ დაბრკოლებას წააწყდა: მის მოურავს (რწმუნებულს) აღნიშნული მილები როსტოვში თავის სახელზე დაუგირავებია. გაჭირვებაში ჩავარდნილ ყორღანოვს მეფისნაცვალი ვორონცოვი დაეხმარა და 25000 ფუთი თუჯი აჩუქა ძველი ზარბაზნის ნაწილებისა და ყუმბარების სახით. აღნიშნული ჯართის გადასამუშავებლად 1848 წელს ყორღანოვი ჩვენში პირველ თუჯსასხმელ წარმოებას აარსებს, რომელშიც ორთქლის მანქანის გამოყენებასაც ჰქონდა ადგილი. აღნიშნულ წარმოებაში ასხამდნენ როგორც წყალსადენ მილებს, ისე სხვადასხვა მექანიკურ მოწყობილობებს ორთქლის სახერხისათვის, რომელსაც ყორღანოვი პარალელურად აშენებდა.

მეფისნაცვალი ვორონცოვი კმაყოფილი დარჩენილა თუჯსასხმელი წარმოების მუშაობით და წახალისების მიზნით ყორღანოვისათვის იმერეთის ქვანახშირის საბადოებით სარგებლობის ნება

---

7 სცსია, ფ. 210, საქმე 270.

8 ცსიალ, ფ. 1268, აღწ. 8, საქმე 21, ფურც. 114.

9 ი ქ ვ ე.

მიუცია. 1849 წელს წყალსადენის პირველი წარმატებითი გამოცდა ჩატარდა.

წარმოების ქვანახშირით მომარაგების საქმე ყორღანოვმა, როგორც ჩანს, სათანადოდ ვერ მოაგვარა. ალბათ ტრანსპორტის უქონლობამ შეუშალა ხელი. ამიტომ ძირითად საწვავად იგი მაინც შეშას იყენებდა; ამის გამო „ბოროტ ენებს" მეფისნაცვალ ბარიატინსკისათვის ჩაუგონებიათ, რომ ყორღანოვი თბილისის ბაზარზე ძალიან დიდი რაოდენობით ყიდულობს შეშას და ამის გამო ქალაქში შეშა არ იშოვნებაო. ამ ნიადაგზე, როგორც ჩანს, მას თბილისში შეშის ყიდვა აუკრძალეს; ამიტომ იგი სხვა გამოსავალს ნახულობს და ბორჯომის ხეობიდან ჩინარის მორების დაცურების წარმატებით ცდებს აწყობს.

1859 წლამდე ყორღანოვის საწარმოებში წარმატებით მოქმედებდნენ, ამ წლის 23 აგვისტოს კი ხანძარმა გაანადგურა, როგორც წყალსადენი, ისე სახერხი ქარხანა და თუჯისსასხმელი წარმოებაც. ზარალი 100.000 მანეთს უდრიდა.

გაჭირვებიდან თავის დახსნაში ყორღანოვს მეფისნაცვალი ბარიატინსკი დაეხმარა და 32 წლით 20.000 მანეთი სახელმწიფო სესხი მისცა. მაგრამ ეს მეტად მცირე თანხა იყო, რადგან მარტო ორთქლის მანქანის შეძენა ჯდებოდა 20.000 მანეთი. ყორღანოვს მაინც მოუხერხებია ფულის შოვნა და წარმოება აღუდგენია[10].

ყორღანოვის წარმოების მოცულობის გასაგებად ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ საინტერესო გარემოებას. მკვლევარ ა. კოპლავაშვილს მოტანილი აქვს საარქივო საბუთი, სადაც მითითებულია, რომ ყორღანოვის სამსხმელო სახელოსნომ 1860 წელს (ხანძრიდან ერთი წლის შემდეგ) 40.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვა[11]. ამავე დროს ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ „კავკაზის" ცნობაში აღნიშნულია, რომ ხანძრის შემდეგ წარმოება გაცილებით ნაკლებ პროდუქციას უშვებდა, მაშასადამე მანამდე მისი წლიური პროდუქცია 40.000 მანეთზე გაცილებით მეტი ყოფილა. როგორც ვხედავთ, აქ საკმაოდ მსხვილ წარმოებასთან გვაქვს საქმე.

1863 წელს კავკასიის ახალმა ნამესტნიკმა დიდი ყურადღება მიაქცია თბილისის წყლით მომარაგების საქმეს და თავისი წარმოე-

---

10 გაზ. „კავკაზი", 1879 წ. № 181.

11 ა. კოპლავაშვილი. საქართველოში სამთამადნო მეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, გვ. 100.

ბის უკეთ მოსაწყობად ყორღანოვს 30.000 მანეთის სესხი გამოუყო[12].

ალბათ ამ დროიდან მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მისი სამსხმელო წარმოებაც. მეფისნაცვალს წარმოებისათვის რუსეთიდან გამოუწერია კვალიფიცირებული მუშები თუჯის ჩამომსხმელი — 2, მეყალიბე — 2, შოვის მეამონატე — 1 და ორთქლის ქვაბზე მომუშავე — 1. ამ დროს წარმოება უშვებს როგორც სამხედრო საჭურველს (უმთავრესად ყუმბარებს) ისე წყალსადენისათვის სხვადასხვა რთულ ნაწილებს[13].

როგორც დავინახეთ, ყორღანოვის საწარმოებმა გაუძღეს მრავალ ვანსაცდელს და რეფორმის შემდგომ ხანაშიც კი წარმატებით მოქმედებდნენ.

ჩვენს ხელთ არსებული მასალა მეტად აძნელებს წარმოების სოციალურ-ეკონომიური ბუნების დადგენას. თუმცა მასში გამოყენებული იყო ორთქლის მანქანა, მაგრამ საეჭვოა, რომ იგი სრულყოფილი მანქანური წარმოება—ფაბრიკა ყოფილიყო, რადგან სასხმელი წარმოება თავისი სპეციფიკით წარმოების ძირითად პროცესში მეტად ართულებს მანქანის ჩარევას. რაც შეეხება დასაქმებულ მუშათა რაოდენობას, მასზე ჩვენ ზუსტი ცნობა არ გვაქვს, მაგრამ ვიცით, რომ 1860 წელს მუშაობდა რუსეთიდან გამოწერილი 6 კვალიფიციური მუშა. მოსალოდნელია, რომ ქარხანაში სხვა მუშებიც იყვნენ, რომლებიც იქ მანამდეც მუშაობდნენ. ამას ემატება დამხმარე და შავი მუშების კონტინგენტი. ასე, რომ ყორღანოვის სამსხმელო წარმოებაში მუშების რაოდენობა 20 კაცამდე მაინც შეიძლება ვივარაუდოთ.

50-იანი წლების დასაწყისში ვორონცოვის განკარგულებით შვეიცარიელ მექანიკოსს ივანე შტრიუსეს თბილისის გარეუბან მირზასაბადში სამსხმელო მექანიკური წარმოების მოსაწყობად 4.819 კვ. საჟენი მიწის ნაკვეთი გამოეყო და 15.000 მან. სახელმწიფო სესხი მიეცა[14]. მან წარმოებისათვის საჭირო მანქანა-იარაღები და 8 ოსტატი ვენიდან გამოიწერა, რომლებიც 1851 წელს უკვე თბილისში იყვნენ[15]. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მან ააგო: 1) საკმა-

---

12 გაზ. „კავკაზი", 1879 წ. № 181.

13 ა. კოკლავაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 99—100.

14 სცსია, ფ. 249, აღწ. 1, საქმე 445, ფურც. 2. სხვა ცნობით მას 10.000 მანეთის სესხი გამოეყო.

15 სცსია, ფ. 4, აღწ. 5, საქმე 458, ფ. 8.

ოდ მოზრდილი ორსართულიანი შენობა, რომლის ქვემო სართულში მოთავსებული იყო სადურგლო, სახარატო და საზეინკლო განყოფილებები (საამქროები), ხოლო მეორე სართული კი საცხოვრებელ ოთახებს (9) და სამზარეულოს ჰქონდა დათმობილი: 2) ქვის ერთსართულიანი ფლიგელი, რომელშიც მოთავსებული იყო სარდაფი, თავლა, ცხენის ამძრავი მოწყობილობა დაზგების მოძრაობაში მოსაყვანად, მექანიკური საბერველი და საშეედლო, რომელშიც ერთი დიდი ქურა იდგა[16].

1852 წელს საწარმო მთლიანად დასრულდა და ამოქმედდა. ეგი რამდენიმე განყოფილებისაგან (საამქროსაგან) შედგებოდა: სახარატო, თუჯის საჭესმელო, სადურგლო, საზეინკლო და სამხერხაო.

შტიუსეს საჭესმელო-მექანიკური წარმოება მოწყობილი იყო „მეტად ზუსტი ნაკეთობების მანქანებზე". 1853 წლის აღწერით მასში, სხვათა შორის, შემდეგი მანქანა-დანადგარებიც ყოფილა: 1) დიდი თვითმხვრეტი მანქანა, რომელიც მეტად რთული აგებულებისა იყო, 2) სახარატო დაზგა, რომელიც აგრეთვე რთული მექანიზმისაგან შედგებოდა. 3) ხის სახარატო დაზგა დიდი მოცულების დასამუშავებლად და სხვ. აღნიშნული და სხვა დაზგები მოძრაობაში ცენტრალური ამძრავით მოდიოდნენ, რომელსაც 4 ცხენი ამუშავებდა. იგივე ამოძრავებდა სამსხმელი განყოფილების საბერველებს[17], ალბათ მისი საშუალებითვე მოდიოდნენ მოძრაობაში სახერხი განყოფილების ხერხები და ა. შ.

როგორც ვხედავთ, წარმოების ყველაზე რთული და შრომატევადი სამუშაოები მექანიკური საშუალებით სრულდებოდა. თუმცა, ეჭვი არ არის, რომ მასში გარკვეული ადგილი ხელით შრომასაც ეკავა: საფორმო და მისი დამხმარე სამუშაოები, სადურგლო, საზეინკლო და სხვა სამუშაოები ძირითადად ხელით წარმოებდა.

წარმოება თანდათან უმჯობესდებოდა და ძლიერდებოდა. 1852 წელს ქარხანამ 5.675 მანეთის პროდუქცია გამოუშვა (სხვა ცნობით 10.000 მანეთისა). 1853 წელს 11.158 მანეთის, ხოლო 1854 წელს კი უკვე 16.164 მანეთისა. ყირიმის ომის გამო წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად შემცირებულა: 1855 წელს ქარხანას სულ

---

16 სცსია, ფ. 4, აღწ. 5, საქმე 458, ფ. 9.

17 ი ქ ვ ე, ფურც. 5—8.

5651 მანეთის პროდუქცია გამოუშვია[18]. ამ პერიოდში წარმოება ისე ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილა, რომ ხაზინა იძულებული გამხდარა შტიუსესთვის სახაზინო სესხის გადახდის დაწყების ვადა 1858 წლამდე გადაეწია[19].

აღნიშნული წარმოება ასრულებდა როგორც სახაზინო, ისე კერძო შეკვეთებს[20].

რათა ვალის გადახდა გაადვილებოდა და ამასთან სახაზინო მოთხოვნილებაც დაეკმაყოფილებია, 1858 წელს შტიუსეს გადაუწყვეტია წარმოებასთან მექანიკური საფქვავი მოეწყო. ამ წელს მეფისნაცვალმა მას ნება დართო ვალი სახაზინო ხორბლის დაფქვაში გამოექვითა. შტიუსეს, მართლაც, მოუწყვია ასეთი წისქვილი, რომელიც 1861 წელს ამუშავდა[21].

როგორც სამსხმელო, ისე საფქვავი საწარმოები მეტ-ნაკლები წარმატებით მუშაობდნენ მთელი რეფორმამდელი პერიოდის განმავლობაში[22].

იმ მნიშვნელოვანმა ძვრებმა, რაც საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეიმჩნევა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში და ახალი, ბურჟუაზიულ ყაიდაზე მოწყობილი, მეურნეობების გაჩენამ გაზარდა მოთხოვნილება გაუმჯობესებული ახალი ტიპის სასოფლო-სამეურნეო იარაღებზე. ამ გარემოებამ უბიძგა ინჟინერ-ტექნოლოგ ფონ ბიხოლდს გაეფართოებია თავისი სადურგლო სახელოსნო, რომელიც მან 1856 წელს არქიტექტორ ბრაუნმილერთან ერთად მოაწყო, ისე, რომ მას შესაძლებლობა ჰქონოდა დაემზადებია იმდენი სასოფლო-სამეურნეო იარაღი, რამდენიც საჭირო იქნებოდა ადგილობრივი მიწათმოქმედთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ვინაიდან საკმარისი თავისუფალი კაპიტალი არ ჰქონდა, მან დახმარებისათვის მეფისნაცვალ ბარიატინსკის მიმართა. 1858 წელს ბიხოლდს მიეცა ნათხოვნი სესხი 5.000 მანეთი 10 წლის ვადით შემდეგი პირობით: 1) აღნიშნული თანხა უნდა მოეხმარა თბილისში სახელოსნოს ასაშენებლად, რომელშიც ადგილობრივი მხარე-

---

18 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე. დასახ. ნაშრომი, გვ. 195—196.

19 სცსია, ფ. 10. საქმე 4439, ფურც. 1—2.

20 ა. კ ო ტ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი. დასახ. ნაშრომი, გვ. 101.

21 სცსია, ფ. 10. საქმე 5439. ფ. 5.

22 ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, თბილისის მრეწველობა მე-19 საუკუნის II ნახევარში (რეფორმის შემდგომი ხანა), თბ., 1961, გვ. 52.

სათვის საჭირო სხვადასხვა მანქანა, იარაღი: სალეწი, საფშვნელი, ხე-ტყის სახერხი, გუთნები, წყლის ამწევები და ა. შ. უნდა დაემზადებია. 2) შეკვეთები უნდა მიეღო როგორც ხაზინისაგან, ისე კერძო პირებისაგან ზომიერ ფასებში, 3) მთავრობას უფლება ჰქონდა ყოველ მხრივ გაეკონტროლებია მის მიერ აღნიშნული თანხის ხარჯვა. 4) სესხის გადახდა უნდა დაეწყო 1860 წლიდან და 10 წლის განმავლობაში უნდა ეხადა წელიწადში 500 მანეთის რაოდენობით. გადაუხდელობის შემთხვევაში, მთავრობას შეეძლო იგი წარმოებისგან ჩამოეცილებია და ეს უკანასკნელი თავის განკარგულებაში მიეღო[23].

სანამ ბიხოლდისათვის აღნიშნული სესხის მიცემის საკითხი საბოლოოდ გადაწყდებოდა, ბრაუნმილერი, მისი კომპანიონი საამშენებლო წარმოებაში, გარდაიცვალა. ბიხოლდი იძულებული გამხდარა მისი სიკვდილის შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება მიექცია მის მიერ იჯარით აღებული მშენებლობების დამთავრებისათვის, რაზედაც მას მნიშვნელოვანი ზარალი უნახავს[24]. აღნიშნული ზარალი, ცხადია, სასოფლო-სამეურნეო იარაღების სახელოსნოს მოწყობაზედაც იმოქმედებდა. 1860-61 წლებში ბიხოლდს გადაუწყვეტია აღნიშნული წარმოების მშენებლობა კახეთში გადაეტანა თ. ანდრონიკოვის მამულში[25]. მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია, მოსალოდნელია, რომ ბიხოლდმა თავისი გეგმა ვერ განახორციელა, რადგან ამ ხანებში იგი თითქმის მთლიანად გაკოტრდა.

სამაგიეროდ ამ პერიოდში თბილისში ამავე ტიპის, სხვა, უკეთ ორგანიზებული სახელოსნო ჩნდება, რომელიც პრუსიელ ერნსტ ზომერს ეკუთვნოდა. უკვე 1860 წელს აღნიშნულ ზომერს თბილისში საზეინკლო სახელოსნო ჰქონდა, რომელშიც ამზადებდა საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების სხვადასხვა იარაღს, აგრეთვე ლითონის სამშენებლო მოწყობილობებს, აივნის მოაჯირებს და ა. შ.[26].

ამ ხანებში თანდათან იზრდებოდა მოთხოვნილება ადგილობრივ სიმინდზე; იგი დიდი რაოდენობით გააქვთ საზღვარგარეთ, წარმატებით იყენებენ არყის წარმოებაში და ა. შ. სიმინდის და-

---

23 სცსია, ფ. 10, საქმე 220, ფურც. 20.

24 იქვე, ფურც. 20.

25 იქვე, ფურც. 11—12.

26 გაზ. „კავკაზ", 1860, № 79.

ფშვნა მეტად რთული და შრომატევადი სამუშაო იყო, იგი ხელით წარმოებდა. აღნიშნული შრომის გაადვილების მიზნით სოფლის მეურნეობის სამმართველომ საზღვარგარეთიდან გამოიწერა წვრილი ფერმერული მეურნეობისათვის გათვალისწინებული სიმინდის ხელის საფშვნელი მანქანა. მისმა გამოცდამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, აღნიშნულ მანქანაზე ერთ მოზრდილ მამაკაცს ერთი ბავშვის დახმარებით დღეში შეეძლო 100 ფუთი სიმინდი დაეფშვნა, ე. ი. შეეძლო 14 მოზრდილი ადამიანის შრომა შეეცვალა, მაგრამ აღნიშნული მანქანების ჩამოტანა მეტად ძვირი ჯდებოდა — 56 მანეთი. ასეთ ვითარებაში სოფლის მეურნეობის სამმართველომ გადაწყვიტა ადგილზე ეცადა მისი დამზადება. ეს საქმე სწორედ ერნსტ ზომმერმა ითავა[27]. 1862 წლის 4 ივნისს ზომმერმა იკისრა 50 ცალი აღნიშნული მანქანის დამზადება 30 მანეთად თითოეული ცალი. აღნიშნული რაოდენობიდან 25 ცალი მას 15 აგვისტოს უნდა ჩაებარებია, მეორე 25 კი ოქტომბრისათვის[28]. აღნიშნული დავალება ზომმერის წარმოებამ დროზე და კეთილსინდისიერად შეასრულა. მისი დამზადებული მანქანა წარმოდგენილი იქნა 1862 წლის საშემოდგომო გამოფენაზე და საერთო მოწონება დაიმსახურა[29].

თავისი კარგი თვისებებისა და გაზ. „კავკაზის" აგიტაციის წყალობით აღნიშნულმა მანქანამ ჩქარა მოიპოვა პოპულარობა და მასზე მოთხოვნები კავკასიის თითქმის ყველა კუთხიდან მოდიოდა[30].

როგორც ჩანს, მნიშვნელოვანმა წარმატებამ ზომმერს საშუალება მისცა თავისი წარმოება კიდევ უფრო გაეფართოვებია. 1862 წელს ნამესტნიკის ნებართვით მას 3.600 მანეთი სესხი მიეცა მექანიკური წარმოების მოსაწყობად (ალბათ გასაუმჯობესებლად). 1863 წელს წარმოება მთლიანად მოწყობილი იყო[31].

აღნიშნულ წარმოებაზე ჩვენ ჯერჯერობით სხვა ცნობები არ გაგვაჩნია. არ ვიცით რა ზომის იყო იგი, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს საკმაოდ მოზრდილი სახელოსნო იყო, ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მან ოთხნახევარ თვეზე ნაკლები დროის განმავლობაში

---

27 გაზ. „კავკაზი", 1862, № 48.
28 სცსია, ფ. 240, საქმე 853, ფურც. 3.
29 გაზ. „კავკაზ", 1862, № 93.
30 სცსია, ფ. 240, საქმე 853.
31 სცსია, ფ. 10, საქმე 4436.

თავისუფლად შესძლო 50 სიმინდის საფშვნელო მანქანის დამზადება, რომელიც საკმაოდ რთული კონსტრუქციისა იყო, ამასთან ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ აღნიშნული პროდუქცია მისთვის სრულიად უცნობი იყო და მისი დამუშავების ათვისებას საკმაოდ დიდი დრო სჭირდებოდა.

რაც შეეხება წარმოების ტექნიკურ აღჭურვილობას, ამაზე ჩვენ ერთ ცნობას მოვიტანთ. 1863 წ. გაზ. „კავკაზში" გამოქვეყნებული იყო განცხადება, რომ მექანიკოს ზომმერთან მსურველს შეუძლია შეიძინოს 3—4 ცხენისძალიანი ორთქლის მანქანა. ეს ცნობა იმაზე მიუთითებს, რომ ზომმერი კარგად იცნობდა ორთქლის ძალის გამოყენებას და მოსალოდნელია, რომ იგი მას წარმოებაშიც იყენებდა. მაგრამ იგივე განცხადება უფრო საინტერესო ცნობას გვაწვდის, რომ ზომმერის მექანიკურ ქარხანაში შეიძლება შეეუკვეთოთ ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო იარაღი და მანქანა თბილისში მანამდე არნახულად იაფ ფასებში. პროდუქციის ეს სიაფე კი იმითაა გამოწვეული, რომ ამ ქარხანაში მოუხეშავი ხელის შრომა შეცვლილია უახლესი ამერიკული სისტემის მანქანების შრომით[32] (ხაზი ჩემია.—მ. ს.). მაშასადამე ზომმერის წარმოება უნდა წარმოვიდგინოთ როგორც საშუალო ზომის ფაბრიკის ტიპის მანქანური საწარმო.

აღნიშნული წარმოება რეფორმის შემდგომ ხანაშიც წარმატებით მოქმედებდა[33]. 1865 წელს ზომმერის საზეინკლო მექანიკურ წარმოებას 10.000 მანეთის პროდუქცია გამოუშვია, 1867 წელს — 10.000, ხოლო 1869 წელს — 15.000 მანეთისა[34].

* * *

ამრიგად, ლითონდამმუშავებელი და სამსხმელო მექანიკური წარმოების განვითარება რეფორმამდელი ხანის თბილისში დიდი ვრავალფეროვნებით ხასიათდება. აქ ერთმანეთის გვერდზე ვხვდებით თითქმის ყველა ტიპის წარმოებას — კუსტარულიდან ფაბრიკულამდე. მათი ერთი ნაწილი ადგილობრივ ნიადაგზე თანდათანო-

---

32 გაზ. „კავკაზი", 1862 წ. № 50.

33 სცსია, ფ. 10. საქმე 4436.

34 ცსიალ, ფ. 1263, აღწ. 11, საქმე 142, 1866-67 წ, ფ. 70; იქვე, აღწ. 14, საქმე 153, 1869, ფ. 156.

ბითი განვითარებით იყო წარმოშობილი, ნაწილი კი სახაზინო თუ სხვა საჭიროებისათვის უშუალოდ ზევიდან მოწყობილი საწარმოებია. განსახილველ ხანაში მათ რაოდენობრივი და თვისობრივი განვითარება საგრძნობი ტემპებით ხდება.

2. სამშენებლო მასალების წარმოება

თბილისში არ არსებობდა სამშენებლო ქვის რაიმე მნიშვნელოვანი საბადოები. ამიტომ აგურის წარმოების განვითარებას აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა; საამისოდ საჭირო თიხამიწიანი ნიადაგი კი ქალაქში საკმაოდ ბევრი იყო. ამრიგად აგურის წარმოება თბილისში ძველთაგანვე მაღალგანვითარებული იყო. აქ მზადდებოდა თავისებური ხარისხისა და ფორმის აგური, რომელიც „ქართული აგურის" სახელით თითქმის მე-20 საუკუნემდე შემორჩა თბილისის მშენებლობას.

აგურის წარმოების შესახებ მე-19 საუკუნის I ნახევარში ჩვენ მეტად არასრული ცნობები გვაქვს, კერძოდ ჩვენ თითქმის არ მოგვეპოვება ცნობები აგურის ხელოსნური და შინამრეწველური წარმოებებისა და უფრო მსხვილ კაპიტალისტურ საწარმოებთან შეფარდებაში მათი ხვედრითი წონის შესახებ. ოფიციალური ცნობები თბილისის „აგურის ქარხნების" შესახებ ნაკლებად სანდოა. რადგან მათში სხვადასხვა სახის საწარმოებია არეული.

მე-19 საუკუნის დასაწყისისათვის. როდესაც ქალაქის ფარგლები ჯერ კიდევ სოლოლაკის ხევის გაღმა არ იყო გასული. გარეუბანში ბევრი სააგურე და სამეთუნეო სახელოსნო ყოფილა. ძველ საბუთებში არ შემორჩა არც ერთი თუნდაც სქემატური აღწერა ამ საწარმოებისა, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ისინი კუსტარული ტიპის სარეწები იქნებოდნენ. ამგვარი უნდა ყოფილიყო, მაგალითად. აზნაურ გლახა გაბაევის სააგურე. 1816 წელს იგი ასეთი თხოვნით მიმართავდა ერმოლოვს: „ვარ მოხუცებული და ღარიბი. ერთი მოსწრებული შვილიც მყვანდა მივართვი. ხელმწიფის სამსახურში გახლავს. მე ვალით ჩემს მამულში სააგურე გავაკეთე, რომელიც არის მოწყვეტილს ალაგსა აგრეთვე ხევს გაღმა..." ნება მომეცით ერთი წელიწადი მაინც ვიმუშაო, რათა ვალი გავისტუმრო და შემდეგ თუ ისურვებთ დავანგრევო[35].

ამ დროისათვის უკვე დღის წესრიგში დგება ქალაქის ფარგ-

35 სცსია, ფ. 16, საქმე 1829, ფ. 4.

ლების გაზრდის საკითხი, რის გამოც აუცილებელი შეიქნა გარეთ-უბნის ვრცელი ტერიტორიის გაწმენდა ამგვარი საწარმოებისაგან.

30-იანი წლების თბილისში უფრო მსხვილი აგურის სარეწებიც ჩნდებიან. აზნაურ გაბაევების მიწაზე საკმაოდ მოზრდილი სარეწი ჰქონდა მოწყობილი ვინმე ოსიპოვს. 1840 წელს ოსიპოვს საწარმო გაუფართოებია და მისთვის დამატებითი სათავსო მიუშენებია. საერთოდ „ქარხანაში" იდგა როგორც აგურის გამოსაწვავი, ისე სამეთუნეო ღუმელი; მისი მოწყობა 880 მანეთი დამჯდარა ვერცხლით[36].

1826 წლიდან მოყოლებული საარქივო საბუთებში სისტემატურად არის ცნობები აგურის ქარხნების შესახებ, მაგრამ ისინი მხოლოდ რაოდენობას მიუთითებენ და იშვიათად მთლიან შემოსავალს აღნიშნავენ ყველა საწარმოს მიხედვით.

მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში აგურის ქარხნების რაოდენობა მნიშვნელოვნად იზრდება და 1826 წელს თბილისში უკვე 31 აგურის „ქარხანა" იყო[37]. შემდეგ მდგომარეობა იცვლება. 1830 წელს აქ 28 ასეთი საწარმოა[38], 1835 წელს მათი რიცხვი 26-მდე შემცირებულა[39]. 1838 წელს 19-მდე, ხოლო 1843 წელს ერთი ცნობა თბილისში მხოლოდ 14 აგურის საწარმოს ანგარიშობს[40]. აღნიშნული შემცირების მიზეზების შესახებ გადაჭრით რამის თქმა ძნელდება. ერთი ცხადია, რომ უფრო მოგვიანებით შემდგენლებს ფაბრიკა-ქარხნების უწყისში ხელაღებით ყველა სარეწი კი არ შეჰქონდათ, არამედ შედარებით მსხვილები. მაგრამ მარტო ამით აგურის ქარხნების რაოდენობის შემცირების ახსნა შეუძლებელი იქნება. ამიტომ აქ ზოგი სხვა გარემოებაც უნდა იქნას გათვალისწინებული.

მე-19 საუკუნის პირველ მეოთხედში თბილისი აღამაჰმადხანის მიერ მიყენებული ჭრილობების მოშუშებას უნდებოდა. გაცამტვერებული ქალაქის მთლიანად აღდგენა არც ისე იოლი საქმე იყო. 1820 წელსაც კი თბილისის ყველა ქუჩა ნანგრევებით ყოფილა სავსე[41]. ამ დროიდან მოკიდებული, განსაკუთრებით ერმოლო-

---

36 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 39.

37 ЦГВИА, ВУА, 1841, ფ. 56.

38 სცსია, ფ. 16, საქმე 4019, ფ. 60.

39 ი ქ ვ ე, საქმე 5255, ფ. 56—60.

40 ცსიაღ, ფონდი 1268, აღწ. 1, საქმე 625-ა, ფურც. 73.

41 ვ. ბ ე რ ი ძ ე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801—1917 წლები, ნაწ. I, თბ., 1960., გვ. 25.

ვის წამახალისებელი ღონისძიებების შედეგად, მშენებლობის ენთუზიაზმი განსაკუთრებით იჩენს თავს და, როგორც ეტყობა, 20-იანი წლების შუა ხანაში ძველ ქალაქში აღდგენითი სამუშაოები ძირითადად დამთავრებულია. პროფესორი ვახტანგ ბერიძე აღნიშნავს, რომ 1820-31 წლის განმავლობაში ქალაქი თითქმის არ გაზრდილა[42]. ეს იმის შედეგი უნდა იყოს, რომ მშენებლობა ჯერ კიდევ აღდგენითი ხასიათისაა და ძველ ფარგლებში წარმოებს. ამას ემატებოდა სამხედრო და ადმინისტრაციული სახაზინო მშენებლობის ფართე გაქანება და ყოველივე ამან განაპირობა სამშენებლო მასალების წარმოების სწრაფი გამოცოცხლება თბილისში.

20-იანი წლების ბოლო ხანებიდან მდგომარეობა შეიცვალა, დაბალი მოსახლეობა საბინაო ბეგარის შიშით უხალისოდ ეკიდებოდა მშენებლობის საქმეს. უკვე 1829 წელს მთავარმმართველი პასკევიჩი აღნიშნავდა, რომ: «По многим случаям доказано, что тамошние обыватели при всей возможности и собственном желании их возводить новые строения, нерешаются приступить к тому единственному из одного опасения, что дома их немедленно будут заняты постоем и войдут в распоряжение полиции»[43]. თუმცა ამ წლის ივლისში იმპერატორმა დაამტკიცა დებულება, რომელიც 6-წლიან შეღავათს ჰპირდებოდა იმ პირებს, ვინც ახალ სახლს ააშენებდა, ანდა ძველს გააფართოებდა (თუ ძველი სახლი დაბეგრილი არ იყო), მაგრამ ეს კუდშეკვეცილი შეღავათი საქმეს არ შველოდა, რადგან 6 წლის შემდეგ იგი მაინც დაიბეგრებოდა.

ყოველივე ამის გამო მნიშვნელოვნად იკლო კერძო მშენებლობის ტემპებმა: თუ 1831 წელს სახლების ასაშენებლად 68 ფასადი იქნა გაცემული, 1832 წელს გასცეს 35 ფასადი, 1833 წელს—19, ხოლო 1834 წელს — 31[44].

30-იანი წლების დასასრულსა და 40-იანი წლების დასაწყისში მდგომარეობა შეიცვალა. იწყება ინტენსიური მშენებლობა არა მარტო გარეთუბანში, არამედ კუკიაში, ჩუღურეთში, ავლაბარში, ნავთლუღში და სხვ. 1841 წელს ნატურით საბინაო ბეგარა, საბი-

---

[42] ვ. ბ ე რ ი ძ ე, თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801—1917 წლები, ნაწ. I, თბ., 1960, გვ. 25.

[43] მომაქვს ვ. ბერიძის დასახელებული ნაშრომიდან, გვ. 41, აგრეთვე იხ. II СЗРИ, т. IV, 1829, გვ. 569 № 3049.

[44] სცსია, ფ. 26, აღწ. 1, საქმე 4993; სცსია ფ. 16, საქმე 5255.

ნაო გადასახადით შეიცვალა. მთავრობა მეტ ყურადღებას აქცევს კავკასიის ცენტრალური ქალაქის უკეთ მოწყობის საკითხებს და ამ მხრივ მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს. საერთოდ მეურნეობაში ღრმად იჭრება ახალი კაპიტალისტური წყობის ელემენტები. აღმოსავლური ფეოდალური ქალაქი ევროპულ ბურჟუაზიულ ქალაქად იქცევა. სამშენებლო საქმიანობა ქალაქის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგი ხდება.

ყოველივე ეს თავის გამოხატულებას ხელოსნების სამშენებლო დარგების განვითარებაშიც პოულობს. ქალაქში სწრაფად მატულობს ამ დარგების ხელოსანთა რაოდენობა. დიდი რაოდენობით შემოდიან ისინი მახლობელი პროვინციებიდან, სპარსეთიდან, რუსეთიდან. 1825 წელს თბილისში 71 კალატოზი ითვლებოდა, 1835 წელს — 80[45], 1848 წელს ეს რიცხვი 182 კაცამდე გაიზარდა, ხოლო 1865 წელს 1065-მდე. 1825 წელს თბილისში 58 ხურო ყოფილა, 1835 წელს — 63; 1837 წ. — 27, 1848 წელს — 139; 1865 წელს კი — 273; დურგალი — 1825 წელს — 40, 1835 წელს — 60; 1848 წელს — 156; 1855 წელს კი 236 და ასე შემდეგ.

ამ პერიოდიდან კვლავ განუხრელად იზრდება სამშენებლო მასალების დამამზადებელი წარმოებები: აგურის, კრამიტის, კირის, გაჯისა და ა. შ. ჩნდება სრულიად ახალი დარგები, როგორიცაა შორენკეცის წარმოება და სხვ.

1846 წელს თბილისში აგურის 41 და კრამიტის ორი „ქარხანა" ითვლებოდა[46]. 1847 წელს — აგურის 44 ქარხანა, რომლებშიაც 58 ღუმელი მოქმედებდა და წელიწადში 38.906 მანეთის ღირებულების 5.558 ათას ცალ აგურს უშვებდა[47]. 1849 წელს კი უკვე აგურის 52 ქარხანა 50.000 მანეთის პროდუქციას უშვებს[48]. ამრიგად თუ 1847 წელს ერთ ქარხანაში საშუალოდ 884 მანეთის პროდუქცია მზადდებოდა, 1949 წელს საშუალო წლიური პროდუქცია 962 მანეთამდე გაიზარდა[49].

მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან ზრდის ტემპები კიდევ უფრო ჩქარია. 1851 წელს თბილისში აგურის 80 „ქარხანაა"

---

45 იხ. ცხრილი № 3; აგრეთვე; ЦГВИА ფ. ВУА. ს. 18481, ფ. 5, სესია, ფ. 16, საქმე 5255.

46 სესია, ფ. 4, აღწ. 8, საქმე 129, ფ. 16—17.

47 სესია, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 617, ფ. 36—37.

48 იქვე, საქმე 723, ფ. 268.

49 იქვე.

71.000 მან. წლიური პროდუქციით. 1864 წელს კი მათი რიცხვი 93-ს აღწევს. ხოლო პროდუქცია კიდევ უფრო გაიზარდა და 372.000 მანეთის ღირებულება შეადგინა[50]. ამრიგად საშუალოდ ერთი საწარმო 4.000 მანეთის ღირებულების პროდუქციას უშვებდა. ამ დროისათვის თბილისში კრამიტის 11 საწარმოა (იგულისხმება რომ ზოგ აგურის ქარხანას კრამიტის გამოსაწვავი ღუმელიც აქვს, რაც ცალკე გამოყოფილი არ ყოფილა) 14.000 მან. წლიური პროდუქციით. ე. ი. თითო საწარმოზე საშუალო წლიურმა პროდუქციამ 1000 მანეთის ღირებულებას გადააჭარბა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დროისათვის უკვე აგურისა და კრამიტის მრეწველობაში კაპიტალისტური ტიპის საწარმოები წამყვან ადგილს იკავებენ. მათი ერთი ნაწილი საკმაოდ მსხვილი სამრეწველო წამოწყებებია, რომლებიც ხაზინისა თუ კერძო ინიციატივით აქა-იქ ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისიდან ისახებოდნენ.

მაგრამ კაპიტალისტური საწარმოები ეტყობა სხვა გზითაც ჩნდებოდნენ და აქ ჩვენ სწორედ ამ გარემოებას გვინდა მივაქციოთ ყურადღება.

როგორც აღვნიშნეთ, 1847 წელს თბილისში, 44 აგურის „ქარხანა“ ითვლებოდა 38906 მანეთის წლიური პროდუქციით, 1849 წელს კი უკვე 52 „ქარხანა“ 50.000 მან. წლიური პროდუქციით. მამასადამე, 1848 წლისათვის თბილისში დაახლოებით 45—47 აგურის ქარხანა შეიძლება ვივარაუდოთ, ხოლო წლიური პროდუქცია 40 ათასზე მეტი მანეთისა იქნებოდა. ამავე დროს გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ თბილისის 1848 წლის კამერალური აღწერის მონაცემებში მხოლოდ 26 მეაგურე ოსტატია აღნიშნული[51]. კამერალური აღწერის მონაცემები შედარებით სანდო წყაროა. მაშინ რას ნიშნავს მეაგურეების ასეთი მცირე რიცხვი? ამის გასარკვევად უნდა მოვიგონოთ, რომ, ჯერ-ერთი, აღწერებში ძირითადი პროფესიებია აღნიშნული და, მეორეც, შავი მუშები ცალკეა გამოყოფილი; ასე რომ რიცხვი 26 უნდა აღნიშნავდეს მეაგურე ოსტატებს, რომელთა ძირითადი საქმიანობა მთელი წლის განმავლობაში აგურის დამზადებაა; წინააღმდეგ აგურის საშინაო წესით დამზადებისა, სადაც იგი დამატებითი საქმიანობის სახით იქნებოდა წარმოდგენილი. თუ 45—47 საწარმოდან მხოლოდ

---

50 იხ. ცხრილი 5.

51 სცსია, ფ. 254, საქ. 19, 124 და 2077.

26—30 არის მუდმივი და დანარჩენი წვრილი საოჯახო საწარმოები, მაშინ სწორედ მათზე უნდა ვივარაუდოთ საერთო შემოსავლის დიდი ნაწილი. ამრიგად, აღნიშნული საწარმოები შეიძლება საკმაოდ გაზრდილად წარმოვიდგინოთ, და მათში წარმოების კაპიტალისტური წესის ღრმად შეჭრა ვივარაუდოთ. მეორეს მხრივ, ოსტატთა ზემოთ მოცემული რაოდენობა „26“ გვიბიძგებს პარალელი გავავლოთ შედარებით გვიანდელ, კერძოდ 1865 წლის ცნობასთან, სადაც აღნიშნულია, რომ აგურის წარმოებაში 30 ოსტატს სეზონურად დაქირავებული ჰყავს 2500-მდე მუშა[52]. ამ დროისათვის კი თბილისში ოფიციალური მონაცემებით 80—90 „ქარხანა“ ითვლებოდა. პირველი ცნობა სიმართლესთან ახლოსაა, ამას სხვა მონაცემებიც ადასტურებს: კერძოდ ამავე პერიოდში ხელოსნების ოფიციალური აღწერის მიხედვით თბილისის მეაგურეებში ითვლებოდა 29 ოსტატი — 20 მოწაფე და 45 მუშა[53]. ამ ორ ცნობას შორის მუშათა რაოდენობის განსხვავება წინააღმდეგობრივი არ არის, რადგან 45 მუდმივი მუშების რიცხვს უნდა აღნიშნავდეს, 2500 — კი დროებითს, — სეზონურს. ოსტატების რიცხვი კი თითქმის ემთხვევა ერთმანეთს. მაგრამ 2500 დაქირავებული მუშის ექსპლოატაციისათვის ხომ დიდი სამრეწველო ბაზა იყო საჭირო: ღუმელები, მოწყობილობა, იარაღები, საშრობები და ა. შ. მაშასადამე, ამ დროისათვის ოფიციალურ ცნობებში აღნიშნული აგურის „ქარხნების“ ერთი ნაწილი საკმაოდ მსხვილი კაპიტალისტური წარმოებებია.

ამრიგად, მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან თბილისის აგურის საწარმოები ზრდისა და გამსხვილების მეტად ინტენსიურ ტენდენციას ავლენენ. ეჭვი არ არის, ეს გამსხვილება სხვადასხვა გზით ხდებოდა და სხვადასხვა ფორმებში ვლინდებოდა, მაგრამ არსებობს ფრიად საგულისხმო მინიშნებები, რომლის მიხედვითაც დამაჯერებლად მოჩანს ის გარემოება, რომ ამ პერიოდში თბილისის აგურის სარეწები საიჯარო კაპიტალის ინტერესებისა და მოქმედების სფეროში ექცევიან და უნდა ვიფიქროთ, რომ აგურის შედარებით მსხვილი საწარმოები სწორედ მათი ინიციატივით ეწყობოდნენ. ეს ბუნებრივიცაა. სახაზინო და კერძო მშენებლობის მანამდე არნახული აღმავლობის პერიოდში, სამშენებლო საიჯარო საქმეში კაპიტალის დაბანდება თითქმის ყველაზე შემოსავ-

52 სცსია, ფ. 7, აღწ. 1, საქმე 2229.

53 სცსია, ფ. 414, აღწ. 1, საქმე 213, ფ. 132—133.

ლიანი საქმე იყო. მოიჯარადრეებად გამოდიოდნენ ისეთი მსხვილი კაპიტალისტები, როგორიც იყვნენ ზუბალაშვილი, თამამშეევი და სხვა. თბილისში მთელი რიგი სამშენებლო ორგანიზაციები მოქმედებდნენ, რომლებიც კერძო პირებისათვის ან ხაზინის შეკვეთით ასრულებდნენ მშენებლობის მთელ პროცესს პროექტის შედგენიდან ნაგებობის კეთილმოწყობამდე.

ამ საქმეში უცხოელი საქმოსნებიც აქტიურად მონაწილეობდნენ. მეფისნაცვლის კანცელარიის ყოფილი უფროსი ინსარსკი აღწერს, რომ თბილისში მოიჯარადრეების საქმე დანაწევრებულად არის წარმოდგენილი. ერთი მოიჯარადრე დებს ხელშეკრულებას პატრონთან სახლის აშენებაზე; თავის მხრივ იგი სხვა მოიჯარადრეს უდებს ხელშეკრულებას საკალატოზო სამუშაოზე; უკანასკნელი სხვა მოიჯარადრეს უთანხმდება მასალის დამზადებაზე და მიწოდებაზე და ა. შ. ყოველივე ეს ძალიან ართულებს და აძვირებს საქმესო[54]. მაგრამ ყველა სამშენებლო წარმოება ერთნაირად არ იყო მოწყობილი; როგორც ჩანს, იყო ისეთი მსხვილი სამშენებლო ორგანიზაციებიც, რომლებიც თავის ხელში აერთიანებდნენ მთელ პროცესს მასალის დამზადებიდან მშენებლობამდე. სწორედ ისინი ერეოდნენ საამშენებლო მასალების წარმოებაში, აწყობდნენ საწარმოებს, ქირაობდნენ მეაგურე მუშებს, ქირაობდნენ მშენებლებს და სხვ. ეს იყო დიდი მასშტაბის კაპიტალისტური სარეწები.

რომ მოიჯარადრე მშენებლობებში სამშენებლო მასალების წარმოების მოწყობის ტენდენცია არსებობდა, ამაზე არქიტექტორ ბრაუნმილერის მაგალითი მიუთითებს. ბარიატინსკის კანცელარიის დირექტორის — ინსარსკის გადმოცემით ბრაუნმილერის სამშენებლო დაწესებულება ადგენდა მშენებლობის გეგმებს და ასრულებდა მშენებლობის მთელ პროცესს. მის უმცროს კომპანიონად ინსარსკი ასახელებს არქიტექტორ ბიხოლდს[55]. ერთ-ერთი საარქივო წყაროს ცნობით კი ჯერ კიდევ 1856 წელს არქ. ბრაუნმილერს, ბიხოლდთან ერთად, მოწყობილი ჰქონდა სამშენებლო სადურგლო მასალათა სახელოსნო[56]. არ არის გამორიცხული, რომ მათ სხვა რაიმე სამშენებლო საწარმოც ჰქონდათ, მაგრამ მათზე ჯერჯერობით ჩვენამდე ცნობამ არ მოაღწია.

---

54 ვ. ი. ლენინის სახ. მოსკოვის სახ. საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება Инс. —120. ინსარსკი, ვ. ა. მოგონებანი, ნაწ. II. გვ. 663.

55 იქვე, 120, გვ. 669.

56 სცსია, ფ. 10, საქმე 220. ფურც. 20.

თბილისში ჩამოსულ ინსარსკის კოჯორში აგარაკის აშენება სწორედ ბრაუნშვილერისთვის მიუნდვია, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ ბიხოლდმა საქმეს თავი ვერ მოაბა და ინსარსკი იძულებული გამხდარა სხვა მოიჯარადრისთვის მიემართა და ამის შემდეგ მშენებლობა ჩქარა დასრულდა. როგორც ვხედავთ, თბილისში ამისთანა სამშენებლო ორგანიზაცია არა ერთი ყოფილა.

თბილისში მრავალი აგურის საწარმო მშენებელ მოიჯარადრეებს ეკუთვნოდათ. მაგალითად, 1834 წელს სახაზინო მიწაზე უნებართვოთ 9 სააგურე იყო აშენებული. ამათგან 5 მოიჯარადრეებს ეკუთვნოდათ: ტიტო გრიქუროვის, გიქო ფრიდონოვისა და დავით ტერ-გუკასოვის სააგურეები ჰოსპიტლის მშენებლობის საჭიროებისათვის იყო მოწყობილი; მოიჯარადრე იყო მირო მირიმანოვი, რომელსაც 1832 წელს აუშენებია სააგურე, ხოლო თაყუი მუშრებოვი, რომელსაც აგრეთვე სააგურე ჰქონდა, ყოფილი მოიჯარადრის ქვრივი იყო.

იმისათვის, რათა ვაჩვენოთ საიჯარო კაპიტალის მოღვაწეობა სამშენებლო მასალების წარმოების საქმეში, ჩვენ კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: 1864 წლის ერთ-ერთ ცნობაში აღნიშნულია, რომ თბილისში სხვა ქალაქელი 10.000 კაცი თითქმის მუდამაა, ხოლო ზაფხულობით ეს რიცხვი 20.000-მდე ადის. ესენი თითქმის ყველა შავი მუშებია და «Выписываются здешними подрядчиками на лето из разных мест Закавказского Края и из Персии артелями, для мощения улиц, производства построек и самого строительного материала на кирпичных заводах»[57].

ამრიგად, როგორც აღვნიშნეთ, სრულიად ეჭვსგარეშეა საიჯარო კაპიტალის ბატონობა აგურის საწარმოების მნიშვნელოვან ნაწილზე.

50-იანი წლებიდან აგურის წარმოებაში ცხოველდება ინტერესი ახალი წამოწყებებისადმი. მასში თავადაზნაურობის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ, მაგალითად: 1851 წელს ნატალია აბაშიძე ვერაზე აგურის ქარხნის მოწყობის ნებართვას ითხოვს. ნებართვა მისცეს და ეტყობა მოაწყო კიდეც[58]. 1853-54 წლებში აზნაური გაბაევი აპირებს თავის მამულში (მოსკოვის ზასტავის იქეთ) აგურის საწარმოს მოწყობას; მასში სპეციალური ოთახები

---

57 სცსია, ფ. 414, აღწ. 1, საქმე 10, ფ. 94.

58 სცსია, ფ. 205, საქმე 1262.

ყოფილა გათვალისწინებული დაქირავებული მუშების საცხოვრებლად, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საწარმოში დაქირავებული მუშების ძირითადი ნაწილი არათბილისელი უნდა ყოფილიყო[59].

ქალაქში ფართო მშენებლობას ეწეოდნენ სახაზინო, სამხედრო და სამოქალაქო უწყებები. სამხედრო უწყების მუშათა ასეულებში ბევრი სამშენებლო დარგის ოსტატი და ხელოსანი ირიცხებოდა. ყველა ისინი, ისევე როგორც არქიტექტორები და მშენებელი ინჟინრებიც, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მასალის ხარისხზე. ქართული აგური მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა რუსულისაგან, იგი კვადრატული ფორმისა იყო, რაც მათ მშენებლობისათვის არახელსაყრელად მიაჩნდათ, მაგრამ, რაც მთავარია, ქართველი ოსტატები არ იცავდნენ სტანდარტს. მათი დამზადებული აგური ყოველთვის ერთი ზომისა არ იყო.

ყოველივე ამას ისიც ემატებოდა, რომ, როგორც ამას ერთთანამედროვე საქმეში ჩახედული კაცი 1855 წელს აღნიშნავდა, თავისთავად ოსტატები აგურს ნაჩქარევად უგულისყუროდ ამზადებდნენ: «В Тифлисе кирпич выделывается небрежно, неодинаковой толщины, с неправильными плоскостями, отчего происходит в кладке неровность швов, имеющие влияние на прочность и устойчивость здания. Прочная и тщательная выделка кирпича в Тифлисе возможна, что доказано временно устроенными кирпичными заводами»...[60].

ყოველივე ამის გამო დღის წესრიგში დგებოდა ახალი ტიპის აგურის წარმოების გავრცელების საკითხი. ეს საქმე პირველად ხაზინამ ითავა. 1840 წელს თბილისში სამხედრო უწყების სახაზინო აგურისა და კრამიტის ქარხანა მოქმედებდა. მასში დაბალი ჩინის ოსტატები და მუშები მუშაობდნენ. საწარმო მხოლოდ სამხედრო და სახაზინო ნაგებობებისათვის ამზადებდა აგურს. ბაზარზე მისი ნაწარმი არ გადიოდა. მართალია, საწარმოში დაბალი ჩინის სამხედრო პირები მუშაობდნენ, მაგრამ გარკვეულ გასამრჯელოს ისინი მაინც იღებდნენ (ოსტატი—20 კაპიკს დღეში, შავი მუშა — 15 კაპიკს). აღნიშნული ქარხნების გამგე ყოფილა პორუჩიკი ყორღანოვი[61].

1858 წელს მეფისნაცვლის წაქეზებით არქიტექტორი რაისი

59 სცსია, ფ. 205, საქმე 1262.

60 სცსია, ფ. 205, საქმე 1262, ფ. 15.

61 სცსია, ფ. 1105, საქმე 377, ფ. 9.

თბილისში დიდი სამშენებლო საწარმოს მოწყობას იწყებს. აღნიშნულ წარმოებაში ყველა სამშენებლო სამუშაო უნდა ჩატარებულიყო და მასთან ერთად მას ქალაქი აგურით, კრამიტითა და სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების კრამიტის მილებით უნდა მოემარაგებინა. რაისს განზრახული ჰქონდა მოეწყო აგურის მანქანური წარმოება; საზღვარგარეთიდან ჩამოიტანა 3—4-ძალიანი ორთქლის მანქანა (ლოკომობილი) სამხერხაო სახელოსნოს და სხვა მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად[62]. იგი ვალდებულებას იღებდა, რომ ჩამოიყვანდა რა საზღვარგარეთიდან სხვადასხვა დარგის 12—15 ხელოსანს, ადგილობრივ ყმაწვილებს საამშენებლო ხელობებსაც შეასწავლიდა[63]. საწარმო უნდა მოეწყო გერმანელთა კოლონიის იქით, მტკვრის მარცხენა ნაპირზე.

1858 წელს მეფისნაცვლის სახსრებიდან რაისს 10 წლით 20.000 მანეთი სესხი გამოუყვეს.

1859 წელს მას ოსტატები და მანქანა-იარაღები ჩამოუვიდა[64] და ამავე წელს უკვე მოწყობილი ჰქონდა სრული საწარმო ყველა ხარისხის აგურის, კრამიტისა და თიხის წყალსადენი მილების დასამზადებლად. წარმოება ამზადებდა აგრეთვე მოზაიკის იატაკის ფილებს, რაც მეტად იშვიათი ყოფილა რუსეთის იმპერიაში და პეტერბურგის გარდა არსად არ კეთდებოდა[65]. რაისს იმედი ჰქონდა, რომ მისი წარმოება წელიწადში 4.5—5 მილიონ ცალ აგურს გამოუშვებდა.

რადგან საზღვარგარეთიდან მანქანებისა და ოსტატების გამოგზავნამ დიდი სახსრები მოითხოვა, 1859 წელს მას კიდევ 17.090 მანეთი სახელმწიფო სესხი მისცეს, ხოლო 1861 წელს დამატებით 10.000 მან. ამრიგად მისმა სახაზინო ვალმა თითქმის 50.000 მანეთს მიაღწია.

წარმოების ბედი თავიდანვე უკუღმართად წარიმართა. რაისი 1863 წელს საყვედურობდა, რომ მთავრობამ იგი ვერ უზრუნველყო შეპირებული სახაზინო შეკვეთებით და ვალის გადახდის ვადის გაგრძელებას მოითხოვდა[66].

1863 წელს მისი წარმოება თბილისის ფაბრიკა-ქარხნების

---

62 სცსია, ფ. 10, საქმე 169, ფურც. 26—29.

63 სცსია, ფ. 10, საქმე 164, ფურც. 15—16.

64 იქვე, ფურც. 24—25.

65 იქვე, ფურც. 45—46.

66 იქვე.

უწყისში 15.000 მან. წლიური პროდუქციით იქნა შეტანილი. უწყისში იგი ასეთი სახელითაა აღნიშნული— «Столярное заведение Рейса с правым двигателем для машин»[67].

ჩქარა კი ახალი უბედურება დატრიალდა: საშინელმა ხანძარმა მისი წარმოება თითქმის მთლიანად გაანადგურა. ზარალი 72.000 მანეთზე მეტად იქნა შეფასებული[68]. მთავრობამ გაითვალისწინა მომხდარი უბედური შემთხვევა და 1864 წელს რაიხს კვლავ გამოეყო 20.000 მანეთი სესხი საწარმოს აღსადგენად[69]. ჩქარა წარმოება აღდგენილი იქნა. 1865 წელს მეფისნაცვლის ბორჯომის სასახლის მშენებლობისათვის რაისმა 15.000 მანეთის ღირებულების რუსული ფორმის აგური დაამზადა[70]. მაგრამ საბოლოოდ წარმოება წელში ვერ გასწორდა, მეპატრონემ ვალების დროზე გადახდა ვერ უზრუნველყო და იძულებული გახდა მუშაობა შეეწყვიტა. ქარხნის მოწყობილობა 1869 წელს მთავრობის ხელში გადავიდა[71].

1860 წელს მთავრობის წახალისებით ტანერი და კომპანია საამშენებლო მასალების (აგური, კრამიტი, თიხის ნაწარმი) დიდი მანქანური საწარმოს მოწყობას იწყებს. ამ წელს ტანერსა და სამხედრო უწყებას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც კომპანია ვალდებულებას კისრულობდა მოეწყო წარმოება საუკეთესო ხარისხის მასალების დასამზადებლად შემდეგი პირობებით: ხაზინას მისთვის უნდა მიეცა მიწა ქარხნის ასაშენებლად[72]. კომპანია მოაწყობდა წარმოებას, რომელსაც 10 წლის განმავლობაში დღიდან ფაბრიკის მოქმედების დაწყებისა, უნდა დაეკმაყოფილებია სამხედრო უწყების ყველა მოთხოვნილებები აღნიშნულ ნაწარმზე. ტანერს უფლება ეძლეოდა ქარხნისათვის საჭირო მანქანა მოწყობილობები საზღვარგარეთიდან უბაჟოდ შემოეტანა. სამხედრო უწყება ვალდებულებას იღებდა პირველი 5 წლის განმავლობაში წარმოებისაგან მიეღო 1000 ცალი აგური 14 მანეთად, ხოლო შემდეგ — საბაზრო ფასის 10% დაკლებით. ქარხანას მოქმედება უნდა დაეწყო 1862 წლიდან. კომპანიას უფლება ჰქონდა,

---

67 სცსია, ფ. 414, აღწ. 1, საქმე 9, ფურც. 87.
68 სცსია, ფ. 10, საქმე 164, ფურც. 95.
69 ი ქ ე ე, ფურც. 89.
70 ი ქ ე ე, ფურც. 66.
71 ი ქ ე ე, ფურც. 88—91.
72 სცსია, ფ. 10, აღწ. 1. საქმე 1254, ფურც. 6.

მას შემდეგ, რაც უწყების მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებდა. ბაზარზეც გაეყიდა თავისი ნაწარმი[73].

როგორც ირკვევა, მეფისნაცვალს შესაძლებლად მიუჩნევია კომპანიისათვის, რომელშიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ტანერთან ერთად პოლკოვნიკი ბიკოვიც შედიოდა, მიეცა სესხი 100.000 მან. რაოდენობით[74]. მაგრამ შემდეგ აღნიშნული სესხის გაცემა არ მოხერხდა და კომპანიონებმა 1861 წლისათვის ქალაქის IV ნაწილის II კვარტალში ქარხანა საკუთარი სახსრებით ააშენეს, რაც მათ 120.000 მანეთი დაუჯდათ[75]. მაგრამ მათ საბრუნავი კაპიტალი აღარ დარჩათ, მით უმეტეს, რომ, როგორც ისინი საყვედურობდნენ, ხაზინა ნაცვლად 5 მილიონისა 2 მილიონ აგურს ძლივს უკვეთავდა წელიწადში. ამიტომ კომპანიამ კვლავ მოითხოვა უპროცენტოდ 100.000 მანეთის სესხი 10 წლის ვადით[76].

ჩვენ არ ვიცით მისცეს თუ არა მას რაიმე სესხი, მაგრამ ერთი ცხადია, აღებულ პერიოდში ქარხანა წარმატებით მოქმედებს. 1862 წელს, მაგალითად, ტანერი წინადადებას აძლევდა მთავრობას, რომ ტროტუარები მის მიერ დამზადებული აგურის ფილებით მოეპირკეთებიათ[77]. 1863-65 წლებში აღნიშნული ქარხანა თბილისში ერთ-ერთ საუკეთესო მანქანურ წარმოებად ითვლებოდა[78].

* * *

ბურჟუაზიული ცხოვრების ყაიდაზე დამდგარ ქალაქის მშენებლობაში ახალი არქიტექტურა იჭერს წამყვან ადგილს, რომელსაც ახალ სპეციფიკურ თემატიკასთან ერთად, სრულიად ახალი ფორმებიც შემოჰქონდა[79]. ამდენად სამშენებლო მასალათა წარმოებაც ევროპული წარმოების განვითარების დონის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ამ მხრივ მთელი რიგი ნაკლოვანებები შეიმჩნეოდა, კერძოდ თბილისში არ იყვნენ ოსტატები, რომელთაც შეუძლებოდათ სხვადასხვა არქიტექტურული მხატვრული დეტალების

---

73 სცსია, ფ. 7—9.

74 სცსია, ფ. 10, აღწ. 1, საქმე 1914, ფურც. 2.

75 ი ქ ვ ე, ფურც. 3.

76 ი ქ ვ ე.

77 სცსია, ფ. 1464, საქმე 33.

78 სცსია, ფ. 26, აღწ. 2, საქმე 1801, ფურც. 5.

79 ვ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 49.

დამზადება[80]. ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით ჯერ კიდევ 1840 წელს გაიხსნა თბილისში საწახნაგო და ქვა-ჭუყაოს სახაზინო სახელოსნო[81], მაგრამ იგი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა და 1849 წელს ვორონცოვმა ახალი საწახნაგო წარმოება გახსნა[82], კავკასიური მარმარილოს, ობსიდიანის და სხვა ქვების დასამუშავებლად. ერთი წლის შემდეგ კი 1850 წელს თბილისში ამუშავდა მუყაო-ქვის მასის „ფაბრიკა" სამოქალაქო და საეკლესიო არქიტექტორიის სხვადასხვა ნაკეთობების დასამზადებლად. 1855 წელს ეს უკანასკნელი დაიხურა, 1856 წელს კი კვლავ განაახლა მუშაობა და შეუერთდა საწახნაგო ფაბრიკას[83]. სახაზინო საწახნაგო ფაბრიკაში პირველ ხანებში 4 ოსტატი, რამდენიმე დაბალი ჩინის პირი და კანტონისტი მუშაობდა. ფაბრიკა ეკატერინბურგის მსგავსი ფაბრიკის ბაზაზე იყო შექმნილი და მისი შეფობით მუშაობდა. მას მხატვრულ ხელმძღვანელობას უწევდა გაგარინი, ხოლო ზედამხედველი ჯერ ივანოვი, ხოლო შემდეგ ბლუმბერგი იყო[84]. მართალია, დაბალი ჩინის პირები და კანტონისტები ფაბრიკაში იძულებით შრომას ეწეოდნენ, მაგრამ მათ წასახალისებლად დღეში 10 კაპიკი ეძლეოდათ[85]. რაც შეეხება ოსტატებს, ისინი თუმცა ჯამაგირს იღებდნენ (პანოვი — 20 მან. თვეში, ტრაპეზნიკოვი — 12 მან., ივანოვი და სვეჩნიკოვი — 10—10 მანეთს, სხვა ცნობით პანოვის ხელფასი იყო 27 მანეთი, დანარჩენის 13 მან., და 70 კაპ., თვითეულის[86]), მაგრამ თავისუფლად დაქირავებულები არ არიან. ისინი თავის სურვილის წინააღმდეგ იყვნენ თბილისში ჩამოყვანილნი და ყოველთვის ცდილობდნენ აქედან თავის დაღწევას.

წარმოებაში მუშაობა უმთავრესად ხელით სრულდებოდა, თუმცა ადგილი ჰქონდა გაუმჯობესებული იარაღებისა და მანქანების გამოყენებასაც. მაგალითად, წარმოებაში ჰქონდათ ობსიდიანის სახერხი მანქანა; თანდათან მანქანის გამოყენება მატულობს. 1852 წელს ფაბრიკის ზედამხედველი საკითხს სვამს მანქანების

---

80 ე. ბერიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

81 ა. კოკლიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 103.

82 აღნიშნულ წარმოებაზე იხილეთ პ. გუგუშვილი, დ. გოგოლაძის, ე. ხოშტარიას, ალ. კოკლიაშვილის დასახ. ნაშრომები.

83 სცსია, ფ. 10, აღწ. 1, საქმე 1835.

84 სცსია, ფ. 4, აღწ. 4, საქმე 28, გვ. 1.

85 იქვე, გვ. 11.

86 სცსია, ფ. 4, აღწ. 4, საქმე 30, ფ. 316.

ამძრავის მოწყობის შესახებ, რისთვისაც ეკატერინბურგიდან ჩამოიტანეს და 1857 წელს აამუშავეს 3—4-ძალიანი ორთქლის მანქანა. მაგრამ მისი ეფექტი არ იყო მაინცდამაინც დიდი, რადგან მხოლოდ ქვის სახერხად გამოდგებოდა[87]. ამიტომ 1861 წელს აკადემიკოს სიმონსონს, რომელიც მაშინ „ფაბრიკის" მმართველი იყო, დაუსვია საკითხი ორთქლის მანქანის გადაკეთების შესახებ, ისე რომ მასზე სხვა ოპერაციების შესრულებაც ყოფილიყო შესაძლებელი[88]. 1862 წელს მანქანა მართლაც გადაუკეთებიათ. გადაკეთება 2.000 მანეთი დამჯდარა. ეხლა მას შეეძლო არა მარტო გახერხვა, არამედ მექანიკური ძალის ფუნქციის შესრულება: ხეხვის, თლის, ქვების გახვრეტის და სხვა საქმეში; ამასთან მასზე შეშის სახერხიც ყოფილა მოწყობილი[89].

1863 წლიდან წარმოება ძირითადად დაქირავებულ შრომის გამოყენებაზე გადადის. 1864 წელს „ფაბრიკას" გამოუშვია 12.000 მანეთის პროდუქცია, 1865 წელს კი 15.000 მანეთისა[90]; მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თანხა ფულად კი არ შედიოდა, არამედ აფასებდნენ თუ რა ღირებულებისაა ესა თუ ის ნივთი, რომელიც რაიმე სახაზინო დანიშნულებისათვის დაამზადეს; თუმცა ბოლო წლებში წარმოება კერძო შეკვეთებსაც იღებდა, მაგრამ ხაზინის ხელში იგი დიდი ზარალით მუშაობდა. ამიტომ უფრო მოგვიანებით მთავრობამ იგი კერძო პირს, ვინმე პერმიკინს მიჰყიდა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქედან იგი უკვე ჩამოყალიბებული კაპიტალისტური წარმოების ფორმას იღებს.

აღნიშნულ წლებში ყოფილა ცდები თბილისში ახალი ტიპის სამშენებლო მასალების სხვა წარმოებების მოწყობისაც. მაგალითად, 1847 წელს მაიორი დემონკალი ახალ კუკიაში მიწის ნაკვეთის გამოყოფას ითხოვს, შორენკეცის (კაფელის) „ქარხნის" ასაშენებლად. საქმე ცოტა გაჭიანურდა, მაგრამ საბოლოოდ მიწა მაინც გამოუყვეს. თუ რა ბედი ეწია აღნიშნულ წარმოებას, საბუთები ამის შესახებ არაფერს გვეუბნებიან[91].

ჯერ კიდევ 40-იანი წლების დასაწყისში ლუდვიგ შევალიეს

---

87 სცსია, ფონდი 5, საქმე 78.

88 ი ქ ვ ე, გვ. 92.

89 სცსია, ფ. 238, საქმე 75, ფურც. 29—30.

90 დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

91 სცსია, ფ. 4, აღწ. 2, საქმე 474.

თბილისში ჰქონია კუსტარული საწარმო, სადაც ამზადებდა შუშას, ფაიანსს, ასანთს, ფანქრებს და სხვ.[92].

მშენებლობის ტემპების შესაბამისი სიჩქარით იზრდებოდა თბილისში სახერხი ქარხნების რიცხვი და წარმადობა. 50-იანი წლების ბოლოს თბილისში 2 სახერხი ქარხანა იყო 3000 მან. წლიური პროდუქციით, ხოლო 1863 წელს კი ასეთი 19 ქარხანაა — 27.000 მან. წლიური პროდუქციით[93]. მაგრამ საქმე მარტო რაოდენობით ზრდაში არაა. უმჯობესდებოდა აღნიშნული „ქარხნების" ტექნიკური აღჭურვილობაც. თუ მანამდე სახერხი „ქარხნები" წყლის საშუალებით მოდიოდნენ მოძრაობაში 40-იანი წლების ბოლოს მათში ორთქლის მანქანის გამოყენებაც ისახება. ასეთი იყო, მაგალითად, პოლკოვნიკ ყორღანოვის სახერხი ქარხნები. 60-იანი წლებიდან კი ეს ტენდენცია კიდევ უფრო ძლიერდება.

* * *

როგორც დავინახეთ, სამშენებლო მასალების წარმოება აღებულ პერიოდში როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი გაუვითარების მეტად სწრაფ ტემპებს ავლენდა. აღნიშნულ პერიოდში ამ დარგის საწარმოები თავიანთი სოციალ-ეკონომიური ბუნებით მეტად განსხვავებულნი არიან. თბილისში შეიმჩნევა სრულიად სხვადასხვა ტიპის სარეწები, საოჯახო წარმოებიდან ფაბრიკის ტიპის წარმოებამდე. განვითარების ტენდენცია აღნიშნულ წარმოებაში მანქანების შემოღების გზით მოდის.

---

92 სცსია, ფ. 2, საქმე 8950, ფურც. 6, 10—31.

93 იხ. ცხრილი 5.

დასკვნები

1. მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო განვითარების ძირითადი ეტაპები

თუ გადავავლებთ თვალს თბილისის მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის სამრეწველო განვითარების მთელ ისტორიას, მასში შეიძლება სამი ძირითადი ეტაპი გამოვყოთ. მართალია, ეს ეტაპები არ გაიმიჯნებიან ერთმანეთისაგან მკვეთრი წყალგამყოფი ხაზით და ისინი ორგანულად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, მაგრამ გარკვეული აზრით მაინც შეიმჩნევა ზოგიერთი თვისობრივი ნიშანი, რომლებიც თავისებურ განმასხვავებელ ხასიათს აძლევენ თვითეულ მათგანს. არც ქრონოლოგიურად შეიძლება ამ ეტაპების მკვეთრი და ზუსტი გამიჯვნა. პირობით კი ჩვენ შემდეგ ჩარჩოებს ვიღებთ: 1. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ოციანი წლების მეორე ნახევრამდე; II — ოციანი წლების მეორე ნახევრიდან 50-იან წლებამდე; III. — 50—60-იანი წლების დასაწყისი.

განვითარების I ეტაპზე საქართველოს რუსეთთან შეერთება ჯერ კიდევ მხოლოდ პოლიტიკური აქტი იყო და მას ჯერჯერობით არ შეეძლო მკვეთრი გავლენა მოეხდინა ქვეყნის ეკონომიური განვითარების ხასიათზე. საქართველოს ეკონომიური დაპყრობის საკითხი, რუსეთის მმართველ წრეებში ჯერ კიდევ დაუმუშავებელი იყო და რუსეთის ხელისუფლება ძალღონეს არ იშურებდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური რესურსების შესასწავლად. ეხლა საკითხი ისმოდა თუ რა გზით უნდა წარმართულიყო საქართველოს რუსეთის იმპერიის კოლონიად გადაქცევა და რა ღონისძიებები ჩაეტარებიათ იმისათვის, რომ ახალ სამფლობელოს უფრო მეტი და საჭირო სარგებლობა მოეტანა იმპერიისა-

თვის. ხოლო თავის მხრივ რუსეთის იმპერიას აღმოსავლეთის ქვეყნებთან ჯერ კიდევ მკაცრი ბრძოლების წარმოება უხდებოდა ამიერკავკასიაში თავისი უფლებების დასამტკიცებლად. ასეთ ვითარებაში მას არც საშუალება, და არც დრო ჰქონდა რაიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაედგა საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიური დაპყრობის მიმართულებით.

ასეთ ვითარებაში ადგილობრივი მრეწველობა ძველი ადგილობრივი გზით ვითარდება იმ განსხვავებით, რომ შედარებითი მშვიდობიანობის დამყარებამ ჩვენში ფართოდ გაუხსნა გზა საწარმოო ძალების აყვავებას.

აღა-მაჰმადხანის შემოსევის შედეგად მიღებული ჭრილობების მოშუშების პირობებში, ხელსაყრელმა ვითარებამ თბილისის ხელოსნობის როგორც დარგობრივი, ისე რაოდენობრივი გაფართოვება და განვითარება გამოიწვია. თუმცა უკვე ამ აღმავლობაში იჩინა თავი თვისობრივი დაშლის ნიშნებმაც, რომლებიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ისახებოდნენ. თბილისის ხელოსნური წარმოება სულ უფრო და უფრო იღებდა სასაქონლო ხასიათს; ჩვენ მოვიტანეთ ცნობები, რომ თბილისის ხელოსნობის ნაწარმი არამც თუ საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ უცხოეთშიაც კი გადიოდა. ხოლო ეს კი მიუთითებს, რომ არსებობდა ყველა პირობა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა განვითარებისათვის ჩვენში, „რადგან საქონელწარმოება და საქონელმიმოქცევა კაპიტალისტური წარმოების წესის საყოველთაო წინამძღვარია“ (მარქსი)[1]. ეხლა საინტერესოა საკითხი, თუ რა გზით მიდიოდა კაპიტალიზმის განვითარება ჩვენში. ჩვენი წინამორბედი ავტორების უმრავლესობა კაპიტალისტური ურთიერთობის ჩანასახებს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის II ნახევარში ხედავს, მაგრამ მათ მიერ აღწერილი რამდენიმე სახაზინო თუ კერძო წამოწყება, რომელთა უმრავლესობა მეტად დღემოკლე აღმოჩნდა, თუმცა კაპიტალისტურ ხასიათს ატარებდნენ. აქამდე საეჭვოდ მიაჩნიათ: ისინი საქართველოს საერთო ეკონომიური განვითარების შედეგი იყვნენ. თუ მხოლოდ ზევიდან დანერგილი სამრეწველო დაწესებულებები. ხოლო აკად. ნ. ბერძენიშვილის მეტად ღრმა დაკვირვებამ საქართველოს სამღებროების კაპიტალისტური ხასიათის შესახებ, სამწუხაროდ, შემდგომი გან-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, 1954, გვ. 448.

ვითარება ვერ ჰპოვა ვერც მის, და ვერც სხვა ავტორების შრომებში

აღნიშნული პერიოდის მეტად მცირე და არასრულ მასალებზე დაკვირვებითაც შეინიშნება, რომ ჩვენში ადგილი ჰქონდა წარმოების ფეოდალური წესიდან კაპიტალისტურზე გარდამავალ ორივე ძირითად გზას. მარქსის მიხედვით ასეთი გზები შემდეგია: 1) „მწარმოებელი ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი", 2) „ან და ვაჭარი ეუფლება უშუალოდ წარმოებას"[2].

თავის დროზე ჩვენ მივუთითეთ, რომ თბილისის მრეწველობაში იყო ფაქტები ხელოსნის ვაჭრად გადაქცევისა. ამის საუკეთესო მაგალითია წარმოშობით მელაინე ვაჭარი ასატურ როსტომოვი, რომელიც სამღებროების მფლობელი და ბამბეულის ქსოვილების მწარმოებელი იყო. იმ დროისათვის მსგავსი მაგალითები საქართველოში არც ისე იშვიათია. აღნიშნული პროცესი ცოტა უფრო გვიან (50-იანი წლები) ჩვენ თვალნათლივ შევნიშნეთ გედო ყაზაროვის მაგალითზე, რომელიც თავდაპირველად მეტყავე ოსტატი იყო; შემდეგ კი წარმოება გაადიდა, დაქირავებული მუშები გაიჩინა, თვითონ მუშაობას თავი დაანება(რაც დაქირავებული მუშების დიდ რაოდენობაზე მიუთითებს) და მხოლოდ ვაჭრობას ეწეოდა.

ზემოთ დასახელებულ შრომაში სამღებროების შესახებ აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ სამღებროების მოიჯარადრეებად ზოგჯერ ოსტატებიც გვხვდებიან, რაც სწორედ აღნიშნული პროცესის ანარეკლია, ე. ი. როდესაც მწარმოებელი ხდება კაპიტალისტი.

მაგრამ ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ უფრო ხშირად სამღებროების მოიჯარადრეებად ვაჭრები ხდებიან.

ეს უკვე წარმოების ახალ წესზე გადასვლის მეორე გზაა.

აკად. ს. სტრუმილინი, განიხილავს რა პირობებს, რომელშიაც აღმოცენდა და განვითარდა რუსეთის მანუფაქტურა, აღნიშნავს, რომ დასავლეთში ამქრული შეზღუდულობის გამო, რომელიც ხელოსანს საშუალებას არ აძლევდა მანუფაქტურის მასშტაბამდე გაედიდებია თავისი სახელოსნო, მსხვილი წარმოების განვითარებისათვის მთლიანად გახსნილი დანაწევრებული მანუფაქტურის წარმოქმნის გზა რჩებოდა. რუსეთში სულ სხვა მდგომარეობა იყო: «В России не было такого тормоза цеховой рег-

2 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, გვ. 423.

ламентации и потому в отличие от запада, где очень долго преобладающей формой мануфактуры оставалась рассеянная мануфактура, у нас она сразу же получала свое развитие в значительно более совершенной и законченной форме, мануфактуры централизованной»[3].

თბილისი ამქრულ ხელოსნური ქალაქი იყო, ხოლო თბილისის მრეწველობა ტონის მიმცემი საქართველოში, ამდენად, თუმცა შედარებით რბილი, მაგრამ მაინც ამქრული რეგლამენტაციისა და ბატონყმური ურთიერთობის ბატონობის ვითარებაში საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვა უმეტესად დანაწევრებული მანუფაქტურის განვითარების გზით უნდა მომხდარიყო. დანაწევრებულ მანუფაქტურის არსებობა ჩვენ თვალნათლივ შევამჩნიეთ და აღვწერეთ კიდეც საქსოვი წარმოების მაგალითზე, სადაც იგი, შრომის დანაწილებაზე დამყარებით, ერთ სისტემაში აერთიანებს ბამბის საქსოვ და მასთან დაკავშირებულ მრავალ ოპერაციას. მსგავსი მდგომარეობა ვივარაუდეთ სხვა საქსოვ დარგებშიც (შალი, აბრეშუმი). ეს მანუფაქტურები თავისი კაპიტალისტური ფორმით ხშირად დამთავრებულნი, ცენტრალიზებულნი არ იყვნენ, მაგრამ განვითარების მასშტაბით და სასაქონლო პროდუქციის წარმოებით ყველაზე წინ იდგნენ მე-19 საუკუნის დასაწყისის საქართველოს მრეწველობის დარგებში. დანაწევრებული საფეიქრო მანუფაქტურებით მოფენილი იყო არა მარტო თბილისი, არამედ კახეთი და ქართლიც. სავარაუდოა, რომ დანაწევრებული მანუფაქტურა მრეწველობის სხვა დარგებშიაც ისახებოდა, მაგრამ თავისი გარეგნული ფორმის თავისებურების გამო იგი შეუმჩნეველი რჩებოდა თანამედროვეებისათვის, ამიტომ ჩვენთვის მათ შესახებ ცნობების მიღება მეტად ჭირს.

ამრიგად ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქართველოს მრეწველობის განვითარებაში XVIII—XIX სს. მიჯნაზე უპირატესი ადგილი ვაჭრის მიერ წარმოების დაუფლების გზას ეჭირა, რაც დანაწევრებული მანუფაქტურის გაჩენაში გამოიხატებოდა.

მაგრამ კაპიტალისტური მრეწველობის განვითარების ეს გზა ნაკლებად რევოლუციური იყო, რადგან, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „რაგინდ დიდი გავლენა არ უნდა ჰქონდეს უკანასკნელ გზას, ისტორიულად როგორც გარდამავალ საფეხურს. მაინც

3 С. Г. Струмилин, История черной металлургии в СССР, т. I, стр. 99—100.

ეს გზა თავისთავად არ იწვევს გადატრიალებას ძველ წარმოების წესში, რომელსაც იგი, პირიქით, ინახავს და როგორც თავის წინაპირობას ინარჩუნებს"[4]. ამიტომ იყო, რომ დასავლეთ ევროპაში, რომელიც სწორედ გაფანტული მანუფაქტურის განვითარების გზით წავიდა, მანუფაქტურული პერიოდი 300 წელს გრძელდებოდა, ხოლო რუსეთში, რომელიც, პირიქით, თავიდანვე ცენტრალიზებული მანუფაქტურის გზით ვითარდებოდა დაახლოებით 100 წელიწადს. ყოველივე ამის გამო გაფანტულმა მანუფაქტურებმა, რომლებიც ჩვენის აზრით საქართველოს მრეწველობის ზოგიერთ დარგში უკვე მე-18 საუკუნის II ნახევრიდან მაინც აქტიურად ისახებიან, მე-19 საუკუნის I ნახევარშიც ვერ მიაღწიეს თავის სრულყოფილ ფორმას — ცენტრალიზებულ მანუფაქტურას — ისეთი მასშტაბით, რომ მას ქვეყნის ეკონომიკაზე მნიშვნელოვანი კვალი დაემჩნია.

განვითარების მეორე პერიოდისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შეღავათიან ტრანზიტს. შეღავათიანი ტრანზიტის წლები შეიძლება მობრუნების პუნქტად ჩაითვალოს თბილისის საბრეწველო განვითარებაში. ვაჭრობის არნახულმა განვითარებამ საშუალება მისცა ჩვენს ვაჭრებს, რომლებიც დიდი სიმდიდრით არ გამოირჩეოდნენ, მნიშვნელოვანი ფულადი კაპიტალი დაეგროვებიათ. შემოზიდულმა დიდძალმა ევროპულმა საქონელმა მოსახლეობა მათ მოხმარებას მიაჩვია და მათ მოთხოვნილებას ადგილობრივი ტიპის ნაწარმი უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა, ხოლო მოსული რუსი და უცხოური ელემენტისათვის, რომლის რაოდენობა თბილისში თანდათან მრავლდებოდა, და ჯარის ნაწილებისათვის იგი საერთოდ მიუღებელი იყო. ამ ნიადაგზე თბილისში თანდათან ძლიერდება ახალი ევროპული ყაიდის ხელოსნობა, რომელიც თავდაპირველად მოსულმა რუსმა და უცხოელმა ოსტატებმა შემოიტანეს და რომელიც თანდათან ვრცელდებოდა ადგილობრივ ნიადაგზე და ადვილად ამარცხებდა ადგილობრივი ხელოსნური დარგების ნაწარმს. მოსულ ხელოსნებში ახალი წარმოებითი ურთიერთობა ადვილად იკაფავდა გზას და მათ ბაზაზე თბილისში ჩნდებოდნენ მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციები და ზოგჯერ მანუფაქტურებიც კი. უცვლელი არ რჩებოდა არც ადგილობრივი ამქრული ხელოსნობა და სასაქონლო წარმოება და შესაბამისად ახალი წარმოებითი ურთიერთობა მასშიაც იკაფავდა გზას.

[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, თბ., 1959, გვ. 423.

ამასობაში ჩამოყალიბდა ცარიზმის ეკონომიური პოლიტიკაც საქართველოს მიმართ. მას შემდეგ, რაც ძლევამოსილად დაამთავრა ომები ირანთან და თურქეთთან, რუსეთი უკვე აქტიურად იწყებდა ამიერკავკასიის ეკონომიურ დაპყრობას. ეს კი გარკვეულ ფარგლებში ამიერკავკასიაში მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარებასაც გულისხმობდა. ამიტომ იყო, რომ მთავრობის წრეები მნიშვნელოვნად ახალისებდნენ და სხვადასხვა დახმარებას უწევდნენ მთელ რიგ სამრეწველო წამოწყებებს ჩვენში, რომლებიც ან ქვეყნის რესურსების პირველად დამუშავებას გულისხმობდნენ იმპერიის ცენტრალური წარმოებებისათვის ნედლეულის მიწოდების მიზნით, ან სახაზინო (ჯარის და სხვ.) მოთხოვნილებისათვის იყვნენ გამიზნულნი, თუმცა, ბუნებრივია, ცარიზმის მოხელეები ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს ჩვენში წარმოების ისეთი დარგების განვითარებას, რომლებიც რუსული ფაბრიკატის გაბატონებას შეუშლიდნენ ხელს საქართველოში. ასე იყო თუ ისე, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას ჩვენში სხვადასხვა სამრეწველო წამოწყებების გაჩენისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. რადგან ადგილობრივი ვაჭრები მთავრობის წრეების წახალისებისა და შეღავათების გარეშე ვერ ბედავდნენ წარმოებაში დაებანდებიათ კაპიტალი.

ამრიგად, თუმცა ქალაქში ჯერ კიდევ უპირატესი მდგომარეობა წარმოების ხელოსნურ ამქრულ წესს ეჭირა, რომლის ბაზაზეც ჩვენში უხვად იქმნებოდნენ მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციები და ზოგჯერ მანუფაქტურებიც, ეხლა უკვე თანდათან სულ უფრო ხშირად იქმნებიან სხვადასხვა შედარებით მსხვილი კაპიტალისტური სამრეწველო წამოწყებები. ასეთ ცდებს ჩვენში ჯერ კიდევ გასული საუკუნის პირველ წლებში ჰქონდა აღგილი, მაგრამ მაშინ მათ რაიმე მნიშვნელოვანი წარმატება არ ჰქონიათ. ჩვენამდე მიღწეული მასალების მიხედვით პირველი მსხვილი კაპიტალისტური წარმოება, რომელიც ახალ, ევროპულ ყაიდაზე იყო მოწყობილი და გარკვეული წარმატებაც ჰქონდა, 1822 წელს თბილისში გახსნილი მიხ. სარაჯიშვილის ტყავის წარმოება იყო. იგი ტყავის დამუშავებაში ევროპულ ტექნოლოგიას იყენებდა. წარმოებამ 10 წელზე მეტ ხანს იარსება, მაგრამ ბოლოს შექმნილი არასასურველი ვითარების გამო არსებობა შეწყვიტა. ხოლო ჩქარა მას მოჰყვა ისეთი მსხვილი კაპიტალისტური საწარმოების მოწყო-

თბილისის სამრეწველო საწარმოები 1830—1849 წლებში

ცხრილი 4

	1830 წ.[1]	1835 წ.[2]	1838 წ.[3]	1843 წ.[4]		1847 წ.[5]		1849 წ.[6]	
				რაოდ.	წლიური შემოსავ.	რაოდ.	წლიური შემოსავ.	რაოდ.	წლიური შემოსავ.
აგურის	28	26	19	40	8.900	44	33.348	52	50000
ტყავის	3	2	3	3	5.200	2	14.948	2	14990
ლუდის	1	3	5	5	2.500	1	16.500		
სანერგი	—	—	—	1	—	5	3.905	3	2100
საპნის	—	1	1	2	27.000	2	16.590	4	28415
(აბრეშუმის)	(1)	(1)	(1)						
სპირტის სახდელი	—	1	1	—	—				
თიხის ჭურჭლის	6	—	10	—	—	12	830	15	10.000
შაქრის				1	66905				
კირის	—	—	—	3	1200				
კრამიტის	—	—	—	—	—	2	7070		
სპილენძის ჭურჭლის	—	—	—	—	—	1	18492	1	18.495
ზარების	—	—	—	—	—	—	—	1	3.000
ჭონის სანთლის	—	—	—	—	—	—	—	1	1.200
ასანთის	—	—	—	—	—	—	—	1	8
შეჯამებული ცნობები	39	34	40	55	111755	69	111683	80	127.900
საშ. წლიური შემოსავალი 1 საწარმოზე				2035		1.618		1.624	

1. სცსია, ფ. 16, ს. 4019, ფ. 67.
2. სცსია, ფ. 16, ს. 5255, ფ. 69.
3. სცსია, ფ. 16, ს. 5710, ფ. 269.
4. სცსია, ფ. 2, აღ. 1, ს. 10893, ფ. 94.
5. სცსია, ფ. 26, აღ. 2, ს. 568, ფ. 45.
6. სცსია, ფ. 26, აღ. 2, ს. 723, ფ. 268.

ბა, როგორც იყო კასტელას აბრეშუმსახვევი ფაბრიკა და იმერლის-შვილის სპირტის ქარხანა.

1830 წლიდან ხელთ გვაქვს ოფიციალური ცნობები თბილისის ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობის შესახებ, ხოლო 40-იანი წლიდან კი ცნობებში მათი შემოსავალიც არის აღნიშნული. ამ ცნობების მიხედვით თბილისის სამრეწველო განვითარების დინამიკა შემდეგნაირად წარმოგვიდგება (იხ. ცხრილი 4).

ვ. ი. ლენინი რუსეთის საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის ნაკლოვანებებზე მიუთითებდა. ჩვენში კი მოცემულ პერიოდში საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკა საერთოდ არ არსებობდა; ხოლო ცნობების შეკრება სხვადასხვა საწარმოების შესახებ ყოვლად ზერელედ, უპასუხისმგებლოდ ხდებოდა. ამიტომ ზემოთ მოყვანილი ცხრილის მონაცემები, რომლებიც ჩვენ ძირითადად თბილისის პოლიცმეისტერის და გუბერნატორის ანგარიშებიდან გვაქვს ამოკრებილი, ელემენტარულ კრიტიკასაც კი ვერ უძლებენ. ყოვლად გაუგებარია, მაგალითად, თუ რა ნიშნის მიხედვით ადგენდნენ ცარიზმის მოხელეები ამ უწყისებს. მათი უყურადღებობისა და თვითნებობის გამო ფაბრიკა-ქარხნების უწყისში მოხვედრილი ბევრი საწარმო სრულიად ვერ ამართლებს ამ სახელს. ჩვენ არაფერს ვამბობთ სუმბათაშვილისა და ბებუთოვის ტყავის „ქარხნებზე", რომელთა სოციალ-ეკონომიური ბუნების გაგება მათ მართლაც გაუჭირდებოდათ, მაგრამ უწყისში სრულიად გაუმართლებლად არის შეტანილი ლუდის სახარში კუსტარული და საოჯახო საწარმოებიც კი. სხვადასხვა ტიპის საწარმოებია არეული თიხის, ჭურჭლის, აგურის, კრამიტის „ქარხნებში" და, პირიქით, უწყისებში სრულიად არ არიან მოხსენებული საკმაოდ მსხვილი კაპიტალისტური საწარმოები, რომლების არსებობაც თბილისში სხვა ცნობებით დგინდება. ასეთები იყო, მაგალითად, 30-იან წლებში კრინსკის, მოგილევსკისა და სხვათა სამკერვალო წარმოებები, რომლებიც პირველი 30-ზე, ხოლო მეორე 15-ზე მეტ დაქირავებულ მუშას უწევდა ექსპლოატაციას და ექვი არ არის კაპიტალისტური მანუფაქტურის ხასიათს ატარებდნენ. ხოლო ასეთი არა ერთი უნდა ყოფილიყო. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ისიც საკმარისია, რომ რაღაც მიზეზის გამო ამ უწყისებში წლების განმავლობაში არ იხსენიებდნენ ისეთ მსხვილ წარმოებას, როგორიც იყო თბილისის აბრეშუმსაქსოვი (ყოფილი კასტელას) ფაბრიკა.

კიდევ უფრო არაზუსტია მოცემული წყაროების ცნობები აღ-

ნიშნული საწარმოების შემოსავლის შესახებ. მაგალითად, ყოველგ დაუშვებელია, რომ აგურის 40 ქარხანა 1843 წელს მხოლოდ 8.900 მანეთის პროდუქციას უშვებდა, ხოლო 1847 წელს — 33.348 მანეთისას. 1847 წლამდე 2 ტყავის ქარხნის შემოსავალი ფაქტიურად 5.000 მანეთამდეა აღნიშნული, მაშინ, როდესაც ჩვენს მიერ დადგენილია, რომ უკვე 30-იანი წლების შუა პერიოდში აღნიშნული ორივე ქარხნის შემოსავალი 100—120 ათასი მანეთი იყო. ჩვენ თავის ადგილზე, როცა ცალკეული დარგების განვითარებას ვიხილავდით, სხვადასხვა წყაროების შედარების და ანალიზის საშუალებით შევძელით დაგვედგინა ზოგიერთი დარგის საწარმოთა ფაქტიური შემოსავალი. მაგრამ ყველა საწარმოს მიმართ ასეთი საშუალოს ჩატარება ჯერჯერობით შეუძლებელია, ამიტომ ვამჯობინეთ ცალკეული საწარმოთა მიმართ არ შეგვესწორებია ეს ცნობები, რათა არ დაგვერღვია შეფარდება სხვადასხვა წლების მონაცემებს შორის. ამრიგად, ზემოთ მოყვანილი ცხრილის გამოყენება მეტნაკლებად შეუძლებელია, როგორც ფაბრიკა-ქარხნების რაოდენობის დასადგენად, ისე, მით უმეტეს, მათი შემოსავლის საერთო რაოდენობის დასაზუსტებლად. სამაგიეროდ. იგი ნათლად აჩვენებს განვითარების ხაზს. მაგალითად, 1830 წლიდან მოკიდებული, თბილისში სამრეწველო საწარმოების რიცხვი 20 წლის განმავლობაში თითქმის ორნახევარჯერ გადიდებულა, ხოლო შესაბამისად გაიზარდა მათი შემოსავლიანობაც. საერთო სურათში წამყვანი ადგილი საამშენებლო მასალების წარმოებას უჭირავს. განსაკუთრებით აჩქარებული ტემპებით თბილისის მრეწველობა 40-იანი წლების II ნახევრიდან ვითარდება.

ამრიგად, თბილისის სამრეწველო განვითარებაში წარმოისახა სრულიად ახალი გზა: მსხვილი კაპიტალისტური, ევროპული ყაიდის, საწარმოების გაჩენისა. თუ თავდაპირველად ასეთი სამრეწველო წამოწყებები უმთავრესად მთავრობის მხარდაჭერითა და დახმარებით ეწყობოდნენ და ძირითადად სახაზინო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ისახავდნენ მიზნად, თანდათანობით მასში წამყვანი ადგილი ბაზრის მოთხოვნილებისათვის ფართოდ წარმოებას უნდა დაეკავა და ისინი თავისუფალი კონკურენციის გზით უნდა განვითარებულიყვნენ.

ამ დროისათვის ამ ახალ წამოწყებებს თბილისის სამრეწველო ბალანსში ჯერ კიდევ მეტად მცირე ადგილი ეკავათ, მაგრამ იქმნებოდა ყველა პირობა იმისათვის, რომ ახალი ტიპის ხელოსნობის

განვითარებასთან ერთად, ისინი თბილისის სამრეწველო განვითარების მთავარ ღერძად გადაქცეულიყვნენ. რადგან რუსული და უცხოური საფაბრიკო ნაწარმის ფართოდ გავრცელებამ გზა დაუხშო ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების ადგილობრივ მიმართულებას მრეწველობის მთელ რიგ დარგებში; ასე დაეცა ჩვენში საქსოვი და მასთან დაკავშირებული წარმოებები ბამბის, შალისა და ა. შ. ასეთი ბედი ეწია, ალბათ, სხვა კაპიტალისტურ ჩანასახებსაც, რომელთა შესახებ ჩვენ ჯერჯერობით ცნობები არ გვაქვს ან ექვი არ არის, რომ განვითარების ადგილობრივი გზა, რომელიც, სავარაუდოა, უმეტესად გაფანტული მანუფაქტურის შექმნაში გამოიხატებოდა, გარკვეულ პერიოდში, საქართველოს მრეწველობას ჩამოყალიბებულ კაპიტალისტურ ფორმებამდე ჩაიყვანდა, მაგრამ ეს იქნებოდა მეტად ხანგრძლივი პროცესი. რუსეთთან შეერთებამ და მისმა ობიექტურმა შედეგებმა დაამუხრუჭეს საქართველოს მრეწველობის განვითარების ძველი მიმართულება, რათა შემდეგში ახალი, უფრო სწრაფი განვითარება გამოეწვიათ.

რეფორმამდელი ხანის თბილისის მრეწველობის ისტორიის **მესამე პერიოდი (1850—1864 წწ.)** კაპიტალისტური ურთიერთობის შემდგომი გაღრმავებით ხასიათდება.

ახალი წარმოების წესი და მისი შედეგები, რომლებიც დღითიდღე ღრმად იჭრებოდნენ თბილისის ხელოსნურ მრეწველობაში, სულ უფრო და უფრო მეტ წინააღმდეგობაში ვარდება ამქრულ რეგლამენტაციასთან და საერთოდ ამქრული ორგანიზაციის ფორმებთან. ამქრის ბრძოლას მოსულ ხელოსნობასთან, ვაჭრებთან და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებთან ეხლა ემატება მწვავე ბრძოლის გაჩაღება ამქრის შიგნით გაკაპიტალისტების გზაზე დამდგარ ოსტატსა და ამქრულ ორგანიზაციას შორის. სიმონ ბერიძისა და გედო ყაზაროვის მაგალითი რაიმე საგანგებო შემთხვევითობა კი არ იყო, არამედ კანონზომიერი ფინალი ახალი ურთიერთობის შეჭრისა ამქრულ ხელოსნურ ორგანიზაციაში, რომელიც ჯერ კიდევ იმ საუკუნის დასაწყისში ჩაისახა, ეხლა კი ისე განვითარდა, რომ მას ადრინდელ ჩარჩოებში არსებობა უკვე აღარ შეეძლო. ამქარი ძლიერი იყო თავისი ორგანიზებულობით, შეკავშირებით. იგი ყოველგვარ წინააღმდეგობას უძლებდა, სანამ ერთსულოვნად გამოდიოდა, მაგრამ ახალმა სიომ მისი პატრიარქალური სიმტკიცე შეარყია. მასში ბზარი გაჩნდა. ეს უკვე მისი დასასრულის დასაწყისი იყო. ივნისის გამოსვლები რევოლუციური

თბილისის სამრეწველო საწარმოების რაოდენობა და შემოსავლიანობა 1851—1865 წწ. ცხრილი 5

	1851[1]		1852[2]		1853[3]		1854[4]	
	რაოდ.	შემოსავალი	რაოდ.	შემოსავალი	რაოდ.	შემოსავალი	რაოდ.	შემოსავალი
აგურის	80	71000	75	58000	(60)	228,000	95	380000
კრამიტის	2	713	19	9000	11	11000	12	15000
თიხის	9	2250	8	3700	5	2000	7	4000
კირის	2	3700	—	—	1	1000	1	2500
საპნის	3	24050	3	19700	8	17000	8	18000
ტყავის	2	12000	2	9000	10	68000	11	68000
სპილენძსასხმელი	1	3200	1	500	—	—	—	—
სპილენძურკლის	1	20000	1	15000	1	4500	1	6000
ქონის სანთლის	2	1200	3	16000	2	2000	2	3500
საწახნაგო	—	—	—	—	1	12000	1	15000
თუჯსასხმელი წისქვილით	—	—	1	10000	1	40000	—	—
სადურგლო წარმ.	—	—	—	—	1	15000	—	—
ბამბის სართავი	—	—	—	—	1	24500	1	3500
მანქანური პურის	—	—	—	—	1	3000	2	5000
ლუდის,	—	—	—	—	1	3000	8	6000
სახერხი	—	—	—	3400	19	27000	33	55000
საზეინკლო	—	—	—	—	1	11000	1	10000
თამბაქოს	—	—	—	—	7	21000	10	30000
კარეტების	—	—	—	—	4	17000	6	25000
სხვა და სხვა	—	—	—	—	—	—	14	18700
ჯამი	102	138113	111	144300	139	507000	213	665200
საშუალო წლიური შემოსავალი ერთ საწარმოზე	1158		1300		3647		3123	

[1] ცსია, ფ. 26 აღ, 2 საქ. 894, ფ. 110.

[2] ცსიალ, ფ. 1263, აღ. 1, 1854 წ. საქ. 2426, ე. სტ. დანართი 1097.

[3] ს ცსია. ფ. 414, აღ. 1, საქ. 9 გ. 87.

[4] ს ცსია, ფ. 416, აღწ. 3 საქ. 1078 ფ. 111.

ფინალი იყო იმ რაოდენობრივი ცვლილებებისა, რომელსაც ამქარი განიცდიდა წლების განმავლობაში. ამქრის შესანარჩუნებლად დაწყებული მოძრაობა ამქრის საფუძვლის საბოლოო შერყევით დამთავრდა. ეს იყო ამ გაძოსვლების თვისობრივი შედეგი.

ძლიერდება მოზრდილი კაპიტალისტური საწარმოების გაჩენის ტენდენცია თბილისის ხელოსნობაში. მაგრამ ეს ტენდენცია, კვლავ, მოსულ და ახალი ყაიდის ხელოსნებში უფრო ძლიერია. 60-იანი წლების დასაწყისში თბილისში მოსულ ხელოსნებიდან 20-ზე მეტი ისეთი მსხვილი საწარმო აღმოცენდა, რომლებშიც 10,20 და ზოგჯერ მეტი დაქირავებული მუშაც კი მუშაობდა. ცხადია, ასეთი მოზრდილი კაპიტალისტური კოოპერაციები ადგილობრივ ხელოსნებშიც ისახებოდნენ. ამ ვარაუდის საშუალებას ჩვენ მრავალი არაპირდაპირი მითითება გვაძლევს, მაგრამ უშუალო ცნობები გარდა კანტიკუნტი აღნიშვნებისა, ასეთი ორგანიზაციების რაოდენობასა და სიდიდის შესახებ ჯერჯერობით ჩვენ არ მოგვეპოვება.

მაგრამ ყველაზე მეტად ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია სამრეწველო წამოწყებების მანამდე არნახული განვითარება და აყვავება. ამის ნათელი დადასტურებაა ქვემოთ მოყვანილი ცხრილი თბილისის სამრეწველო ორგანიზაციების რაოდენობისა და შემოსავლიანობის შესახებ[5] (იხ. ცხრილი 5).

ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ 1850—65 წლებში თბილისის მრეწველობა მანამდე არნახული ტემპებით ვითარდება. საწარმოების რაოდენობა ამ ხანებში 93-დან 213-მდე გაიზარდა, ე. ი. თითქმის 230%-ით, მაგრამ კიდევ უფრო ჩქარი ტემპით გაიზარდა ფაბრიკა-ქარხნების საერთო შემოსავალი 1851 წელს, 138. 113 მანეთიდან 1865 წ. 665.200 მანეთამდე, ე. ი. გაიზარდა 4,6-ჯერ. 10 წლის განმავლობაში ზრდის ასეთ ტემპებს არც ერთი აყვავებული კაპიტალისტური სახელმწიფო არ დაიწუნებდა. როგორც ვხედავთ ფაბრიკა-ქარხნების საერთო შემოსავლის ზრდის ტემპები

---

5 აღნიშნული ცხრილი ჩვენ გუბერნატორების ანგარიშების მიხედვით შეკაგინეთ. ისინი თუმცა უფრო სანდოები არიან, ვიდრე წინა პერიოდისა, რადგან ამ ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ცარიზმის ბიუროკრატიული აპარატი, დადგინდა საგადასახადო სისტემა და სხვ. ასე, რომ ცნობის შეკრება შედარებით უკეთეს ნიადაგზე დადგა, თუმცა მიუხედავად ამისა, არც ეს ცნობებია თავისუფალი მთელი რიგი ცოდვებისა და შეუსაბამობისაგან, რომელზედაც ჩვენ ზევით გვქონდა საუბარი.

გაცილებით ჩქარი იყო სამრეწველო საწარმოთა რაოდენობის ზრდის ტემპებზე, ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა საწარმოთა საშუალო წლიური შემოსავლიანობა, ისინი გამსხვილდნენ. აღნიშნულმა ზრდამ 10 წელიწადში დაახლოებით 270%-შეადგინა (1851 წელს თვითეული საწარმოს საშუალო წლიური შემოსავალი დაახლოებით 115 მანეთი იყო, 1861 წელს კი 3123 მან. ვერცხლით).

ცხრილიდან ჩანს, რომ მოცემულ ეტაპზე ისევე, როგორც ადრეც, თბილისის მრეწველობაში, როგორც რაოდენობით, ისე პროდუქციის ღირებულებით, წამყვანი ადგილი კვლავ საშენებლო მასალების წარმოებას უკავია (აგურის, კრამიტის, სამხერხაო და ა. შ.).

მეორე მთავარი დასკვნა, რის გაკეთების საშუალებასაც აღნიშნული ცხრილის მონაცემები გვაძლევს, იმაში მდგომარეობს, რომ ზრდის აღნიშვნელოვანი ტემპი იმ საწარმოებზე მოდის, რომლებიც მანქანებს იყენებენ. დამახასიათებელია, რომ 50-იანი წლების დასასრულისა და 60-იანი წლების დასაწყისისათვის თბილისის აგურის მრეწველობაში მანქანების შემოღება იწყება, სწორედ ამ პერიოდში მიაღწია აღნიშნულმა წარმოებამ მანამდე არნახულ განვითარებას. მსგავსი მდგომარეობა გვაქვს სახერხი, საზეინკლო, ტყავისა და სხვ. წარმოებებში, მართალია, ამ წარმოებებში მანქანების გამოყენების ცდები გაცილებით ადრე დაიწყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის აღნიშნულმა პროცესმა გავრცელებული სახე მიიღო. პირიქით ის წარმოებები რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო კვლავ ძირითადად ხელით შრომას ეყრდნობიან, და უმეტესად კაპიტალისტური მანუფაქტურის ფორმით გვევლინებიან, თითქმის არ იზრდებიან, ან მეტად მცირე ზომით იზრდებიან, ხოლო ზოგჯერ კი მცირდებიან და ბოლოს ჰქრებიან კიდეც. ასეთებია თიხის, საპნის, სანთლის, სპილენძ-ჭურჭლისა და სხვ. წარმოებები.

მოცემული პერიოდიდან მანქანური წარმოება თბილისში შესამჩნევ ზომებს იღებს და იგი თანდათან უკვე მნიშვნელოვან როლის თამაშს იწყებს ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისათვის წარმოებების მოწყობაში კერძო ინიციატივა მეტ ენერგიასა და გაბედულებას იჩენს, ჩნდება მთელი რიგი წარმოებები, რომლებიც სხვადასხვა სახის პროდუქციით ადგილობრივი ბაზრის დაკმაყოფილებას

ისახავდა მიზნად. ამის გამო აღნიშნული პერიოდის საწარმოები გაცილებით მტკიცენი და დღეგრძელნი არიან, ვიდრე წინა პერიოდისა.

2. რეფორმამდელი ხანის თბილისის მსხვილი სამრეწველო წამოწყების წარმოშობის გზების შესახებ

ფეოდალურიდან კაპიტალისტურ წარმოების წესზე გადასვლის ორი ძირითადი გზიდან (I. მწარმოებელი თვითონ ხდება ვაჭარი და კაპიტალისტი, II. ვაჭარი თანდათანობით იპყრობს წარმოებას). ჩვენს პირობებში. როგორც აღენიშნეთ, უპირატესობა მეორე გზას ეკუთვნოდა. მაგრამ აქ საკითხი ეხება ფეოდალური წარმოების წესიდან კაპიტალისტურზე თანდათანობით გადასვლას; ხოლო როცა ვლაპარაკობთ კაპიტალისტური წარმოების ჩასახვა-განვითარებაზე ისეთ ქვეყანაში, რომელიც შედარებით გვიან დაადგა რა განვითარების გზას, თვალწინ ჰქონდა სხვა ქვეყნების მაგალითები და, გარკვეული აზრით, დახმარების მიღების შესაძლებლობაც კი, ბუნებრივია, ამ წარმოების ჩასახვის ფორმები მეტად მრავალფეროვანი შეიძლება ყოფილიყო[6].

ასეთი მდგომარეობა იყო ჩვენშიაც. თუ ერთის მხრივ მიმდინარეობდა ფეოდალური წარმოების წესიდან კაპიტალისტურზე თანდათანობით გადასვლა, სადაც წამყვანი ადგილი ვაჭრის მიერ წარმოების თანდათანობით დაპყრობას ეკავა, მეორეს მხრივ თვალსაჩინო ზნიშვნელობა მოიპოვა სხვადასხვა ტიპის კაპიტალისტური საწარმოების უშუალოდ ზევიდან მოწყობის პრაქტიკამ.

საქართველო სამრეწველო დარგების კაპიტალისტურ განვითარებაში საგრძნობლად ჩამორჩა რუსეთს, მაგრამ მას შემდეგ, რაც რუსეთის ეკონომიკის ორბიტში მოექცა, მას საშუალება ეძლეოდა დასწეოდა მას. ეს მხოლოდ ნახტომის საშუალებით უნდა

---

6 ამ და ზოგიერთ სხვა თეორიულ საკითხში ჩვენ არ გვეთანხმება მკვლევარი დ. ვოგოლაძე (იხ. მისი ზემოთ დასახელებული ნაშრომი). იმის გამო რომ არსებითად უკვე გაეცით მას პასუხი ჩვენ წერილში „საქართველოში კაპიტალიზმის გენეზისის საკითხისათვის" (გადაცემული დასაბეჭდად ჟურნ. „მაცნე"-ში). წინამდებარე ნაშრომში აღნიშნულ სადაო საკითხებზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტად მიგვაჩნია.

მომხდარიყო. ამის შესაძლებლობას ჩვენს მრეწველობას ის უქმნიდა, რომ შედარებით გვიან დაადგა რა განვითარების გზას, მას შეეძლო გაეთვალისწინებია ევროპისა და რუსეთის გამოცდილება და ყველაზე რაციონალური გზა აერჩია.

თბილისის მსხვილი სამრეწველო წამოწყებები ძირითადად ახალი ტიპის ნაწარმის დამზადებას ისახავდნენ მიზნად. ამიტომ ტრადიციული ქართული ამქრული ხელოსნობა მათთვის კვალიფიციერი მუშახელის ბაზას ვერ ჰქმნიდა და ამის გამო მსხვილ სამრეწველო წამოწყებებში რუსეთიდან და ზოგჯერ ევროპიდან მოჰყავდათ სპეციალისტი ოსტატები, მოჰქონდათ წარმოების მოწყობილობები. რაკი თბილისის სამრეწველო წამომწყებები ადგილობრივი ხელოსნობიდან არ წარმოიშობოდნენ ჩვენში მონაცვლეობით ერთნაირად ძლიერად ვერ განვითარდნენ კაპიტალისტური ურთიერთობის ყველა ფორმები.

თბილისელი მრეწველები არამც თუ ოსტატებსა და მანქანა იარაღებს იწერდნენ რუსეთიდან და ევროპიდან, არამედ თვითონ მიემგზავრებოდნენ იქ, რათა ადგილზე გასცნობოდნენ საქმის დაყენებას ანალოგიურ წარმოებებში. ამრიგად, თბილისის მსხვილი საწარმოები ძირითადად ევროპისა და რუსეთის მსგავსი წარმოებების მაგალითზე, მათი მიბაძვით ეწყობოდნენ. ხოლო რუსეთში უმეტეს დარგებში ამ დროს სამრეწველო გადატრიალება კარგა ხნის დაწყებული იყო, ევროპის მოწინავე ქვეყნებში კი თითქმის დამთავრებულიც. ყოველივე ამან განაპირობა ის მდგომარეობა, რომ თბილისის მრეწველობაში სხვადასხვა ცდები და წამოწყებები უმეტესად თავიდანვე მეტ-ნაკლები ზომით მანქანის გამოყენებასაც გულისხმობდნენ.

თბილისის მსხვილ წამოწყებებში მანქანის გამოყენების ტენდენცია არსებობდა, ამ ტენდენციაში გარკვეული როლი მუშახელის სიძვირესაც უნდა ეთამაშა, რაც თბილისისათვის მეტად დამახასიათებელი იყო.

შექმნილმა ვითარებამ მსხვილი ევროპული ტიპის საწარმოების მოწყობას მეტად საიმედო მომავალი დაუსახა, ამიტომ ამ საქმეში ჩაერია მაშინდელი თბილისის საზოგადოების სრულიად განსხვავებული ფენის წარმომადგენლები. სამრეწველო წამოწყებების მოწყობას ხელს ჰკიდებდა თავად-აზნაურობაც, მაგ., ბარბალე იმერლიშვილი აზნაურის ქალი იყო, აზნაური გაბაშვილები აგურის ქარხნების მეპატრონეები იყვნენ, კასტელას ფაბრიკის ერთ-ერთი

მთავარი კომპანიონი გოლიცინი, თავადი და რუსეთის დიდი მემამულე იყო. ამასთან იგი დედით ქართველი და ქართულ თავადაზნაურობასთან დაახლოებული პირი ჩანს. სამრეწველო საწარმოების მოწყობაში ბედს ცდიდნენ ცარიზმის სხვადასხვა რანგის მოხელეებიც, რომლებიც ხშირად თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობას, არც მთლად ანგარების გაოუშე, აქტიურად იყენებდნენ დაწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინებისა და საკუთარი ჯიბის გასქელებისათვის, რის შესანიშნავი მაგალითიც ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისში მისცა საქართველოს სამოქალაქო მმართველმა კოვალენსკიმ. მთავრობის მოხელეები იყვნენ იმერლიშვილის მეუღლე სემიკოვი, რომელსაც წისქვილები და სახერხი წარმოებები ჰქონდა, იმერლიშვილის კომპანიონები: ჩერნიავსკი, პოდუჩევი, ზინჩენკო და სხვ. მთავრობის მოხელემ მაიორმა შემიოტმა რამდენიმე საწარმოს მოწყობა სცადა, ასევე ინჟ. ტექნოლოგმა ბიხოლდმა; მთავრობის სამსახურში იყო დრეს ტყავის ქარხნის ინიციატორი ანდრიევსი და ა. შ.

მთავრობის წახალისებითა და დახმარებით მსხვილ წარმოებების მოწყობაში ცდიდნენ ბედს უცხოელი და რუსი სპეციალისტები, რომელთაც თუმცა საკუთარი კაპიტალი თითქმის არ ჰქონდათ, მაგრამ მათ მთავრობა უმეტესად სიამოვნებით აფინანსებდა გრძელვადიანი შეღავათიანი სესხებით; ასეთები იყვნენ სპეციალისტები: რუსი ილინი, პრუსიელი კოწატ. კალაინი, ფრანგი რიშონე, გერმანელები შტუსი, ბრანდტი და მრავალი სხვა. მაგრამ უდავოა, რომ დიდი უპირატესობა ამ საქმეში უცხოელ და ძირითადად ადგილობრივ ვაჭრებს ეკუთვნოდათ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ეს იყო ფულადი კაპიტალის მქონე ერთადერთი კლასი საქართველოში, რომლის წარმომადგენლები თუმცა დიდი სიმდიდრით არ გამოირჩეოდენ, მაგრამ სავაჭრო აღმავლობამ XIX საუკუნის დასაწყისში მათი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა. თბილისელი ვაჭრები არც გამბედაობით გამოირჩეოდნენ, იმისათვის, რათა უცნობ საქმეში ფულადი რისკი გაეწიათ, მაგრამ ისინი ყველაზე ენერგიული და საქმიანები იყვნენ, ყველაზე უკეთ იცნობდნენ ბაზრის მოთხოვნილებას, ყველაზე უკეთ უღებდნენ ალღოს დროების პამართულებას და გარანტიის სახით, თუ კი ხელთ მოიგებდნენ მთავრობის მხარდაჭერის რაიმე გამოხატულებას, ფულადი დახმარება იქნებოდა ეს თუ პრივილეგია, ადვილად ლახავდნენ თავისსავე გაუბედაობას და წარმოებაში აბანდებდნენ კაპიტალს. თუ უცხო-

ელმა ვაჭრებმა საქართველოში სხვადასხვა წარმოებების მოწყობაში ხშირად ავანტურისტობით და თაღლითობით გამოიჩინეს თავი (კასტელა, გამბა), ადგილობრივი ვაჭრები როცა კი ხელს მოკიდებდნენ საქმეს, ცდილობდნენ იგი კეთილსინდისიერად მიეყვანათ ბოლომდე, თუმცა ამას ისინი ყოველთვის ერთნაირი წარმატებით ვერ ახერხებდნენ. სარაჯიშვილი, ზუბალაშვილი, თამამშევი, გუკასოვი, ლორის-მელიქოვი, ხატისოვი და ბევრი სხვა ვაჭარი მსხვილი კაპიტალისტური წარმოების ერთ-ერთი პირველი მერცხლები იყვნენ საქართველოში.

ფულადი კაპიტალის სიმცირის გამო ვაჭარი კაპიტალისტები თუ სხვები მთავრობის მნიშვნელოვანი სესხებისა და პრივილეგიების ფარეშე ვერ ახერხებდნენ წარმოების მოწყობას.

თბილისის ბაზარს ადგილობრივი და მოსული ხელოსნების ნაწარმი და უცხოეთიდან და რუსეთიდან უხვად შემოზიდული საქონელი ავსებდა. ეს აშინებდა ახლად გაჩენილ მრეწველ კაპიტალისტებს. ამიტომ მსხვილი წარმოებების — მნიშვნელოვანი ნაწილი — განსაკუთრებით 50-იან წლებამდე, ადგილობრივი ბაზრებისათვის არ ყოფილა განსაზღვრული; ისინი ან სახაზინო და ჯარის ნაწილების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ისახავდნენ მიზნად, ან ადგილობრივი რესურსების საფუძველზე რუსეთში გასატანი ნახევარფაბრიკატების დამზადებას. ამ საქმეში მნიშვნელოვანი როლი მთავრობის კოლონიურ პოლიტიკას ეჭირა, რადგან იგი მხოლოდ იმ წარმოებებს ეხმარებოდა, რომლებიც ან მხარის ეკონომიურ ათვისებას უწყობდა ხელს, ან სახაზინო მომარაგებისათვის იყო საჭირო, მაგრამ ამ შემთხვევებშიც კი მთავრობა მხოლოდ იმდენად აძლევდა სესხებსა და პრივილეგიებს ახალ წამოწყებებს, რამდენადაც ისინი კონკურენციას არ გაუწევდნენ რუსულ ნაწარმს. რუსი მემამულე მწარმოებლების დაცვის მიზნით მთავრობა ხშირად ზღუდავდა არამც თუ მისი მხარდაჭერით, თვით სახაზინო კაპიტალით მოწყობილ წარმოებებსაც კი.

კაპიტალის სიმცირისა და აგრეთვე იმის გამო, რომ ვაჭარი კაპიტალისტები არ იცნობდნენ წარმოებას, მსხვილი წარმოებების მოწყობას ხელს ჰკიდებდნენ მრავალრიცხოვანი კომპანიები, რომლებშიაც ხშირად 3—4 და მეტი კაცი იყრიდა თავს (ასე იყო, მაგალითად, იმერლიშვილის ქარხანაში). ასეთ ვითარებაში მათ შორის ადვილად იჩენდა თავს უკმაყოფილება, შუღლი და მტრობაც კი, რაც მეტად უარყოფითად მოქმედებდა წარმოების საბოლოო

ბედზე (გავიხსენოთ ისტორია იმერლიშვილისა და ზუბალაშვილის არყის ქარხნებისა, მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ზუბალაშვილის შაქრის ქარხანაშიც).

ყოველივე ზემოთქმულის გამო თბილისის სამრეწველო წამოწყებების უმეტესობა არ იყვნენ მტკიცენი. რადგან ისინი ხშირად არ გულისხმობდნენ ბაზრის დაპყრობას, მათზე გადამწყვეტ გავლენას ახდენდა მთავრობის პოლიტიკა და მაშინვე იღუპებოდნენ, როგორც კი ზევიდან მფარველობა მიაკლდებოდათ.

აღნიშნული პერიოდის მხოლოდ ერთეულმა წარმოებებმა გადაიტანეს ყოველგვარი განსაცდელი და მიაღწიეს რეფორმის შემდგომ ხანას, როცა ისინი საკმაოდ მსხვილ კაპიტალისტურ ფაბრიკებად და ქარხნებად ჩამოყალიბდნენ.

სამრეწველო წარმოებების მოწყობათა უდიდესი უმრავლესობა არ ფლობდა ყმა გლეხებს, ხოლო დაქირაველული შრომის გამოყენების ტრადიციები თბილისის საქალაქო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში, საშუალებას იძლეოდა, რომ წარმოებების მომწყობები ძირითადად თავისუფალი მუშახელის გამოყენებას დაყრდნობოდნენ. ჩვენ ვერ დავეთანხმებით ზოგიერთი მკვლევარის მტკიცებას იმის შესახებ, რომ საქართველოში თავისუფალი მუშახელი არ იყო და ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ კაპიტალისტურმა საწარმოებმა რეფორმამდელ საქართველოში გავრცელება ვერ ჰპოვეს. მაგალითად, პროფ. გ. კ. ბაქრაძე ნაშრომში: «Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке», ამტკიცებს, რომ «Капиталистическая мануфактура для своего возникновения и дальнейшего развития в дореформенный период не имела в Грузии достаточных наемных рук. Крестьяне были прикреплены к земле и находились в крепостной зависимости»[7].

ჯერ-ერთი, აღნიშნული მსჯელობის მიხედვით გამოდის, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი და წარმოებითი ურთიერთობა ვერ უნდა ჩაისახოს და გარკვეულად ვერ უნდა განვითარდეს ფეოდალიზმის ეპოქაში, რადგან ფეოდალიზმისათვის დამახასიათებელია ბატონყმური ურთიერთობა. ამავე დროს ავტორს კარგად მოეხსენება, რომ მანუფაქტურა რუსეთში ჩაისახა ფეოდალიზმის ჯერ კიდევ აყვავების ეპოქაში (XV—XVI სს.), ხოლო განვითარდა მე-17

---

[7] იხ. მისი დასახელებული ნაშრომი გვ. 31.

საუკუნეში, მიუხედავად იმისა, რომ რუსი გლეხებიც არანაკლებ ყმურ დამოკიდებულებაში იყვნენ. ხოლო თავისუფალი დაქირავებული შრომა რუსეთის ფაბრიკებში და ქარხნებში მე-19 საუკუნის დასაწყისშიაც ძლივს აღწევდა 52%,—ხოლო, რაც კიდევ უფრო უარესია, მისი გამოყენება განსაკუთრებით დაბალი იყო მსხვილ საწარმოებში და შედარებით მაღალი—წვრილებში[8]. და საერთოდ გამოჩენილმა რუსმა ეკონომისტებმა და ისტორიკოსებმა კარგა ხანია გამოთქვეს აზრი რუსეთის, ძირითადად არათავისუფალი შრომის ექსპლოატაციაზე დამყარებული მანუფაქტურების კაპიტალისტურ ბუნებაზე. მაგრამ არსებობდა თუ არა თავისუფალი მუშახელის კონტინგენტი რეფორმამდელ თბილისში?

პროფ. გ. კ. ბაქრაძეს თავისი დებულების დასამტკიცებლად მოჰყავს საარქივო ცნობა, სადაც აღნიშნულია, რომ «Действие прядильно-бумажной фабрики... в заштатном города Сигнахе... в последних месяцах 1840 года вовсе приостановлен по неимению мастеровых»[9]... აქ საქმე შემდეგში იყო: შავერდოვებმა თავის ფაბრიკაში მართლაც რუსეთიდან ჩამოიყვანეს ოსტატები, რომელნიც ორი წლის შემდეგ, რაღაც მიზეზის გამო, უკანვე გაბრუნდნენ. ერთი წყარო მიუთითებს, რომ ამის შემდეგ მეპატრონეებმა სპეციალისტები ვეღარ იშოვნეს და წარმოება დაიხურა. ავტორი ოსტატს (мастеровой) აიგივებს დაქირავებულ მუშასთან[10]. ასეთი მსჯელობიდან გამოდის, რომ საქართველოში ბატონყმური ურთიერთობის ბატონობის გამო თავისუფალი მუშახელი არ იშოვებოდა, ხოლო რუსეთში, სადაც არა ნაკლებ ბატონობდა ივივე ბატონყმური ურთიერთობა, თავისუფალი მუშა ხელი იმდენი ყოფილა, რომ რუსეთსაც ყოფნიდა და საქართველოშიც იგზავნებოდა. საკითხის ამგვარად დაყენება, ვფიქრობთ, არალოგიკურია.

რაც შეეხება თბილისს, აქ იმ დროისათვისაც თავისუფალ მუშახელზე ისეთი გაჭირვება არ ყოფილა, როგორც გვიხატავენ. ამის დასამტკიცებლად ჩვენ ერთ მაგალითს მოვიყვანთ: დაახლოებით იმ დროისათვის, როდესაც სიღნაღში ზემოაღნიშნული საწარმო მოეწყო, თბილისში შაქრის ქარხნის მოწყობას აპირებდნენ ძმები

---

8 Струмилин. Очерки экономической истории России. 1960 г. стр. 93.

9 გ. კ. ბაქრაძე. დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

10 იქვე.

შადინოვები. ძმები ცდილობდნენ მთავრობისაგან წარმოების მოწყობის პრივილეგია მიეღოთ, ამისათვის საჭირო იყო მთავრობის დაინტერესება რაიმე ისეთი საბუთით, რომელიც გაამართლებდა აღნიშნული წარმოების აუცილებლობას და სარგებლობას; ასეთ საბუთად კი ისინი მთავრობას მიუთითებდნენ, რომ ჩვენი საწარმოს დიდი სარგებლობა იმაშიც გამოიხატება, რომ ბევრი უსაქმური კაცი ჩვენს წარმოებაში სასარგებლო საქმეს და ლუკმა პურს იშოვნისო[11]. მაგრამ ასეთი მდგომარეობა მარტო თბილისში არ იყო. მაგალითად, იმავე სიღნაღში, სადაც შავერდოვების ბამბის წარმოება იყო მოწყობილი, თავისუფალი მუშახელის გარკვეული კონტინგენტი ყოფილა, ისე რომ ისინი ქირაზე ეხმარებოდნენ სოფლელ გლეხებს მოსავლის აღებაში[12] და სხვ.

ჩვენს მიერ აღწერილი მასალიდან ნათლად ჩანდა, რომ თბილისის სამრეწველო წამოწყებებში ნებითდაქირავებული შრომის ექსპლოატაციას უპირატესი ადგილი ეჭირა. მართალია, ზოგიერთ წარმოებაში ადგილი ჰქონდა იძულებითი შრომის გამოყენების ფაქტებსაც, მაგრამ, როგორც წესი, მას მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლი შეიძლებოდა მინიჭებოდა. მაგალითად, კასტელას ფაბრიკაში სხვადასხვა დროს იძულებითი მუშახელის (პატიმრები, ტყვეები, ყმები) რაოდენობა ზოგჯერ 100-საც კი აჭარბებდა. მაგრამ ისინი მხოლოდ ნაწილობრივ გამოიყენებოდნენ წარმოებაში და მათი უმეტესობა თითქმის უმოქმედოდ იყო, ხოლო რომლებიც მუშაობდნენ, მათი შრომის ნაყოფიერება იმდენად დაბალი ყოფილა, რომ, ფაბრიკის ერთ-ერთი ხელმძღვანელის აზრით, ფაბრიკის წარმატებას მანამდე არაფერი ეშველებოდა, სანამ საერთოდ უარს არ იტყოდნენ იძულებითი შრომის გამოყენებაზე. ფაბრიკაში ძირითადი სამუშაოები კი დაქირავებული მუშახელით წარმოებდა. იძულებითი შრომის გამოყენებას ადგილი ჰქონდა საწახნაგო ფაბრიკაშიაც (დაბალი ჩინები), მაგრამ აქ უკვე ისინი ეკონომიური დაინტერესების ნიადაგზე მუშაობდნენ. მათ, მართალია, მცირეს, მაგრამ მაინც გასამრჯელოს უხდიდნენ.

---

11 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 3590, ფურც. 1.

12 «Беднейшие же (жители Сигнахи) берут участки в обработания садов уездных жителей». სცსია, ფ. 16, საქმე 5255, ფურც. 13.

საინტერესოა საკითხი, თუ საიდან ივსებოდა დაქირავებული მუშახელის ბაზარი.

ფეოდალური მეურნეობის მოშლის პირობებში, როდესაც გლეხის ყმური შრომა ფეოდალს ვეღარ აძლევდა იმდენ ნამატს, რამდენიც საჭირო იყო მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, სასაქონლო ურთიერთობის განვითარება და ცხოვრების ახალი ყაიდის შემოსვლის პირობებში, როდესაც თავადაზნაურების წინაშე მწვავედ დადგა ფულის შოვნის საკითხი, ბუნებრივია, მუქთახორა მემამულეთა უმრავლესობა წინააღმდეგობას არ გაუწევდა გლეხის საშოვარზე ქალაქში წასვლას, თუკი იგი ბატონყმურ ბეგარას ფულად გადაიხდიდა. შეიძლება მრავალი მაგალითის მოტანა იმის დასამტკიცებლად, რომ ასე საშოვარზე წასული ყმა გლეხები არამც თუ თვითონ ექირავებოდნენ სხვებს, არამედ მათი უფრო მოხერხებული ნაწილი დიდ წარმატებას აღწევდა, მდიდრდებოდა და უკვე თვით ეწეოდა სხვისი შრომის ექსპლოატაციას. ამის ნათელი მაგალითია ანდრონიკაშვილის ყმა გლეხი გ. ომიაძე, რომელიც ქალაქში სახელოსნოს აფართოებს და, ეჭვი არ არის, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწევა. კახეთისა და ქართლის სახელმწიფო და საეკლესიო სამღვაროები ხშირად ყმა გლეხებს ჰქონიათ იჯარით აღებული, ცხადია, ფაქტიურად ისინი დაქირავებული შრომის ექსპლოატაციას ეწეოდნენ. მართალია, თბილისის სამრეწველო წამოწყებების ისეთი დაწვრილებითი აღწერები არ გვაქვს, რომ დასაქმებული მუშების სოციალური მდგომარეობა გავარკვიოთ, მაგრამ კანტიკუნტი მითითებებიდან ცხადი ხდება, რომ აღნიშნული მუშების ერთი ნაწილი ის ყმა გლეხები იყვნენ, რომლებიც საშოვარზე იყვნენ გაშვებულნი თავიანთი ბატონების მიერ (კუკიელი გლეხი—კიკოლა კატუაშვილი და ახალციხელი გრიქურა მაჯათოვი, ზუბალაშვილის ქარხანაში)[13].

დაქირავებული შრომის კონტინგენტის შექმნაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა თბილისში მახლობელი სოფლიდან დღიურ საშოვარზე ჩამოსულ გლეხებს. მაგალითად, თბილისის მაზრის უფროსის 1857 წლის ერთ-ერთ პატაკში აღნიშნულია, რომ ნავთლუღში 49 კომლი სახაზინო და 4 კომლი საეკლესიო გლეხი ცხოვრობს. თითო კომლზე 40 დღიური მიწა მოდის, მაგრამ სარწყავი წყლის უქონლობის გამო აქ მიწა უვარგისია და ამის გამო გლე-

13 სცს

ხები «...для пропитания себя вынуждены заниматься поденною работаю в г. Тифлисе, отбывая при том казенные подати...»[14]

თბილისი თავშესაფარი იყო საქართველოს ყველა კუთხიდან გამოქცეული ყმა გლეხებისათვის, რომელთა განსაკუთრებით დიდი ნაკადი დასავლეთ საქართველოდან მოედინებოდა. გამოქცეული იმერლების მოძებნის, აღრიცხვისა და უკან დაბრუნების საკითხი არაერთხელ იქნა დასმული ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე, მაგრამ პოლიციმეისტერი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ გამოქცეული იმერელი ყმები თბილისში ისე მოხერხებულად იმალებიან, რომ მათი პოვნა ყოვლად შეუძლებელია. საქმე იქამდე მისულა, რომ მთავრობას საჭიროდ დაუნახავს საკითხის მოსაგვარებლად სპეციალური ორგანიზაცია დაეარსებია „Временная комиссия для приведения в известность имеретинских и мингрельских выходцев, находящихся в Грузии...“[15] ცხადია, აღნიშნული გლეხების უდიდესი უმრავლესობა, რომლებიც სოფლის მებატონეთა არაადამიანურ ექსპლოატაციას და დაბეჩავებას გამოექცნენ, თბილისის შრომის ბაზარს ავსებდა, სადაც მას არანაკლები სიდუხჭირე, უუფლებობა და გაჭირვება ელოდა, რაც ასე შესანიშნავად დახატა დიდმა ილიამ თავის ლექსში — „მუშა“.

დაბოლოს, თავისუფალი მუშახელი მნიშვნელოვანი რაოდენობით მოდიოდა კავკასიის სხვადასხვა რაიონებიდან და უცხოეთიდან (სპარსეთი და სხვა). 1850 წელს, მაგალითად, თბილისში 1122 უცხოელია აღნიშნული, აქედან 865 შავი მუშაა, 146 ჯაჭვარი და დანარჩენი ხელოსანი[16]. 40-იანი წლების დასაწყისში თბილისში უცხოეთიდან და საქართველოს სხვადასხვა ადგილებიდან მოსული მუშახელი იმდენად მომრავლებულა, რომ მთავრობას შესაძლებლად მიუჩნევია მათზე სპეციალური გადასახადი დაეწესებია. 1843 წ. 24 ივნისს ამიერკავკასიის მხარის მთავარმართველობამ გამოსცა განკარგულება, რომ ყველა უცხოელი და სხვა ქალაქელი მუშა თუ ხელოსანი პოლიციაში უნდა გამოცხადებულიყო, აღიერიცხა ნომერი—თბილისში საქმიანობის ნებართვა და ეხადა გადასახადი: ხელოსანს 1 მან., შავმუშას კი 50 კაპ. წელიწადში. აღნიშნული

---

14 სცსია, ფ. 26, აღწ. 6, საქმე 764, ფ. 161.

15 სცსია, ფ. 3, საქმე 2310.

16 სცსია, ფ. 4, აღწ. 8, საქმე 263, ფურც. 219.

გადასახადი თბილისში მთელი რეფორმამდელი ხანის განმავლობაშია აღნიშნული[17].

ყველა აღნიშნული წყაროდან ივსებოდა თბილისის მუშახელის ბაზარი. იგი საკმაოდ მოზრდილ კონტინგენტს შეიცავდა. მაგალითად, 1864 წლის ერთ-ერთი ცნობით თბილისში ყოველწლიურად მარტო უცხოეთიდან და სხვა ქალაქებიდან მოსული 10 ათასი მუშა და ხელოსანი ცხოვრობს, ხოლო ზაფხულობით მათი რაოდენობა 20 ათასამდე ადის[18]. როგორც ვხედავთ, ეს საკმაოდ დიდი რიცხვებია, მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ ამ რიცხვში არ შეიძლება შედიოდნენ იმერელი გამოქცეული ყმები, რომლებიც თბილისში ფარულად იმყოფებოდნენ, და რომელთა რაოდენობა საკმაოდ დიდი იყო, ამაში არ შედიან თბილისის მაზრის სოფლებიდან ჩამოსული გლეხები, ცხადია ამაში აგრეთვე არ შედიან თვითონ ადგილობრივი მკვიდრები, რომლის გარკვეული ნაწილი, ბუნებრივია, თავისი შრომის გაყიდვით ირჩენდა თავს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, რეფორმამდელ თბილისში მუშახელზე ისეთი გაჭირვება არ ყოფილა, როგორც ამას ზოგიერთი ავტორი გვიხატავს.

სხვა საქმეა მუშახელის სიძვირე. ეჭვი არ არის, რომ თბილისში მუშახელის ფასი გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე, მაგალითად, რუსეთში, ამიერკავკასიის სხვა ადგილებში. ამაზე მრავალი საბუთი და მოგონება მიუთითებს. შორს რომ არ წავიდეთ, იგივე ძმები შადინოვები, რომლებიც შაქრის ქარხნის პრივილეგიას ითხოვდნენ, აღნიშნავდნენ: მთავრობის დახმარება ჩვენ იმიტომ გვჭირდება, რომ თბილისში მუშახელი მეტად ძვირია და ამაზე მეტად დიდი თანხა მიდისო. მუშახელის სიძვირე, უპირველეს ყოვლისა განპირობებული იყო პირველად მოხმარების საგნების მაღალი ფასებით თბილისის ბაზარზე, რის მთავარი მიზეზითაც თანამედროვეთა უმრავლესობა ამქრის მონოპოლიასა და პოლიტიკას ასახელებდა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც სრულიად საწინააღმდეგო მოსაზრებას აყენებდნენ.

---

17 სცსია, ფ. 16, საქმე 7547, ფ. 1.

18 სცსია, ფონდი 414, აღწ. 7, საქმე 10.

განსახილველი პერიოდის სამრეწველო წამოწყებებიდან ჩვენ მხოლოდ კასტელას ფაბრიკის მიმართ გვაქვს ასე თუ ისე სანდო ცნობები მუშების ხელფასის ოდენობის შესახებ, სხვა წყაროდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელოსნებისა და შავი მუშების დღიური ფასები, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ ხელოსნის დღიური ფასი საშუალოდ გაცილებით მაღალია მისივე კვალიფიკაციის დაქირავებულ მუშის მუდმივ გასამრჯელოზე. აქ საქმეს ის გარემოება განსაზღვრავს, რომ ხელოსნის დღიური შეწოსავალი არასტაბილურია, იგი თავის განმავლობაში დიდ დროს ანდომებს სამუშაოს შოვნას და სხვ. მეორეს მხრივ, თბილისის სამრეწველო წამოწყებებში თავიდანვე მანქანის გამოყენების შემოღება, მანქანაზე შრომის მოკლე დროში სწავლის შესაძლებლობას ჰქმნიდა, აქ საჭირო არ იყო ხელოსნური გაწაფვა და დახელოვნება. ყოველივე ამის გამო, მაგალითად, თბილისში 1828 წელს ხელოსანი ოსტატის შრომა დღეში დაახლოებით 1 მანეთამდე ფასობდა[19]. ამავე დროს კასტელას ფაბრიკაში დაქირავებული დურგალი (ამასთან ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი უცხოელი იყო, რომელთაც ჩვეულებრივ მეტს უხდიდნენ) თვეში 20 მანეთს იღებდა. მრთველები, რომლებიც კვალიფიციურ მუშებად ითვლებოდნენ, თვეში 10 მანეთს გასამრჯელოს იღებდნენ, ხოლო მრთველის მოწაფე, რომელიც ფაქტიურად დამხმარე მუშის ფუნქციას ასრულებდა, თვეში უფრო ნაკლებ გასამრჯელოს (8 მან.) იღებდა, ვიდრე საშუალოდ დღიურს შავი მუშა (30 კაპ. დღეში)[20]. აღნიშნული მონაცემებიდან შეიძლება ის დასკვნა გავაკეთოთ, რომ კვალიფიციური მუშა კაპიტალისტურ საწარმოში ხელოსნის დღიური გამომუშავების 2/3 იღებდა, მაგრამ ეს შეფარდება შემდეგი დროისათვის დარღვეულია, რადგან დროთა განმავლობაში ხელოსნის ხელფასი იზრდებოდა, მაგალითად, 1834 წლისათვის ოსტატის ფასი დღეში 1 მან. ან 1 მან. 20 კაპიკია, ხოლო 1859 წ. კი 1 მან. 20 კაპ.—1 მან. 50 კაპ.[21]. ხოლო კასტელას ფაბრიკაში მის არარენტაბელობის გამო მუშების ხელფასი არამც თუ არ გაზრდილა, არამედ თანდათანობით გარკვეულად კიდეც შემცირდა.

როგორც ჩანს, დაქირავებული მუშის ხელფასის ოდენობაზე გავლენას ისიც ახდენდა, რომ არაიშვიათად დამქირავებელი მუ-

---

19 სცსია, ფ. 2, აღწ. 1, საქმე 2070, ფ. 16.

20 ი ქ ვ ე, საქმე 2288, ფ. 10.

21 სცსია, ფ. 205, საქმე 12, ფურც. 12, 79, 95, საქმე 1624, ფურც. 31.

შებს ბინით და საკვებით აკმაყოფილებდა. რომ მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი თბილისის საწარმოებში არათბილისელი იყო, იქედანაც ჩანს, რომ თბილისის შედარებით მსხვილ საწარმოებში, თითქმის როგორც წესი, გათვალისწინებული იყო საცხოვრებელი ოთახების მოწყობაც. მაგალითად, მუშებისათვის საცხოვრებელი ოთახები მოწყობილი იყო იმერლიშვილის არყის ქარხანაში, სარაჯიშვილის ტყავის ქარხანაში, შტიუსეს მექანიკურ წარმოებაში და ა. შ. უნდა ვიფიქროთ, რომ წარმოების მეპატრონეები თავის ხარჯზე აძლევდნენ მუშებს საკვებსაც. ამაზე მიგვითითებს სამზარეულოების არსებობა თითქმის ყველა მოზრდილ წარმოებაში. ამაზე მიგვითითებს ისიც, რომ, მაგალითად, დაქირავებული მუშის საშუალო ხელფასი ერთ-ერთი ცნობით იმერლიშვილის ქარხანაში 4 მანეთი ყოფილა, მაშინ, როდესაც კასტელას ფაბრიკაში იმავე დროს ტყვე თურქებს 5 მანეთს უხდიდნენ თვეში, ხოლო პატიმრებზე თვეში 4 მან. 50 კაპ. იხარჯებოდა.

საერთოდ აღნიშნული პერიოდის სამრეწველო წამოწყებების მუშათა მდგომარეობისა და შრომის პირობების შესახებ ჩვენ ცნობები თითქმის არ გაგვაჩნია. ჯერჯერობით ვიცით მხოლოდ, რომ, მაგალითად, კასტელას ფაბრიკაში სამუშაო დღე უზომოდ ხანგრძლივი იყო. იგი შესვენებების გარეშე 12—14 საათს გრძელდებოდა, ხოლო შესვენებით 18 საათსაც კი, თუმცა საწარმოს არარიტმული მუშაობის გამო ზოგჯერ მუშები მთელი დღის განმავლობაში უსაქმოდ იყვნენ. უკვე იმ დროიდან იწყება წარმოებებში ქალებისა და ბავშვების შრომის გამოყენება თავისუფალი დაქირავების ნიადაგზე. ასე იყო, მაგალითად, კასტელას ფაბრიკაში, დრეს ფაბრიკაში, ენფინჯიანცის თამბაქოს წარმოებაში. უფრო გვიანი — 1869 წლის ცნობით მცირეწლოვანთა შრომას ფართოდ იყენებდნენ მირზოევის მატყლსარეცხ წარმოებაშიც[22] და ა. შ.

ასეთია ჩვენს ხელთ არსებული მეტად მცირეოდენი ცნობების მიხედვით მუშახელის დაქირავებისა, შრომის პირობებისა და მუშათა მდგომარეობის საკითხი მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის კაპიტალისტურ საწარმოებში. როგორც ვხედავთ, უკვე კაპიტალისტური ურთიერთობის გარიჟრაჟზევე იჩინა თავი ამ წარმოებითი ურთიერთობის მგლურმა ბუნებამ, რომელიც მშრომელთა არაადამიანური მახინჯი ექსპლუატაციის საფუძველზე ცდილობდა მიეღწია წარმოების მომგებიანობისათვის.

22 იხ. „ცისკარი", 1869 წ., № 9, გვ. 95.

3. რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო წამოწყებების მეცნიერული კლასიფიკაციის საკითხისათვის

ჩვენ წინამორბედ ავტორთა დიდი უმრავლესობა, რეფორმამდელი ხანის თითქმის ყველა სამრეწველო საწარმოს განიხილავს როგორც კაპიტალისტურ მანუფაქტურას. გამონაკლისს წარმოადგენს პროფ. პ. გუგუშვილის შრომა „სოფელ დრეს მაუდის სარეწავი", სადაც მან დრეს წარმოება მანუფაქტურიდან ფაბრიკულზე გარდამავალ საწარმოდ მიიჩნია[23]. მხოლოდ პროფ. ა. კიკვიძემ მიაქცია მეცნიერთა ყურადღება იმ გარემოებას, რომ რეფორმამდელი საქართველოს მსხვილი სარეწები თავიდანვე მანქანური სახელოსნოების სახით ისახებოდნენ, თუმცა მანქანა წარმოების პროცესს მთლიანად ვერ მოიცავდა და მას მნიშვნელოვან წილად ხელით შრომა ავსებდა[24].

ჩვენ მიერ განხილული მასალიდან ნათლად გამოჩნდა, რომ სამრეწველო წამოწყებების უდიდესი უმრავლესობა, რაღაც ზომით მაინც, თავიდანვე გულისხმობდა მანქანის გამოყენებას. ზემოთ შეეცადეთ მოგვეძებნა აღნიშნული გარემოების ობიექტური მიზეზები. ჩვენ მიერ მოტანილი მასალის ერთი ნაწილი აქამდე უცნობი იყო მეცნიერთათვის, მაგრამ ის ნაწილიც კი, რომელიც დიდი ხანია ცნობილია, ჯეროვნად არ იყო შეფასებული ჩვენის აზრით იმის გამო, რომ ცდილობდნენ რა საქართველოს კაპიტალისტური განვითარების ისტორია მოექციათ საერთოდ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების განვითარების კლასიკურ ჩარჩოებში, მეცნიერების წინაშე დაისვა ამოცანა ჩვენში აღენიშნაო განვითარების მანუფაქტურული პერიოდი. ამ პერიოდიდან მიჩნეული იქნა მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანა. აქედან გამომდინარე, ავტორთა უმრავლესობა უყურადღებოდ ტოვებდა წყაროების დაბეჯითებით მითითებებს რეფორმამდელი ხანის ამა თუ იმ საწარმოებში მანქანების არსებობის შესახებ და ეპვსაც კი გამოთქვამდნენ მათ სისწორეზე. ავტორთა შედარებით მცირე ნაწილი კი, თუმცა აღნიშნავდა აქა-იქ მანქანის გამოყენების ფაქტებს, მაგრამ სათანადოდ ვერ აფასებდა მათ.

---

23 იხ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1938 წ. ნაკ. III, გვ. 40.

24 ა. კ ი კ ვ ი ძ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე) თბ., 1954. გვ. 228.

ვ. ი. ლენინი განმარტავს რა იმ უდიდეს რევოლუციურ შედეგებს, რაც მანქანურ წარმოებას ᲫᲝᲡᲓᲔᲕᲔᲡ, ᲐᲣᲙᲕᲜᲘᲡ: „აქედან ცხადია, რომ კაპიტალიზმის განვითარების საკითხში სწორედ მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გადასვლას აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა. ვინც ამ ორ სტადიას ერთმანეთში ურევს, ის ვერ გაიგებს იმ გარდამქმნელ, პროგრესიულ როლს, რომელსაც კაპიტალიზმი ასრულებს“[25].

ჩვეულებრივად მანქანური წარმოების განმსაზღვრელ ნიშნად ზოგიერთი მკვლევარი იღებს ორთქლის მანქანის არსებობას, ამასთან იმოწმებენ ლენინს, სადაც ის ლაპარაკობს: „ცხადია მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ზრდის შესახებ რომ ვიმსჯელოთ, საჭიროა თავდაპირველად დავადგინოთ განსაზღვრული ნიშანი „ფაბრიკის“ ცნებისათვის. ასეთ ნიშნად ვიღებთ ორთქლის ძრავის არსებობას“[26].

მოტანილი ციტატის ისე წარმოდგენა, თითქოს ლენინი აქ ლაპარაკობდეს, რომ ორთქლის მანქანის გამოყენების გარეშე საერთოდ არ არსებობს ფაბრიკული წარმოება, გაუგებრობაზეა დამყარებული. საკმარისია ყურადღება მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ლენინი გარკვევით მიუთითებს არა „განმსაზღვრელ“ არამედ მხოლოდ „განსაზღვრულ ნიშანზე. ამასთან იგი არანაკლები გარკვეულობით აღნიშნავს, რომ იგი ასეთ ნიშნად „იღებს“ (რაც გარკვეულ პირობითობას ნიშნავს)[27] და არა „თვლის“ ორთქლის მანქანის არსებობას. მაგრამ ყველაფერი ნათლად გაირკვევა თუ აღნიშნულ ციტატას მთელ კონტექსტში გავითვალისწინებთ, აქ ლენინი ეხება კვების პროდუქტთა წარმოებას, კონკრეტულად საფქვავ წისქვილებს. წარმოების ეს დარგი, ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელშიც მანქანის სპორადიული გამოყენება კაპიტალიზმის ეპოქამდე მრავალი საუკუნით ადრე ჩაისახა და ამდენად მათი არსებობა კაპიტალისტური მსხვილი მრეწველობის განვითარების ნიშნად არ გამოდგება. ამიტომ ვ. ი. ლენინი სავსებით სამართლიანად თვლის, რომ „ორთქლის წისქვილები მსხვილი მანქანური ინდუსტრიის ეპოქის დამახასიათებელი თანამგზავრია“[28]. ᲑᲝᲚᲝᲚ, რომ

---

25 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებები, ტ. 111, გვ. 536.

26 ᲘᲥᲔᲔ, გვ. 567.

27 მაგალითად, საფეიქრო წარმოების მიმართ ლენინს მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების გასათვალისწინებლად შესაძლებლად მიაჩნია აიღოს ცნობები მექანიკური საქსოვი დაზგების რაოდენობის შესახებ. გვ. 559.

28 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებები, ტ. 3, გვ. 567.

თავისთავად ორთქლის მანქანა აუცილებელი არ არის ფაბრიკის ხასიათის არსებობისათვის, ეს თვალნათლივ ჩანს ლენინის მითითებიდან იქვე შენიშვნაში: „აშკარაა წყლით მომუშავე მსხვილი წისქვილებიც ფაბრიკის ხასიათს ატარებენ, მაგრამ წვრილთა რიცხვიდან მათ გამოსაყოფად ჩვენ ცნობები არ გვაქვს, 1890 წლის საძიებლის მიხედვით ჩვენ ვიანგარიშეთ 250 წყლის წისქვილი, სადაც 10 და მეტი მუშაა დაბანდებული“[29].

ამრიგად ორთქლის მანქანის არსებობის მიჩნევა ფაბრიკული წარმოების განმსაზღვრელ ნიშნად მართებული არ არის.

მეორის მხრივ, ფაბრიკის ხასიათის განმსაზღვრელ ნიშნად ზოგიერთი მკვლევარი იღებს წარმოებაში დაბანდებულ მუშათა გარკვეულ რაოდენობას — 16. ამასთან მიუთითებენ ლენინზე. ვ. ი. ლენინი განიხილავს რა რუსეთის საფაბრიკო სტატისტიკის ნაკლოვანებებს, აღნიშნავს, რომ უმეტეს შემთხვევაში მათი ცნობები გამოუსადეგარია. ამიტომ იმ კითხვაზე პასუხის გაცემად — იზრდება თუ მცირდება ფაბრიკებია რიცხვი რუსეთში, საჭიროდ მიიჩნევს დაადგინოს ფაბრიკის ცნების ერთი რაიმე ზუსტი ნიშანი, რადგან „უამპირობოდ,—ამბობს იგი,—უაზრობა იქნება მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების დასურათება იმ საწარმოთა შესახები ცნობებით, რომელთა რიცხვში სხვადასხვა დროს ხვდებოდა სხვადასხვა რაოდენობა წვრილი წისქვილებისა. ზეთსახდელებისა, აგურის საწვავებისა და სხვ. და სხვ. ასეთ ნიშნად,—განაგრძობს ვ. ი. ლენინი,—ავიღოთ საწარმოში დაბანდებული მუშათა რიცხვი არანაკლებ 16-ისა“[30]... როგორც ვხედავთ ლენინი აქაც კვლავ ხმარობს სიტყვას „ვიღებთ“ რაც გარკვეულ პირობითობაზე მიუთითებს. საქმე იმაშია, რომ კონკრეტულად ყველა დარგის მიმართ მუშახელის ერთნაირი რაოდენობა არ შეიძლება იყოს განმსაზღვრელი ფაბრიკული ხასიათის გასარკვევად. მაგალითად, წისქვილებს ლენინი ფაბრიკულ ხასიათის სარეწავად თვლის იმ შემთხვევაშიც, თუ მუშათა რაოდენობა 10-ზე მეტია. მეორეც დაბანდებული მუშების რაოდენობა არ ნიშნავს უშუალოდ წარმოებაში მომუშავეთა რაოდენობას, რადგან დასაქმებულთა შორის შეიძლება იყვნენ ნოქრები; დარაჯები და ა. შ.

ამგვარად ზოგიერთი მკვლევარი ლენინის სახელმძღვანელო დებულებებს უდგება მექანიკურად, ასე გადმოაქვს ისინი და

29 იქვე. გვ. 567, შენიშვნა 3.

30 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულ.. ტ. 3, გვ. 552.

ადგენს ტრაფარეტს: თუ წარმოებაში იყენებენ ორთქლის მანქანას და მასში დასაქმებულია 16 მუშა, საწარმოო ფაბრიკული ხასიათისაა. როდესაც ხელთ გვაქვს ასეთი „უტყუარი" იარაღი, მართლაც ძნელია რაიმე შეცდომა დაუშვა. მაგრამ საქმე სულ სხვაგვარადაა. მაგალითად, 70-იანი წლების დასაწყისში თბილისში მირზოევმა მოაწყო საკმაოდ დიდი მატყლსარეცხი სარეწი. მასში 300 (სხვა ცნობით 500) მუშა მუშაობდა, წარმოებაში იყენებდნენ ორთქლის მანქანას[31]. ამ მსჯელობის მიხედვით მირზოევის ზემოაღნიშნული სარეწი საკმაოდ დიდი და განვითარებული ფაბრიკა-ყოფილა, მიუხედავად იმისა, რომ ორთქლის მანქანის გამოყენება სარეწში მტკვრიდან წყლის ამოქაჩვით განისაზღვრებოდა. ხოლო დანარჩენი ოპერაციები მხოლოდ და მხოლოდ ხელით წარმოებდა. პირიქით, ასეთი მსჯელობის მიხედვით გამოდის, რომ, მაგალითად, დრეს მაუდის ფაბრიკა მანუფაქტურა იყო, რადგან იქ ორთქლის მანქანა არ იდგა, მანუფაქტურა ყოფილა შტიუსეს მექანიკური წარმოებაც. როგორადაც მას მართლაც მიიჩნევს ზოგიერთი მკვლევარი, ასე, მაგ., გ. კ. ბაქრაძე, აღნიშნულ წარმოებაზე შენიშნავს: «Оно не имело паровой машины, а также достаточное количество рабочих, поэтому механическое заведение Тамамшева (б. Штюссе) нельзя считать фабричным предприятием, оно носило ремесленно-мануфактурный характер»[32]. ეს თურმე რაში ყოფილა საქმე. რაკი ორთქლის მანქანა არ არის და 16 კაცი არ მუშაობს, წარმოება მანუფაქტურაა. ხოლო ამ გარემოებას, რომ წარმოებაში იდგა უზუსტესი მანქანები, რომლებიც მოძრაობაში მოდიოდნენ ერთი ცენტრალური ამძრავის საშუალებით, რომელშიც ცხენის ძალას იყენებდნენ, ამას თურმე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია.

ჩვენი აზრით, აქ აშკარა შეცდომასთან გვაქვს საქმე. საქმე იმაშია, რომ როცა რომელიმე დიდი ავტორიტეტის მსჯელობას ვიყენებთ, უნდა გავითვალისწინოთ ის კონკრეტული ვითარება, რომელშიაც ეს მსჯელობა წარმოიშვება, წინააღმდეგ შემთხვევაში შეცდომისაგან დაზღვეული ვერ ვიქნებით. როდესაც ვ. ი. ლენინი მანქანური წარმოების ნიშნად ორთქლის მანქანის არსებობას იღებს, ამას იგი აკეთებს შემაჯამებელი ცნობების ნიადაგზე მთელი

---

31 ჟურნ. „ცისკარი", 1869 წ. № 9.

32 გ. ბ ა ქ რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

რუსეთის მასშტაბით. რეფორმისშემდგომი რუსეთის მსხვილ მრეწველობისათვის ორთქლის მანქანის არსებობა მართლაც ყველაზე უფრო თვალნათლივი დამახასიათებელი ნიშანია იმ ცნობების მიხედვით, რომელსაც საფაბრიკო საქარხნო სტატისტიკა იძლეოდა; ამდენად იგი საესებით სწორი და ერთადერთი მეცნიერული გზა არის მოცემულ ვითარებაში; თუმცა ცალკეული საწარმოების მაგალითზე მან შეიძლება ზოგჯერ შეცდომა გამოიწვიოს. მაგრამ ლენინს არც საშუალება ჰქონდა, რომ რუსეთის ყველა სარეწში კონკრეტულად აეწერა, რომელთა რიცხვი ათასებს შეადგენდა, და არც იყო ასეთი საჭიროება. ხოლო როცა ჩვენ ვიღებთ ამგვარ ფორმულას და ვუყენებთ რომელიმე კონკრეტულ საწარმოს, ისიც არა რუსეთში, არამედ საქართველოში და არა მე-19 საუკუნის 90-იანი წლებში, არამედ რეფორმამდელ ხანაში, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ შეცდომა მოგვიეიდეს, მით უმეტეს, რომ მთელმა რიგმა ობიექტურმა მიზეზებმა, რომლებზედაც ჩვენ ცოტა ქვევით შევჩერდებით, განსაზღვრეს ის გარემოება, რომ ორთქლის მანქანის გავრცელება საქართველოში მოცემულ პირობებში განსაკუთრებულად ძნელად ხდებოდა.

მსგავსივე მდგომარეობაა წარმოებაში 16 დაბანდებულ მუშის აღიარებაში „ფაბრიკის" ნიშნად. თვითონ ვ. ი. ლენინი შემდეგნაირად ხსნის ამ გარემოებას: „ფაბრიკის" ცნების ჩვენ მიერ აღებული ნიშანი ყველაზე უფრო ზუსტად მიგვაჩნია, ვინაიდან ფაბრიკათა რიცხვში იმ საწარმოების ჩათვლა, სადაც 16 და ძეტი მუშაა, უდაო იყო ჩვენი საფაბრიკო-საქარხნო სტატისტიკის სულ სხვადასხვა პროგრამისა და ყველა წარმოებისათვის"[33]. აი რაში ყოფილა საქმე, თუმცა ლენინს წარმოების ზოგი დარგისათვის დასაშვებად მიაჩნია, რომ შესაძლებელია რიცხვი 16 შემცირებული იყვეს, რაც წისქვილების მაგალითზე დაგვანახვა, სადაც მას 10 მუშის პირობებშიაც მიაჩნია, რომ საქმე გვაქვს ფაბრიკის ხასიათის წარმოებასთან. ამრიგად, სარეწში 16 მუშის არსებობის მიჩნევა წარმოების ფაბრიკული ხასიათის აუცილებელ პირობად ყოველთვის გამართლებული არ შეიძლება იყოს.

მართლაც, ცნობილია, რომ მანქანის არა მარტო შემოღება, არამედ სულ მცირედი გაუჯობესებაც კი, მუშების საჭირო რიცხვის შემცირებას იწვევს. პირობით დავუშვათ ისეთი წარმოება,

---

33 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 553, შენიშვნა.

სადაც ზუსტად 16 კაცი მუშაობს, საქმე გვაქვს მანქანების სისტემასთან და ისინი ორთქლის ძალით მოდიან მოძრაობაში, ე. ი. სახეზეა ფაბრიკის ყველა ნიშანი. დავუშვათ, რომ წარმოებაში გაუმჯობესებული მანქანების შემოღებით შემცირებულ იქნა მუშების რიცხვი, თუნდაც უმნიშვნელო რაოდენობით და იგი დავიდა 14 ან 12 კაცამდე, ამის გამო განა წარმოება ფაბრიკის ხასიათს დაკარგავს და მანუფაქტურად გადაიქცევა? რასაკვირველია არა. კ. მარქსმა, აღნიშნა რა შეტად ორიგინალური ვითარება ინგლისის საფეიქრო წარმოებაში, სადაც წვრილი წარმოებები, რომლებიც რამდენიმე კაცს აერთიანებენ (2—6 დაზგით) და ორთქლს ქირაობენ დაზგების მოძრაობაში მოსაყვანად, მათ „ფაბრიკა-კოტეჯები" უწოდა[34], რითაც ხაზი გაუსვა ამ სარეწების ფაბრიკულ ბუნებას, მასშტაბის სიმცირის მიუხედავად, რადგან წარმოებაში გამოყენებულია მანქანები და ცენტრალური ამძრავი ნაქირავები ორთქლის სახით. კაპიტალიზმის მანქანური „სტადიის ძირითადი და ყველაზე არსებითი ნიშანი მდგომარეობს წარმოებისათვის მანქანების სისტემის გამოყენებაში"[35]. ასეთია ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითება.

მაშასადამე, როცა რომელიმე კონკრეტული საწარმოს ხასიათს ვადგენთ, მანქანების სისტემის არსებობა არის ერთადერთი სწორი და უტყუარი ნიშანი ფაბრიკის მეცნიერული ცნების დადგენისათვის.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა რომელიმე წარმოებაში ან მანუფაქტურა, ან ფაბრიკა დაგვენახა, რადგან სწორედ მანუფაქტურიდან ფაბრიკაზე გარდამავალ ეტაპს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, როგორც ამას ვ. ი. ლენინი მიუთითებს. ხოლო ლენინის ეს მითითება ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რადგან მე-19 საუკუნის რეფორმამდელი ხანის თბილისის სამრეწველო წამოწყებები თავისი სოციალურ-ეკონომიური ბუნებით ყველაზე ახლოს დგანან მანუფაქტურიდან ფაბრიკულ წარმოებაზე გარდამავალ საფეხურთან. ზოგში გადასვლის პროცესი უფრო შორსაა წასული ისე, რომ შეიძლება უკვე ფაბრიკულ წარმოებაზე ვილაპარაკოთ, ზოგში კი მხოლოდ ჩანასახოვან მდგომარეობაშია.

ახლა უნდა გაირკვეს საკითხი, თუ საიდან შეიძლება ვიგულისხმოთ მანუფაქტურული წარმოების მანქანურ წარმოებად გა-

---

34 კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 581—582.

35 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 3, გვ. 535.

დაქცევის დასაწყისი. ყოველ განვითარებულ მანქანურ მოწყობილობაში კ. მარქსი სამ არსებით ნაწილს გამოჰყოფს: მანქანა ძრავას, გადამცემ მექანიზმს და სამუშაო მანქანას (მანქანა-იარაღი). პირველი ორი ნაწილი მესამეს, სამუშო მანქანას ემსახურება, ისინი იმისათვის არსებობენ, რომ სამუშაო მანქანა მოძრაობაში მოიყვანონ[36]. „მანქანის სწორედ ეს ნაწილი, სამუშაო მანქანა, მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციის ამოსავალი პუნქტია. იგი ახლაც ამოსავალი პუნქტია ყველა იმ შემთხვევაში, როცა ხელოსნური ან მანუფაქტურული წარმოება მანქანურ წარმოებად იქცევა"[37]. ამრიგად გამოდის, რომ თუ თბილისის რომელიმე წარმოებაში თავს იჩენს წარმოების მთავარ (და არა მეორეხარისხოვან, მოსამზადებელ) ოპერაციებში მანქანის თუნდაც ნაწილობრივი გამოყენება, მაშინ უკვე შეიძლება ლაპარაკი იმაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში დაწყებულია მანქანურ წარმოებაზე გადასვლა, რადგან მანქანა თავიდანვე იპყრობს არა მთელ წარმოებას არამედ მის ცალკეულ ოპერაციებს, ხოლო თუ როგორ და რა გზით მოდის აღნიშნული მანქანა მოძრაობაში, ამას გადასვლის პროცესის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს: „როდესაც 1735 წელს ჯონ უაიეტმა ქვეყანას ამცნო თავისი სართავი მანქანის გამოგონება და ამასთან ერთად მე-18 საუკუნის სამრეწველო რევოლუციაც. მას კრინტიც არ დაუძრავს იმაზე, რომ ამ მანქანას ადამიანის ნაცვლად ვირი აამოძრავებდა, და, მიუხედავად ამისა, ეს როლი მაინც ვირს ხვდა წილად[38].

მაგრამ, თუ მანქანური წარმოების ჩასახვა სამუშაო მანქანის შემოსავლით იწყება, ჩამოყალიბებულ სახეს იგი მხოლოდ მაშინ იღებს, როცა საქმე გვაქვს მანქანების სისტემასთან. მანქანების სისტემა მარქსის მიხედვით, ორგვარი შეიძლება იყოს: 1) როდესაც იგი ერთგვაროვანი მანქანების უბრალო კოოპერაციას ემყარება და 2) „მანქანების სისტემა ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობის კომბინაციას. „მანქანების სისტემა არის იგი დამყარებული ერთგვაროვანი სამუშაო მანქანების უბრალო კოოპერაციაზე, როგორც ფეიქრებში, თუ სხვადასხვაგვარი მანქანების კომბინაციაზე.

---

36 კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. 1, გვ. 472.
37 ი ქ ვ ე, გვ. 472—473.
38 ი ქ ვ ე, გვ. 471.

როგორც რთვაში, — თავისთავად დიდ ავტომატს წარმოადგენს, რაკი იგი მოძრაობაში მოჰყავს საკუთარი მოძრაობის წარმომშობ ერთ პირველად ძრავას[39].

თუ თვალს გადავავლებთ თბილისის რეფორმამდელი ხანის სამრეწველო წარმოებების ისტორიას, ჩვენ შევამჩნევთ მანქანების სისტემის მეტნაკლებად განვითარებულ ორივე ნაირსახეობას; მაგალითად, მარტივი კოოპერაციის სახით შეერთებული მანქანების სისტემასთან საქმე გვაქვს აბრეშუმსახვევი ფაბრიკის აბრეშუმის ამოსახვევ წარმოებაში, ამავე დროს ეჭვი არ არის, რომ იმავე ფაბრიკის საძახავ განყოფილებაში უკვე მანუფაქტურული შრომის დნაწილების შესაბამისი მანქანების სისტემასთან გვაქვს საქმე. ამგვარივე სისტემა იყო შტიუსის მექანიკურ წარმოებაში, ბრანდტის ტყავის წარმოებაში და სხვა. ხოლო დრეს ფაბრიკაში, იმის გამო, რომ ეს საწარმო ითვალისწინებდა როგორც რთვას, ისე ქსოვას, შეიძლება შერეულად, ორივე აღნიშნული სისტემა ყოფილიყო წარმოდგენილი, თუმცა სართავი განყოფილება უფრო ჩამოყალიბებული სახით წარმოგვიდგებოდა, რადგან საქსოვ წარმოებაში მანქანას ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აქვს დაპყრობილი წარმოების პროცესი და გარკვეული ზომით მასში ხელით შრომაც რჩება.

